# კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გაზეთი

№ 3 (415) ◆ 20 – 26 იანვარი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




...თუ ორიოდე წლის წინ, დედაქალაქში ამტყდარ „ელექტროამბოხს" და ქუჩებში დანთებულ საბურავების კოცონებსაც გავიხსენებთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, სიო საიდანაც ქრის... გვ.3

...თვითონ რუსი პოლიტოლოგებიც აღნიშნავენ, რომ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები სწორედ ამ მხარის რუსეთთან ინტეგრაციას ისახავს მიზნად.

...ვერავინ იტყვის, რომ მეზობელ სომხეთს ჩვენზე მეტად ულხინს, მაგრამ ფაქტია, რომ მის ბიუჯეტში თავდაცვისათვის ზუსტად რვაჯერ მეტი თანხაა გამოყოფილი.

## სკანდალი?!

### რატომ გვახლევინებენ უხარისხო გაზში ზედმეტს...

გვ.6,11



ეს იმიტომ ხდება, რომ დაბალი თბოუნარიანობის ბუნებრივი აირი შემოდის საქართველოში. მრიცხველისთვის სულერთია, ორივე ხარისხის გაზზე ერთნაირად ბრუნავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მობინადრეებს დაბალკალორიული გაზის მოხმარების დროს ორ-სამჯერ მეტი თანხის გადახდა უწევთ, ვიდრე მაღალი თბოუნარიანობის ბუნებრივი აირის მოხმარებისას.

**საქართველოსთვის გაზის მოწოდების ალტერნატივა რუსეთის გარდა არ არსებობს** გვ.2

**ხსნა!** ამას პირველად თქვენი გაზეთის მკითხველებს ვუცხადებ და თუ პროგნოზი გამართლდა, მაღარიჩი თქვენზეა...

„ინგლისელ ინვესტორებთან ერთად ჩატარებული გეოლოგიური და ფიზიკური კვლევის შედეგად ნინოწმინდა-მანავის მოედანზე მოსალოდნელია გაზის დიდი საბადო აღმოჩნდეს. საცდელმა გაბურღვებმა მეტად დამაიმედებელი შედეგები მოგვცა". გვ.11

**ექსკლუზივი** გვ.5

## აფხაზეთში ვაგონებს კრასნოდარელი სომხები დაატარებენ...

**მკვლელობა 50 ათასი დოლარის თუ ნუგზარ საჯაიას საქმის გამო...**

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მოკლული თანამშრომელი ლევან ტაბაღუა ნუგზარ საჯაიას ახლო ნათესავი იყო...

## „შეიძლება მშვიდობიანი პოლიტიკა საბრძოლოში გადავიდეს"



**„ვადგენთ, სპილოა თუ ჭიანჭველა"**

შეიძლება ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ასეთია საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნა — სამშვიდობოებს მანდატი უნდა გაუგრძელდეს... გვ.7

## „ეს დროშა სიმბოლურად ღმერთთან კავშირს გულისხმობს"



თეთრი ფონი — საქართველოა, წითელი ჯვარი — ძალა ღვთისა, ლურჯი ზოლები — ძველი და ახალი თაობების ერთობა.

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ შემოთავაზებული სახელმწიფო დროშის ესკიზი** გვ.4

## თქვენ გვემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

თუ თქვენ ჯერ არ შეგივსიათ ანკეტა, კვლავ გეძლევათ თქვენი აზრის დაფიქსირების საშუალება.

მხოლოდ თქვენი დახმარებით გახდება თქვენი გაზეთი უფრო უკეთესი და საინტერესო. გვ.27


საპარლამენტო

17-20 გვერდი


**სამხედრო თემაზე:** გვ.8,9

## თბილისი რუსული სამხედრო ბაზების ბლოკირებას ვერ გაბედავს

...სავარაუდოდ, ოფიციალური ბათუმი ყურადღებას არ მიაქცევს დედაქალაქის მოთხოვნას და ადრინდებურად მოამარაგებს იქ განთავსებულ რუსულ სამხედრო ბაზას... რუსული თვითმფრინავებიც, ალბათ, აინუნში არ ჩააგდებენ ქართულ საჰაერო თავდაცვას და მაინც იფრენენ ძველი მარშრუტით.

...საქართველოს მთავრობას მუქარის შესრულება უფრო ახალქალაქში განთავსებული რუსული სამხედრო ბაზის მიმართ შეუძლია, მაგრამ დაგვერწმუნეთ, ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება ვერ გაბედავს ასეთი ნაბიჯის გადადგმას.



...თბილისის სუსტი პოზიციის სხვაგვარი ახსნაც შეიძლება — გაზსადენის აფეთქება, რომელიც ცოტა ხნის წინ რუსეთის ტერიტორიაზე მოხდა.

**სამარცხვინო სტატისტიკა არმიაში**

**ქართული რეალობა – ჯარი უჯარისკაცოდ**

## საკუთარი კორესპონდენტი ამერიკიდან გვატყობინებს

ბრუკლინის ფედერალურ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე ჟურნალისტთა კორპუსს გვაცნობეს, რომ საკუთარ სახლში დააპატიმრეს ბონანოს კლანის უკანასკნელი მოჰიკანი — ნათლია ჯოზეფ მასინო. გვ.27

**სპორტი:** **რივალდო ნაკრებიდან გააგდეს**

ახალმა მწვრთნელმა გუნდიდან რივალდო და კაფუ დაიფრინა, მე და ჩემს ნაკრებს ალარაფერში გამოგვადგებიანო(?!). გვ.34

## ნუ გაიტანთ „გრენლანდიას"



ანდრეი ტარკოვსკი ტრუსითა და მაისურით კალათბურთელის როლში პირველად ჩემს მუნჯ ფილმში ვათამაშე.

ქალბატონმა ვერიკომ და მამაჩემმა ისე იჩხუბეს ფილმის გამო, რომ ბოლოს ვერიკომ სკამი მოუღერა.

„ცისფერ მთებში" ერთი „გრენლანდიაღა" გვქონდა, ავიღე და წამოვიღე ჩემს კაბინეტში... „გრენლანდია" ცხოვრებაში უნდა დარჩეს, არ უნდა გაიტანონ. გვ.16

**ვერსია**

## ბორკილები ორდენის მაგივრად...

**მელოდია, რომელსაც სმენის გარეშეც იმღერებ...**



ქართველისაგან არ მოელოდა ამ სისასტიკეს, თანაც აქ, ამ ჯოჯოხეთში, თორემ გერმანელები მისი ცემის მეტს რას აკეთებდნენ.

შინ დაბრუნება ვერც ერთმა ვერ გაბედა, პოლონეთის საზღვრამდე მივიდნენ მხოლოდ, აქედან უფრო ახლოს ვიქნებითო საქართველოსთან. იქვე დაიჭირეს ორივენი 1953 წლის ბოლოს. გვ.10

# თქვენს გაზეთს მთელი საქართველო კითხულობს!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## დივერსია თუ ავარია?!..

საქართველოსკენ მომავალ მოზდოკი-თბილისის გაზსადენიდან აირის გაჟონვამ აფეთქება გამოიწვია, რამაც სერიოზულად დააზიანა ძირითადი მაგისტრალური ხაზი. საქართველო და რუსეთი ჯერ კიდევ ზარალის ანაზღაურებაზე დაობდნენ, რომ ზემო ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტის მიდამოებში სარეზერვოდ ჩართული 700-მილიმეტრიანი გაზსადენიც დაზიანდა. „კავკაზტრანსის" ტექნიკოსებმა სასწრაფოდ გადაკეტეს სათადარიგო ხაზი და აფეთქების თავიდან აცილება მოახერხეს. ქართველმა პარლამენტარებმა შემთხვევა ხელიდან არ გაუშვეს და სასწრაფოდ მოაწყვეს მინიდისკუსია გაზის შეწყვეტასთან დაკავშირებით — ზოგიერთი მათგანის აზრით, რუსეთის მხრიდან პოლიტიკურ ზეწოლას ჰქონდა ადგილი. მოგვიანებით, სპეციალური სამთავრობო დელეგაცია ავთანდილ ჯორბენაძის მეთაურობით ჩრდილოეთ ოსეთში გაემგზავრა და ვითარებას ადგილზე გაეცნო. თბილისში დაბრუნებული სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, საქართველოს გაზის მიწოდება სულ მცირე ორი კვირით შეუწყდება. როგორც სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში განმარტავენ, ყაზახეთთან არსებული დავალიანების გამო საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მოწოდების სხვა ალტერნატიული გზა არ არსებობს. ენერგეტიკოსები შედარებით მცირე დროში სარეზერვო გაზსადენის აღდგენას იმედოვნებენ.

მაგისტრალური გაზსადენის გადაკეტვამ საქართველოს ენერგოსისტემაზეც იმოქმედა. მოზდოკში მომხდარი ავარიის გამო ბლოკირებული აღმოჩნდა სომხეთი, რომელიც გაზს საქართველოს გავლით იღებს. შედეგად, მუშაობა შეწყვიტა სომხეთის იმ თბოელექტროსადგურმა, საიდანაც საქართველოს ელექტროენერგია მიეწოდებოდა, რასაც მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის, „ალავერდის" გათიშვა მოჰყვა. მოგვიანებით, ქართველი ენერგეტიკოსები კრიზისის აღმოფხვრას ენგურჰესის დატვირთვის ხარჯზე შეეცადნენ. იმის გამო, რომ ჰიდროელექტროსადგურზე წყლის დონე საკმაოდ დაბალია, თუ უახლოეს პერიოდში სომხეთიდან ან რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი არ განახლდა, სისტემაში კვლავ სერიოზული პრობლემები შეიქმნება. ენერგეტიკოსებმა მცირე სარეზერვო გაზსადენის შედარებით ადრე ამოქმედება რომც მოახერხონ, სარეზერვო 700მმ-იანი მილით გაზის საკმარისი რაოდენობა მაინც ვერ მოეწოდება და თბილისს არჩევნის გაკეთება მოუწევს — ტრანსპორტირებული ბუნებრივი აირი ან ელექტროენერგიის გამომუშავებას უნდა მოხმარდეს ან მოსახლეობას მიეწოდოს.

## ახლა „თბილწყალკანალის" ჯერი დადგა

შორს არ არის დრო, როცა წყლით მომარაგების სისტემაში ბევრად უფრო რთული და დახლართული სიტუაციები შეიქმნება, ვიდრე ენერგეტიკაში. კანცელარია, საკრებულო და პოლიტიკოსები სხვადასხვა ვერსიას ავრცელებენ — „აღორძინების" აქტივისტის, ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, „თბილწყალკანალის" ხელში ჩაგდებას დედაქალაქის მერი ვანო ზოდელავა და მიხეილ სააკაშვილი ერთად გეგმავენ და საიჯარო პირობები 200-წლიან კონტრაქტს გულისხმობს; კანცელარიის მონაცემებით, სისტემის იჯარით გაცემა სრული გამჭვირვალებით საგანგებო სატენდერო კომისიის მიერ მოხდება, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთი მსურველის, ფრანგული კომპანიის, „ჯენერალ დეზოს" წინადადებებს განიხილავს. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ „თბილწყალკანალის" იჯარით გაცემას აუცილებლად მოჰყვება წყალზე ტარიფის გაძვირება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ფრანგული „ჯენერალ დეზო" ამერიკული „ეი-ი-ეს თელასის" მსგავსად ერთდერთი კონკურსანტია, იგი შეეცდება ქართულ მხარესთან თავისთვის მაქსიმალურად მომგებიანი კონტრაქტი გააფორმოს.

## — საკონსტიტუციო სასამართლო არაფერს ნიშნავს?

„ეი-ი-ეს თელასთან" დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს სკანდალური გადაწყვეტილების შემდეგ, ქართველი საზოგადოება გულის ფანცქალით ელოდა იგნასიო ირიბარენის ჩამოსვლას. მან კი ჩამოსვლისთანავე კანცელარიის მაღალ ეშელონებში გამართა შეხვედრები, რის შემდეგაც საკმაოდ თავდაჯერებულად განაცხადა — ხელისუფლებამ ვითარების შესაცვლელად ერთი თვის ვადა გვთხოვა, მათი დიდი იმედი არ მაქვს, მაგრამ მაინც დაველოდები, ვნახავ, რა მოხდებაო... რაც მთავარია, ამერიკელი ენერგობიზნესმენები და მათი ქართველი თანამოაზრეები საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენების ღირსადაც არ მიიჩნევენ. მათი აზრით, ყველაფერი წინასაარჩევნო კამპანიას უკავშირდება და არჩევნების შემდეგ ყველა „დამშვიდდება"(?!) (იხ. გვ. 13).

## ვეტდეპარტამენტს „ვეტსაკონსულოები" ექნება...

ვეტერინარული დეპარტამენტის განცხადებით, საქართველომ საერთაშორისო ეპიზოოტიური ბიუროსგან ახალი სია მიიღო. მასში ის ქვეყნებია ჩამოთვლილი, საიდანაც მასობრივად გაჩენილი საშიში დაავადებების გამო ხორცის თავისუფალი იმპორტი აკრძალულია. სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის ბრძანებით, ამ ქვეყნებში ვეტდეპარტამენტს მუდმივი წარმომადგენლები ეყოლება, რომლებიც ხორცის ვარგისიანობას ადგილზევე, საქართველოში ტრანსპორტირებამდე შეამოწმებენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალი სიის მიხედვით პირუტყვის თურქულით დაავადება მსოფლიოს 62, ჯილეხი — 53, ხოლო ჭირი — 42 ქვეყანაშია დაფიქსირებული (აღარაფერს ვამბობთ სხვა წვრილ-წვრილ დაავადებებზე), ალბათ უახლოეს მომავალში საგარეო საქმეთა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების გაერთიანება მოგვიწევს...

## საბიუჯეტო ომი

უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ბიუჯეტის მიღებასთან დაკავშირებით ამტყდარი აურზაური დასასრულს უახლოვდება. მიუხედავად ოპოზიციური ფრაქციების მცდელობისა, სახელისუფლებო ძალებმა პარლამენტში ხმების საჭირო რაოდენობის მობილიზება მაინც მოახერხეს. მანამდე კი იყო კამათი, ლანძღვა-გინება, დაპირებები ლამის მუდმივი დეპუტატობის შემოღების თაობაზე... როდესაც ბიუჯეტის მისაღებად განწყობილი დეპუტატების სხვადასხვა გზით დანამუსებამ არ გაჭრა, დეპუტატებმა პროტოკოლი მოიშველიეს და მირიან გოგიაშვილს ლამის ფინანსთა მინისტრობის დამადასტურებელი მოწმობა სთხოვეს. გიორგი ბარამიძის მიერ დასმული შეკითხვა დაახლოებით ასე ჟღერდა — პრეზიდენტმა თუ იცის, აქ რომ ხარო... ხანმოკლე კამათის შემდეგ ხელისუფლებამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და შუაღამისას კანცელარიიდან გოგიაშვილის რწმუნების დამადასტურებელი დოკუმენტი მოიტანეს. განწბილებულ ოპოზიციას ისღა დარჩენოდა, სხდომათა დარბაზი დაეტოვებინა და კენჭისყრისთვის თვალყური „გალიორკებიდან" ედევნებინა. ბიუჯეტი პირველი მოსმენით, 129 ხმით რვის წინააღმდეგ მიიღეს. მაგრამ დასასრული ჯერ კიდევ შორს არის და მთავარი ბრძოლა მეორე მოსმენაზე გაიმართება, როდესაც დეპუტატებმა სხვადასხვა სფეროსა და უწყებისთვის თანხების (ანუ „წილების") საკითხი უნდა გაარჩიონ.

## კავკასიელები ერთმანეთს „პატრონებთან" ასმენენ?

აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა ოფიციალური წერილით მიმართა ამ ქვეყანაში მოქმედ დიდი ბრიტანეთის საელჩოს. წერილში სხვა მრავალთა შორის სომხეთის რესპუბლიკის ავ ზრახვებზეა ლაპარაკი. უფრო მეტიც, მასში პირდაპირ არის მითითებული, რომ უახლოეს მომავალში სომხეთის არმია მაგისტრალურ ნავთობსადენზე დივერსიული აქტის, ან იერიშის განხორციელებას გეგმავს(!). მოძმე და მზიურ რესპუბლიკას ვალში არც სომხეთი დარჩენია. ვლადიმირ პუტინთან შეხვედრისას რობერტ ქოჩარიანმა უკანასკნელ წლებში სომხეთის მიმართ აზერბაიჯანის მიერ განხორციელებულ აგრესიასა და ათასობით მხეცურად დახოცილ სომეხ მოქალაქეზე ისაუბრა. თავის მხრივ, პუტინმა სომხეთს უსაფრთხოების დაცვაში დახმარება აღუთქვა და საქართველოდან გადაყვანილი რუსი სამხედროებისთვის იდეალური პირობების შექმნისთვისაც მხურვალე მადლობა გადაუხადა.

## თან გაათავისუფლეს, თან დაიჭირეს...

ფოთში დაკავებულ ჩეჩენ დევნილს რუსეთს არ გადასცემენ. უზენაესმა სასამართლომ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და აბდულ-ჰამილ ალიევის გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო. მიუხედავად ამისა, ალიევი პატიმრობაში მაინც რჩება. ციხეში ყოფნისას ბადრაგთან მომხდარი ინციდენტის გამო საოლქო სასამართლომ იმავე დღეს ჩეჩენ დევნილს აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა სამი თვით გაუგრძელა. ალიევი ფოთში საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის გამო დააკავეს. მას შემდეგ ქართველმა სამართალდამცველებმა მოსკოვიდან მიიღეს მასალები, რომლის მიხედვითაც ალიევი 1997 წელს რუსეთში ჩადენილი მკვლელობისთვის იძებნებოდა.

## ცისკარიშვილს აპატიებენ

გენერალურმა პროკურატურამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატ პეტრე ცისკარიშვილისთვის იმუნიტეტის მოხსნის წინადადებით მიმართა. ნაციონალური მოძრაობის წევრის წინააღმდეგ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე პარლამენტში მომხდარი ინციდენტის გამო აღიძრა. მაშინ ცისკარიშვილსა და „მემარჯვენეების" ერთ-ერთ ლიდერს, დავით საგანელიძეს შორის მომხდარ ჩხუბს საგანელიძის მძიმე ფიზიკური ტრავმა მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე დეპუტატები დამნაშავის მთელი სიმკაცრით დასჯას მოითხოვდნენ, ამჯერად პარლამენტში ბიუჯეტის განხილვის დღეს ცისკარიშვილის საკითხის წამოწევა საეჭვოდ მიიჩნიეს. ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში მისულ გენერალურ პროკურორს ისიც უთხრეს, რომ ცისკარიშვილისთვის იმუნიტეტის მოხსნა პოლიტიკური ანგარიშსწორების საბაბი არ უნდა გახდეს...

## მიხეილ სააკაშვილი არ ცხრება...

საკრებულოს დაუდეგარმა თავმჯდომარემ დედაქალაქის გამგეობებს და სამეურნეო სამსახურებს შეუტია. ამჯერად მისი რისხვა ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელს დაატყდა. დავით სულაძეს დიდხანს მოუწია სააკაშვილისთვის ახსნა-განმარტების მიცემა, თუ რატომ არ ჰქონდათ დადებული ოფიციალური ხელშეკრულება მის შენობაში იჯარით მყოფ კერძო ფირმებს. ვაკე-საბურთალოს გამგებელმა ვერც ერთ-ერთ ოთახში აღმოჩენილი ქსეროქსის აპარატის წარმომავლობა განმარტა და ვერც მის რაიონში არსებული „ლევი" ავტოსადგომების საჭიროება დაასაბუთა.

## ნავთობსადენი არ გაუყვანიათ და დივერსიები უკვე დაიწყო?

დივერსიული აქტის შეფასება მისცა ნავთობის კორპორაციის თავმჯდომარემ, გია ჭანტურიამ ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე გასულ კვირას მომხდარ დაზიანებას.

ნავთობსადენიდან მომხდარი გაჟონვის შედეგად გორის ახლოს მდებარე სასოფლო სავარგულები დაბინძურდა. ადგილზე ოპერატიულად გასული „ბრითიშ პეტროლიუმის" ექსპერტთა აზრით, გამორიცხულია ავარია ნავთობის უკანონო რეწვის შედეგი ყოფილიყო. ჭანტურიას თქმით, ნავთობის დაღვრით გამოწვეული ზარალი უმნიშვნელოა, რადგან დამკეტმა სარქვლებმა დროულად იმოქმედა.

აღსანიშნავია, რომ არცთუ დიდი ხნის წინ ამავე რაიონში კატასტროფა განიცადა „ბრითიშ პეტროლიუმის" კუთვნილმა სარკინიგზო შემადგენლობამ, რომელსაც პირველადი ნავთობით დატვირთული ცისტერნები გადაჰქონდა.

## ოფიციალური ვიზიტი

თბილისში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა დსთ-ის აღმასრულებელი მდივანი იური იაროვი. იგი თბილისში ბაქოდან ჩამოვიდა. იაროვის ვიზიტის ძირითადი მიზანი თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერთა არაფორმალური სამიტის მომზადება იყო, თუმცა საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელსა და განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას მხარეებმა აფხაზეთში მყოფი რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატი და სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენაც განიხილეს.

## სოხუმმა სტრატეგია შეცვალა?

აქამდე აფხაზი სეპარატისტები ყოველგვარ მოსაზრებას ან ინიციატივას აფხაზეთიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის შესახებ ისტერიული კომენტარებით ხვდებოდნენ. ამჯერად კი პრეზიდენტ შევარდნაძის მორიგ განცხადებას ცისფერჩაფხუტიანთა გაყვანის თაობაზე სრულიად მშვიდად შეხვდნენ.

სერგეი შამბას განცხადებით, სოხუმი ამის წინააღმდეგი არ იქნება, რადგან არძინბას ხელისუფლება მზად არის, საკუთარ თავზე აიღოს აფხაზეთში სიტუაციის გაკონტროლება, მათ შორის ქართველი პარტიზანების ალაგმვაც. თუ გავითვალისწინებთ, რომ არძინბას არათუ აფხაზეთის, უკვე საკუთარი თავის გაკონტროლებაც აღარ შეუძლია, ძნელი მისახვედრი არ არის, ამჯერადაც ვისი იმედი აქვთ აფხაზ სეპარატისტებს...

## აფხაზები და რუსები ვეღარ რიგდებიან

31 იანვრის მოახლოებასთან ერთად რუსული სამშვიდობო ჯარები აფხაზეთში პროვოკაციულ ქმედებებს აგრძელებენ. რომ არა შემთხვევითობა, გალის რაიონის სოფელ ჩეღალში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების 204-ე საგუშაგოს დაცხრილვა ქართულ მხარეს ან „გაურკვეველი წარმოშობის ბანდფორმირებებს დაბრალდებოდა". როგორც გაირკვა, სამშვიდობოებზე თავდასხმა ამავე სოფლის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსმა ალიკ ხაშბამ განახორციელა. ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია. შემთხვევის ადგილზე მოკვლევა ჩაატარა ოთხმხრივმა საგამოძიებო ჯგუფმა.

ქართული, აფხაზური და რუსული მხარეების წარმომადგენლები, აგრეთვე გაეროს სამხედრო დამკვირვებლები ინციდენტის მიზეზებს უახლოეს მომავალში, ჭუბურხინჯის შეხვედრაზე გააანალიზებენ.

## საგანგაშო სტატისტიკა

სანამ პარლამენტში პროსტიტუციის ლეგალიზების პრობლემაზე მსჯელობენ და საბოლოო გადაწყვეტილებამდე მისვლა უჭირთ, კანისა და ვენერიულ სნეულებათა კვლევითი ინსტიტუტი განგაშის ზარებს არისხებს — არავითარი ლეგალიზაცია, პროსტიტუციას, პირიქით, უნდა ვებრძოლოთო და მეტად სავალალო სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს — საქართველოში 50 ათასი წყვილის უშვილობის მიზეზი გადატანილი ვენერიული სნეულებები ყოფილა. ზემოხსენებული ინსტიტუტის ანონიმურმა განყოფილებამ უკვე 865 კაცს უმკურნალა, რომელთაგან 30% ჰომოსექსუალისტი, ხოლო 847 პაციენტი ქალიდან 58% პროფესიონალი მეძავი ყოფილა.

## ტერორისტებს პანკისში წვრთნიდნენ?

საქართველოს უშიშროების სამინისტრომ ბრიტანეთის სპეცსამსახურებისგან პანკისის ხეობაში სხვადასხვა სახის მომწამლავი ნივთიერების დამამზადებელი საამქროს არსებობის შესახებ მიიღო ინფორმაცია. ვარაუდობენ, რომ საამქროს მესვეურებს კავშირი აქვთ საერთაშორისო ტერორისტულ დაჯგუფებებთან. ქართული სპეცსამსახურები ამ ინფორმაციას ამოწმებენ. თუმცა უშიშროების მინისტრის განცხადებით, პანკისში ბოევიკთა სასწავლო ბაზის არსებობის შესახებ იგი მთელი წლის მანძილზე ლაპარაკობდა.

ვალერი ხაბურძანია ამ ინფორმაციაში სენსაციურს ვერაფერს ხედავს. უშიშროების სამინისტროში აცხადებენ, რომ უცხოელმა კოლეგებმა ქართულ მხარეს დამატებითი დამადასტურებელი საბუთები უნდა წარუდგინონ.

## ოფიციალური ლაყბობა პარლამენტში

პარლამენტის მეორე რიგგარეშე სხდომაზე 2003 წლის ბიუჯეტის განხილვა კვლავ არ დაწყებულა. დეპუტატებმა პირველ საკითხად აფხაზეთის პრობლემა გამოიტანეს. თუმცა რაც უნდა უცნაურად ჩანდეს, დეპუტატებმა გადაწყვიტეს, რომ 20 იანვრისთვის რუსეთში დაგეგმილი სპიკერის ვიზიტის დასრულებამდე პარლამენტი აფხაზეთის საკითხს მხოლოდ განიხილავდა და არავითარ დადგენილებას არ მიიღებდა. დისკუსია და მკერდში მჯიღების ბაგუნი გვიან ღამემდე გაგრძელდა. დეპუტატები მნიშვნელოვან შეთანხმებამდე მივიდნენ — ყველა მათგანს ძალიან უყვარს სამშობლო და აფხაზეთი დასაკარგად არ ემეტება!




## ერაყში ქიმიური ქობინები აღმოაჩინეს...

16 იანვარს, ალბათ, ყველაზე ბედნიერი ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში იქნებოდა — ამ დღეს გაეროს ინსპექტორთა სპეციალურმა ჯგუფმა ერაყში, ბაღდადის მახლობლად 11 ქიმიური ქობინი აღმოაჩინა.

აღმოჩენას ჰუსეინის რეჟიმის პრესკონფერენცია მოჰყვა, სადაც ერაყელებმა განაცხადეს, რომ ქობინები ძველისძველი და გამოუსადეგარი იყო. თუმცა გაეროს ინსპექტორები სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. მოგვიანებით ერთ-ერთი ცნობილი ერაყელი ფიზიკოსის ბინის ჩხრეკისას ბირთვულ იარაღთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურაც აღმოაჩინეს. მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის წინააღმდეგობისა, გამორიცხული არ არის, ბუშის ხელისუფლებისთვის ინსპექტორების კვლევის შედეგი ომის დაწყების საბაბად იქცეს (იხ. გვ. 8-9).

## ამერიკამ თურქეთი მოისყიდა?

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ სურდა ერაყის წინააღმდეგ საომარ კამპანიაში მონაწილეობა, თურქეთის ხელისუფლება მოულოდნელად მაინც დათანხმდა შეერთებულ შტატებს, რომ მის ტერიტორიაზე 15 ათასი ჯარისკაცი განათავსოს. თურქეთის უეცარი თანხმობის მიზეზი მალევე გაირკვა — ამერიკამ სპარსეთის ყურის კონფლიქტში მონაწილეობისას შესაძლო ეკონომიკური ზარალის ასანაზღაურებლად, თურქეთს კომპენსაციის სახით წინასწარ 14 მილიარდი დოლარის ოდენობით შეღავათიანი კრედიტი გამოუყო.

როგორც ჩანს, თურქეთი ამერიკელების დახმარების სანაცვლოდ მიღებული თანხებით ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევას იმედოვნებს. თურქი და ევროპელი პოლიტოლოგების ვარაუდით, ამის გამო შესაძლოა თურქეთს სერიოზული პრობლემები შეექმნეს მუსლიმანურ სამყაროსთან.

## — სნაიპერს მთელი სიმკაცრით გაასამართლებენ...

„ვაშინგტონელი სნაიპერის" სახელით ცნობილი ჯონ-ალენ მუჰამედის თანამზრახველის, ჯონ ლი მალვოს ბედი არასრულწლოვანების გამო აქამდე გაურკვეველი იყო (რამდენიმე თვის წინ წყვილი თავზარს სცემდა ადგილობრივ მოსახლეობას), ახლა კი ვირჯინიის სასამართლოს დადგენილებით, ჯონ ლი მალვოს სრულწლოვანივით გაასამართლებენ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩვიდმეტი წლისაა.

ფერფაქსის საგრაფოს პროკურორის განცხადებით, მალვომ 13 ადამიანი მოკლა. ეს საკმარისი არგუმენტია იმისათვის, რომ დაკავებული სრულწლოვანის შესაბამისად გაასამართლონ. მეორე ეჭვმიტანილის, 42 წლის ჯონ-ალენ მუჰამედის სასამართლო პროცესი კი ოქტომბერში დაიწყება. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში მუჰამედს სიკვდილით დასჯა ემუქრება.

მიუხედავად მოჩვენებითი სიმშვიდისა, სამწლიანი „შესვენების“ შემდეგ მსოფლიოში კვლავ დენთის სუნი დატრიალდა. ამჯერად ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები სპარსეთის ყურეში მწიფდება და ეს მოვლენა საქართველოზე გავლენას უთუოდ იქონიებს. მეორე საკითხია, რამდენად პოზიტიური იქნება იგი...

აღმოსავლეთში დაძაბული ვითარების ფონზე სიტუაცია არც კავკასიაშია სტაბილური. გასულ კვირაში აზერბაიჯანმა და სომხეთმა ერთმანეთს უკვე დიპლომატიის მაღალ დონეზე შეუტიეს — აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა დიდი ბრიტანეთის დიპლომატიურ უწყებას საგანგებოდ აცნობა სომხეთის მხრიდან ნავთობსადენზე შესაძლო დარტყმის შესახებ, ხოლო სომხეთის პრეზიდენტმა ქოჩარიანმა, ვლადიმირ პუტინთან უმაღლესი დონის შეხვედრაზე, აზერბაიჯანული აგრესიის შესახებ დაიჩივლა და ჩრდილოელი კეთილისმყოფლისგან ყველანაირი თანადგომის დაპირება მიიღო. სომხეთისადმი კეთილგანწყობის პარალელურად, რუსეთი აფხაზეთში პროვოკაციულ ქმედებებს ააქტიურებს.

გავლენიანი რუსი ანალიტიკოსები ხშირად აკეთებდნენ აქცენტს რუსეთისა და ამერიკის მოლაპარაკებაზე კავკასიასა და სპარსეთის ყურეში პოზიციების გაცვლის თაობაზე. როგორც ჩანს, აფხაზეთში დაწყებული პასპორტიზაცია და სარკინიგზო მიმოსვლა შემთხვევითი არ არის. ქართული მხარე გაპროტესტებას გაეროს უშიშროების საბჭოს მოახლოებულ სხდომაზე აპირებს. 31 იანვარს რუს მშვიდობისმყოფელთა მანდატი იწურება. საქართველოს პრეზიდენტის მკაცრ განცხადებას, მისი ლეგიტიმურობის შეწყვეტის შესახებ, რუსული ისტებლიშმენტის ისტერიკა მოჰყვა. სათათბიროს სპიკერის, გენადი სელეზნიოვის მხრიდან პირდაპირმა მუქარამ გაიჟღერა — თუ საქართველოს ომი და სისხლის ღვრა სურს, მაშინ შეუძლია რუს სამშვიდობოებს მანდატი გაუუქმოსო...

ამ მუქარას რუსეთ-საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის საფუძვლიანი დაზიანებაც ემთხვევა, რის შედეგად მწყობრიდან გამოდის ყველა, მათ შორის სარეზერვო(!) ხაზებიც კი.

ზამთარში გაზის გამორთვა ენერგეტიკულ კრიზისსაც ნიშნავს, რადგან გაზი შეუწყდება სომხეთსაც, რომლის თბოელექტროსადგური შესაბამისად, ელექტროენერგიას ვეღარ გვაწვდის.

თუ ორიოდე წლის წინ, დედაქალაქში ამტყდარ „ელექტროამბოხს“ და ქუჩებში დანთებულ საბურავების კოცონებსაც გავიხსენებთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, სიო საიდანაც ქრის... დასასრულ, რუსეთში საქართველოს პარლამენტის სპიკერის მომავალი ვიზიტიც გავიხსენოთ. როგორც ჩანს, რუსეთმა ქართული პოზიციების მოთელვა უკვე დაიწყო. მიუხედავად საკმაოდ რთული პოლიტიკური ვითარებისა, ქართველი კანონმდებლები „ქართულ“ ტრადიციებს არ ღალატობენ და მუშტი-კრივისგან თავისუფალ დროს ერთმანეთს სამშობლოს სიყვარულის გამომხატველ ზეპირსიტყვაობაში ეჯიბრებიან.

ვესაუბრები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის სტრატეგიული კვლევების ცენტრის უფროსს ***კახა კაციტაძეს:***

— მსოფლიო პოლიტიკურ ვითარებას რაც შეეხება, ამჟამად დაძაბულობის ცენტრმა მართლაც სპარსეთის ყურისკენ გადაინაცვლა, მიუხედავად იმისა, რომ არცთუ ცოტა ხნის წინ მსოფლიოს ყურადღება კორეის ნახევარკუნძულისკენ იყო მიპყრობილი. მართალია, გადამწყვეტი სიტყვა გაეროს ინსპექტორთა ჯგუფმა უნდა თქვას, მაგრამ, როგორც ჩანს, დასავლეთის კოალიცია ძალიან მალე სპარსეთის ყურეს უკვე სერიოზულად მიხედავს. ამერიკაზე რომ არაფერი ვთქვათ, დიდ ბრიტანეთს სამხედრო ძალების ამგვარი მობილიზება ლოკალურ რეგიონში უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, ფოლკლენდის კუნძულებისთვის ომის შემდეგ არ მოუხდენია. სხვათა შორის, საინტერესოა, რომ დასავლური პრესის მიხედვით, ევროპელებისგან განსხვავებით, ამერიკის მოსახლეობის დაახლოებით 80% ერაყში სამხედრო მოქმედებების დაწყებას მხარს უჭერს. ისიც ფაქტია, რომ ჰუსეინის რეჟიმი მასობრივი განადგურების იარაღს მართლაც აწარმოებს. ამ ფაქტს, გაეროს ინსპექტორთა მიერ ქიმიური ქობინების აღმოჩენის გარდა, ქურთების და, სხვათა შორის, ირანელების წინააღმდეგ განხორციელებული ქიმიური შეტევაც ადასტურებს.

გარდა იმისა, რომ ჰუსეინის რეჟიმი საფრთხეს უქმნის საერთაშორისო საზოგადოებრიობას, რასაკვირველია, აქ უდიდეს როლს გეოპოლიტიკური ინტერესებიც თამაშობს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ნავთობის დაზვერილი მარაგების მიხედვით, საუდის არაბეთის შემდეგ ერაყი მსოფლიოში მეორე ადგილზეა.

რაც შეეხება საქართველოს: სპარსეთის ყურეში ჯერ კიდევ წინა ესკალაციის დროს ბევრი ექსპერტი ლაპარაკობდა რუსეთსა და ამერიკას შორის კარტ-ბლანშის შესაძლო გათამაშებაზე, ზოგიერთი მათგანი იმედით, ზოგიც შიშით. ფაქტია, რომ

# „რუსული ბაზების გასვლის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს იარაღის გადინება სეპარატისტულ დაჯგუფებებში“



## სომხეთს თავდაცვისათვის ჩვენზე რვაჯერ მეტი თანხა ემეტება...

მაშინ ეს გარიგება არ შედგა. სხვათა შორის, ეს აზრი რუსეთის გავლენიან პოლიტოლოგთა წრეებში ახლაც მუსირებდა. ამას წინათ, რომში, ნატოს კოლეჯში ყოფნისას, რუსეთის პოლიტოლოგთა შორის „მოზგოვი ცენტრად“ ცნობილმა, პროფესორმა კრემენიუკმა პირდაპირ გაახმოვანა ეს იდეა. თუმცა, მას ნაკლებად განხორციელებადი და არარეალური უწოდა. მართლაცდა, გაუგებარია, რატომ გაცვლის ამერიკა კავკასიის უმნიშვნელოვანეს პლაცდარმს ერაყზე, როდესაც მას იქ ისედაც ყველაფრის გაკეთება შეუძლია. გარდა ამისა, ბოლოდროინდელი მოვლენების გამო, ამერიკის ყურადღება კორეამ მიიპყრო, თორემ ბოროტების ღერძის მესამე ქვეყნად ირანია ცნობილი. მასთან მიმართებაში კი სამხრეთ კავკასიის რეგიონს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

**— ზემოთ აღნიშნეთ, რომ ერაყი ნავთობის მარაგით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთი ერაყის გაკონტროლებას შეძლებს, უკანა პლანზე ხომ არ გადაიწევს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი. გარდა ამისა, უკანასკნელ ხანს ირანის ხელისუფლებაში გაჩენილი რეფორმისტული ტენდენციებიც საყურადღებოა — ანალიტიკოსები, ენერგომატარებლების ტრანსპორტირების თვალსაზრისით, მასში რეალურ კონკურენტს ხედავენ...**

— ერაყთან დაკავშირებით საქმე არც ისე იოლად არის, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. სადამ ჰუსეინის დამხობა ვერასოდეს გადაწყვეტს შიდაერაყულ წინააღმდეგობებს. ძალიან დიდი დრო გავა, სანამ ამ ქვეყანაში ერთპიროვნულად პროამერიკული განწყობა იქნება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერაყში მოწყობილმა გადატრიალებამ გაამართლა, ხელისუფლებაში პროამერიკული ძალების მოსვლა მისი მეზობელი ირანის გაღიზიანებას გამოიწვევს, დასავლეთ ნაწილში ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ესკალაცია გაგრძელდება, აღმოსავლეთ ნაწილში კი ირანისა და მისი მოსაზღვრე სახელმწიფოებისა. გარკვეულ პერიოდში ირანში ხატემის რეფორმისტულ ხელისუფლებას ამერიკელი პოლიტოლოგების ნაწილი მართლაც იმედით უყურებდა, მაგრამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ფუნდამენტალისტური განწყობა და რელიგიური ფანატიზმი ირანში გაცილებით ძლიერია. რა რეფორმებზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, როდესაც პრეზიდენტის უახლოეს მეგობარს რაღაც უმნიშვნელო, არასწორი რელიგიური თვალსაზრისის გამოთქმისთვის სიკვდილით სჯიან... მეორე მხრივ, თუნდაც ერაყში ნავთობის ინფრასტრუქტურა დიდი წარმატებით განვითარდეს, ელემენტარული ლოგიკის ამბავია, რომ დასავლეთისთვის უმჯობესი იქნება ნავთობის ერთადერთი წყაროს გარდა რამდენიმე, მყარი ალტერნატივა ჰქონდეს.

**— ალბათ კავკასიაზე სიტყვა „მყარი“ ნაკლებად ითქმის, რადგან აზერბაიჯანი თურქეთისკენ მიილტვის, ამ უკანასკნელის „მოსისხლე“ მტერი, რუსეთი კი აქტიურად ათამაშებს სომხეთის კარტს. რეგიონში გავლენაზე ლაპარაკისას არც რუსეთის მიერ საქართველოში ჩადებული „ნელი მოქმედების ნაღმები“ უნდა დავივიწყოთ და არც ის ბერკეტები, რომლის მეშვეობითაც ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს საქართველოზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია...**

— გამიჭირდება იმის თქმა, რომ სომხეთი ერთპიროვნულად პრორუსულად არის განწყობილი. პირადად მე მქონია შეხება სომხეთის აკადემიურ წრეებთან და მეტ-ნაკლებად ვიცი მათი განწყობის შესახებ. სომხებს რეგიონში თურქეთის შემოსვლა აშინებთ და რუსეთი ამ ფაქტორს საკმაო წარმატებით იყენებს. დარწმუნებული ვარ, თუ საქართველო ნატოსკენ დრეიფს გააგრძელებს, სომხეთიც, დროთა განმავლობაში ჩვენკენ წამოვა, რადგან მას მეტი გზა არ გააჩნია. რა ფორმით და როდის, სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, სომხეთი საქართველოზეა დამოკიდებული. თუკი საქართველოში დასავლეთის გაძლიერების ხარჯზე რუსეთის გავლენა შემცირდება, პროპორციულად გაიზრდება სომხეთის დასავლური განწყობაც.

**— დასავლეთის აშკარა კეთილგანწყობის პარალელურად, რუსეთი საქართველოს მიმართ პოლიტიკას ამძაფრებს. ფოთის პორტში ნავთობსადენის მილების პირველი პარტიის შემოტანას ჩრდილოეთ ოსეთში რუსეთ-საქართველოს გაზსადენის აფეთქება მოჰყვა, რაც, თავის მხრივ, ენერგოკრიზისს გამოიწვევს. გარდა ამისა, ატეხილი აჟიოტაჟის მიუხედავად, აფხაზეთში კვლავაც წარმატებით მიმდინარეობს პასპორტიზაცია, არც სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლა შეწყვეტილა...**

— რამდენად შემთხვევითი იყო ეს ავარია, ექსპერტებმა უნდა დაადგინონ. მანამდე კი, გამორიცხული მართლაც არაფერია. რაც შეეხება აფხაზეთს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი პოლიტოლოგების ნაწილი აფხაზეთისთვის ეკონომიკური ბლოკადის მოხსნაში ცუდს ვერაფერს ხედავს, გამალებული პასპორტიზაციის თანხლებით ეს მოვლენა მართლაც ძალიან საშიშ ფორმებს იღებს; მით უმეტეს, თუ ეკონომიკური ბლოკადის მოხსნა მხოლოდ რუსეთთან მიმართებაში იქნება ნაგულისხმევი. სხვათა შორის, თვითონ რუსი პოლიტოლოგებიც აღნიშნავენ, რომ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები სწორედ ამ მხარის რუსეთთან ინტეგრაციას ისახავს მიზნად. სადავო არ უნდა იყოს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობაში საქართველო და რუსეთი დამოუკიდებელ სუბიექტებად მოიაზრებიან — გნებავთ, დე ფაქტო, გნებავთ, დე იურე. არა მგონია, დიდი კვლევა-ძიება სჭირდებოდეს იმის გარკვევას, რომ მხოლოდ ერთი კერძო კომპანიის კაპრიზით იმხელა სახელმწიფო, როგორიც რუსეთია, მეორე ქვეყანასთან სარკინიგზო მიმოსვლას არ აწარმოებს. გარდა ამისა, კონფლიქტების მოგვარების გამოცდილება ადასტურებს, რომ ეკონომიკური დარეგულირება მხოლოდ მას შემდეგ არის ეფექტიანი, როცა ვითარება პოლიტიკურად მოგვარდება. კვიპროსის მაგალითზე ვიმსჯელოთ: მისი ბერძნული მხარე ევროსტანდარტების დონეზეა, მაგრამ ეს სულაც არ უჩენს სურვილს სიღატაკეში მცხოვრებ თურქეთის ნაწილს, რომ კვიპროსი საბერძნეთის სასარგებლოდ გაერთიანდეს. ამდენად, ჩვენს შემთხვევაშიც ეკონომიკური ბლოკადის მოხსნა საქართველოს სასარგებლოდ ვერ იმუშავებს. ასე რომ, აფხაზეთში არსებული ტენდენცია უფრო საშიშია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით მოჩანს, ანუ ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებით და რკინიგზის გახსნით (არ დაგვავიწყდეს რუსული პასპორტებიც) აფხაზეთის რუსეთთან საბოლოო ასიმილაცია მოხდება.

**— არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ სხვა მრავალი პრობლემის გადაჭრას ყველაზე მეტად ხელს ქართული პოლიტიკური „ელიტის“ ზედმეტი „მრავალფეროვნება“ უშლის. ფაქტია, რომ თუნდაც იმავე აფხაზეთთან მიმართებაში ერთპიროვნულად განსაზღვრული პოზიცია არ არსებობს. ქვეყანაში არსებული ფეთქებადსაშიში ვითარების ფონზე, რიგგარეშედ მოწვეულ სესიაზე, დეპუტატები მთელი სერიოზულობით თანხმდებიან, აფხაზეთის შესახებ არავითარი გადაწყვეტილება არ მიიღონ და უბრალოდ, იმსჯელონ(?!).**

— პოლიტიკოსთა ქმედებაზე კომენტარის გაკეთება გამიჭირდება (ახალს ვერაფერს ვიტყვი), მაგრამ ფაქტია, რომ ერთპიროვნული პოზიციის ჩამოყალიბება მართლაც დროული და საჭიროა, რადგან სხვაგვარად რეალურ შედეგს ვერ მივაღწევთ და კვლავაც „უბრალო მსჯელობის“ დონეზე დავრჩებით. საერთო სახელმწიფოებრივი მიდგომა მით უმეტეს არის აუცილებელი, როდესაც ესოდენ მნიშვნელოვან რეგიონში ვიმყოფებით; უპირველეს ყოვლისა, ყურადღება ისევ და ისევ თავდაცვის სფეროს განვითარებას უნდა მიექცეს. ჩვენთან ხშირად ლაპარაკობენ ნატოში ინტეგრაციაზე. ამ ორგანიზაციას თავისი, ოფიციალურად დაწესებული სტანდარტები აქვს, ვთქვათ, საერთოეროვნული შემოსავლის რა წილი უნდა იხარჯებოდეს ქვეყნის შეიარაღებულ ძალებზე. ალბათ საზოგადოებამ ნაკლებად თუ იცის, რომ ამ მაჩვენებლით საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებში უკანასკნელ ადგილზეა. ვერავინ იტყვის, რომ მეზობელ სომხეთს ჩვენზე მეტად ულხინს, მაგრამ ფაქტია, რომ მის ბიუჯეტში თავდაცვისათვის ჩვენსაზე ზუსტად რვაჯერ უფრო მეტი თანხაა გამოყოფილი. დასკვნები თვად გააკეთეთ, შეიძლება ვილაპარაკოთ პრობლემის სერიოზულობაზე (აფხაზეთზე) და არ გაგაჩნდეს მინიმალური თანხებიც კი, რომელიც თავდაცვას გამოუყვეს, მაგრამ არ აძლევენ, ელემენტარულად სახელმწიფოს ხომ უნდა შეგწევდეს ძალა, რაიმე პროვოკაციის შემთხვევაში ადეკვატურ პასუხზე იფიქრო.

**— თქვენ მიერ ნახსენები დაუფინანსებლობის პირობებში რამდენად მოახერხებს ამას საქართველო, მით უმეტეს, რომ ბოლო ხანს ქართულ მედიაში გამოჩნდა ცნობები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოსალოდნელი ანტიკრიმინალური ოპერაციების შესახებ...**

— რამდენადაც მე ვიცი, ეს ცნობები ძალოვანმა მინისტრებმა ჯერჯერობით უარყვეს. თუმცა, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება და გამორიცხული არაფერია — შესაძლოა, საფრთხე სხვა მხრიდანაც მოდიოდეს. მე მაინც მჯერა, რომ კონფლიქტის ახალი კერები საქართველოში აღარ შეიქმნება, თუ ისევ ჩვენვე არ შევუწყვეთ ხელი მათ გაღვივებას. აქ კიდევ ერთი ზოგადი, დამამშვიდებელი ტენდენციაა: იმ უზარმაზარ სიბრტყეზე, რომელსაც ბჟეზინსკი „ევრაზიის ბალკანეთს“ უწოდებს (ბალკანეთი, კავკასია, შუა აზია), კოსოვოს ომის შემდეგ ახალი კონფლიქტები აღარ წარმოქმნილა. ძველთაგან ზოგი აღმოიფხვრა, უფრო მეტი კი დაკონსერვდა. გარდა ამისა, იმედია, ჩვენი მწარე გამოცდილებაც იმოქმედებს და უახლოეს წარსულში დაშვებულ შეცდომებს აღარ გავიმეორებთ. საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის მიმართ მზარდი ინტერესის მიუხედავად, სიფხიზლე არ უნდა დავკარგოთ, რადგან მიზანს რაც უფრო მივუახლოვდებით, ბუნებრივია, დაინტერესებული მესამე ქვეყნის რეაქციაც უფრო გამძაფრდება. ჩვენთან ძალიან ხშირად ლაპარაკობენ რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ. მკაცრი კონტროლის სისტემა თუ არ იქნება, სავსებით ადვილი შესაძლებელია, ამ ბაზების გასვლის პროცესში მოხდეს იარაღის დიდი რაოდენობით გადინება სეპარატისტულად განწყობილ დაჯგუფებებში და განვითარდეს შეუქცევადი პროცესები, რაც არცთუ რთული წარმოსადგენია ჩვენს პირობებში და რომელთა ჩაქრობაც ძალიან გაგვიჭირდება. ამიტომაც, აჯობებს აქედანვე ვიფიქროთ უცხოეთის ქვეყნებში არსებულ პრაქტიკაზე და ამ პროცესის დასაწყისისთვის მზად იყოს საერთაშორისო ინსპექტორებით დაკომპლექტებული კომისია, რომელიც მკაცრად აღნუსხავს და გააკონტროლებს რუს სამხედროთა თითოეულ ნაბიჯს.

***დაჩი გრძელიშვილი***




10 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი პოზიცია სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ როგორც ხუთჯვრიანი, ისე ერთჯვრიანი დროშა მისაღებია ეკლესიისთვის, რადგან ეს ორივე ვარიანტი არის გაგრძელება ჩვენი ისტორიული ტრადიციისა.

მან ფართო საზოგადოებას შესთავაზა ერთჯვრიანი დროშის ვარიანტი, რომელიც ხელისუფლებას ეკლესიის მიერ ჯერ კიდევ 1997 წელს წარედგინა განსახილველად. ეს არის თეთრ ფონზე გამოსახული ტოლმკლავა შინდისფერი ჯვარი, რომელსაც ლურჯი ზოლები დაჰყვება.



სამწუხაროდ, პატრიარქის განცხადება ტელევიზიით არასწორად გაშუქდა, რამაც შექმნა საშიშროება საპატრიარქოს პოზიციის პოლიტიზებისა. ეს კი ჩვენთვის სრულიად მიუღებელია, რადგან ეკლესია ყოველთვის იყო და განსაკუთრებით დღევანდელი მრავალფეროვანი პოლიტიკური სპექტრის პირობებში უნდა იყოს ერის ერთიანობის გარანტი. ამდენად, რომელიმე პოლიტიკური ძალისადმი მიკერძოებული დამოკიდებულება ჩვენთვის დაუშვებელია.

საპატრიარქო სთხოვს დაპირისპირებულ მხარეებს, შეწყვიტონ კამათი დროშის სადავო ვარიანტთან დაკავშირებით და განიხილონ ეკლესიის მიერ შემოთავაზებული წინადადება ერთჯვრიანი დროშისა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია -ის მიერ ხელისუფლებისთვის შეთავაზებული სახელმწიფო დროშის ესკიზის სიმბოლიკის შესახებ განმარტება ვთხოვეთ საპატრიარქოს პრესცენტრის წარმომადგენელს **ზურაბ ცხოვრებაძეს:**

— განმარტებისთვის მე პირდაპირ პატრიარქის სიტყვებს გავიმეორებ. როდესაც ერთჯვრიანი დროშის ესკიზი შესთავაზა უწმინდესმა და უნეტარესმა სახელმწიფოს, მაშინ თქვა: „თუ რაღაც მიზეზებისა გამო, ეს დროშა არ იქნება მიღებული, როგორც სახელმწიფო დროშა, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჯვრის გამოსახვა დროშაზე აუცილებელია და ამ შემთხვევაში, საქართველოს დროშა ერთჯვრიანი უნდა იყოს. და აი, აქ წარმოდგენილია ერთ-ერთი ასეთი ესკიზი, ვარიანტი ერთჯვრიანი დროშისა. თეთრ ფონზე გამოსახული ჯვარი თავიდან ბოლომდე გასდევს ამ თეთრ ფონს. თეთრი ფონი სიმბოლურად საქართველოს ნიშნავს, მასზე გამოსახული წითელი ჯვარი — ეს არის ძალა ღვთისა, სიმბოლო გამარჯვებისა. წითელ ჯვარს ცოტა მოცილებით მისდევს ლურჯი ზოლი. თუკი მას დააკვირდებით, ამ ლურჯ ზოლს განსხვავებული სიგანე აქვს: ერთი უფრო ვიწროა, მეორე კი უფრო ფართო. ეს არის ერის სიმბოლო, რომელიც მთლიანდება ჯვრის, ღვთის ძალის გარშემო და წვრილი ზოლი ნიშნავს ახალ თაობას, ხოლო ფართო ზოლი — უფროს თაობას და ორივე არის გაერთიანებული უფლის მიერ. როგორც თავად ჯვარი, ასევე ერის განმასახიერებელი ლურჯი ზოლებიც გადადის უსასრულობაში, რაც სიმბოლურად ღმერთთან კავშირს გულისხმობს.“

# ინტერვიუ, რომელიც ბოლომდე ვერ შედგა, ანუ გამოთხოვება იზა გიგოშვილთან

ახალ წლამდე, რამდენიმე კვირით ადრე ტელეფონით დავუკავშირდი იზა გიგოშვილს. ისეთი დაღლილი ხმა ჰქონდა, მაშინვე გადამეწურა ინტერვიუს იმედი, მაგრამ მან მეორე დღესვე დამიბარა შინ.

კარი ბატონმა მერაბ თავაძემ (ქ-ნ-ი იზას მეუღლემ. — მ.ბ.) გამიღო და იმ ოთახში შემიძღვა, სადაც ქალბატონი იზა იწვა. ვიცოდი, რომ იგი ბოლო დროს ავადმყოფობდა, მაგრამ ასეთ დასუსტებულს თუ ვიხილავდი, არ მეგონა. გული შემეკუმშა. უმალ მისი მშფოთვარე და მგრძნობიარე გრუშე გამახსენდა „კავკასიური ცარცის წრიდან“. ვუთხარი კიდეც: თქვენსავით არავის უკითხავს პატარა მიხეილისთვის — „კიდევ ტირი, მიხეილ? გშია ალბათ. რა ვქნა, რა გიყო, სად გიშოვო რძე?“ ამის გაგონებისას სახე გაებადრა. ვატყობდი, რომ ტკივილი იმ წუთებშიც სტანჯავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, თითქმის ოთხი საათი სვენებ-სვენებით მელაპარაკა ბევრ რამეზე. აღარ შემიჩერებია, რადგან მივხვდი, მას ჩემი მეშვეობით სურდა თავისი ხალხისთვის ეთქვა ის, რასაც დიდი ხანია გულში ინახავდა.

**იზა გიგოშვილი:** — არის პერიოდი, როცა რეჟისორიც და მსახიობიც გმირულ სულს ატარებენ და მას ყველაფერში, განსაკუთრებით კი სცენურ სამყაროში, გამოხატავენ, მაგრამ დგება ისეთი ხანაც, როცა ხელოვანი დროს მოერგება, მისი სული კი კნინდება, სადღაც იმალება. ასეთი სამარცხვინო პერიოდი სულ ახლახან, ახლო წარსულში გვქონდა. როცა ის დღეები მახსენდება, გული მტკივა. არადა, ხელოვანმა დროს უნდა გაუსწროს... ასე იყო რუსთაველის თეატრშიც — რეჟისორი თავისი სათქმელით დროს უსწრებდა, მაგრამ მერე, როცა ქვეყანა აირია, ჩვენთანაც უკუღმა დატრიალდა ყველაფერი... არ შეიძლება თავისუფლება თასით მოგართვან. ასეთი თავისუფლება თავის ხიბლს და ღირსებას კარგავს, მის სიდიადეს ვერასოდეს იგრძნობ...

1992 წელს, მე და მერაბი მსახიობების ჯგუფთან ერთად გერმანიაში წავედით. წავიღეთ „ოიდიპოს მეფე“. თითქმის 9 თვე დავყავით იქ, ყოველ სპექტაკლზე ანშლაგი იყო. როდესაც დავბრუნდით, რუსთაველის თეატრის ფოიეში განცხადება დაგვხვდა გამოკრული. აკაკი ხიდაშელი, ელდარ სახლთხუციშვილი, გოგი თურქიაშვილი, ირაკლი აფაქიძე და მე თეატრიდან გათავისუფლებულ-დათხოვნილები აღმოვჩნდით რეპეტიციებზე გამოუცხადებლობის გამო! არადა გამგზავრებამდე ჩვენს გასტროლებზე ოფიციალური თანხმობა ხელმოწერით დაადასტურა მაშინდელი კულტურის მინისტრმა დავით მაღრაძემ, ხოლო გასტროლებიდან წარმატებებით დაბრუნებულებს კარი მოგვიხურეს! ხომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს?! ძნელია გადმოგცეთ ის გრძნობა, რომელიც მაშინ განვიცადე... ჩემთვის ხშირად უკითხავთ, რა გეჯავრება ყველაზე მეტადო? სამი რამ არ მიყვარს ამქვეყნად: ტყუილი, უმადურობა და უზრდელობა. ეს სამი რამ ხომ არასდროს ყოფილა ქართველი კაცისთვის დამახასიათებელი, მაგრამ დრომ მაინც მოიტანა ეს უკეთური თვისებები. ქართველმა საკუთარი ტყავის გადასარჩენად რატომ მოირგო ასეთი ნიღაბი? თუ ადამიანს სინანულის გრძნობა არ გააჩნია, იგი არარაობაა. ასე მგონია, ქართველობა თავის ღირსებას მაშინ დაიბრუნებს, როცა სინდისი შეაწუხებს, სინანული დაეუფლება. საქართველო კვლავაც რომ გაბრწყინდება, ამაში ეჭვი არასოდეს შემპარვია...

ბოლო ხანს, როცა ავადმყოფობამ შინ გამომკეტა, უფრო ხშირად ვიგონებ წარსულს, მეგობრებს... მე და ლია გუდაძე განუყრელი მეგობრები ვიყავით, დრომ ვერაფერი ავნო ჩვენს ურთიერთობას. ძალიან მიყვარდა გია ფერაძე, რომელიც ტრაგიკული პიროვნება იყო, მის გარეშე ვერც კი წარმომედგინა „კავკასიური ცარცის წრე“. მუდამ ფაქიზი გრძნობით მაგონდება ბატონი ეროსი. მის გვერდით თითქოს ღირსებები გემატებოდა, შენც მაღლდებოდი და ისეთივე კეთილშობილი ხდებოდი, როგორიც თავად იყო. მეამაყება, რომ ზვიადს და მერაბს ახლოს ვიცნობდი, მეცხრე კლასიდან. ერთი ჩემი ახლობელი მსახიობი მარჯანიშვილზე, რუსულ ეკლესიასთან ცხოვრობდა. მის ოჯახში ვიკრიბებოდით ხოლმე, ვეცნობოდით აკრძალულ ლიტერატურას. ზვიადი და მერაბი ისეთი ანთებულები იყვნენ, ისეთი გზნებით ლაპარაკობდნენ ეროვნულ სატკივარზე, ყოველივე ქართულზე, რომ ხშირად მიტირია კიდეც... დიახ, ჩემო კარგო, ამ მოგონებებით, ჩემი წარსულით დღეს ბედნიერი ქალი ვარ. ყველაფერი, რაზედაც კი შეიძლება ქალმა იოცნებოს, ისიც მსახიობმა, შემსრულებია. არ მომკლებია მაყურებლის სიყვარული,



ტაში და ოვაციები, ერთგული მეგობრები, მეუღლის სითბო და ყურადღება, შვილების ალერსი... მყავს კარგი რძალი, სიძე და შვილიშვილები, ერთი სიტყვით, სამდურავი ნამდვილად არ მეთქმის არავისზე და არაფერზე... მერე რა, რომ ავადმყოფობამ ხელი დამრია. ესეც ჩაივლის. ამ სამი წლის წინაც ძალიან ცუდად ვიყავი, თითქმის ოთხი თვე ჩავწექი ლოგინში. ხმა დაირხა, იზა გიგოშვილი მოკვდაო. ვინ აღარ რეკავდა ჩვენთან, სრულიად უცნობებიც კი მკითხულობდნენ. ამხელა სიყვარული რომ ვიგრძენი, საკუთარ თავს შევუძახე: გიგოშვილო, შენვე თუ არ მოუხმე ძალებს, სხვა ვერაფრით დაგეხმარება-მეთქი. შევუძახე და ავდექი კიდეც... ახლაც ავდგები. სამეფო უბნის თეატრში მუშანიკი უნდა ვითამაშო... ისე კი, აწი დროა ახალგაზრდებს დავუთმო ასპარეზი. ჩვენი ნიკას და ნატოს (*იზა გიგოშვილის და მერაბ თავაძის ვაჟი და მისი მეუღლე, — მ.ბ.*) თაობა უნიჭიერესია და მათ უფროსებისგან მხოლოდ ერთი რამ სჭირდებათ — ხელის შეშველება. მე მგონი, ჩვენ, მშობლებმა ეს უკვე გავაკეთეთ. ახლა ჯერი მათზეა...

ჩემს ჟურნალისტურ საქმიანობაში პირველად დამთავრდა ინტერვიუ, როცა რესპონდენტისთვის კითხვა არ დამისვამს. ეს უფრო ინტერვიუ-მონოლოგი იყო. ქალბატონ იზას სრული თავისუფლება მივეცი, ესაუბრა იმაზე, რაც სტკიოდა, რაც უხაროდა. მიუხედავად ამისა, მას მაინც უკმარისობის გრძნობა დარჩა (მე — მით უფრო!), ასე მითხრა: რამდენი ვილაპარაკე და მაინც რამდენი რამ მაქვს სათქმელი, ინტერვიუ ბოლომდე ვერ შედგაო. შევატყვე, საკმაოდ დაიღალა, ამიტომაც მივუგე: ნაახალწლევს კიდევ გინახულებთ და დანარჩენზე მერე ვისაუბროთ-მეთქი. გაუხარდა, თითქოს არც იჯერებდა, კიდევ მოხვალ და ამდენ ხანს დამიჯდები მოსასმენადო? შემდეგი შეხვედრა ველარ შედგა. ქალბატონი იზა 17 იანვარს სამუდამოდ გამოგვეთხოვა. წავიდა ამ ქვეყნიდან, სადაც ტკივილიც ბევრი ნახა და სიხარულიც, ცრემლიც და ღიმილიც, დამარცხებაც და გამარჯვებაც. ერთი სიტყვით, ის ტკბილმწარე თასი, ცხოვრებასთან განუყოფელი რომაა, ბოლომდე დაცალა. იმქვეყნად კი გაიყოლა იმედი... იმედი საქართველოს გაბრწყინებისა.

***მარინა ბაბუნაშვილი***

**„კვირის პალიტრის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ბატონ მერაბ და ნიკა თავაძეებს ქალბატონი იზას გარდაცვალების გამო.**





ყველა მისი ნახატიდან დიდი ტკივილი იყურება. ლექსები კი მისი აფორიაქებული სულის გამოძახილია:

*„ექვსასმეოცე თენდება ღამე,*
*ოთახში წმინდა სანთელი*
*ტირის,*
*ექვსასოცივე გადავიტანე*
*მე უშენობის სიცივე*
*დამღლის“...*

ან კიდევ:

*„და როცა ჟამი დადგება ჩემი,*
*ჩუმად გავყვები მე იმ გზას,*
*აღმა,*
*თან გამაყოლეთ ქართული*
*ხმები*
*და იგალობოს ქართველმა*
*ქალმა“.*

გისოსებს მიღმა დრო თავისი დინებით მიდის. მისი ბაბუა და ბიძაშვილი ისე გარდაიცვალნენ, შუქრიმ ვერ ნახა, ვერც უკანასკნელ გზაზე გააცილა... ბევრი ლექსი და ნახატი ამ ტკივილმა დააწერინა. „თავის უდანაშაულობასა და სიმართლის გამარჯვებაში დარწმუნებული შუქრი კატეგორიულ უარს აცხადებს მსჯავრდებულის სტატუსით საქართველოში დეპორტაციაზე და იმედის თვალით სტრასბურგს შეჰყურებს. გთხოვთ ნუ განსჯით მკაცრად მისი შინაგანი სამყაროს თვითგამოსახვის პირველ ცდას...“, — ვკითხულობთ გამოფენის მოსაწვევ ბარათში.

გამოფენის გახსნის წინა დღეს პაატა ბურჭულაძის ვაჟს მესიჯი გამოუგზავნია ახლობლებისათვის: — ძალიან ვღელავ, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ამ გამოფენას მეც თბილისში მოვყვებიო... ასეთი განცდა სდევდა თან მისი ლექსებისა და ნახატების სამშობლოში დაბრუნებას...

ცოტა ხნის წინ თბილისში შუქრი ბურჭულაძის ნახატების გამოფენა მოეწყო. შუქრი ცნობილი ქართველი ბანის — პაატა ბურჭულაძის ვაჟია. საქართველოში ყველამ გაიგო, რომ ის სამწუხარო გაუგებრობაში მოხვდა და ახლა უსამართლოდ იხდის სასჯელს ავსტრიის ციხეში. სწორედ იქ დაიწყო ხატვა და წერა შუქრიმ. ოთხ კედელში გამოკეტილს, ცხადია, ბევრი ფიქრი და დარდი აწევს გულზე. ენატრება თავისუფლება, ოჯახის წევრები, ენატრება საქართველო. „გთხოვთ ეწვიოთ ჩემი ნახატების გამოფენას და მომწეროთ ორიოდ ქართული სიტყვა. თქვენი შუქრი ბურჭულაძე, ლინცი, ავსტრია. 20/X. 2002 წელი“. ასეთი სიტყვებით მიიწვია ქართველები საგამოფენო დარბაზში...

***ლელა ჯიყაშვილი***

# ნარჩემაშვილმა კახა თარგამაძეს დაფარული დანაშაულობები ამოუქექა?



შს ახლანდელი მინისტრი კობა ნარჩემაშვილი კახა თარგამაძის დროს მიჩქმალულ დანაშაულობებს ფარდას ხდის. შსს-ს პრესცენტრის უფროსის პაატა გომელაურის ინფორმაციით, 2000-2001 წლებში ჩადენილი რიგი დანაშაულობანი და მათ შორის მკვლელობები, აღურიცხავია და რა თქმა უნდა, შესაბამისად, არავინ დაუსჯიათ. ფაქტია, რომ პოლიციიდან რაიმე ფინანსური გარიგების გარეშე ჩიტიც კი ვერ გამოფრინდება, თუმცა პაატა გომელაური დანაშაულობათა დაფარვის სხვა მიზეზებზეც საუბრობს. ოფიციალური ინფორმაციით, დღემდე დაფარული იყო 5 მკვლელობა, 48 ყაჩაღობა, 70 ქურდობა, 10 ძარცვა, 7 ადამიანის გატაცება. არადა, უცნაური ის არის, რომ ამ მძიმე დანაშაულობათა ფონზე სასაცილოდ გამოიყურება რამდენიმე ხნის წინ ხაშურელი ადვოკატის ზაქარია თედიაშვილის დაპატიმრება, რომელმაც 4 ქათამი მოიპარა. ვესაუბრებით შსს-ს პრესცენტრის უფროსს **პაატა გომელაურს**.

**— რის შემდეგ გახდა თქვენთვის ცნობილი, რომ ეს დანაშაულობანი აღურიცხავი იყო?**

— შს მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომელიც ეხებოდა დანაშაულის აღრიცხვიანობის გაუმჯობესებას. დასამალი არ არის, რომ გარკვეული ტრადიცია არსებობდა, რომ ისეთი დანაშაულობანი, როგორიცაა ქურდობა, ხულიგნობა, აღურიცხავი და დაფარული რჩებოდა. რაც იმიტომ ხდებოდა, რომ პოლიციის უფროსებს ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა. თუ დავუშვათ ერთი წლის წინ მოხდა რომელიმე რაიონში 70 ხულიგნობა და მეორე წელს — 72, ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ. ამიტომაც ხდებოდა დამალვა. დღეს ყველაფერი უკვე აღრიცხვაზეა.

**— როდესაც ხდება მკვლელობა, ადამიანის გატაცება, ჩნდება ეჭვი, რომ ყველაფერი ფინანსური დაინტერესების გამო იჩქმალება და არა იმიტომ, რომ პოლიციის უფროსმა არ მიიღოს საყვედური.**

— ასე პირდაპირ გამიჭირდება ამის თქმა. მოგეხსენებათ, ყველაფერს მტკიცებულებები სჭირდება. ერთ რამეში დაგეთანხმებით, თუ დანაშაულის რეგისტრაცია არ მოხდა, დამნაშავე დაკავებული ვერ იქნება.

**— შეგიძლიათ გადაჭრით თქვათ, რომ დღეს დანაშაული აღარ იფარება?**

— შესაძლებელია ქურდობები და წვრილი დანაშაულობები კიდევ იმალებოდეს, მაგრამ მძიმე კატეგორიის დანაშაული გამორიცხულია, რომ დღეს დაიფაროს.

**— თუ შეგიძლიათ, რომ დღეს ეს 2000-2001 წლის დაფარული დანაშაულობანი კონკრეტულად დაასახელოთ?**

— ამ ინფორმაციას თქვენი გაზეთი პირველი გაავრცელებს:

— 2000 წლის 20 ივლისს ჩრდილოეთ ოსეთში, ალანიის რესპუბლიკაში სადგურ „ახსონაში“ გორში მცხოვრებმა მიჩიტაშვილმა მოკლა გიორგი კოტაური. სისხლის სამართლის საქმე 2002 წლის 12 დეკემბერს აღიძრა...

1999 წ. 30 იანვარს შალვა ბარდაველიძემ გერმანიის ქალაქ ჰილდესჰაიმში მუცლის არეში დანით დაჭრა ყირგიზეთის მოქალაქე შმუტენკო, რომელიც ჰილდესჰაიმის საავადმყოფოში გარდაიცვალა. სისხლის სამართლის საქმე 2002 წლის 16 აპრილს აღიძრა...

1993 წლის 7 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის ბაშკირეთის რესპუბლიკის ქ. ბირსკში ბადრი ჭელიძე დანაშაულებრივად დაუკავშირდა მცირე საწარმო „ფატიხის“ თანამშრომლებს პლოტნიკოვს, აბრამოვსა და ილკინას. მათ ქონების დაუფლების მიზნით მოკლეს ამავე საწარმოს დირექტორი ენიკეევი და მისი გვამი გადააგდეს მდინარე ბირში. სისხლის სამართლის საქმე 2002 წლის 5 აპრილს აღიძრა...

2001 წლის 7 ივნისს ზაზა ლაზარიშვილმა ვაჟა უტიაშვილთან, გიორგი კოჭლამაზიშვილთან და ზვიად ბატანაძესთან ერთად ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცა არასრულწლოვანი სალომე ზარდიაშვილი. საქმე მხოლოდ 2002 წლის 13 ივნისს აღიძრა... ეს არის დანაშაულობანი იმ უამრავ დანაშაულთა შორის, რომელიც დღემდე არ იყო აღრიცხული, ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ მუშაობას ამ კუთხით და იმ პირებს, რომელთაც დანაშაული უნდა გამოეაშკარავებინათ და ეს არ გააკეთეს, შესაბამისი პასუხი გაეცემათ.

# მკვლელობა 50 ათასი დოლარის თუ ნუგზარ საჯაიას საქმის გამო...

გასულ კვირას საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მომარაგების სამსახურის უფროსის, ლევან ტაბალუას გვამი დიდგორის ტერიტორიაზე, სოფელ ნიჩბისში აღმოაჩინეს. იგი 10 იანვარს გაუჩინარდა და თითქმის ერთი კვირის განმავლობაში პოლიცია უშედეგოდ ეძებდა. ამჟამად მკვლელობაში ეჭვმიტანილი, თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის საგანგებო სპეცფონდების სამსახურის უფროსი მიხეილ კერესელიძეა. ოფიციალური ინფორმაციით, მან დაკითხვის შემდეგ გამოძიებას აღიარებითი ჩვენება მისცა და გვამის ადგილსამყოფელზეც მიუთითა.

შს მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის განცხადებით, მკვლელობა საფინანსო ურთიერთობების გამო მოხდა. გარდაცვლილს მიყენებული აქვს „მაკაროვის“ ტიპის იარაღით გულმკერდისა და თავის არეში სამი ჭრილობა. ამჟამად საქმეს იძიებს გენერალური პროკურატურა და ფაქტობრივად, საქმე გახსნილად არის გამოცხადებული. ერთი შეხედვით ეს შემთხვევა საკმაოდ ბანალურად გამოიყურება: საერთო ბიზნესი, გადაუხდელი ვალი და ამის ნიადაგზე — მკვლელობა. თუმცა ამის მიღმა ერთი საინტერესო დეტალი იმალება. ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, მოკლული ტაბალუა ნუგზარ საჯაიას ახლო ნათესავი იყო. სანდო წყაროს ცნობით, იგი დამოუკიდებლად იძიებდა ნუგზარ საჯაიას საეჭვო თვითმკვლელობას. როგორც ამბობენ, ლევან ტაბალუას სიკვდილის დღემდე არ სჯეროდა, რომ საჯაიამ თავი მოიკლა და მკვლელობის სხვადასხვა ვერსიაზე მუშაობდა.

არ არის გამორიცხული, რომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მომარაგების სამსახურის უფროსმა გამოძიებაში რეალურ კვალს მიაგნო და ის თავიდან მოიშორეს. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ კერესელიძეს ეს მკვლელობა ან თავის თავზე აალებინეს, ან შეუკვეთეს. ყოველ შემთხვევაში, კობა ნარჩემაშვილმაც და გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა კაკო ბუდაღაშვილმა ამ მიმართებით კონკრეტულ პასუხს თავი აარიდეს და კითხვაზე — შეიძლება თუ არა, რომ ეს შეკვეთილი მკვლელობა ყოფილიყო, ბუნდოვანი ფრაზით შემოიფარგლნენ: ამ ეტაპზე ამის თქმა რთულია.

ვესაუბრებით **კაკო ბუდაღაშვილს**.

**— ბატონო კაკო, როგორც ცნობილია, კერესელიძემ დანაშაული აღიარა. რა განაცხადა, რატომ ჩაიდინა ეს მკვლელობა?**

— ლევან ტაბალუა და კერესელიძე ეწეოდნენ ბიზნესს. რა ბიზნესი იყო, ჯერ არ დაგვიდგენია. ამის ნიადაგზე ტაბალუას კერესელიძისთვის არაერთხელ გამოურთმევია გარკვეული თანხა. სამი თვის წინ, ოქტომბერში მას კვლავ გამოურთმევია ფული და ვეღარ დაუბრუნებია. ისინი 10 იანვარს შეხვდნენ ერთმანეთს. ასულან წყნეთში, რაღაც ნაკვეთები დაუთვალიერებიათ. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა. ერთმანეთისთვის გაურტყამთ კიდეც და ამის შემდეგ კერესელიძემ ესროლა. მოგვიანებით ტაბალუას გვამი მანქანის საბარგულში ჩაუდია და აუტანია სოფელ ნიჩბისში. აგარაკიდან გამოიტანა ბარი და იქვე მდებარე ტყეში ჩამარხა.

**— მართალია, რომ ეს თანხა 50 ათასი დოლარი იყო?**

— დიახ.

**— მე როგორც შევიტყვე, ეს ბიზნესი ისნის ტერიტორიაზე მდებარე ბაზრობას ეხებოდა...**

— ამის შესახებ არაფერი ვიცი.

**— არსებობს ასეთი ინფორმაცია, რომ ტაბალუა ნუგზარ საჯაიას ნათესავი იყო...**

— პირველად მესმის თქვენგან, აუცილებლად გავარკვევთ.

**— როგორ გახვედით კვალზე, მკვლელი თვითონ გამოცხადდა?**

— არა. ოპერატიული სამსახურის წყალობით. სხვათა შორის, ეს პოლიციის მთავარი სამმართველოს და გამოძიების მუშაობის შედეგია.

**— ამჟამად რა მუხლით გაქვთ საქმე აღძრული?**

— დაკარგული რომ იყო, მძევლად აყვანის მუხლით აღიძრა საქმე. გვამი რომ ვიპოვეთ, კერესელიძეს მხოლოდ მაშინ წარედგინა ბრალი განზრახ მკვლელობის მუხლით.

**— თქვენ შეკვეთილ მკვლელობას გამორიცხავთ?**

— საქმის მასალებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით საფუძველი არ გვაქვს, რომ შეკვეთილ მკვლელობაზე ვილაპარაკოთ.

**— რამდენად რეალურია, რომ კერესელიძეს თანამზრახველი არ ჰყავდა და მარტომ დამარხა გვამი?**

— ამაზე გამოძიება მუშაობს.

**— გამოკვეთილია, რომ მანქანაში მხოლოდ ორნი იყვნენ?**

— კი.

ვფიქრობთ, გამოძიებისთვის არ იქნება უინტერესო ტაბალუას ნათესაური წრე, თუმცა თუ ადამიანი იმ მიზეზით მოიშორეს, რომ მან ნუგზარ საჯაიას თვითმკვლელობასთან დაკავშირებით რაღაცას მიაკვლია, გამორიცხული არ არის, არც არავინ დაინტერესდეს ამ ფაქტით და ყველაფერი მაინც პირად ბიზნესს დაბრალდეს.

***მოამზადა მარინა მამისაშვილმა***

ექსკლუზივი

# აფხაზეთში ვაგონებს კრასნოდარელი სომხები დაატარებენ

„დიადი“ რუსეთი ცინიკურად ახორციელებს საქართველოს მიმართ ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას და საკუთარ დანაშაულზე პასუხის გაცემის ნაცვლად ქართულ დელეგაციებს კარს ცხვირწინ უკეტავს. სწორედ ამგვარად გამოისტუმრეს რუსებმა საქართველოს კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის, განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროების და რკინიგზის დეპარტამენტის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული დელეგაცია. „სოჭი-სოხუმის“ სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენის შეჩერებასთან დაკავშირებით რუსეთში ჩასულ ქართველთა ვოიაჟის შესახებ განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს „დელეგატს“ **ლალი მოროშკინას** ვესაუბრეთ:

**— როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ქართული დელეგაცია სასაუბროდაც არ მიიღეს რუსებმა.**

— რუსეთის რკინიგზის მინისტრმა უარი თქვა ჩვენთან შეხვედრაზე. ვისაუბრეთ მის მოადგილესთან, რომელსაც რუსული პრესის მსგავსად, აუჩემებია, — მერე რა, რომ მატარებელი დადის რუსეთსა და აფხაზეთს შორის, მათ ხომ ლიმონი და მანდარინი შემოაქვთ აფხაზეთიდანო. მოკლედ, მათი პოზიცია ასეთია: მშვენივრად ვიცით, რაც ხდება, მაგრამ პასუხის გაცემას არ ვაპირებთ, ამდენად როგორც გინდათ, ისე მოიქეცით. ჩვენ ვაგონები კერძო ორგანიზაციებს მივყიდეთ და ისინი სად წავლენ და როგორ იმოძრავებენ, ჩვენი საქმე არ არისო.

**— ვაგონები შეიძლება კერძო მფლობელის საკუთრებაში იყოს, მაგრამ რუსეთის სარკინიგზო მაგისტრალზე მათ მოძრაობას ხომ სახელმწიფო აკონტროლებს.**

— მათ არგუმენტები არ აინტერესებთ. ერთი რამ კი ცხადია, რუსეთი აფხაზეთში აქტიურ პროვოკაციას ამზადებს, აკი ამიტომაც გვახსენებს პარტიზანების განცხადებას: — მატარებელს პარტიზანებისგან აფეთქების საფრთხე ემუქრებაო. პარტიზანებმაც, ვფიქრობ, თავი უნდა შეიკავონ ხმამაღალი განცხადებებისგან. პარტიზანი თუ რაიმეს გაკეთებას აპირებს, არ მესმის, რატომ უნდა იცოდეს ამის შესახებ საკუთარი ქვეყნის ან მტრის ხელისუფლებამ.

**— რუსეთის მხარემ მატარებლის მფლობელი კერძო კომპანია არ დაასახელა?**

— გვითხრეს, არ ვიცით ვინ არიანო, რაც მეტად ჰბადებს ეჭვს; ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ არავითარი კერძო კომპანია არ არსებობს და მატარებელი რუსეთის ხელისუფლებას ეკუთვნის.

სანამ ხელისუფლებას გამოსავალი მოუძებნია, ქართველებსა და რუსებს „კვირის პალიტრის“ მიერ ექსკლუზიურად მოპოვებულ ინფორმაციას შევთავაზებთ: რუსეთსა და აფხაზეთს შორის მოძრავი მატარებელი ტუაფსეს დეპოდან კრასნოდარელ სომხებს „გადაეცათ“, მათ კი არც მეტი, არც ნაკლები, რუსეთის ხელისუფალნი მფარველობენ. ჩვენ იმ ინფორმაციასაც ვფლობთ, თუ რითი დაიტვირთება რუსეთისკენ მიმავალი მატარებელი. ლიმონთან ერთად ვაგონები რუსულპასპორტებიანი ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების ტრანზიტსაც განახორციელებენ. აფხაზეთში, სადაც უკონტროლო სიტუაციაა, ბოევიკებისგან ფულს „აკეთებენ“ როგორც სომხები და აფხაზები, ასევე რუსებიც. ეს ინფორმაცია თუ ვინმეს დააეჭვებს, შეუძლიათ გადაამოწმონ, მაგრამ საეჭვოა, რუსეთის მხარეს აწყობდეს გადამოწმება, რომ მერე აფხაზეთიდან რუსეთში შესული ბოევიკების დანაშაულის გამო, ისევ ქართულ მხარეს მოსთხოვოს პასუხი.

***ეკა ლომიძე***



# „თბილისში თექვსმეტი ათასი ძებნილი დაიარება“

რუსეთმა 31 იანვრის მოლოდინში (ამ დღეს რუსი სამშვიდობოებისთვის მანდატის გაგრძელება-არგაგრძელების საკითხი უნდა გადაწყდეს) საქართველოს წინააღმდეგ ერთდროულად რამდენიმე ნაღმს მოუსინჯა კბილი. მათ შორის ხელახლა ამოატივტივა კოდორის ხეობის თემა, ოღონდ შემოვლითი გზით. კერძოდ, რუსეთის პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა კონფლიქტის ზონაში ვალერი ლოშინინმა სოხუმში ვიზიტისას აფხაზურ მხარეს გაეროს მისია შეახსენა და ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების განახლება ურჩია. აფხაზებმა ლოშინინს ულტიმატუმი წაუყენეს. სამშვიდობო მოლაპარაკებებს იმ შემთხვევაში განვაახლებთ, თუ კოდორის ხეობიდან ქართველები შეიარაღებულ ძალებს გაიყვანენ, ხიდას უღელტეხილზე (აფხაზეთ-სვანეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე) და აჟარაში რუს სამშვიდობოთა სტაციონარულ საგუშაგოებს გახსნითო.

რუსეთმა ამ დიპლომატიური სვლით გაეროს თვალში ქულა ჩაიწერა და მისთვის ხელსაყრელი აფხაზური ულტიმატუმიც დააფიქსირა. ახლო წარსულში ქართული მხარის მიერ ხელმოწერილი კაბალური ხელშეკრულებები ითვალისწინებს კოდორის ხეობაში, საზღვარზე, რუსი სამშვიდობოების ყოფნას. ერთი სიტყვით, შეიძლება გაერომ ქართულ მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და, სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლების მიზნით, აფხაზთა ულტიმატუმის მიღება მოსთხოვოს, არადა, ზემოთ ხსენებული ტერიტორიები, თავის დროზე ქართველებმა სისხლის ფასად შეინარჩუნეს.

პარალელურად, საქართველოს ხელისუფლება კოდორის ხეობისათვის ბრძოლას შიდაფრონტზეც იწყებს. აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების პროკურატურის კოლეგიის სხდომაზე ქვეყნის მთავარი პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე კოდორის ხეობაში პროკურატურის, პოლიციისა და უშიშროების სამინისტროების წარმომადგენლობების გახსნის ინიციატივით გამოვიდა. აფხაზეთის პროკურორის მოადგილემ ნუგზარ სოტკილავამ, მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, კოდორელებისგან უსაფრთხოების გარანტიები მოითხოვა. მისი განცხადებით, კოდორის ხეობაში მკვლელობისთვის ძებნილი თერთმეტი დამნაშავე თავს არხეინად გრძნობს, ძალოვან სტრუქტურებს კი იქ ასვლა უჭირთ, რადგან შეიძლება ოპერაციის ჩატარებას ახალი ინციდენტი მოჰყვეს. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე წლის წინ, კოდორის ხეობაში მისულ აფხაზეთის ხელისუფლების დელეგაციას, რომელშიც მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და ჟურნალისტებიც იმყოფებოდნენ, ნიღბიანი შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ და ჟურნალისტებისა და ავთანდილ ჯორბენაძის გარდა, დელეგაციის ყველა წევრი სასტიკად სცემეს. ნუგზარ გაბრიჩიძემ აფხაზეთის ძალოვნებს შუამდგომლობა აღუთქვა — უახლოეს მომავალში მე ემზარ კვიციანს ვთხოვ, რომ ხეობაში სამუშაოდ ჩასულ სამართალდამცველებს უსაფრთხოების გარანტიები შეუქმნანო.

**ემზარ კვიციანი:** ძალოვანი სტრუქტურები სახელმწიფოში უსაფრთხოების გარანტიებს თვითონ უნდა ქმნიდნენ. თუ საკუთარ ქვეყანაში თავადვე სჭირდებათ ეს გარანტია, მაშინ დაიხურონ ქუდი და წავიდნენ. ვისაც საქართველოსთვის უღალატია, მას არც კოდორში ჩაესვლება და არც თბილისში დაედგომება. მე მათ გარანტიებს ვერ შევუქმნი. პატიოსან კაცს არ სჭირდება გარანტიები.

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები ადრე ხეობაში დაუბრკოლებლად ამოდიოდნენ. ხალხიც მათ პატივს სცემდა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც იქაურობა არიეს, ხალხმაც მათ პასუხი აგებინა... ვიღაცა გამწარებულმა ისინი სცემა კიდევაც.

**— აფხაზეთის პროკურატურა აცხადებს, რომ კოდორის ხეობას თერთმეტი ძებნილი აფარებს თავს. ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლობების იქ გახსნის მოტივად სწორედ ეს ფაქტორი დასახელდა.**

— იცით თქვენ, რომ თექვსმეტი ათასი ძებნილი დაიარება თბილისში? იქ ხომ არიან ძალოვნები? ყველა მათგანს ტაბელური იარაღი აქვს, მოვიდნენ, სხვისი დასაცავი რა სჭირთ! ანდა, გადმომცენ მე მთელი ეს შეიარაღება და ჩემი ხალხით ყველას დავიცავ. 1995-97 წლებისა არ იყოს, ეტყობა, ახლა ვიღაცას რაღაცა აქვს ახირებული, ჯაშუშური ოპერაციები რომ ჩაატარეს ხეობაში და უამრავი ხალხი დაღუპეს... ამის გამო პასუხი არავის უგია. სანამ ეს ხალხი არ დაისჯება და ამ სტრუქტურების რეორგანიზაცია არ მოხდება, იგივე განმეორდება.

**— იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რაზე უნდა აგონ პასუხი და რომელ სტრუქტურებს გულისხმობთ?**

— 1995 წელს ერთ მუშტად შეკრული ხეობა ჩავაბარე ამათ, ჩამოვიდნენ თარგამაძის მეთაურობით, შსს-ს და შინაგანი ჯარები, ხალხი ბანაკებად დაყვეს, ერთმანეთს გადაკიდეს. იმ პერიოდში ხეობაში 53 მკვლელობა მოხდა. შეადარეთ, რა ხდება დღეს კოდორში და რა ამბები ტრიალებს ზუგდიდში. იქ რა, ძალოვნები არ არიან? ჯაშუშებითაა სავსე სტრუქტურები და ამ ფონზე ქვეყანაში ვერავინ ვერაფერს გააკეთებს. ვინმემ დღემდე ერთი ჯაშუში მაინც გამოავლინა? სოხუმში გაცემულ პასპორტებზე რომ ლაპარაკობენ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით, არც იციან, იქ რაც ხდება. ფაქტობრივად, მათ ვერ გასცეს რუსული პასპორტები, ყალბი ბეჭდებით გაცემული პასპორტები სოჭში დაუჭერიათ კიდეც. ბოლოს და ბოლოს აფხაზები მიხვდნენ, რომ ატყუებენ, ვლაპარაკობ ნორმალურ აფხაზებზე და არა რუსების ყურმოჭრილ მონებზე, ზოგიერთი ჩვენი თანამემამულისა არ იყოს, რომლებიც მოსკოვის დავალებით მოქმედებენ. აფხაზეთი დღეს ფაქტობრივად სომხებისაა და არა აფხაზების. ყველაფერს კარგად უნდა აწონ-დაწონა, ზოგიერთს კი ომი ელანდება. ერთხელ კიტოვანის „უნებლიე“ შეცდომას რაც მოჰყვა, ვიცით. კიტოვანი კი ვისი კაციც იყო, იმასთანაა დღესაც, მოსკოვში.

***რუსუდან ხუბულავა***

CMYK

# რატომ გვახვედრებენ უხარისხო გაზში ზედმეტს...

## საქართველოს საკუთარი გაზი ექნება?!

წარმოუდგენელია, ენერგომაფიოზი გულწრფელად ალაპარაკდეს თავისი დანაშაულებრივი, ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული საქმიანობის შესახებ. იშვიათად, რომელიმე, საქმიდან „მოტეხილი“ ენერგომამა თუ ალაპარაკდება და ისიც მხოლოდ ნაწილობრივ. დღეს ჩვენთან საუბარი ისურვა სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრეწვის“ გენერალურმა დირექტორმა ვანო ზაზაშვილმა. მაშინ, როცა ამ ორგანიზაციის კუთვნილი მაგისტრალური მილსადენებით საქართველოში ბუნებრივი აირის ექსპორტი ხორციელდებოდა, ზაზაშვილიც და მისი საწარმოც თავს მშვენივრად გრძნობდნენ და სააუგოდ სიტყვაც არ მოუბრუნდებოდათ ენერგომაფიოზების საწინააღმდეგოდ, მაგრამ დრო შეიცვალა. პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოს მაგისტრალური გაზსადენები შედარებით ახალშექმნილ „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასა“ და მის შვილობილ „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“ გადაეცა, რის შემდეგაც ზაზაშვილის „საქტრანსგაზმრეწვი“ ხახამშრალი დარჩა და ამჟამად მის ყველა წამოწყებას ძველი „მეგობრები“ და კოლეგები ჩანასახშივე ასამარებენ. სანამ ზაზაშვილთან ინტერვიუს შემოგთავაზებდეთ, მანამდე სააქციო საზოგადოება „თბილგაზის“ ყოფილი მაღალჩინოსნის განცხადებას გაგაცნობთ, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა. მისი თქმით: „დღემდე არავინ დაინტერესებულა, თუ რა ხარისხის ბუნებრივ აირს გვაწვდის რუსული კომპანია „იტერა“. არადა, ეს დეტალი მეტად მნიშვნელოვანია. ბუნებრივი აირის ხარისხის

ეს იმიტომ ხდება, რომ დაბალი თბოუნარიანობის ბუნებრივი აირი შემოდის საქართველოში. მრიცხველისთვის სულერთია, ორივე ხარისხის გაზზე ერთნაირად ბრუნავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მობინადრეებს დაბალკალორიული გაზის მოხმარების დროს ორ-სამჯერ მეტი თანხის გადახდა უწევთ, ვიდრე მაღალი თბოუნარიანობის ბუნებრივი აირის მოხმარებისას.

ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ის არის, თუ რა რაოდენობის თბოენერგიას იძლევა ერთი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის დაწვა. იგი კილოკალორიებით იზომება და მას ბუნებრივი აირის თბოუნარიანობა ეწოდება. რუსეთიდან მოწოდებულ ბუნებრივ აირს თბოუნარიანობა ძალზე დაბალი აქვს. ჩემს ნათქვამს ერთი მარტივი მაგალითით დაგიმტკიცებთ. ადრე, როცა გაზქურაზე ჩაიდანს დაადგამდნენ, წყალი ორ-სამ წუთში ადუღებული იყო. ახლა, უფრო სწორად, ათი-თორმეტი წელიწადია, იმავე რაოდენობის წყლის ადუღებას ორ-სამჯერ მეტი დრო სჭირდება. ამასთან, ჩაიდანი საშინლად იჭვარტლება. ეს იმიტომ ხდება, რომ დაბალი თბოუნარიანობის ბუნებრივი აირი შემოდის საქართველოში. მრიცხველისთვის სულერთია, ორივე ხარისხის გაზზე ერთნაირად ბრუნავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მობინადრეებს დაბალკალორიული გაზის მოხმარების დროს ორ-სამჯერ მეტი თანხის გადახდა უწევთ, ვიდრე მაღალი თბოუნარიანობის ბუნებრივი აირის მოხმარებისას. ამოწმებს კი ვინმე საქართველოში „იტერას“ შემოტანილი ბუნებრივი აირის სერტიფიკატს, სადაც აუცილებლად მითითებული უნდა იყოს გაზის კალორიულობა? ამის შემოწმება ხელს არავის აძლევს. გაიძახიან, „იტერას“ გარდა, საქართველოს ბუნებრივი აირის მიღების სხვა ალტერნატიული გზა არ აქვსო. სინამდვილეში, ალტერნატივა არსებობს. ეს „საქტრანსგაზმრეწვშიც“ კარგად იციან“.

ჩვენ სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრეწვის“ ხელმძღვანელს დავუკავშირდით.

**ივანე ზაზაშვილი:** „ყველაფერი, რაც საქართველოს გაზმომარაგებას შეეხება, ყაჩაღების ხელშია. „იტერას“ შემოტანილი ბუნებრივი აირის თბოუნარიანობა მართლაც მეტად დაბალია. რომ ამტკიცებენ, „იტერას“ იქით გზა არა გვაქვსო, სიცრუეა. „საქტრანსგაზმრეწვის“ შარშანდელ მაგალითს მოგიყვანთ და ყველა დოკუმენტს გაგაცნობთ ჩემი ნათქვამის დასტურად. მაგრამ რა აზრი აქვს, მაინც არავინ დაისჯება. შარშან ყაზახეთთან შეთანხმება მოხერხდა თენგიზის საბადოდან 200 მლნ კუბმ ბუნებრივი აირის საქართველოსთვის მოწოდებაზე. ყაზახეთის სააქციო საზოგადოება „ტრანსნეფტმა“ გაზის საქართველოში იმპორტირებაზე თანხმობა განაცხადა. იმას არ ვიტყვი, 100-პროცენტიან მოწოდებას უზრუნველვყოფდი-მეთქი, მაგრამ მაინც ჩემს მცდელობას გავლენიანმა ძალებმა შეუშალეს ხელი. დარწმუნებული ვარ, ამ განცხადების შემდეგ დამნაშავედ და ერის მტრად გამომაცხადებენ. ახლა კი მივყვეთ შარშანდელ ამბებს. ყაზახეთიდან მაღალი თბოუნარიანობის ბუნებრივი აირის იმპორტირებისათვის საჭირო იყო საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას, რომელიც ამჟამად მაგისტრალური მილსადენის მესაკუთრეა, გაეცა ცნობა, რომ მას შეუძლია გაატაროს ყაზახეთიდან წამოსული ბუნებრივი აირი. ამ ცნობის საფუძველზე დაიდებოდა ხელშეკრულება ჩემთან და „გაზპრომთან“, რათა მისი მილების მეშვეობით საქართველომდე მომეტანა გაზი. რამდენჯერმე მივმართე როგორც „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას“, ასევე მის შვილობილ „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“. აი, რა წერილი მივიღე კორპორაციისაგან: „თქვენი მიმდინარე წლის 24 აპრილის, თქვენი 29 აპრილის, თქვენი 24 მაისის, თქვენი 20 ივნისის წერილებზე, სადაც ითხოვთ ცნობას საქართველოს მაგისტრალური მილსადენების დატვირთვის შესახებ და რომ შეუძლია, მილსადენს გაატაროს ყაზახეთიდან წამოსული ბუნებრივი აირი და შემდეგ მიაწოდოს სააქციო საზოგადოება „რუსთავცემენტს“, გაზის საერთაშორისო კორპორაციამ განიხილა თქვენი თხოვნა და გამოარკვია, რომ ყაზახეთის „ტრანსნეფტი“ არ არის ბუნებრივი აირის მფლობელი“ (სტილი დაცულია).

ვინ ჰკითხავდა გაზის საერთაშორისო კორპორაციას, იყო თუ არა მფლობელი ბუნებრივი აირის ყაზახური ფირმა, მე ხომ მათ მხოლოდ ცნობას ვთხოვდი? მათ კანონი დაარღვიეს, ამას ადასტურებს საქართველოს კონტროლის პალატის სექტემბრის წერილი, რომლის ადრესატია საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია. აი, ისიც: „თქვენი 19 ივლისის №409 და 1 აგვისტოს №407 წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ გაკვირვებას იწვევს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ და გაზის ტრანსპორტირების პოზიცია. გაზის სექტორში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობა და ქვეყნის გაზმომარაგებაში შეფერხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის თანამდებობის პირთა დაპირისპირება და საკუთარი ამბიციების სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა დაყენება. ნუთუ ძნელია იმის გათვლა, რომ სჯობდა სააქციო საზოგადოება „საქტრანსგაზმრეწვისთვის“ გაზის საერთაშორისო კორპორაციას ან ტრანსპორტირების კომპანიას მიეცა ერთგვერდიანი ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს გაზსადენი მაგისტრალები დაუტვირთავია და შეუძლია გაზის გატარება, ვიდრე 4-6 ადრესატისათვის გაეგზავნათ არაარგუმენტირებული წერილები, საერთო მოცულობით 38 ფურცელზე.



ნინოწმინდის რაიონში 5000 მ-ზე საძიებო სამუშაოები მიმდინარეობს

გთხოვთ, გვაცნობოთ, რომელი კანონმდებლობა გიკრძალავთ ასეთი ცნობის გაცემას ან რა ვალდებულებები წარმოექმნება თქვენს კომპანიას მსგავსი ცნობის გაცემისას, თუნდაც გაზის ვერშემოტანის შემთხვევაში. ამასთანავე, საქართველოს კონტროლის პალატა, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მოგიწოდებთ, პრიორიტეტულად იფიქროთ თქვენი ქვეყნის სტაბილურ გაზმომარაგებაზე, მათ შორის ალტერნატიული მომწოდებლების მოძიებაზე. კონტროლის პალატის დეპარტამენტის უფროსი კახა კოღუაშვილი“.




ბუნებრივია, ჩვენ საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციასაც ვეწვიეთ. მასპინძლობა საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გენერალურმა დირექტორმა **ირაკლი კიზირიამ** გაგვიწია: — ჩვენს კომპანიას ევალება საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების მართვა-ექსპლუატაცია, რემონტი, მოვლა-პატრონობა და შემოტანილი გაზის გატარება. ყოველწლიურად მილიარდ-ნახევარი კუბმეტრი ბუნებრივი აირი სომხეთში ტრანზიტით მიდის და გატარებული გაზის 10%-ს მოგების სახით ვიტოვებთ, რაც წელიწადში 150 მილიონი კუბმეტრი ბუნებრივი აირის ტოლია. მილიარდ-ნახევრიდან 120 მილიონი კუბმეტრი დანაკარგია. გვრჩება 30 მლნ კუბმ, რასაც მსხვილ მომხმარებელზე ვყიდით.

**— ხომ არ არის დანაკარგი ხელოვნურად გაზრდილი?**

— არა, პირიქით, დანაკარგები, შეიძლება ითქვას, დასაშვებ ნორმაზე გაცილებით ნაკლებია. არც სომხებს ვპარავთ კუთვნილ ბუნებრივ აირს, როგორც ეს „ეი-ი-ეს თელასის“ ლობმა ირაკლი მელაშვილმა გაგვივრცელა — თითქოს ყოველთვიურად 100-150 ათას დოლარს ვიჯიბავდეთ.

**— რას იტყვით რუსეთიდან შემოტანილი ბუნებრივი აირის თბოუნარიანობაზე?**

— მე მხოლოდ სერტიფიკატს მაძლევენ — მისი შემოწმება არ მევალება.

**— რა რაოდენობის ბუნებრივი აირის გატარება შეუძლია საქართველოს მაგისტრალურ გაზსადენს ყოველწლიურად?**

— გათვლილია 16 მილიარდი კუბმეტრის გატარებაზე, ოღონდ 55 ატმოსფერული წნევის პირობებში. ასეთი ატმოსფერული წნევა რომც მივცეთ, რაში გვჭირდება, მაგისტრალური გაზსადენი მხოლოდ 5-10%-ითაა დატვირთული.

**— ეი. „იტერას“ გარდა, რომელიმე ფირმამ რომ მოინდომოს, ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება, ნებას დართავთ?**

— რა თქმა უნდა.

**— მაშ, შარშან რატომ არ მიეცით „საქტრანსგაზმრეწვს“ ცნობა, რომ საქართველოს მაგისტრალურ მილსადენს შეეძლო 200 მლნ კუბმეტრი გაზის გატარება.**

— ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში ეს არ ყოფილა. როგორც ვიცი, „საქტრანსგაზმრეწვმა“ გაზის მომხმარებელი ვერ იპოვა(?!).

საქართველოში შემოტანილი ბუნებრივი აირის თბოუნარიანობის გასარკვევად კომენტარი ვთხოვეთ თბილისის მერიის ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის უფროსს **თემურ ჭინჭარაულს:** — ბუნებრივი აირის თბოუნარიანობა აუცილებლად უნდა იყოს მითითებული სერტიფიკატში. არსებობს საერთაშორისო სტანდარტი იმ ბუნებრივი აირებისა, რომლებიც საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის გამოიყენება. „იტერა“ იქნება თუ „საქგაზი“, სერტიფიკატი უნდა მიაწოდოს უშუალოდ ბუნებრივი აირის გამყიდველ ორგანიზაციას, ამ შემთხვევაში „თბილგაზს“. მან უნდა შეამოწმოს, ლაბორატორიულად ემთხვევა თუ არა სერტიფიკატში მინიშნებული მონაცემები ლაბორატორიულ შედეგს.

**— და რამდენად შეესაბამება ისინი ერთმანეთს?**

— ზუსტად ვერ გეტყვით. საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ბუნებრივი აირის სტანდარტი დაახლოებით 1 კუბმეტრზე 7 ათასი კილოკალორიიდან 9 ათას კილოკალორიამდე მერყეობს. რა თქმა უნდა, 2 ათასი დიდი სხვაობაა, მაგრამ „იტერას“ გარდა, გაზის სხვა მომწოდებელი არ გვყავს. როგორც ვიცი, „თბილგაზი“ ბუნებრივ აირს ტექნიკური უნივერსიტეტის გაზმომარაგების კათედრის ლაბორატორიაში ამოწმებს და მათ მიმართეთ...

ასეც მოვიქეცით და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შენობათა მიკროკლიმატისა და გაზმომარაგების კათედრის პროფესორს, **შოთა მესტვირიშვილს** ლაბორატორიაში ვესტუმრეთ: — ჩვენი ბუნებრივი აირის კალორიულობა ალბათ 7,6 ათასი იქნება.

**— იქნება თუ არის? თქვენ ხომ ლაბორატორია გაქვთ და შეგიძლიათ ზუსტი ციფრი მითხრათ.**

— დღეს ვერ გეტყვით. ლაბორატორია სულ ახლახან მოვაწყვეთ და ჯერ არ გაგვიზომია გაზის თბოუნარიანობა. მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თბოუნარიანობა დამაკმაყოფილებელი იქნება(?!)...

როგორც კათედრაზე გვითხრეს, თუ აირში მეთანი დიდი რაოდენობითაა, მაშინ თბოუნარიანობა ნაკლებია და სტანდარტს არ შეესაბამება. ხარისხიანად მიიჩნევა ის ბუნებრივი აირი, რომელშიც თანაბრადაა როგორც მეთანი, ასევე პროპანი, ბუტანი და სხვა აირები. ამასთან, არ უნდა ჰქონდეს სხვადასხვა მინარევი.

ჩვენ მაინც განვაგრძეთ იმ პირის ძებნა, ვინც საქართველოში რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი აირის ხარისხიანობას ან უხარისხობას დაგვიდასტურებდა. ამიტომ ამ დარგის გამოცდილ სპეციალისტს, ბატონ ბახვა ლობჟანიძეს დავუკავშირდით. საბჭოთა პერიოდში, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, იგი საქართველოს გაზის კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ და ახლა კი შპს „საქთხევადგაზის“ ტექნიკური დირექტორია.

**ბახვა ლობჟანიძე:** — ქსელში დაბალია ატმოსფერული წნევა, გაზქურების უმრავლესობაც არასტანდარტული და მოძველებულია, ისინი ვერ ინარჩუნებენ ბუნებრივი აირის წვისათვის საჭირო წნევას. ამის გამო ხდება გაზის არასრული წვა და, რა თქმა უნდა, თბოუნარიანობა იკარგება. „თბილგაზს“, ქსელში წნევას რომ ვერ ინარჩუნებს, ვერ დავადანაშაულებთ, რადგან ქსელი, ძირითადად, განსაზღვრული იყო გაზქურებისთვის. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე კი ბუნებრივ აირს მოსახლეობა გათბობისათვის იყენებს. ჩემი მონაცემებით, სულ ცოტა 70 ათასი ცალი გაზის გამათბობელია მოსახლეობაში დამონტაჟებული. როცა გაზის კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი, ირანიდან შემოგვქონდა მაღალი თბოუნარიანობის ბუნებრივი აირი. მერე ირანმა შეგვიწყვიტა გაზის მოწოდება და რუსეთიდან ვიღებდით იმავე რაოდენობას. როდესაც მისი თბოუნარიანობა შევამოწმეთ, აღმოჩნდა, რომ რამდენიმე ასეული მილიონი კუბმეტრი ბუნებრივი აირი გვაკლდებოდა იმის გამო, რომ კილოკალორიულობა ირანულ გაზთან შედარებით ნაკლები იყო (როგორც ირკვევა, რუსეთიდან შემოტანილი ბუნებრივი აირი დაბალი თბოუნარიანობით გამოირჩევა, რაც ისედაც გალატაკებულ მოსახლეობას, რომელიც უხარისხო ბუნებრივი აირით გათბობას ლამობს, თითქმის ორმაგი უჯდება, რაც ვფიქრობთ ჩვენი ენერგომამების ჯიბეებზე „მძიმედ“ აისახება და შესაბამისად, არც არავინ ინტერესდება ამ, რბილად რომ ვთქვათ, აფერით. — ზ. ჩ.).

გაზის სექტორში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობა და ქვეყნის გაზმომარაგებაში შეფერხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის თანამდებობის პირთა დაპირისპირება და საკუთარი ამბიციების სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა დაყენება.

**— საქართველოში თხევადი გაზიც იყიდება, აქ რა მდგომარეობაა?**

— სრული ქაოსი. ნებისმიერ კონტრაბანდისტს შეუძლია თხევადი გაზის შემოტანა. ღმერთმა იცის, რა ხარისხის გაზი შემოაქვთ. სუმგაითიდან შემოტანილი თხევად გაზს, პირობითად თუ ვუწოდებთ თხევადს. ის თხევადი გაზია ხარისხიანი, რომელშიც თანაბრადაა პროპანის და ბუტანის აირები. ჩვენთან კი მხოლოდ ბუტანით გაჯერებული გაზი შემოაქვთ, რომელიც ცუდად იწვის, სამაგიეროდ, წონა აქვს მეტი. ქალაქი გავსებულია ქუჩაში ჩამოსასხმელი გაზის ე.წ. მონობლოკებით, სადაც უსაფრთხოების ელემენტარულ ნორმებსაც არ იცავენ.

ახლა კი ორიოდ სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორი გადახდის „ფორმულა“ არსებობს ბიზნესმენებსა და გაზის მიმწოდებლებს შორის.

„თბილგაზის“ თანამშრომლებმა, რომლებსაც პურის საცხობის მფლობელ ბიზნესმენად გავეცანი, დაუფარავად მითხრეს: — თუ გინდა შენი საწარმოს ღუმელები გაზზე გადაიყვანო, როტარული (დიდი მოცულობის გასატარებლად) გაზის მრიცხველი და პროექტი დაგჭირდება. მრიცხველს რომ დააყენებ, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ. „თბილგაზის“ ინსპექტორი ყველაფერს აგიხსნის.

**— ახლა მითხარით, იქნებ ვერ მოვრიგდეთ.**

— ამაზე აქ ხმამაღლა არ ლაპარაკობენ. გააჩნია, რა რაოდენობის გაზს დახარჯავ ყოველთვიურად და მოლაპარაკებაც ამის მიხედვით ხდება. ინსპექტორთან საქმეს ჩვენ ჩაგიწყობთ. დაახლოებით ოფიციალურად დახარჯული გაზის 40%-ს ვუჩვენებთ, დანარჩენი 60%-ის თანხას შენ და ინსპექტორი გაიყოფთ. მეტი რა გინდა, ასეთი „სტავკებია“...

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*

CMYK

# „იდეალისტები და პრაგმატიკოსები უნდა გავერთიანდეთ“



არჩევნების მოახლოებამ ძველი ბლოკების რღვევასა და ახალი ალიანსების შექმნას მისცა ბიძგი. ტრადიციონალისტებმა ზედმეტი ხმაურის გარეშე დატოვეს „აღორძინების“ ბანაკი და ნაციონალებს დაემოყვრნენ.

ბოლო დროს სააკაშვილს რატომღაც ხშირად საყვედურობენ რაღაც-რაღაცების მოპარვას... ნათელაშვილი თავს იკლავს — მიშამ ლოზუნგები მომპარაო... ზურაბ ჟვანია, ჯერჯერობით დუმს, მაგრამ კულუარებში ამბობენ, — ასათიანთან კოალიციას დემოკრატები გეგმავდნენ და სააკაშვილმა დაასწროო. ისიც ითქვა, სააკაშვილმა „ახლებსა“ და ნათელაშვილსაც უხმო, მაგრამ ვერ დაითანხმაო. განაწყენებული ჟვანიაც ალბათ უკვე აღარ ისურვებს სააკაშვილთან ერთად სამომავლო სტრატეგიული გეგმების დასახვას.

ჯერჯერობით, მხოლოდ ტრადიციონალისტები ჩანან კმაყოფილნი სააკაშვილით. მიშამ დამიძახა და მივედიო, — ამბობს **აკაკი ასათიანი**.

— **ბატონო აკაკი, თქვენს ახალ პოლიტიკურ მოკავშირეებზე ვისაუბროთ. ბათუმური ბლოკიდან ძალზე ხავერდოვნად გადაინაცვლეთ ნაციონალებისკენ.**

— ბათუმური ბლოკიდან ჩვენს წამოსვლას ბ-ნ ასლანს უკავშირებენ, რაც სწორი არ არის. ვერ ვიტყვი, რომ მასთან ყველაფერი აწყობილი მქონდა, მაგრამ პატივს ვცემ. ის ნიჭიერი, უნარიანი და თავისი ქვეყნის მოყვარული კაცია. ბლოკმა თავისი მისია შეასრულა. ასლან აბაშიძის დამსახურებაა, რომ პარლამენტში ოპოზიცია მოხვდა, რომელმაც „მოქალაქეთა კავშირი“ დაშალა. მაგრამ ამან ვითარება შეცვალა, წინა პლანზე ხელისუფლების და ოპოზიციის დამოკიდებულება კი არა, იდეოლოგიური ნიშნით დაყოფა გადმოვიდა. ახლა მიდის გადაჯგუფების პროცესი და ჩვენც ამ პროცესში ვმონაწილეობთ. მიუხედავად იმისა, გავერთიანდებით თუ არა ნაციონალებთან, უნდა ვთქვა, რომ მათ უდიდესი სიმპათიით ვუყურებ. სააკაშვილი ისეთი პოლიტიკოსია, რომელიც დროის ტემპს გრძნობს. ზოგჯერ მარტო გონებით ვერ განსაზღვრავ, აღლოა საჭირო. ვფიქრობ, რადიკალურობა საჭიროა პოლიტიკაში. ბუნებით მშვიდი ვარ, აგრესიის მაგივრად ვცდილობდი, დამერწმუნებინა ხელისუფლება ჩემს სიმართლეში, მაგრამ გამოვიდა რამე? მაინცდამაინც ყუმბარები უნდა მესროლა, რომ გაეგოთ? წყნარი ლაპარაკი ნორმალურ ადამიანებთან გამოდის, ამათთან კი არ გაჭრა — ამ დასკვნამდე მივედი ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე. 3 წელია ამ პარლამენტში ვლაპარაკობ, მაგრამ ესმის ვინმეს? ამიტომ ვფიქრობ, ჩემნაირი ზომიერი და შედარებით აგრესიული პოლიტიკოსის თანამშრომლობა უფრო გამოიღებს შედეგს.

— **ალბათ ზომიერ ჟვანიასთან ამიტომ არ შექმენით ალიანსი...**

— ჩვენი პოზიციები ბევრ რამეში ემთხვევა ერთმანეთს. მზად ვარ მასთან თანამშრომლობისთვის, მაგრამ ამჟამად სააკაშვილია ყველაზე თანამიმდევრული. ზურაბს ჰქონდა ხელისუფლებასთან კონტაქტის მცდელობა, არაფერი გამოვიდა. სააკაშვილი სწორად სვამს საკითხს, — ეს ხელისუფლება უნდა წავიდეს. მითხარით, რაში ტყუის ეს კაცი?

ერთ-ერთი მიზეზი ჩემი „აღორძინებიდან“ წამოსვლისა ისიც შეიქნა, რომ იყო ენატანიობა, გაუმართლებელი ეჭვიანობა. ეს მიუღებელი ურთიერთობების წესია პოლიტიკაში. ეს ეხება იმ პირებს, რომლებიც პოლიტიკურ ამინდს ქმნიან იქ.

— **საბიუჯეტო განხილვებისას შევიტყვეთ, რომ 40 მილიონი „მოქკავშირს“ არჩევნებისთვის გადაუნახავს და ახლა ამ თანხის განკარგვის დაკანონებისთვის იბრძვის.**

— დიახ, არც უმაგისობაა. გასულ კვირას საარჩევნო ბიუჯეტზე იყო დავა — საარჩევნო ბიუჯეტს ვილებთ. ვინც დაინტერესდება, უთუოდ შეამჩნევს, რომელ პოლიტიკურ ჯგუფს და პირს რა ხეირი აქვს ამ ბიუჯეტიდან. ამის კვალი თითის ანაბეჭდებივით ჩანს ბიუჯეტში. ხელისუფლებას არ ანაღვლებს, ბიუჯეტი შესრულდება თუ არა. თუ მოიგო არჩევნები, ხომ მიჩქმალავს ყველაფერს, თუ წააგო, ფული მაინც შერჩება.

ამიტომაც ვეძებ პარტნიორს, რომელთან ერთადაც შევეცდები შევცვალო ეს ვითარება. არავის ვერჩი, თვით შევარდნაძესაც კი, მაგრამ მიუღებელია ისეთი ხელისუფლება, რომელიც მან ჩამოაყალიბა, თორემ მის მომხრეებზე მეტად ვიცი მისი ფასი. მართვის სადავე ხელიდან გაუშვა და დღეს ველარ ერევა სიტუაციას. თუ პრეზიდენტი ვერ ერევა, მაშინ სხვა უნდა მოერიოს. მინდა მომრევებში ვიყო და არა მათ შორის, ვინც ძველის შენარჩუნებას ეცდება. რომ გავკივით, რუსები პასპორტებს აძლევენ აფხაზებსო, ჩვენ მიგვეცა, აფხაზები რომ იხვეწებოდნენ? ხომ მაინც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები იქნებოდნენ?! რუსებს იმპერიულ კომპლექსს ვაბრალებთ და თავად კოლონიურ კომპლექსს ვამჟღავნებთ.

— **რუსეთ-აფხაზეთის საკითხში ძალზე ხისტი კომენტარი გააკეთა რუსეთის ელჩმა საქართველოში, წარმოშობით ქართველმა კაცმა...**

— ვლადიმერ ჩხიკვიშვილი არის რუსეთის მოქალაქე და დაიცავს იმ ქვეყნის ინტერესს, რომელსაც წარმოადგენს. ერთხელ თბილისის „დინამოში“ რუსი კალათბურთელი მიუყვანიათ და ნიკოლოზ დერიუგინს დაუჩივლია — გაივსო გუნდი რუსებითო. ამის გამო ის რუსეთის მოღალატეა? ის ჩვენია და ქართველობს კიდეც... რუსეთის ელჩი რუსად მიიჩნევს თავს და რას ვერჩი. უხერხულ მდგომარეობაში არ უნდა ჩაეგდო ჩვენს ხელისუფლებას ტრანსპორტის მინისტრი, აფხაზეთის რკინიგზის გახსნის გამო რუსეთში რა უნდოდა ადეიშვილს?! სწორად მიუთითეს, — არძინბას მოსთხოვე პასუხიო. რატომ ვითხოვთ რუსებისგან სხვანაირ მოპყრობას, რაში გამოვიჩინეთ პრინციპულობა?

ქართველებს მუდამ უკიდურესობები გვახასიათებდა — ან ძალზე იდეალისტები ვართ ან ძალზე პრაგმატულები. ჩვენს პრეზიდენტებსაც ეს თვისებები ჰქონდათ. ზვიად გამსახურდია იდეალისტი იყო. შევარდნაძე კი ძალზე პრაგმატიკოსია. ამ ორი მიმართულების შერწყმა უნდა მოვახერხოთ და დაიძვრება საქმე...

***იზო რიკაძე***

# მოღალატეებად და სამშობლოს ერთგულებად დაიყვნენ

2003 წლის სკანდალური ბიუჯეტის დამტკიცებას სრული პოლიტიკური და სოციალური ქაოსი მოჰყვებაო, ვარაუდობენ კულუარებში. ამას პარტიებსა და საპარლამენტო ფრაქციებში შექმნილი საჩოთირო სიტუაციებიც ცხადყოფს. ბიუჯეტის გადამკიდე პარლამენტარები მოღალატეებად და სამშობლოს ერთგულებად დაიყვნენ, რასაც ალბათ უკვე ტრადიციად ქცეული დუელანტების შერკინება თუ არა, შესაძლოა ახალი ფრაქციების შექმნა მაინც მოჰყვეს.

ვესაუბრებით ფრაქცია „ახლების“ წევრს, **ფიქრია ჩიხრაძეს**, რომელმაც ბიუჯეტის დამტკიცებას ხმა არ მისცა:

— ბიუჯეტის პირველი მოსმენისთანავე ცხადი გახდა, რომ სახელისუფლებო მანქანა სრული დატვირთვით მუშაობდა — ეს გამოიხატებოდა დეპუტატების დაშინებით, გადაბირების მცდელობით. გააჩნია, ვისთან რა ხერხი ჭრიდა. ზოგი უძლებს ზეწოლას, ხოგი — ვერა. ამას გადაბირებასაც ვერ დავარქმევ. ეს არის უზნეობა ხელისუფლების მხრიდან და მაჩვენებელი იმისა, თუ რას აპირებს იგი არჩევნებისთვის; ანუ უკვე ცხადია, ძალაუფლების შესანარჩუნებლად რა ხერხებს გამოიყენებს. ერთი რამ შემიძლია ვთქვა, ამ მეთოდებით ვერაფერს გახდებიან და ძვირად დაუჯდებათ. ეს დრო ძალიან მალე დადგება.

— **ხელისუფლების მხრიდან შანტაჟის ერთი ფაქტი მაინც მოიყვანეთ...**

— დოდო შელია ბიუჯეტის დამტკიცებაზე ხმის მიცემას არ აპირებდა, მაგრამ.... ვერასოდეს დავუშვებ, რომ დოდო შელია ვინმემ გადაიბირა. მოხდა რაღაც, რის გამოც იგი იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო. თუმცა არ ამბობს, რა...

— **თქვენი ფრაქციიდან ირაკლი ბათიაშვილმაც მისცა ხმა ბიუჯეტს...**

— ეს სხვა შეთხვევაა. ირაკლი კომიტეტის თავმჯდომარეა. მას ადრეც უთქვამს, რომ მის სფეროში გაზრდილი პარამეტრების გამო ვალდებული იყო, ხმა მიეცა ბიუჯეტის დამტკიცებისთვის, თუმცაღა მე არ ვიზიარებ მის მოსაზრებას.

— **ეს ხომ არ გამოიწვევს მასთან ფრაქციის წევრებისა და ხელმძღვანელობის დაპირისპირებას?**

— ჯერ ამაზე არ გვისაუბრია, მაგრამ წინასაარჩევნო პერიოდში, რა თქმა უნდა, ზოგადად მოგვიწევს ამაზე მსჯელობა. უნდა განვიხილოთ, გვაქვს თუ არა ხელისუფლებისგან ზეწოლის გაძლების უნარი და ვის რამდენად უნდა ვენდოთ...

მაშინ, როცა პარლამენტის ერთ დარბაზში აფხაზეთის საკითხს განიხილავდნენ, სხვა დარბაზში მიმდინარეობდა ბიუჯეტის მეორე მოსმენისთვის გამალებული ვაჭრობა: ბიუჯეტის მხარდამჭერები უკვე „დაკანონებულ“ თანხებს ერთმანეთში ინაწილებდნენ. შესაბამისად, ზოგი კმაყოფილი იყო, ზოგიც — უკმაყოფილო. რაღა ფაქტები გინდათ? — ბიუჯეტი თავიდან ბოლომდე კორუფციულია.

— **ვინ იყვნენ მოვაჭრეები?**

— მაჟორიტარების უმრავლესობა და იმ ფრაქციების წარმომადგენლებიც, რომლებმაც ბიუჯეტის დამტკიცებას ხმა მისცეს. სხვათა შორის, იქ მყოფი ოპოზიციური ფრაქციის ერთ-ერთი წარმომადგენლისთვის, რომელმაც მხარი არ დაუჭირა ბიუჯეტს, უკითხავთ — შენ ხომ ხმა არ მოგიცია, აქ რატომ ხარო.

ბევრმა პარლამენტარმა და მინისტრმა უკვე იცის, რომ აღარ მოხვდებიან ახალ პარლამენტში. პრეზიდენტიც იოლად შეელევა მათ. შესაბამისად, პასუხისმგებელ პირებს არავინ დაუწყებს ძებნას. ეს მშვენივრად იცის იმ ხალხმა, ვისაც მოღალატეები უწოდეს და აი, სწორედ ამიტომ აძლევენ ხმას დღეს საარჩევნო გარიგებებით გაჯერებულ ბიუჯეტს.

ვესაუბრებით **სანდრო ბრეგაძეს:**

— **კულუარული ინფორმაციით, თურმე პარლამენტარებზე სერიოზული ზეწოლა ხდებოდა...**

— არა მგონია, ვინმე ავტომატებით დასდევდა ამისთვის დეპუტატებს. ის კი ვიცი, რომ რამდენიმე მათგანს ხმის მიცემა არ უნდოდა და ხელისუფლებიდან აშკარად მიანიშნეს, რომ პარტიულ სიაში მათი ადგილი აღარ იქნებოდა, დაკარგავდნენ დეპუტატის სავარძელსაც. გაიხსენეთ, რა უთხრა შევარდნაძემ ბიზნესმენებს — თუ გვერდით არ დამიდგებით, დაგაყაჭინებთ იმ მილიონებს, რომლებიც ჩემს ხარჯზე გაქვთ ნაშოვნიო. თუ სტენოგრამულ ჩანაწერებს ნახავთ, კონკრეტულ სახელებსა და გვარებსაც იქ აღმოაჩენთ. მე უბრალოდ, არ მინდა ჩემს კოლეგებზე ვილაპარაკო...

საგარეო ვალის მომსახურებისთვის 300 მლნ-ზე მეტია გამოყოფილი. ეს თანხა იმ კერძო კომპანიებს მოხმარდება, რომლებიც წინასაარჩევნოდ დააფინანსებენ „მოქკავშირს“. რამდენადაც ვიცი, მათ შორის არიან „კოკა-კოლა“ და კიდევ რამდენიმე სხვა კომპანია, რომელთაგან ზოგიერთის ხელმძღვანელი დღეს პარლამენტშია. სხვადასხვა პროექტისა და ჟურნალების დაფინანსებაც კია გათვალისწინებული. ასე რომ, ყოველივეს უკან დგანან ის პირები, რომლებიც ბიუჯეტის ნახევარზე მეტს შინ წაიღებენ და შეჭამენ. ჟურნალისტებს ბევრი რამის გამოძიების საშუალება გაქვთ და უკეთ გაარკვევთ სიმართლეს.

***ეკა ლომიძე***

# „შეიძლება მშვიდობიანი პოლიტიკა გადავიდეს საბრძოლოში“

## „ვადგენთ, სპილოა თუ ჭიანჭველა“

მოწინააღმდეგის მუქარაში ხშირად მისი გეგმაც გამოსჭვივის ხოლმე. ბოლო დროს აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე ატეხილ აჟიოტაჟზე აფხაზ სეპარატისტთა საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა ასეთ განცხადებას აკეთებს: „ყოველთვის, როცა რუსი მშვიდობისმყოფელების მანდატის გაგრძელების დრო დგება, შევარდნაძე რუსეთს ულტიმატუმს უყენებს. ბოლოს და ბოლოს, რუსეთის ხელისუფლება ყოველთვის შევარდნაძის ულტიმატუმებზე დამოკიდებული ვერ იქნება. დადგა დრო, პუტინმა შევარდნაძის მუქარას შესაფერისად უპასუხოს“.

სწორედ ამაზეა ნათქვამი, „ჩემი შენ გითხარიო“... რაც შეეხება სერგეი შამბას (ცნობისათვის: იგი ამიერიდან ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში ჯერგენიას შეცვლის), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მიმართ აფხაზური ანუ რუსული პოლიტიკისა და გეგმების



შესახებ იგი საკმაოდ ინფორმირებული უნდა იყოს. რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ რა ახალ სვლებს უნდა ველოდოთ? რამ შეაგულიანა აფხაზები და რატომ არ ერიდება რუსეთი საერთაშორისო ნორმების დარღვევას და საქართველოს ტერიტორიაზე თავნებობას? კულუარული ინფორმაციით, რუსეთი საქართველოს სუსტ წერტილებს უმიზნებს. საშინაო პოლიტიკაზე ზემოქმედებით, ქვეყანას აიძულებს, საგარეო პოლიტიკაში ცვლილებები შეიტანოს; ცდილობს სტაბილური, ჩამოყალიბებული პოლიტიკური პარტნიორის იმიჯი საბოლოოდ დააკარგვინოს და საერთაშორისო ორგანიზაციების თანადგომა, — დღეისათვის ერთადერთი საიმედო ბერკეტი, ხელიდან გამოაცალოს.

რუსული გეგმის შესაძლო ვარიანტებიდან ერთ-ერთი სამოქალაქო ომის პროვოცირებაა, რაც გასულ კვირას რუსეთის დუმაში უკვე ითქვა კიდეც: „რუსი სამშვიდობოებისთვის მანდატის შეჩერება საქართველოში სამოქალაქო ომს გამოიწვევსო“. ამ განცხადებას მხარი ქართველმა პოლიტიკოსებმაც აუბეს. უფრო მეტიც, ეს ფაქტორი არც საქართველოს უშიშროების მინისტრმა გამორიცხა. ერთი სიტყვით, საქართველო დილემის წინაშე დგას: ან მანდატი, ან სამოქალაქო ომი. თუმცა, დირექტივები ამ შემთხვევაში, რუსეთიდან კი არა, გაეროდან მოდის და საქმეს არ შველის არც პასპორტიზაციის, არც უკანონოდ გახსნილი რკინიგზის და სხვა თავხედობის წინააღმდეგ წამოწყებული აქციები თუ პრეზიდენტის ცალყბა მუქარა. ამ თემაზე უშიშროების მინისტრს **ვალერი ხაბურძანიასაც** ანალოგიური ინფორმაცია გააჩნია.

გთავაზობთ მასთან ინტერვიუს:

— **ბოლო დროს აფხაზეთში მიმდინარე პროცესების გარშემო ატეხილმა აჟიოტაჟმა ბევრი კითხვა წარმოშვა. ერთ-ერთი ვერსიით, სოხუმი-სოჭის მატარებელმა რამდენიმე საახალწლო რეისის შემდეგ მოძრაობა შეწყვიტა. ქართულმა და რუსულმა მხარეებმა კი მაგისტრალის ამოქმედების ფაქტი ხელზე დაიხვიეს და დღემდე პოლიტიკური ვაჭრობისთვის იყენებენ. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა მოსკოვიდან ზუსტი პასუხი ვერ ჩამოიტანა (იხ. გვ.5). თქვენ რა კონკრეტული ინფორმაცია გაგაჩნიათ?**

— ძნელია გითხრათ ამ მონაკვეთზე ზუსტად რამდენი რეისი შესრულდა. მგონი, ახალ წლამდე ორი, 7 იანვარს ერთი და ბოლოს, ჩვენი ინფორმაციით, 14 იანვარს მოძრაობა განახლდა.

— **რუსული მხარე ირწმუნება, რომ სოხუმი-სოჭის რკინიგზის მონაკვეთი დროებით, კომერციული მიზნით აამოქმედეს, თუ იცით, ვინ არიან ეს ბიზნესმენები?**

— ნებისმიერ კომერციულ გასვლას სახელმწიფო სტრუქტურების თანხმობა სჭირდება. შეიძლება მხოლოდ მოსინჯეს, რკინიგზის გახსნას რა რეაქცია მოჰყვებოდა. რაც შეეხება ბიზნესმენებს, ვიცი, რომ ისინი კრასნოდარიდან არიან. ვმუშაობთ მათი ვინაობის დადგენაზე. ვფიქრობ, ჩვენც ვცოდავთ, პრინციპულობას არ ვიჩენთ და ხშირად ფაქტებს ბოლომდე არ მივყვებით.

— **ალბათ აფხაზეთის თემას გულისხმობთ. გვახსოვს ბევრი გახმაურებული სკანდალი ბედის ანაბარა მიგვიტოვებია.**

— დიახ. ეტყობა, დადგა „ქვათა სროლის“ დრო და სიახლეებსაც უნდა ველოდოთ. პრეზიდენტის დავალებით, უშიშროების საბჭოს აპარატმა დაიწყო მუშაობა აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ერთიანი სამოქმედო პროგრამის შესაქმნელად. ყველა სახელმწიფო სტრუქტურამ უნდა წარმოადგინოს აფხაზეთის პრობლემის მოგვარების, შემდეგ კი რეაბილიტაციის და განვითარების გეგმა. შემდეგ ამ ყველაფრის შეჯერება მოხდება და ალბათ მიღებულიდან ოპტიმალურ ვარიანტებზე უშიშროების სხდომაზე იმსჯელებენ. ხომ შეიძლება მშვიდობიანი პოლიტიკა გადავიდეს საბრძოლოში, ან პირიქით?..

— **კი მაგრამ, აფხაზეთის დასაბრუნებლად ქვეყანა პირველ ნაბიჯებს ათი წლის შემდეგ დგამს?**

— სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ზოგიერთს ჰგონია, რომ აქციებით და ლოზუნგებით რაიმე შეიცვლება, აქ უფრო რთულადაა საქმე. ისე, პანკისის თემამ გვიჩვენა, რომ თუ მოვინდომებთ, რაღაცის მიღწევა შეიძლება, ამ მონდომებაში ბევრი ფაქტორი მოიაზრება. ახლო მომავალში მოგვიწევს აფხაზეთის თემის უფრო დაწვრილებით შესწავლა...

— **ბოლო დროს ატეხილი ყველა აჟიოტაჟი პასპორტიზაციაზე, მატარებელზე, კოდორის ხეობაზე... საბოლოოდ რუსი სამშვიდობოებისთვის მანდატის გაგრძელების საკითხს უკავშირდება. ბოლოს და ბოლოს, გაუგრძელდებათ თუ არა რუს სამშვიდობოებს მანდატი?**

— შეიძლება ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ასეთია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეგობარი ქვეყნების მოთხოვნა — სამშვიდობოებს მანდატი უნდა გაუგრძელდეს, რადგან ჩვენი ქვეყანა დღეს სიტუაციის არსებითი ცვლილებისთვის მზად არ არის. არავინ იცის, ამ სიცარიელეში რა მოხდება... სათუოა, ქვეყანა შეძლებს თუ არა სამშვიდობოების გასვლის შემდეგ იქ სიტუაციის გართულების თავიდან აცილებას. რაც შეეხება აჟიოტაჟს, ზოგი ამ თემებს საკუთარი იმიჯის შესაქმნელად იყენებს, ზოგი ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, ზოგი მართლაც პოლიტიკური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ზოგს კი გულწრფელად სჯერა იმისა, რომ ჯარებს ხვალ გაიყვანენ და ზეგ ლტოლვილები აფხაზეთში შევლენ. ამ ზაფხულს კი სოხუმის სანაპიროზე, ზღვაში იბანავებენ. ასე იოლად არ არის საქმე. გაერო რეალობას ხედავს და რეალურ ნაბიჯს ითხოვს ჩვენგანაც, მაგრამ გარკვეული დემარშები, საქმეს მაინც სჭირდება.

— **როგორც ვიცით, სამეგრელოში ანტიკრიმინალური ოპერაცია იგეგმება, ამაზე რას გვეტყვით?**

— ანტიკრიმინალური ოპერაციები უნდა გატარდეს ყველგან, სადაც ამას სიტუაცია მოითხოვს, მაგრამ ის არ იქნება პანკისის მსგავსი. სამეგრელოში ამ ფორმით მოქმედების საჭიროება ნამდვილად არა გვაქვს.

— **არის ინფორმაცია, რომ ტყეებში გახიზნულ ძებნილ ზვიადისტებს, ვიღაცა იარაღით ამარაგებს, გაგაჩნიათ ამის შესახებ კონკრეტული მონაცემები? თუ არის ცნობილი, ვინ ამარაგებს მათ?**

— მეტ-ნაკლებად ვაკონტროლებთ ამ სიტუაციებს. ინფორმაციასაც ვფლობთ, რაღაცა მსგავსი ხდება, მაგრამ ვადგენთ, ეს სპილოა თუ ჭიანჭველა...

***რუსუდან ხუბულავა***

# ჯარი უჯარისკაცოდ — ასეთია ქართული რეალობა

## სამარცხვინო სტატისტიკა არმიაში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა — სამხედრო ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა — ბრძანა, ახალი წლის შემდეგაც გაგრძელებულიყო ახალწვეულების გაწვევა სამხედრო ძალებში, ჯარების შევსების პროცესი ფაქტობრივად ჩაიშალა.

ასეთი კატასტროფული მდგომარეობა მოულოდნელი არ ყოფილა — საქმე ყოველწლიურად უარესდებოდა, რასაც ვერც შარშან მიღებულმა ახალმა კანონმა უშველა, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ წვევამდელს, ვინც 200 ლარს გადაიხდიდა, ერთი წლით გადაუვადდებოდა ჯარში გაწვევა.

გთავაზობთ მცირე სტატისტიკას, რომელიც დაახლოებით მაინც შეგიქმნით წარმოდგენას, თუ რა ხდება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებით.

2002 წლის 20 აგვისტოსთვის აღრიცხვაზე სულ 157.130 ახალგაზრდა იდგა. მათგან 85.881-ს, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა, კანონის თანახმად, ოფიციალურად გადაუვადეს, რადგან სამხედრო კათედრების მქონე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდნენ, ჰყავდათ შვილი, 20 კვირის ფეხმძიმე მეუღლე და ა.შ.

გასაწვევი დარჩა 71.249 ადამიანი, თუმცა აქედან 18.986 საზღვარგარეთ გასული აღმოჩნდა (მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონი კრძალავს ჯარიდან უკანონოდ თავის არიდებულებისთვის საჭირო საბუთების გაცემას), 16.760 — იძებნება (ოღონდ ისე ნუ გაიგებთ, თითქოს მათ პოლიცია ან სპეცსამსახურები გულმოდგინედ ეძებდნენ. უბრალოდ, ამ, ერთი დივიზიის რიცხოვნობის ახალგაზრდებმა, სამხედრო კომისარიატების წარმომადგენლებს კარი არ გაუღეს, ან დროებით შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი), 1.994 — გადის დამატებით სამედიცინო შემოწმებას, 353 ითხოვს ალტერნატიულ სამსახურს (ყველაზე „ჭკვიანები" წერენ მოთხოვნას, რომ სურთ გაიარონ ალტერნატიული სამსახური და შინ არხეინად სხედან, რადგან კარგად იციან, ალტერნატიული სამსახურის სისტემა ჯერ კიდევ ვერ ამუშავდა), დაბოლოს, 897 კაცი ნასამართლევია.

ამ ჩამონათვალმა 38.990 კაცი შეადგინა. დარჩენილი 32.259-დან 6.924 აჭარაში ცხოვრობს, 3.832 — ახალქალაქის რაიონში, 1.573 — ნინოწმინდისა და 583 — წალკის რაიონებში. ერთი შეხედვით, ეს არაფერს უნდა ნიშნავდეს, რადგან აჭარაც ისეთივე განუყოფელი ნაწილია საქართველოსი, როგორიც ახალქალაქის თუ წალკის რაიონები, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი უფრო სერიოზულადაა, აჭარაში მცხოვრები წვევამდელების დიდი ნაწილიდან მცირე ნაწილი ავტონომიური რესპუბლიკის დისლოცირებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 25-ე მოტომსროლელ ბრიგადაში, შინაგანი ჯარების ბათუმის ცალკეულ ბატალიონსა თუ სასაზღვრო რაზმებში; ნინოწმინდელი, ახალქალაქელი და წალკელი სხვადასხვა ეროვნების, მაგრამ საქართველოს მოქალაქე წვევამდელებიდან არც ერთი ხდება ქართველი ჯარისკაცი.

ამ გამოკლება-გამოკლებებით 157.130-კაციანი გასაწვევი კონტინგენტიდან 19.347-ღა დარჩა, მაგრამ ესეც საკმარისი იქნებოდა ისედაც მცირერიცხოვანი საქართველოს სამხედრო ძალების ახალწვეულებით შესავსებად, როგორც გაზაფხულის, ისე შემოდგომის გაწვევებში.

მაგრამ გაწვევის გეგმა არათუ ჩაიშალა, არამედ სამარცხვინოდ ჩაფლავდა. 2002 წლის გაზაფხულზე სამხედრო ძალებში სულ 8.265 ახალგაზრდა უნდა გაეწვიათ, სინამდვილეში კი, 4.737-მა კაცმა ჩაიცვა ფარაჯა. შემოდგომის გაწვევის წინ, დანაკლისის შესავსებად, გასაწვევი კონტინგენტი 10.724-მდე გაზარდეს, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ ეს არარეალური ციფრი იყო და 6.301-მდე შეამცირეს (ამბობენ, პრეზიდენტმა ბრძანაო); მაგრამ რად გინდათ, ჯარში მხოლოდ 1.828 ახალწვეული მოხვდა. საერთო ჯამში, 2002 წელს 19.015 კაცის მაგივრად, მხოლოდ 6.559 გაიწვიეს, რითაც სამხედრო ძალების პირად შემადგენლობას (შარშან ჯარიდან დემობილიზებული იქნა 9.808 კაცი) 12.456 ჯარისკაცი და სერჟანტი დააკლდა.

ასევე არ გამართლდა თავდაცვის სამინისტროს იმედი, რომ 200-ლარიანი მოსაკრებლებით მარტო საშემოდგომო გაწვევაზე 12 მლნ ლარს მაინც მიიღებდნენ (ამ შემოსავლის 80% თავდაცვის სამინისტროს ერიცხება, 20% — სახელმწიფო ბიუჯეტში მიდის; შინაგანი და სასაზღვრო ჯარები, როგორც ახალწვეულების ძირითადი მიმღებნი, ხახამშრალნი რჩებიან), ხოლო წელიწადში არანაკლებ 16 მლნ ლარს მოუყრიდნენ თავს. საბოლოოდ, 2002 წელს 248.400-ს




ამ სტატისტიკის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ ზემოხსენებულიც კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ სავალდებულო სამსახურის ინსტიტუტმა საქართველოში სრული კრახი განიცადა. მას ვერ უშველა ვერც მოსაკრებლის 200-დან 500 ლარამდე გაზრდა, ვერც გაწვევის ორგანიზების სამხედრო კომისარიატებიდან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისთვის გადაცემა (როგორც ამბობენ, იცოდნენ, რომ მათი სამსახური ახალი წლიდან შეიკვეცებოდა და სამხედრო კომისარიატების ზოგიერთმა წარმომადგენელმა ფული მარტივი ხერხით იშოვა — 200 ლარის გადამხდელ ახალწვეულს ნახევარ თანხას ართმევდა, ჯიბეში იდებდა, ხოლო მის საბუთებს საგულდაგულოდ მალავდა), ვერც სამხედრო კათედრების შემცირება და ყველანაირი შეღავათის გაუქმება.

ერთი მხრივ, კარგიცაა, რომ ცხოვრება თავადვე გვკარნახობს, თუ რა სისტემით დაკომპლექტებული ჯარი უნდა გვყავდეს. არმიაში მხოლოდ მსურველებმა უნდა იმსახურონ, რათა ყველა სამხედრო პროფესიონალი გახდეს. საბედნიეროდ, „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის გაგრძელება ამაში დიდ დახმარებას გვიწევს. პროფესიონალური არმია ძვირი, მაგრამ აუცილებელი ატრიბუტია. საჭიროა, სავალდებულო გაწვევის სისტემის სრული გაუქმება, ხოლო მოსახლეობისთვის ცალკე მოსაკრებლის დამტკიცება, რომელიც შევა სპეციალურ ანგარიშზე და მოხმარდება მხოლოდ სამხედრო ძალებს (ამ პროცესის გამჭვირვალობას შეამოწმებს სპეციალური ნდობის ჯგუფი, რომელშიც რამდენიმე სპეციალისტი, პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე თუ ჟურნალისტი შევა). გარდა ამისა, ბუნებრივია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიზრდება სამხედრო ძალების დაფინანსებაც.

# „მშიერ" არმიას „ულუფა" გაუზარდეს...

### ოღონდ სულ მცირედით და მთლიანად მისცემენ თუ არა, ჯერ არავინ იცის

მწვავე დებატები საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, დროებით შეჩერდა, მას შემდეგ, რაც განისაზღვრა 2003 წლის ბიუჯეტში სამხედრო ძალების დაფინანსების წილები.

ისე, ნამდვილად არ უნდა დავუკარგოთ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს აქტიური მცდელობა, რასაც მოჰყვა სამხედრო ძალების კომპონენტების დაფინანსების მართალია, ცოტათი, მაგრამ მაინც გაზრდა.

თუკი 2003 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველი ვარიანტი თავდაცვის სამინისტროსთვის 57.3 მლნ ლარს, ხოლო უშიშროების სამინისტროსთვის — 10.2 მლნ ლარს ითვალისწინებდა, ზემოხსენებული საპარლამენტო კომიტეტის მონდომებით, ეს მონაცემები, შესაბამისად — 67.3 და 11.6 მლნ ლარამდე გაიზარდა.

საერთო ჯამში, შარშანდელისგან განსხვავებით, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 2003 წელს 15,8 მლნ-ით გაიზარდა და შეადგინა 67,3 მლნ (აქედან საბიუჯეტო შემოსავალი 60,8 მლნ იქნება, ხოლო 6,5 მლნ კი სპეცსახსრებიდან უნდა შემოვიდეს). სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაფინანსებამ წელს 12.6 მლნ ლარს უნდა მიაღწიოს (ზრდა შარშანდელთან შედარებით 1.6 მლნ-ს შეადგენს). საზღვრის დაცვის დეპარტამენტს 12,2 მლნ ლარი მიეცემა (ზრდა — 2,4 მლნ), დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტს — 1,8 მლნ ლარი (ზრდა — 0,6 მლნ), შინაგან ჯარს — 4,3 მლნ (ზრდა — 140 ათასი ლარი), ხოლო უშიშროების სამინისტროს კი 11,6 მლნ (ზრდა — 2,8 მლნ).

ტენდენცია, სამხედრო ძალებისთვის დაფინანსების მომატებისა, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, თუმცა სამხედროები დიდად კმაყოფილნი მაინც არ დარჩენილან, განსაკუთრებით შინაგანი ჯარები, რომლებსაც წლევანდელ დაფინანსებაზე განაცხადი თითქმის ათჯერ მეტი ჰქონდათ და თავდაცვის სამინისტრო (ეს უკანასკნელი 129 მლნ ლარს ითხოვდა).

ცალკე პრობლემად რჩება სასაზღვრო ჯარების მოქმედების ეფექტიანობა წლეულს ზაფხულისთვის, როდესაც ინგუშეთ-ჩეჩნეთ-დაღესტნის მიმდებარე საზღვრის მთაგორიან მონაკვეთზე თოვლი დადნება და უღელტეხილები გაიხსნება. ამავე პერიოდში მოსალოდნელია რუსეთის ფედერალური ძალების გააქტიურება ჩეჩნეთის ტერიტორიაზე შეიარაღებულ ჩეჩენთა ჯგუფების საბოლოოდ გასანადგურებლად (რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები მოახლოვდა და პუტინს, ბუნებრივია, სურს, მას დიდი გამარჯვებით და, რა თქმა უნდა, საპრეზიდენტო მმართველობის გახანგრძლივებით შეხვდეს). რუსი გენერლები ეცდებიან, ჩეჩნური დაჯგუფებები კვლავ კავკასიის ქედის სამხრეთით გადმოდევნონ, რასაც ჩვენი მესაზღვრეები ისევე, როგორც მთლიანად სამხედრო ძალები, ამჯერად მაინც უნდა შეხვდნენ მომზადებულნი. ყოველივე ეს კი დამატებით ფინანსებს მოითხოვს, რაც სამხედრო ძალების წლევამდელ დაფინანსებაში ნაკლებადაა გათვალისწინებული. გამოყოფილი თანხების ლომის წილი ხომ პირადი შემადგენლობის შენახვასა და ხელფასებზე მოდის!

# Око за око? (თვალი თვალისა წილ?)

### თბილისი რუსული სამხედრო ბაზების ბლოკირებას, სამწუხაროდ, ვერ ბედავს

მოსკოვმა აფხაზეთის პრობლემის გადასაწყვეტად ახალ ეტაპს დაუდო სათავე — აფხაზ სეპარატისტებს სარკინიგზო მაგისტრალი გაუხსნა და იქ მცხოვრებ ყველა მსურველს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა მიანიჭა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს, ცხადია, საქართველოს სასარგებლოდ არ გაუკეთებია! რამდენადაც წარმოუდგენელი და მიუღებელი არ უნდა იყოს ჩვენთვის, თითქმის ათწლიან კონფლიქტში უკვე გამოჩნდა ნიშნები, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიას რუსეთის ფედერაციას მიუერთებს. თუკი აფხაზების უმრავლესობა რუსეთის ფედერაციის მოქალაქე გახდება, ეს ძალზე გაართულებს (თუ საერთოდ შეუძლებელს არ გახდის) აფხაზეთის დაბრუნების ბოლო შესაძლებლობას — ძალის გამოყენებასაც კი, რადგან საბრძოლო მოქმედებების წარმოებისას პირისპირ უკვე რუსეთის მოქალაქეები იდგებიან, აქედან გამომდინარე ყველა შედეგის გათვალისწინებით. დღეს ოფიციალური თბილისი თითქოსდა ცდილობს, აქტიურად გააპროტესტოს მოსკოვის მიერ აფხაზებისთვის სარკინიგზო გზის გახსნა და საპირისპიროდ არ გამორიცხავს ბათუმსა და ახალქალაქში რუსული სამხედრო ბაზებისთვის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ბლოკირებას, ისევე როგორც სომხეთში განთავსებული რუსული სამხედრო ბაზისთვის საქართველოს საჰაერო სივრცის გადაკეტვას.

ამის ტექნიკური შესაძლებლობა თბილისს მეტ-ნაკლებად აქვს, მაგრამ აქაც არის საგულისხმო ნიუანსები. სავარაუდოდ, ოფიციალური ბათუმი ყურადღებას არ მიაქცევს დედაქალაქის მოთხოვნას და ადრინდებურად მოამარაგებს აქ განთავსებულ რუსულ სამხედრო ბაზას აეროპორტიდან და საზღვაო პორტიდან.

რუსული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებიც ალბათ აინუნში არ ჩააგდებენ ქართულ საჰაერო თავდაცვას და მაინც იფრენენ მარშრუტით ჩკალოვსკი-გიუმრი.

(გაგრძელება იხ. გვ. 9)


# ბუასილი — უსისხლოდ დაძლეული პრობლემა

ბუასილი მეტად გავრცელებული დაავადებაა. ტერმინი „ჰემოროი", მედიცინაში, პირველად ჰიპოკრატემ გამოიყენა, რაც სიტყვასიტყვით სისხლდენას ნიშნავს. ექიმები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბუასილის გამომწვევ ორ ძირითად მიზეზს ანიჭებენ. 1) სწორი ნაწლავის ვენური სისხლძარღვების თანდაყოლილი უკმარისობა. 2) ორგანიზმის შიდამიმდინარე პროცესები და ცხოვრების არაჯანსაღი წესი. კერძოდ, ქრონიკული შეკრულობა, ხშირი მშობიარობა, ცხარე, ნაწლავების გამაღიზიანებელი საკვები, ალკოჰოლიზმი, მძიმე ფიზიკური შრომა, ცხოვრების უმოძრაო წესი და სხვა. ხშირად, ბუასილის განვითარების მიზეზების დადგენისათვის, მნიშვნელობა ენიჭება სქესს და კლიმატურ პირობებსაც კი.

ბუასილით დაავადების მაღალ სიხშირეზე მეტყველებს სტატისტიკაც. ავადმყოფობა მეტ-ნაკლები სირთულით მოსახლეობის თითქმის 80%-ს ახასიათებს. მათგან 50% კი, აქტიურ მკურნალობას მოითხოვს.

ბუასილი განიხილება როგორც ქრონიკული დაავადება, რომელიც საჭიროებს პერიოდულ პროფილაქტიკურ მკურნალობას, რათა არ გამოიწვიოს მძიმე გართულებები. დაავადებულთა უმრავლესობისათვის დაწყებითი სტადია თითქმის შეუმჩნევლად მიმდინარეობს. მათ აქვთ უხერხულობის და ხანდახან, უცხო სხეულის შეგრძნება უკანა ტანში, ქავილი. ტკივილები და სერიოზული დისკომფორტი მოგვიანებით იწყება. დაწყებითი სტადია შეიძლება თვეები და წლებიც კი გაგრძელდეს, სანამ ის ქრონიკულ დაავადებად ჩამოყალიბდება. სწორედ ეს პერიოდია ყველაზე ხელსაყრელი დრო მკურნალობისათვის. დაწყებით ეტაპზე შესაძლებელია ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების თავიდან აცილება, როგორიცაა, სისხლდენა, ტკივილი დეფეკაციის დროს, კვანძების გამოვარდნა და სხვ.

დაავადების გამოვლენის მეთოდიკა მეტად მრავალფეროვანია, გამომდინარე იქიდან, რომ მას თან ახლავს სწორი ნაწლავის სხვადასხვა პათოლოგია: ანალური არხის ნაპრალი, სწორი ნაწლავის ფისტულა და სხვ.

ბუასილის მკურნალობის ყველა არსებული მეთოდები შეიძლება 3 ძირითად ჯგუფად დაიყოს:

1) კონსერვატორული, (მედიკამენტები, ფიზიოთერაპია);

2) ნაკლებადინვაზიური („მცირე" ოპერაციები ტკივილის, სისხლის და ნარკოზის გარეშე);

3) ქირურგიული (ოპერაცია).

სადღეისოდ, განვითარებული ქვეყნების სპეციალისტები უპირატესობას ე.წ. ნაკლებადინვაზიურ (უოპერაციოდ) მკურნალობის მეთოდიკას ანიჭებენ. ეს არის ქირურგიული მეთოდის სერიოზული ალტერნატივა, რომელიც პაციენტს საშუალებას აძლევს ნარკოზისა და ლანცეტის გარეშე დაივიწყოს ტკივილი და მუდმივი დისკომფორტი.

სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი" სწორედ ამგვარ ალტერნატივას სთავაზობს მათ, ვისაც სურს დაიბრუნოს ჯანმრთელი, უმტკივნეულო და აქტიური ცხოვრება. ცენტრში ტარდება პაციენტის ყოველმხრივი, სრულყოფილი გამოკვლევა და ამის საფუძველზე შეირჩევა მკურნალობის ინდივიდუალური, კომპლექსური სისტემა, რაც გულისხმობს, დაავადების გამომწვევი მიზეზების დადგენას და ზრუნვას, ორგანიზმის საერთო გაჯანსაღებისათვის. ამგვარი მეთოდიკა შესაძლებელს ხდის გამორიცხული იქნას დაავადების ნებისმიერი რეციდივი. კლინიკა აღჭურვილია უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიებითა და პრეპარატებით. დაავადების განვითარების შესაბამისად შეირჩევა კვანძების მოშორების მეთოდი. ამ მიკროოპერაციებს არ ახლავს ტკივილი და სისხლდენა, პაციენტი არ ეთიშება ცხოვრების ჩვეულ რითმს. ამავე დროს ფართოდ გამოიყენება ფიზიო, ლაზერო-მაგნიტური და კვანტური თერაპია.

ბუასილი მეტად „მტკივნეული" პრობლემაა და სულაც არ არის საჭირო, რომ ის თქვენი ცხოვრების მუდმივი და თანაც აუტანელი თანამგზავრი გახდეს.

სამედიცინო ცენტრი

„ექიმი გილი"

ტ: 29-05-25 25-27-09

ზ. ფალიაშვილის ქ. 44/5

R

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## 12 ძველი რაკეტისთვის ბუში ომს დაიწყებს?!

ბაღდადიდან 150 კმ-ის დაშორებით, უქჰაიდერის სამხედრო ბაზის საცავებში გაეროს სამხედრო ინსპექტორებმა, ბოლოს და ბოლოს, აღმოაჩინეს 12 რაკეტა, რომლებითაც შეიძლება ქიმიური ან ბიოლოგიური იარაღის გადატანა. ძნელი სათქმელია, გამოიყენებს თუ არა ამას პრეზიდენტი ბუში ერაყზე თავდასხმის საბაბად, მაგრამ საკვირველია რამდენიმე ძველი რაკეტის გამო ამხელა აურზაური ატეხა.

ყველა რაკეტა 122 მმ კალიბრისაა და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა БМ-21 Град-იდან სასროლად უნდა იყვნენ გამიზნული. „გრადი“ კი 21 კმ-ზე ძლივს ისვრის და არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს მეზობელი ქვეყნებისთვის.

ეჭვი უფრო იმიტომ აღიძრა, რომ რაკეტების ქობინები ცარიელი იყო, რაც მათი მასობრივი განადგურების იარაღის სახეობით გავსების საშუალებას იძლევა. ამასთან, თავად ერ-



აყელებიც არ უარყოფენ, რომ ირანთან ბრძოლის დროს იყენებდნენ ქიმიურ ჭურვებსა და რაკეტებს, სადამ ჰუსეინს მაშინ გააჩნდა 4 ტ ნერვულ-პარალიტიკური გაზი VX, 20 ათასი ლ ნაერთი ბიოლოგიური იარაღის საწარმოებლად, ანტაქსის მარაგი, 15 ათასი ბიოლოგიური ნაერთით სავსე ჭურვი და რაკეტა, აგრეთვე 6 ათასი ქიმიური ბომბი. დღეს ერაყელები ირწმუნებიან, რომ გაეროს მკაცრი მოთხოვნით მათ ეს საშინელი არსენალი დიდი ხანია გაანადგურეს, მაგრამ ვერაფრით ვერ არწმუნებენ ვაშინგტონს. ამჟამად მიმდინარეობს ნაპოვნი რაკეტების შიგთავსის სპექტრული ანალიზი, რომელმაც საბოლოოდ უნდა გაარკვიოს, იყო თუ არა ოდესმე ეს რაკეტები გავსებული მომწამვლელი ნივთიერებებით.

## იარაღი თურმე ისრაელის არმიიდანაც იკარგება

როგორც ჩანს, სამხედრო ნაწილებიდან იარაღისა და საბრძოლო საჭურვლის გამუდმებული დაკარგვა მარტო ქართულ არმიას როდი აწუხებს.

ისრაელის არმიის „ცაჰალის“ მეთაურობამ მას შემდეგ გამოსცა სპეციალური ბრძანება სამხედრო საწყობების დაცვის მნიშვნელოვნად გაძლიერების შესახებ, რაც ერთ-ერთი მოქალაქის დაკვეთით ებრაელმა ჯარისკაცმა საწყობიდან დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება მოიპარა.

„მოსადი“ არცთუ უმიზეზოდ მიიჩნევს, რომ ისრაელის არმიის საწყობებიდან მოპარული ტროტილი და პლასტიდი შემდეგ ჩუმად გადააქვთ პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზე. იქ მისგან ბომბებს ამზადებენ, რომლებსაც ისრაელის ქალაქებში თავისებურად „აბრუნებენ“ არაბი კამიკაძე-ტერორისტები.

ქართული არმიისგან განსხვავებით, „ცაჰალის“ სამხედრო მოსამსახურეები მუდმივად მიწერილნი არიან ახლომდებარე სამხედრო ნაწილზე და თითქმის ნებისმიერ დროს შეუძლიათ აიღონ მათზე განპირობებული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო საჭურველი. ასეთი წესი იმიტომაა, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს რეზერვისტთა მობილიზაცია და აღჭურვა, რადგან მცირე ტერიტორიის ისრაელისთვის მოულოდნელი თავდასხმისას ყოველი წუთი ძალზე ძვირფასია.

აღმოჩნდა, რომ ამგვარი წესით ბოროტად სარგებლობს ებრაელ სამხედრო მოსამსახურეთა გარკვეული ნაწილი, რომლებმაც სამხედრო საწყობებიდან მოპარული იარაღის გაყიდვით შემოსავლის ახალი წყარო გაიჩინეს.

## ამერიკელები ჰუსეინს თბილისიდან კი არა, სტამბოლიდან დაზვერავენ

საბოლოოდ გაირკვა ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავების ბაზირების ახალი ადგილი, საიდანაც ისინი ერაყის ტერიტორიის ინტენსიურ დაზვერვას განახორციელებენ.

ადრე ვრცელდებოდა ხმები, ალბათ პენტაგონი ეცდება ქართული სამხედრო აეროდრომების ერაყთან მომავალ ომში გამოყენებასო, მაგრამ ამერიკელებმა კვლავ თურქული სამხედრო ბაზები აირჩიეს. სხვათა შორის, ამერიკელმა ექსპერტებმა სხვადასხვა მიზეზის გამო დაიწუნეს თურქეთის სამხრეთით მდებარე კონიას აეროდრომი და უპირატესობა სტამბოლის საბიხა გეკჩენს მიანიჭეს. ამ აეროდრომზე განთავსდებიან ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავები, რომლებიც ზუსტ სადაზვერვო მონაცემებს მიაწოდებენ ბომბდამშენებს.

# Око за око? (თვალი თვალისა წილ?)

## თბილისი რუსული სამხედრო ბაზების ბლოკირებას, სამწუხაროდ, ვერ გაბედავს

(დასაწყისი იხ. გვ. 8)

საქართველოს მთავრობას მუქარის შესრულება უფრო ახალქალაქში განთავსებული რუსული სამხედრო ბაზის მიმართ შეუძლია, თუკი მისკენ მიმავალ საავტომობილო გზას გადაკეტავს, მაგრამ დაგვერწმუნეთ, არც ეს მოხდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება ვერ გაბედავს ასეთი ნაბიჯის გადადგმას.

ამაზე მეტყველებს შაბათს, 18 იანვარს, ჯერ დაგეგმილი და შემდეგ გადადებული საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაც, რომელზეც რუსული სამხედრო ბაზების შესაძლო ბლოკირების საკითხი უნდა განხილულიყო. ზოგიერთი ამას იმით ხსნის, რომ რამდენიმე დღეში რუსეთში, ივანოვო-ფრანკოვსკში უნდა გაიმართოს დსთ-ის წევრი ქვეყნების პირველი პირების შეხვედრა და ამ თათბირის წინ პრეზიდენტ შევარდნაძეს არ სურს თავისი რუსი კოლეგის განაწყენება.

თბილისის სუსტი პოზიციის სხვაგვარი ახსნაც შეიძლება — გაზსადენის აფეთქება, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ რუსეთ-საქართველოს საზღვრის სიახლოვეს, რუსეთის ტერიტორიაზე მოხდა. სულაც არ არის აუცილებელი, სამხედრო ბაზების ბლოკირების სანაცვლოდ, მოსკოვმა ოფიციალურად გადაგვიკეტოს გაზი და შეგვიწყვიტოს ელექტროენერგიის მოწოდება — სხვადასხვა ტექნიკური მიზეზებითაც (მათ შორის დივერსიებით) მოახერხებს ამ ენერგომატარებლების მოწოდების შეფერხებას, რაც ჩვენში მკვეთრად გააძლიერებს უშუქოდ და უგაზოდ დარჩენილი მოსახლეობის ანტისახელისუფლო გამოსვლებს, რასაც, თავის მხრივ, გააძლიერებენ ათასი ჯურის მართვადი პოლიტიკური ძალები.

ამ მძიმე რეალობიდან ჩვენს სასარგებლოდ მხოლოდ ის გარემოებაა, რომ საქართველოს გავლით რუსულ გაზს სომხეთიც იღებს, რომელიც ფაქტობრივად ერთადერთი პრორუსული ქვეყანაა სამხრეთ კავკასიაში.

# არსენალი

## მერიდეთ „დიპლომატიანებს...“

იარაღის შესანიღბად ათასნაირ ხერხს ხმარობენ და განა მარტო პისტოლეტისა თუ დაშლილი ავტომატის ერთი ადგილიდან მეორეზეე უსაფრთხოდ გადასატანად.

რაიმე საყოფაცხოვრებო საგნით (რომელსაც ყოველდღე ვუყურებთ და ყურადღებას ნაკლებად ვაქცევთ) მიმალული და უკვე ჩახმახზე შეყენებული იარაღი ყველაზე უიმედო სიტუაციებშიც კი, პირველი გასროლის შანსს იძლევა.

ალბათ ბევრს უნახავს მძაფრსიუჟეტიანი მხატვრული ფილმი ბანდერასის მონაწილეობით, როდესაც ის გიტარის ფუტლარში მთელ არსენალს ინახავს, ხოლო მისი ერთი ამფსონი ასეთივე ფუტლარიდან ტყვიამფრქვევის ჯერს უშვებს, მეორე კი... რაკეტებს ისვრის.

ყოველივე ეს შეიძლება რეჟისორის ფანტაზია გახლავთ, მაგრამ რაღა შორს წავიდეთ, როდესაც არც ისე დიდი ხნის წინ თბილისშიც დადიოდა ჭორი: ქალაქის ერთ-ერთი უბნის ბიჭებმა ვიოლინოთი მიმავალი ერთი



დიპლომატში შენიღბული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი MP5K

სათვალიანი, ბუნჩულა ყმაწვილი გააჩერეს და დაკვრა უბრძანეს. სათვალიანი დიდხანს უარობდა, მაგრამ ბოლოს „იძულებული“ გახდა, ფუტლარიდან ვიოლინოს ნაცვლად უკონდახო ავტომატი ამოეღო, თუმცა მოძალადეებმა „კალაშნიკოვის“ „სერენადას“ აღარ დაუცადეს და თვალის დახამხამებაში „მოუტყდნენ“ „მუსიკოსს“.

ზემოჩამოთვლილი მაგალითები იარაღის შენიღბვის კუსტარული მეთოდები უფროა. სპეცსამსახურები ფართოდ იყენებენ ამგვარ „ოინებს“.

თუკი დააკვირდებით, ამა თუ იმ სახელმწიფოს პრეზიდენტს ქუჩაში, მოსახლეობასთან შეხვედრისას, ყოველთვის ახლავს რამდენიმე მცველი კოხტა დიპლომატით. გამონაკლისი არც საქართველოს პირველი პირია. ბირთვული სახელმწიფოების მეთაურებს აუცილებლად დაჰყვებიან სპეციალური დიპლომატით, რომელშიც ბირთვული იარაღის ასამოქმედებელი მობილური პულტი და კოდია მოთავსებული, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, შევარდნაძის დიპლომატიან მცველსაც თუნდ უბრალო რაკეტის გასაშვები პულტი მაინც ედოს შიგ.

პრეზიდენტის დაცვას ჩვეულებისამებრ თან დააქვს პასიური დაცვის სისტემა — დიპლომატი, რომელშიც ტიტანის ფილებია ჩალაგებული. დიპლომატის სახელურის ღილაკზე თითის ერთი დაჭერით დიპლომატი წამიერად იხსნება და ტიტანის ფილებიც დაუყოვნებლივ იშლება. ეს პასიური დაცვის საშუალება გამოიყენება პირველი პირის სხეულის დასაფარად ტერორისტი-სნაიპერის ტყვიებისგან (გაიხსენეთ 1999 წლის 19 აგვისტო, „გკჩპ“-ს პუტჩი, როდესაც ხალხთან გასული ელცინის უზარმაზარი ფიგურის დაცვას ამაოდ ცდილობდნენ დიპლომატებიდან გაშლილი ტიტანის ფილებით).

მაგრამ დაცვის სამსახურების არსენალში გარდა ტიტანისფილებიანი დიპლომატებისა, ასევე არის სხვა დიპლომატებიც, ამჯერად აქტიური დაცვის კომპონენტით — პისტოლეტ-ტყვიამფრქვევით ან მცირეგაბარიტიანი ავტომატით. ჩვეულებრივ, დაცვის მიერ ავტომატების ტარება, მოსახლეობაში ფსიქოლოგიურად ცუდად აღიქმება და ხალხის გულის მოსაგებად გამოსული ქვეყნის პირველი პირის ნდობას უკარგავს, მაგრამ არის სიტუაციები, როდესაც, ოპერატიული მონაცემების თანახმად, აუცილებელია მცველები, პისტოლეტების გარდა, შედარებით უფრო სერიოზული იარაღითაც იყვნენ აღჭურვილნი, სწორედ ასეთ დროს გამოიყენება დიპლომატად შენიღბული ავტომატები (თუმცა ბოლო ხანს ტერორიზმისა და ქვეყნის პირველ პირებზე თავდასხმის ფაქტები მთელ მსოფლიოში ძალზე გახშირდა, ამიტომ დაცვის სამსახურები აღარ დაგიდევენ ხალხის აზრს და ორმეტრიანი მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანებიც კი დააქვთ).

ცეცხლისმფრქვეველი „ატაშე-კეისის“ საინტერესო მოდელი ცნობილმა გერმანულმა საიარაღო ფირმამ „ჰექლერ ენდ კოჰმა“ დაამზადა. მან თავისი კომპაქტური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი MP5K (სხვათა შორის, ანალოგიური სახის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები საქართველოს პრეზიდენტის პირადი დაცვის და სპეცდანიშნულების რაზმის შეიარაღებაშიცაა, რომლებიც მათ 1998 წლის 9 თებერვლის ღამეს გამოიყენეს კრწანისთან პრეზიდენტ შევარდნაძის კორტეჟზე თავდამსხმელთა მოსაგერიებლად) დიპლომატში ჩაამონტაჟა, ხოლო ამ უკანასკნელის სახელური ფაქტობრივად პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის ხელის მოსაკიდებლად აქცია. ღილაკზე თითის დაჭერისთანავე დიპლომატი ძირს ვარდება და მსროლელს ხელში პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი რჩება, რაც თავდამსხმელს აოგნებს.

„ჰექლერ ენდ კოჰმა“ შენიღბული



თითის ერთი დაჭერა და ხელში მოკლელულიანი ავტომატი АКС-74У გიჭირავთ

იარაღის სხვა მოდელიც შექმნა. ამ დიპლომატიდან პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის ამოღება აღარაა საჭირო — სროლა დიპლომატის კორპუსში გაკეთებული სპეციალური ხვრელიდან ხდება. ასეთი „სიურპრიზიანი“ დიპლომატი 7 კგ-მდე იწონის და სროლისას ორივე ხელით უნდა გეჭიროთ, რაც საკმაოდ მოუხერხებელია და ცოტა ძნელი დასაჯერებელია მიზანში მორტყმა.

გერმანელების მიბაძვით თუ საკუთარი ინიციატივით, КГБ-მაც შექმნა ანალოგიური „ატაშეკეისი“, ოღონდ მასში მოკლელულიანი ავტომატი — АКС-74У მოათავსა. მეორე ვარიანტი — დიპლომატში მცირეგაბარიტიანი ავტომატის 9 მმ კალიბრის 9А-91-ის ჩამონტაჟებას ითვალისწინებს. ცეცხლისმფრქვეველი დიპლომატი კვლავ რჩება სპეცსამსახურების და, რა თქმა უნდა, ტერორისტების ხელშიც; ასე რომ, თუკი ბუნჩულა ტიპს დაინახავთ დიპლომატით ან ვიოლინოთი ხელში, არ გარისკოთ, ზედმეტს ნუ აკადრებთ, ვინ იცის, რა უდევს სინამდვილეში იქ?!

# მკითხველის სვეტი

**შეიძლება თუ არა ყუმბარსატყორცნის სროლა ოთახიდან ან მანქანის სალონიდან, როგორც ამას კინოში აჩვენებენ?**

***გ. რაზმაძე***

რეაქტიული ყუმბარსატყორცნები ფაქტობრივად რაკეტას ისვრიან, რომელსაც ყუმბარსატყორცნის წინა მხრიდან, ღია ლულიდან სასტარტო ძრავა აგდებს. რაკეტის ძრავა კი მსროლელიდან რამდენიმე მეტრში ირთვება, რათა არ დააზიანოს იგი. ხოლო თუკი ვინმე შემთხვევით გასროლის მომენტში თავად ყუმბარსატყორცნის მილის უკანა მხარესთან ახლოს დგას, დაზიანებას ვერ გადაურჩება.

სასტარტო ძრავა, მართლია, რაკეტას წინ აგდებს, მაგრამ იმავე ძალის და მასის ცეცხლის ჭავლი უკან გაიტყორცნება, რაც ათანაბრებს რეაქტიულ მომენტს და მსროლელიც ვერ გრძნობს უკუდარტყმის ეფექტს, რაც ასე დამახასიათებელია ცეცხლსასროლი იარაღის გასროლისას. სწორედ ეს უკან გასროლილი ცეცხლის ჭავლი, რომელიც 20-30 მ-დე ვრცელდება, წარმოადგენს ძირითად საშიშროებას როგორც უკან მდგომთათვის, ისე თავად ყუმბარსატყორცნის მსროლელისთვის, თუკი იგი რაკეტას დახშული ოთახიდან ან მანქანის სალონიდან ისვრის.

ბოლო წლებში, რაც უფრო აქტუალური გახდა საბრძოლო მოქმედებების წარმოება ქალაქის პირობებში, მით უფრო გაიზარდა მოთხოვნილება ისეთ ყუმბარსატყორცნებზე, რომ-



„არმბრუსტის“ მოქმედების პრინციპი — გაფართოებული გაზი დგუშებს აწვება და მარცხნიდან რაკეტას აგდებს, ხოლო უკნიდან — მისი წონის შემავსებელს

ლებითაც რაკეტის გაშვება დახშული ოთახიდანაც შეიძლება.

დღეისათვის მთელ მსოფლიოში სულ ოთხიოდე ასეთი სახის სერიულად წარმოებული ყუმბარსატყორცნი თუ მოიპოვება, მათ შორისაა გერმანული „პანცერფაუსტი-3“, „არმბრუსტი“ და ფრანგული АВ-92 „მატრა“, აგრეთვე მართვადი „ერიქსი“.

ერთჯერადი „პანცერფაუსტი-3“-ის გასროლისას სასტარტო მუხტის აფეთქებისას წარმოქმნილი გაფართოებული გაზების ნაწილი მარცხნივ რაკეტას უბიძგებს, ხოლო მარჯვნივ, უკან კი, რაკეტას მასის მქონე, პლასტმასის პატარა ფირფიტებით სავსე ტომსიკას. რადგან ორივეს მასა ერთმანეთის ტოლია, მსროლელი უკუდარტყმას ვერ გრძნობს, ამასთან არც ყუმბარსატყორცნის უკან წარმოიშვება 20-30 მ-ის სახიფათო ზონა, რადგან ამოქმედებული სასტარტო მუხტის ენერგიის დიდი ნაწილი იხარჯება ზემოხსენებული ტომსიკის უკან გადმოსაგდებად. პლასტმასის ფირფიტები მყისიერად იწვება და ზიანს ვერავის მიაყენებს, ამიტომაც მისი სროლისას არ არის აუცილებელი წინასწარ ღია პოზიციის არჩევა. „პანცერფაუსტი-3“-ის მთავარი ნაკლი მისი დიდი წონა — 12 კგ-ია, მაშინ, როდესაც საბჭოთა მრავალჯერადი გამოყენების РПГ-7 თავის რაკეტიანად 8,5 კგ-ზე მეტს არ იწონის.

„არმბრუსტის“ კონსტრუქტორებმა უფრო ორიგინალური მეთოდი აირჩიეს. სასტარტო მუხტი ყუმბარსატყორცნის მილის შუაგულშია მოთავსებული და დახშულია ორი დგუშით. მუხტის აფეთქებისას წარმოქმნილი მაღალი წნევის გაზი ორივე მხარეს ვრცელდება და ლულის მარცხიდან რაკეტას აგდებს, ხოლო მარჯვნიდან — რაკეტის მასის მქონე სინთეტიკურ შემავსებელს. გარდა იმისა, რომ „არმბრუსტით“ სროლისას მილის უკან არ გამოიტყორცნება ცეცხლის ჭავლი, გაზებიც მილში, დგუშით დახურულ სივრცეში რჩება. ამ დროს თავად მილი ძალზე ხურდება, მაგრამ რადგანაც იგი ერთჯერადია, მას აგდებენ. 6,3 კგ მასის „არმბრუსტს“ 300 მ-ის დისტანციიდან 300 მმ ჰომოგენური ჯავშნის გახვრეტა შეუძლია.

ფრანგებმა თანამედროვე გადასატანი მართვადი ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსის, „ერიქსის“, შექმნისას სპეციალური სარაკეტო ძრავა გამოიყენეს. თავად რაკეტის გამოსაგდებად გასაშვები მილიდან სულ რაღაც 80 გ-იანი სასტარტო მუხტი გამოიყენება. ამიტომაც „ერიქსის“ გასროლისას, თუგინდ ოთახიდან, მხოლოდ თეთრი ფერის კვამლი გამოიყოფა და გასროლის ხმაც 90 დეციბელამდეა შემცირებული, რაც ფაქტობრივად, მოწინააღმდეგისთვის შეუძლებელს ხდის ხმით გაარკვიოს სარაკეტო კომპლექსის პოზიცია. „ერიქსს“ 900 მმ სისქის ჯავშნის გახვრეტა ძალუძს.

საბჭოთა და შემდგომ რუს კონსტრუქტორებს ჯერ სერიულად არ შეუქმნიათ ზემოხსენებულის მსგავსი იარაღი, ამიტომაც არ დაიჯეროთ, თუკი ვინმე მარჯვე რუსი ივანი ან ჩეჩენი მუსა რუსულ მძაფრსიუჟეტიან ფილმებში ოთახიდან РПГ-ს ან „მუხას“ ისვრის.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

*— „ხატიაშვილი, წიწქალაძე, გურჩიანი, ცუცქირიძე — ხუთი ნაბიჯით წინ“, — ეს გვარები ისეთი ქართული აქცენტით ჩაიკითხა მომცრო ტანის ხმელ-ხმელმა, მაგრამ ერთიანად დაკუნთულმა ეფრეიტორმა, რომ გაოცებულმა ქართველებმა ერთმანეთს გადახედეს — ხომ არ მოგვეჩვენაო.*

*— გარეგნობით თითქოს ქართველს არა ჰგავს, მაგრამ სად ისწავლა ნეტავ ქართული ამ შეჩვენებულმა? — თავის თავს ჩაჰკითხა ქიათურელმა გერონტი ცუცქირიძემ და კიდევ ერთხელ აათვალიერა მისკენ მიმავალი ეფრეიტორი, რომელსაც გაპრიალებული ჩექმის ყელიდან ძვლისტარიანი მათრახი ამოსჩროდა და თვალებით ბურღავდა მის პირდაპირ მდგარ ტყვეს.*

*— ღმერთო, შენ მიშველე, ლადიკო არა ხარ, ბიჭო, შენ? გაგახარა ღმერთმა, აწი აქ რაღა გამიჭირდება, მეგონა, გერმანელების ამარა ვყრივართ ამ ბანაკში-მეთქი, მაგრამ ეს ფორმა?..*

*ეფრეიტორის წარბიც არ შეუხრია — ჰაერში ელვასავით გაიკლაკნა მისგან მოქნეული მათრახი და ისეთი ძალით დაეშვა საბრალო ტყვის თავზე, რომ უბედურს ორად გაუპო შუბლი და კეფა. სისხლი კი, რომელიც ჯერ კიდევ შერჩენოდა მათრახის წვერს, მათრახთან ერთად გაუჩინარდა ჩექმის ყელში.*

*— ეს დღე მოელის ყველას, ვინც აქ ბიძაშვილობას მომინდომებს. დაიმახსოვრეთ, მე გერმანიას ვემსახურები და ყველანი მეზიზღებით, ვინც იარაღით იბრძოდით ამ დიდი ერის შვილების წინააღმდეგ.*

## დაჰაუს ბანაკში

ბანაკის ჭიშკართან მდგარ მაიორს მაშინვე უთარგმნეს ქართველის სიტყვები, თუმცა თარჯიმანი ქართველი კი არა, გერმანელი ოფიცერი გახლდათ — აღმოსავლური ენების სპეციალისტი, ომამდე იენის უნივერსიტეტის ასპირანტი, რომლის მოვალეობას მხოლოდ და მხოლოდ მიყურადება და შემდეგ მოსმენილ-ნანახის ხელმძღვანელობისთვის მოხსენება წარმოადგენდა.

— მისი ნათქვამიც და ქმედებაც საქებარია, მაგრამ არ თვალთმაქცობს ეს კავკასიელი, კურტ? იქნებ სხვა რამ ამოძრავებს? სიფრთხილე გვმართებს მასთან.

— თავისივე გვარ-ტომს ასე მხოლოდ საკუთარ თავში დარწმუნებული ბარბაროსი თუ მოექცევა. ქართველები კი, მოგეხსენებათ, ბარბაროსები არ არიან, ჰერ მაიორ, ამის დასტურად მათი „ვეფხისტყაოსანიც“ კმარა. ჩემი აზრით, მისი გააფთრების მიზეზი უფრო ბოლშევიზმია და ამ მხრივ ის ჩვენ უფრო გვენათესავება, ვიდრე ქართველებს.

— შენ ახალგაზრდა ხარ, კურტ, და არ იცი, რომ ბოლშევიზმის სიძულვილზე მეტად, ამ შემთხვევაში შესაძლოა სიცოცხლის წყურვილი მართავდეს ადამიანის ფსიქიკას... — და მაიორმა თავისი ნათქვამის განსამტკიცებლად კრემატორიუმის მუდმივად მხრჩოლავ მილს გახედა, რითაც მიახვედრა უმცროს კოლეგას — იქ შესვლას ალბათ თავისიანების ცემას ამჯობინებსო...

მას შემდეგ ეფრეიტორთან გამოლაპარაკება არც ერთ ქართველს აღარ უცდია. იგი საჩხერელი ლადიკო ეზიაშვილი გახლდათ. ბევრი სხვა ქართველის მსგავსად ქერჩის ნახევარკუნძულზე ჩავარდნილიყო ტყვედ. ეს იმ დროს ლამის სამშობლოს ღალატს უდრიდა, მაგრამ რა მისი ბრალი იყო, ფრონტზე მიმავალს ნოვოროსიისკში რუსმა ჯარისკაცმა რომ ჩაუკეტა ვაგონის კარი, ქერჩში გერმანელმა გაუღო და უიარაღო კაცს მის თანამემამულეებთან ერთად იმავე ეშელონით დაჰაუს საკონცენტრაციო ბანაკში უკრეს თავი. აქ კი ეტყობა, გატყდა და...

— არა უშავს, გერონტი, თითო შადიმანი ყოველთვის გვყავდა ქართველებს, მაგრამ არ გადავშენებულვართ. პირობას გაძლევ, ერთ კვირაში გავასაღებთ გამყიდველს. ჩვენი სისხლი შეიძლება გერმანელებს შევარჩინოთ, მაგრამ ქართველს, თანაც აქ, ამას არ ვაპატიებთ, — ისე დაჯერებულად წასჩურჩულა ღამით ნარზე მისვენებულ გერონტის ქუთაისელმა ავქსენტი მამაგეიშვილმა, რომ შეურაცხყოფილმა შვებით ამოისუნთქა. განა მათრახი ემწარა გერონტის, არა, ამას მიჩვეული იყო. ქართველისაგან არ მოელოდა ამ სისასტიკეს, თანაც აქ, ამ ჯოჯოხეთში, თორემ გერმანელები მისი ცემის მეტს რას აკეთებდნენ. ცოტა რომ დაფიქრდა, ახლა ის ინანა, ჩემი გულისთვის ამათ რომ კაცი მოკლან, ღმერთს რა პასუხს ვაძლევო, მაგრამ რამდენიმე დღეში ამ დარდმაც გადაუარა. ვიღაც მადლიანმა იმ ღამით გრძელი თოკი, ცოტაოდენი საჭმელი და ორი ნაგანი დაუდო თავთით ავქსენტის და უკუნეთ ღამეში იმ თოკით ხუთი ქართველი და თორმეტი რუსი ისე იოლად დაეშვა ხევის მხარეს გამავალ კედელზე, რომ გუშაგებს ჩქამიც არ გაუგიათ. კიდევ ორი ღამის ხეტიალის შემდეგ (დღე ტყეში იმალებოდნენ) ჰოლანდიაში გააღწიეს და მოგვიანებით ქართველებმა კუნძულ ტექსელზე ამოჰყვეს თავი.

ქვეყნის მოღალატე ლადიკო კი სულ მალე ეფრეიტორიდან ოფიცრობამდე ამაღლდა და ახლა უფრო გამეტებით სცემდა ბანაკში შეყრილ ქართველებს.

— რას მღერიან, ლად, ის შენი თანამემამულეები, ან რა ამღერებთ ამ უბედურებს, თანაც ეტყობა, არც ერთს სმენა არ აქვს.

— საქართველოს ჰიმნს მღერიან, ჰერ მაიორ, გიჟებს სიმღერას ვინ აუკრძალავს?!

— მ-დაა.... სმენის გარეშე სიმღერა არ შეიძლება, მაგრამ არის სიმღერა, რომელსაც სმენა არ სჭირდება, ეს შენი ქვეყნის ჰიმნია, ლად! — მაიორი გვარად ბეთჰოვენი გახლდათ.

— ცოტა ხნის წინ მგონი მიულერს ელაპარაკებოდი, ლად. იცოდე, ისიც ისეთივე ტყვეა, როგორიც შენი თანამემამულეები და ისევე უნდა მოექცე, როგორც დანარჩენებს, მიუხედავად იმისა, რომ მიულერმა სასჯელი მოიხადა და ხვალ-ზეგ ვერმახტის სამსახურშიც ჩადგება, ჯერჯერობით კვლავ „გაუმჭვირვალე გერმანელად“ რჩება თავისი სოციალური იდეებით...

— მიულერი გერმანელია, ჰერ მაიორ, მოკალით და ბოლშევიკებივით ვერ გავიმეტებ. მით უმეტეს, თავისი სისულელე შეუგნია და ახლა ძალზე ნაღვლობს კიდეც. ჩივის, ჩემი დაბდურობის ბრალია, ამ ომში თანამემამულეების გვერდით რომ არ ვიბრძვი იარაღით ხელშიო.

— მაინც არ გირჩევ მასთან მეგობრობას, ლად... — უთხრა ბანაკის უფროსმა და გამომცდელად შეხედა. „ან მართლა ბოლშევიკების დაუძინებელი მტერია, ანდა დიდი მსახიობი დადგებოდა მისგან“, — გაუელვა ფიქრმა მისდა უნებურად. თუმცა ხელჩასაჭიდი საბუთიც არ ჰქონდა მის გულწრფელობაში ეჭვის შესატანად. მეორე დღეს, კვლავაც რომ შენიშნა მიულერთან მოსაუბრე,


მელოდია, რომელსაც სმენის გარეშეც იმღერებ...

# ბორკილები ორდენის მაგიერად...

ხმაც არ ამოუღია. შებრუნდა და სხვა მხარეს წავიდა, რადგან გულის სიღრმეში თანაუგრძნობდა კიდეც მათ მეგობრობას. თუმცა, მათი საუბარი რომ მოესმინა, მაშინ?..

— მაშასადამე, ბორტმექანიკოსი ხარ, ჰანს. ნუ ნაღვლობ, უკვე ვიზრუნე იმისთვის, რომ პირად საქმეში ბოლშევიზმთან შეურიგებელ მებრძოლად წარმოჩნდე. დარწმუნებული ვარ, მაიორი ავიაციაში დაგაბრუნებს, ოღონდ პირობა არ დაგავიწყდეს. ხვალ დილით აქედან წახვალ, ალბათ კარგა ხანს ველარ შევხვდებით ერთმანეთს, ნახვამდის, ჰანს.

— ნახვამდის, ლად. თუ ყველაფერი კარგად იქნა, უეჭველად შევხვდებით. არა და, იცოდე ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მოვკვდები. მე იმ ხალხს ვერ ვესვრი, ვინც შენნაირებს ზრდის.

## დავალების შესასრულებლად

ერთხანს აქეთ-იქით ათრიეს ჰანს მიულერი, მაინც არ ენდობოდნენ ნაციხარს, მაგრამ როცა მფრინავები შემოაკლდათ, გარისკეს და ოკუპირებული ოდესის სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციაში ჩარიცხეს, რომელიც ცოცხალი ძალითა და საბრძოლო მასალებით ამარაგებდა საბჭოთა არმიისგან თავისიანებს მოწყვეტილ ყირიმსა და ნიკოლაევში განლაგებულ გერმანელთა მე-17 არმიას... პირველი გაფრენა გამთენიისას შედგა. კაბინაში ოთხნი იყვნენ. არც ერთი მათგანი საკუთარი ნებით რუსებს არ ჩაჰბარდებოდა, საჭირო იყო ძალის გამოყენება, მაგრამ ამის შემდეგ ტყვია-წამლით, ამასთან, საწვავით ავზებავსებული თვითმფრინავის დასმა მარტოს გაუჭირდებოდა. მეტისმეტად დიდი იყო რისკის ფასი. ჰანსმა გადაწყვიტა, ჩანაფიქრი უკან დაბრუნებისას განეხორციელებინა. ვიდრე თვითმფრინავი დაიცლებოდა, მისმა კოლეგებმა ჰაერზე გაისეირნეს, ტაბელური იარაღი კი თვითმფრინავში დატოვეს. დრო იხელთა და სამივე პისტოლეტს ნემსები ამოაცალა. როცა ბორტზე დაჭრილები აიყვანეს და აფრინდნენ კიდეც, იცრუა — რომელიღაც დაჭრილი თვითმფრინავის კუდში შემძვრალა და რაღაცას ჩალიჩობსო. საბოლოოდ ორი მათგანი იქვე, კუდში ჩაკეტა და საჭესთან მჯდომ ხომალდის მეთაურს საფეთქელთან მიაბჯინა პისტოლეტი.

— ახლავე შეცვალე კურსი. ორიენტირი ჯანკოი-მელიტოპოლის საავტომობილო გზაა. ნუ მაიძულებ, გესროლო. ხომ იცი, უშენოდაც შემიძლია თვითმფრინავის დასმა.

მანძილი თითქოს დიდი არ იყო, მაგრამ დრო უსაშველოდ გაიჭიმა, ფრონტის ხაზის გადაკვეთისას ისეთი ცეცხლი გახსნეს საბჭოთა მეზენიტეებმა, ცოტაც და ალბათ ჩამოაგდებდნენ, მაგრამ გადარჩნენ... ახლა მხოლოდ აეროდრომიღა იყო საჭირო, მაგრამ მიულერს გაახსენდა, რომ ზოგჯერ რუსებიც ნაღმავდნენ აეროდრომებს.

— დაბლა დაეშვი... სოფელს გავცდებით თუ არა, მინდორში დასვი თვითმფრინავი.

— დავილუპებით, გრუნტი ვერ დაგვიჭერს.

— არ დავილუპებით, ტვირთი ცოტაა, მიდი, თორემ გაგიხვრიტე შუბლი, — დაშვებისას ერთი კი შეტორტმანდა თვითმფრინავი, მაგრამ გამოცდილმა შტურმანმა მაინც მოახერხა მანქანის დამორჩილება... ძრავები ჯერ კიდევ გუგუნებდა, როცა „იუნკერსის“ საბჭოთა მებრძოლები დაადგნენ თავს. ჰანს მიულერმა ოთხი ცალი პისტოლეტი და დაჰაუდან მისი გათავისუფლების ცნობა გაუწოდა მათ.

როცა შტაბში მიიყვანეს, ერთბაშად იმდენი ინფორმაცია მიაწოდა ოდესაში განლაგებულ საავიაციო და ყირიმში გაჭედილი ვერმახტის მე-17 არმიის შესახებ, რომ შტაბისტები ჩაწერას ველარ აუდიოდნენ, ბოლოს კი გენერალთან ითხოვა შეხვედრა...

— გარდა იმისა, რაც შტაბში განვაცხადე, დავალებული მაქვს, გადმოგცეთ, რომ დაჰაუს საკონცენტრაციო ბანაკში გერმანელი ოფიცრის მუნდირით საქმიანობს ქართველი ტყვე, რომელსაც აქვს უმდიდრესი ინფორმაცია ბერლინის დაცვის ხაზის შესახებ. დამავალა, გადმოგცეთ საბრძოლო მასალების უდიდესი ბაზების კოორდინატები და ითხოვს: თუ აქედან ვერ მოახერხებთ ამ ობიექტების ლიკვიდაციას, ის მაინც დააკავშიროთ თქვენს რეზიდენტურას და მისი დახმარებით თვითონ კისრულობს ბაზების ლიკვიდაციას.

— თითქოს არ უნდა ტყუოდეს ეს გერმანელი, მაგრამ ერთიც ვნახოთ და ვერმახტის კონტრდაზვერვის შემოგდებული აღმოჩნდეს, მერე? არა, ასე არ გამოვა, უნდა შევისწავლოთ, — დაასკვნა გენერალმა და ადიუტანტი გამოიძახა.

— მოამზადეთ საბუთები გერმანელის საფილტრაციო ბანაკში გასაგზავნად.

## ამასობაში კი...

— დაქორწინება გადავწყვიტე, ჰერ მაიორ, თქვენი დახმარება მჭირდება. ისე, საბჭოთა ტყვეს გერმანელ ქალს ვინ მომათხოვებს.

— შენ ტყვე კი არა, ვერმახტის უნტერ-ოფიცერი ხარ, ლად, თუმცა, მაინც საკითხავია, ამ ბანაკში ქალის გაცნობა როგორ მოახერხე...

— ეს იმ დღეებში მოხდა, თქვენ რომ ერთიორჯერ ქალაქის კომენდატურაში გამგზავნეთ ჰერ მაიორ.

— კარგი, კარგი, თანახმა ვარ. ე. ი. როგორც დაოჯახებული, ღამეს ამიერიდან ბანაკის ნაცვლად შინ გაათევ — მუდმივი საშვი უნდა გამოგიწეროთ.

— თუ საქმე მოითხოვს, მე აქ დავრჩები, ჰერ მაიორ, ოჯახი ხელს არ შემიშლის...

როგორც იქნა, ახლა თითქმის თავისუფალი იყო. იქ, ბანაკში, გერმანელებს მაინც საბჭოთა ტყვედ მიაჩნდათ, ქართველებს — გამყიდველად. ტყვეებთან განდობა გამორიცხული იყო — შესაძლოა, რომელიმეს გაეთქვა კიდეც. საუბედუროდ, ქართველებს შორისაც იყვნენ ასეთები და ეს მან სხვაზე უკეთ უწყოდა. გერონტი ცუცქირიძის შემდეგ კიდევ მოაწყო რამდენიმე შერეული ჯგუფის გაქცევა და ტუსაღებიც თითქოს რაღაცას მიუხვდნენ... ყოველ შემთხვევაში, ისე გაბოროტებით აღარ უცქერდნენ, როგორც ადრე, მაგრამ ეს უფრო საშიში იყო. ფაშისტები ადრე თუ გვიან, მიუხვდებოდნენ ეფრეიტორს და მერე... ახლა კი ბანაკგარეთ, უფრო დიდი საქმეების კეთება შეიძლებოდა... თითქმის წელიწადი გავიდა და ჰანსისგანაც აღარაფერი ისმის, ან იქნებ ვერ უკავშირდება?

დაოჯახებიდან ერთი თვის თავზე, თითქმის ცარიელ ქუჩაში მიაბიჯებდა ლადი. უეცრად ვიღაც ხელჯოხიან მოხუც გერმანელს ფეხი გადაუბრუნდა და უმალ მიეშველა. ტკივილისაგან სახედამანჭულს ვიდრე ლადიკო ქუჩის მეორე მხარეს გადაიყვანდა, მოხუცმა ასეთი რამ უთხრა — ჰანს მიულერმა შემოგითვალათ, ჩვენებური ქალი მან და მისმა მეგობრებმა გაგიჩალიჩეს და ცოტა ხანში ბერლინშიც გადაგიყვანენ. იქ კი თქვენი შეხვედრა ზუსტად ერთი თვის შემდეგ, დღის სამ საათზე შედგება. გამოსაცხადებელი ბინის მისამართია ფრანკფურტერშტრასე №31. ახლა კი აქ დამტოვეთ და სიტყვაც არ დაძრათ. აქ ყველაფერს თვალ-ყური აბია.

ორი კვირის შემდეგ ცოლის ნათესავების შუამდგომლობით უნტერ-ოფიცერი ვლადიმერ ეზიაშვილი ბერლინში, რომელიღაც მეორეხარისხოვანი ობიექტის დაცვაში გადაიყვანეს. დათქმულ დღეს კი მითითებულ მისამართზე გამოცხადდა. კარი ნაცნობმა მოხუცმა გაუღო და იმავე წამს მეუღლეს გასძახა:

— ჰერტრუდა, ბიძია კარლის სანახავად მოვიდნენ. ჩემს ოთახში ავალთ.

— გამარჯობა, ლად, — დივანიდან მაღალი, ახოვანი, ქერა გერმანელი წამოიმართა და ხელი გაუწოდა მოსულს.

— გამარჯობა.. ჰანს. შე ყურუმსაღო, მაინც მომაგენი, აი, მეგობრობაც ასეთი უნდა. დაიმახსოვრე, ქართველებმაც ვიცით მეგობრობის ფასი.

— რვა თვე მამოწმებდნენ რუსები, ლად, მერე კი დოკუმენტები გამიკეთეს, დაზვერვის კურსები გამატარეს და შენს მოკავშირედ მომავლინეს აქ. ახლავე შემიძლია თხუთმეტიოდე თანამზრახველის შეგროვება, ორ დღესაც თუ დამაცლი, ორმოცდაათამდე კაცსაც მოვუყრი თავს. ასე რომ, ველით შენს მითითებებს.

— დრო არ ითმენს, ჰანს, საბჭოთა ჯარები ბერლინისაკენ მოიჩქარიან. აქ კი ისეთი ზღუდეები აღმართეს, თითქმის წარმოუდგენელია მათი გადალახვა. რამდენიმე ობიექტი უნდა ავაფეთქოთ, ეს აუნაზღაურებელ დანაკარგს მოუტანს ვერმახტის ჯარებს...

მართლაც, რამდენიმე დღეში ჰაერში აფრინდა არაერთი მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტი. მალე დალემის იარაღისა და საბრძოლო მასალის ვეებერთელა ბაზა ამოიღეს ნიშანში. ოპერაციებს უნტერ-ოფიცერი ეზიაშვილი გეგმავდა. ვერმახტი შეშფოთდა — მილიონამდე რაიხსმარკას ჰპირდებოდნენ მას, ვინც ამფეთქებლების ვინაობას გაამჟღავნებდა.

— ამჯერად ასე იოლად ვერ გავალთ. სამხედრონომრიანი მსუბუქი ავტომანქანა გვჭირდება. საათისმექანიზმიან ასაფეთქებელ მოწყობილობას ჩავუდებთ და ბაზის ტერიტორიაზე შევუშვებთ. ხვალ-ზეგ მოკავშირეთა ჯარები შეტევაზე გადმოვლენ, ეს ბაზა კი ბევრ სიძნელეს შეუქმნის მათ.

დათქმულ დროს მანქანის საშოვნელად ქალაქგარეთ გამავალ საავტომობილო ტრასაზე უნდა გასულიყვნენ. ქალაქი კი ამ დროს უკვე ბლოკირებული იყო. ერთ-ერთ პოსტზე ლადის გარდა ყველანი გაატარეს. პატრულს მოეჩვენა, რომ სამივლინებო ფურცელში რაღაც წესრიგში ვერ იყო და კომენდატურაში წაყოლა შესთავაზა მის მფლობელს. ლადიკომ იცოდა, შეპასუხებით უფრო გაართულებდა საქმეს. ამიტომ უხმოდ გაჰყვა წესრიგის დამცველებს. კომენდატურა ქალაქის მეორე მხარეს იყო. პატრული დაკავებულთან ერთად, ბერლინის მიწისზედა საქალაქო მატარებელში ავიდა. ლადიკოს სამივლინებო ბარათი არ აშინებდა. იქ ყველაფერი წესრიგში იყო და შარს ვერ მოსდებდნენ, მაგრამ ასაფეთქებელი ბომბი და სხვა იარაღი რომ წელზე ჰქონდა მიმაგრებული, ეს აფიქრებდა. გამოსავალი თითქოს არ ჩანდა, თუმცა ერთ მომენტში, წინა დღით ჩამოვარდნილი ბომბისგან დაზიანებულ მონაკვეთზე მატარებელმა სვლა შეანელა და იმავე წამს ორი მეთვალყურე ლადიკომ თავებით მიახეთქა ერთმანეთს, ვაგონის კარს ეცა და თავდაღმართში დაგორდა. ვიდრე პატრული გონს მოვიდოდა, მატარებელი დაზიანებულ მონაკვეთს გასცდა და სიჩქარეს უმატა. ლადიკომ კი გაზონი გადაჭრა და ხალხს შეერია. ზუსტად ერთი საათის შემდეგ ქალაქში გაჩნდა ბიულეტენები უნტერ-ოფიცრის გარეგნული აღწერილობით, სადაც მას ცნობილი აფეთქებების სავარაუდო მონაწილედ მოიხსენიებდნენ... ლადიკო კი ასეთი შემთხვევისათვის დათქმული სარეზერვო გეგმის თანახმად შეხვედრის ადგილზე გამოცხადდა და ისევ საავტომობილო ტრასაზე გავიდნენ. 1945 წლის მარტი იწურებოდა. ბერლინელების საყვარელი გრიუნვალდის ტყე მალე გაიფოთლებოდა. მხოლოდ მაგისტრალზე კანტიკუნტად მოძრავი მანქანების მიხედვით თუ იგრძნობდით, ფრონტის ხაზის სიახლოვეს. ბარე ოცამდე მანქანა გაატარეს, ვიდრე სასურველ სამხედრონომრიან „ლიმუზინს“ გააჩერებდნენ. მანქანაში სამნი ისხდნენ — მძღოლი და ორი ოფიცერი. ლადიკო და ჰანსი მანქანას წინ გადაუდგნენ და ხელჯოხით გაჩერება მოსთხოვეს. მერე თითქოს საბუთების შესამოწმებლად განზე გადგნენ და ბუჩქებში ჩამალულ თავისიანებს საცეცხლე ზონა გაუხსნეს. ერთდროულად იგრიალა სამმა ავტომატმა. წამიც და მანქანის სამივე მგზავრი ტყეში გადაათრიეს, კიდევ ორი წუთი და მანქანაში ბომბი ჩაამონტაჟეს. ახლა მეორე მანქანაც უნდა ეშოვათ უკან დასაბრუნებლად და აგერ ისიც, თვითონ გაჩერდა მათ გვერდით. მანქანიდან გესტაპოსფორმიანი ჯერ ერთი ოფიცერი გადმოვიდა, შემდეგ მეორე, ეტყობოდა, რაღაცის კითხვას აპირებდნენ. საჭესთან მჯდომმა ლადიმ თვალი ჩაუკრა თავისიანებს, ანიშნა, დროაო და კვლავ იქუხა პისტოლეტის ჯერმა. გვამები ისევ ტყეში შეათრიეს და ორივე მანქანა ადგილიდან მოწყდა. ლადიკო მარტო იჯდა „ლიმუზინში“. გეგმის თანახმად, ყველაზე მძიმე მოვალეობა მან იკისრა: აქედან დალემის ბაზა შორს არ იყო. მანქანის სიჩქარე იმ დონეზე უნდა დაეფიქსირებინა, რომ საჭირო მომენტში გადახტომა მოესწრო, მერე მას უკან მომავალი მანქანა აიყვანდა და განზე გაუხვევდნენ, „ლიმუზინი“ კი პირდაპირ ბაზის ჭიშკარში შევარდებოდა და აფეთქდებოდა კიდეც. ეს ყველაფერი ლადიკომ საათის ასაფეთქებელი მექანიზმის მიხედვით გათვალა და ამიტომაც ვერ ანდო მანქანა სხვას. ბაზის პირდაპირ, ჭიშკრის მიმართულებით გააქანა „ლიმუზინი“ და ისკუპა, ცოტა არ იყოს, დააგვიანდა და მხარიც დაიზიანა, მაგრამ წუწუნის დრო არ იყო. თავისიანებიც წამოეწივნენ, შეხტა მანქანაში. ადგილიდან მოწყდნენ... იმავე წამს „ლიმუზინმა“ ბაზის ჭიშკარი შეანგრია და აფეთქების ხმაც გაისმა...

## ბოლოთქმა

მეორე დღეს უკვე უნტერ-ოფიცრის ფოტორობოტი გააკრეს ბერლინის ქუჩებში. თუმცა, ეს რობოტი კი არა, თვითონ ლადიკოს სურათი იყო. მოახერხა და ჰოლანდიაში გააღწია. მოგვიანებით კი პოლონეთში დაბრუნდა ტექსელის ეპოპეას გადარჩენილ ქართველებთან ერთად, რომელშიც გერონტი ცუცქირიძეც ერია.

— რას გიშავებდი, შე შეჩვენებულო, ასე გამეტებით რომ გადამიჭირე მათრახი?

— სხვა გზა არ იყო, ჩემო გერონტი, მხოლოდ ასე თუ გადავრჩებოდით. თუმცა, რად გვინდა სიცოცხლე, სამშობლოში ბორკილებით გველიან თურმე.

— არ გადამრიო, კაცო, იმდენი გაქვს გაკეთებული, ბორკილები კი არა, გმირის ორდენი უნდა დაგკიდონ...

შინ დაბრუნება ვერც ერთმა ვერ გაბედა, პოლონეთის საზღვრამდე მოვიდნენ მხოლოდ, აქედან უფრო ახლოს ვიქნებითო საქართველოსთან. იქვე დაიჭირეს ორივენი 1953 წლის ბოლოს. ბედად სტალინი ცოცხალი აღარ იყო და რეპრესიებიც შერბილებულიყო.

*P. S. არ უყვარდა ლადიკოს ომის ამბების გახსენება. მხოლოდ ერთხელ, ჩვენმა საერთო ბიძაშვილმა იმ დროს მოდადქცეული საქართველოს ჰიმნი რომ წამოიწყო სუფრაზე, მაშინ აეშალა სალერღელი და ზოგი რამ გვიამბო. არც ის გამორჩენია, საკონცენტრაციო ბანაკის უფროსმა, ბეთჰოვენმა რომ უთხრა — შენი ქვეყნის ჰიმნი ის მელოდიაა, რომელიც სმენის გარეშე შეიძლება იმღეროო. ისე კი, სიმართლე რომ ითქვას, არც ის ბოლშევიკური სამშობლო და არც მისი ჰიმნი დიდად არ ეხატებოდა გულზე ჩვენი მოთხრობის გმირს, რომელიც ორიოდე წლის წინ დავასაფლავეთ.*

***ვაჟა გავაშელი***

რეალიკა

# ღორების კვალდაკვალ



„კვირის პალიტრაში" გამოქვეყნებული ფოტოები: 2000 წლის დეკემბერი

კლავენ და თბილისის ქუჩებში და ბაზრობებზე ასაღებენ.

სასიხარულოა, რომ თბილისის ახალარჩეულმა საკრებულომ ეს ინფორმაცია უყურადღებოდ არ დატოვა — გასულ კვირას ქალაქის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები, საკრებულოს წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები და პრესისა და ტელევიზიის ჟურნალისტები ნაგა-



2002 წლის დეკემბერი

დამოუკიდებელი გაზეთის ჟურნალისტისთვის იმაზე მეტად სასიხარულო რა უნდა იყოს, როცა მის რომელიმე სტატიაში მხილებულ ნაკლოვანებებს ხელისუფლებაც გაიზიარებს და მის აღმოსაფხვრელად ზომებს მიიღებს.

ორი წლის წინ ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი სტატია („თბილისის ნაგავსაყრელზე გასუქებული „საკალანდე" ღორები...", „კვირის პალიტრა" №50, 11-17 დეკემბერი, 2000 წ.) ნაგავსაყრელებსა და „არაოფიციალურ" ღორების ფერმებს ეხებოდა. ქალაქის მაშინდელმა ხელისუფლებამ სტატია კი წაიკითხა, მაგრამ უშედეგოდ. ამ ხნის მანძილზე ნაგავსაყრელებზე ღორები უფრო მომრავლდნენ. ამიტომ გასული წლის ბოლოს მეორე სტატიაც, სათაურით „ყველა ღორის უკან დიდი ხალხი დგას" (№49, 9-15 დეკემბერი, 2002 წ.) მივუძღვენით ამ თემას, სადაც კერძოდ, ვწერდით, რომ ნაგვის მანქანებს ახალი ბიზნესი აქვთ; რომ ნაგავსაყრელის მეპატრონე მენაგვეებს თითოეულ მანქანაში დადგენილ თანხას უხდის. როგორც ერთ, ისე მეორე სტატიაში, დეტალურად იყო აღწერილი, თუ როგორ იკვებებიან ნაგავსაყრელზე ღორები, რომ უამრავი ინამლება და იქვე კვდება. შემდეგ მკვდარ ცხოველებს

ვსაყრელებზე მივიდნენ და თავიანთი თვალით იხილეს იქ შექმნილი სიტუაცია. გასაოცარია, მაგრამ არც საკრებულოს თავმჯდომარეს, არც სხვებს არ გახსენებიათ გაზეთ „კვირის პალიტრის" ჟურნალისტი. არადა, სტატიის ავტორი მათ კიდევ უფრო საინტერესო (გარდა იმისა, რაც თვითონ ნახეს. — ზ. ჩ.) ინფორმაციებს მიაწვდიდა. თუმცა საკრებულოს თავმჯდომარეს რას ვერჩით, როცა ზოგიერთი, სულ რამდენიმე თვის წინ შექმნილი გაზეთი ამ ღონისძიებას თავის „დამსახურებად" მიიჩნევს. გასაგებია, რომ მზარდი კონკურენციის პირობებში, მავანი ყველანაირი ხერხის გამოყენებას ცდილობს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეთიკის ნორმებიდან გამომდინარე, თემის წამომწევი საინფორმაციო საშუალების ან თუნდაც ჟურნალისტის (კოლეგის) დასახელება აუცილებელია.

# რატომ გვასხლევინებენ უხარისხო გაზში ზედმეტს...

## საქართველოს საკუთარი გაზი ექნება?!

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

ჩვენ „თბილგაზის" გენერალურ დირექტორს, **ვახტანგ ცაავასაც** შევხვდით: — გაზის ხარისხზე, ანუ მის თბოუნარიანობაზე უნდა მიმართოთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაზმომარაგების კათედრაზე მდებარე ლაბორატორიას, სადაც ჩვენ სისტემატურად ვახდენთ მიღებული ბუნებრივი აირის ლაბორატორიულ შემოწმებას(?!). უნდა გითხრათ, რომ ჩვენი მაჩვენებლები მთლიანად ემთხვევა სერტიფიკატში აღნიშნულ ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

— **„საქგაზი", შუალედური რგოლი „თბილგაზსა" და „იტერას" შორის, როგორც იქნა, ამოვარდა. „საქგაზის" წილი ხომ უნდა მოაკლდეს გაზის ღირებულებას, რომელიც არცთუ ისე მცირეა?**

— იმ შემთხვევაში მოაკლდებოდა, თუ ჩვენ 100-პროცენტიანი გადამხდელები ვიქნებოდით. როცა დახარჯული გაზის საფასურის ამოღება 40%-ს არ აღემატება (როგორ იქნება მეტი, როცა ჩვენი მოყვანილი მაგალითიდანაც ნათლად ჩანს, სად მიდის მოწოდებული აირის 60%. — ზ. ჩ.), ეს არ მოხდება და „საქგაზის" წილი გადახდას მოხმარდება.

— **ჩვენ მაინც ეჭვი გვეპარება გაზის თბოუნარიანობაში. ადრე ორ წუთში ვადუღებდი ჩაისათვის წყალს, ახლა სამჯერ მეტი დრო მინდა, მრიცხველი კი „უბერავს".**

— არის ერთი მომენტი. ნახევარდიუმიან მილს დიდი ტვირთი დააწვა — წნევას ვერ ვინარჩუნებთ და გაზის არასრული წვა ხდება, რაც თბოუნარიანობას გვაკარგვინებს. მიბრძანდით ლაბორატორიაში და იქ გაჩვენებენ, რომ შემოტანილ გაზს კარგი მაჩვენებლები აქვს.

— **ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორიაში, შოთა მესტვირიშვილთან?**

— დიახ...

ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია, მაგრამ თავს უფლებას მივცემ, სტატია ერთი სასიხარულო ამბით მაინც დავასრულო და ამდენად ზემოთ მოყვანილი ნეგატიური ინფორმაცია შევამსუბუქო.

სს ნავთობის ეროვნული კომპანიის გენერალური დირექტორი **გიორგი მახარაძე:** „ინგლისელ ინვესტორებთან ერთად ჩატარებული გეოლოგიური და ფიზიკური კვლევის შედეგად ნინოწმინდა-მანავის მოედანზე მოსალოდნელია გაზის დიდი საბადო აღმოჩნდეს. ამჟამად მიმდინარეობს ბურღვა. საცდელმა გაბურღვებმა 5 ათას მეტრზე მეტად დამაიმედებელი შედეგები მოგვცა. ამას პირველად თქვენი გაზეთის მკითხველებს ვუცხადებ და თუ პროგნოზი გამართლდა, მაღარიჩი თქვენზეა".

ღმერთმა გისმინოთ, საქართველოსაც ეშველება, „იტერასაც", „თბილგაზსაც" და ჩვენც!

*მოამზადა ზვიად ჩაკვეტაძემ*


ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი მონიტორით 365-დან



კომპუსი
ტელ: 939-103
250-255
ალ. ყაზბეგის 24ა

- სრული ტექნიკური სერვისი და პროგრამული მხარდაჭერა (ქსელები, ინტერნეტი და სხვ.)
- გარანტია 3 წლამდე
- პრინტერები 65-დან



AXIS
აქსისი

- 2 ოთახიანი 75 მ$^2$
- 3 ოთახიანი 110 და 130 მ$^2$
- 4 ოთახიანი 150-დან 220 მ$^2$-მდე
- დუპლექსის ტიპის ბინები ტერასებით და ბუხრებით
- ჭერის სიმაღლე 3.24მ
- ერთი წლის განმავლობაში დაცვის სამსახურის და მომსახურე პერსონალის ხელ-ფასს უზრუნველყოფს კომპანია აქსისი.

მშენებარე სახლი თამარაშვილის ქუჩაზე - (იპოდრომთან)

- აქსისი საშუალებას გაძლევთ იცხოვროთ კომფორტულ სახლში თამარაშვილის ქუჩაზე, სადაც თქვენ მყუდროდ და უსაფრთხოდ იგრძნობთ თავს.
- ინფრასტრუქტურა: საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი, სილამაზის სალონი, დაცვის, ტექნიკური და სანიტარული მომსახურება, მარკეტი, მიწისქვეშა სადგომი.
- შენობას სამი მხრიდან ესაზღვრება იპოდრომის ტერიტორია. ექნება 1000 კვ.მ. კეთილმოწყობილი ეზო და საბავშვო მოედანი.

არაყიშვილის ქ. №14

ტელ: 25 34 34
91 25 34
91 25 33

# ასე ნაცნობი დადიანების უცნობი თავგადასავლები

ერთ-ერთი უძველესი ქართული არისტოკრატიული საგვარეულოს, დადიანების ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა ჩვენი ქვეყნის ბედს. მათ თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა მნიშვნელოვან მოვლენაში. თუმცა ბევრი ამბავი, სამწუხაროდ, დავიწყებას მიეცა, ბევრიც ისტორიულ ფოლიანტებშია გაბნეული და ელის მკვლევარის თვალისა და დღის სინათლეს. რამდენიმე ასეთ უცნობ ფრაგმენტს პირველად „კვირის პალიტრის" მკითხველს ვთავაზობთ.

## ქედუხრელი თავადი

სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის ძმის, კონსტანტინესა და სილამაზით განთქმული მაია დადიანის უმცროსი ვაჟი უჩა, სიყრმიდანვე რუსეთის იმპერატორის პირად გვარდიაში მსახურობდა და მისი უავგუსტესობის მხლებელი იყო. ნიკოლოზ II-ს ძალიან უყვარდა ქართველი თავადი, რომელიც ყველას ხიბლავდა სილამაზითა და სიჩაუქით. მეფე ყველანაირ თხოვნას უსრულებდა მას. რასპუტინის მდივნის ჩანაწერებიდან ცნობილია, რომ იმპერატორი ხშირად იხდიდა უჩას ბანქოში წაგებულ ფულს. ერთხელ შექეიფიანებული დადიანი იმდენად გათამამებულა, რომ იმპერატორისთვის განუცხადებია, — წაგებულ თამაშში წინდად საკუთარი ეპოლეტები და პატიოსანი სიტყვა ჩავდეო... ხელმწიფეს უბრძანებია უჩა დადიანის ვალის გადახდა.

ჩვენს ხელთაა უნიკალური დოკუმენტი, რომელიც დღემდე უცნობია ქართველი მკითხველისთვის. იგი შეეხება ბრწყინვალე თავად უჩა დადიანის მიერ ჩადენილ მკვლელობას. ეს საქმე 1913-14 წლებში თბილისში, შემდეგ კი ბაქოში განიხილა სასამართლო პალატამ. საკასაციო საჩივრის საფუძველზე საქმე ჯერ სენატს, მოგვიანებით კი საიმპერიო შემწყალებელ დეპარტამენტს გადაეცა. ამ უკანასკნელმა თბილისის სასამართლო პალატის დადგენილება გააუქმა და იგი ახალი სამართალწარმოებისთვის სენატს დაუბრუნა. უჩა დადიანს, შვიდ თანამზრახველთან ერთად, 1910 წლის 8 იანვარს ქალაქ ქუთაისში, თავად ალექსანდრე დადეშქელიანის მკვლელობის ორგანიზებაში ედებოდა ბრალი. საქმის მიხედვით, უჩა დადიანისა და ალექსანდრეს მეუღლის, ბარბარე (ბაბილინა) ერისთავის მიერ დაქირავებული ბანდიტები თავს დაესხნენ თავადს და სიცოცხლეს გამოასალმეს.



ბაბილინა ერისთავი-დადეშქელიანი

სინამდვილეში აი, რა მოხდა:

1893 წელს ზუგდიდს მიმავალი ალექსანდრე დადეშქელიანი ოჯახთან და 25-კაციან ამალასთან ერთად სოფელ პურიშხაში (? — გ.კ.) ნათლობას დაესწრო და გზა სროლა-სროლით განაგრძო. თავადის სამმა ქვეითმა მხლებელმა ენგურის პირას ივანე და მიქელია ქარდავების მობალახე ცხენები გაიტაცა და მდინარის ფონს მიაშურა. პატრონებმა ცხენები არ დაანებეს და ჩხუბიც ატყდა. გლეხებმა თავდამსხმელებს ხმლები წაართვეს, ერთ-ერთი მათგანი ხელშიც დაჭრეს. შეურაცხყოფილმა დადეშქელიანმა სოფლის დასჯა გადაწყვიტა და უკან მობრუნებული ქარდავების ოჯახს თავს დაესხა. ქარდავების სახლში იმ დღეს ოჯახის უფროსს კრძალავდნენ და მთელი სოფელი იქ იყო შეკრებილი. მიუხედავად ამისა, გამხეცებული მომხდურნი დაერივნენ ჭირისუფლებს, ერთ მოხუცს თავი გაუხეთქეს, ქალს თვალი ამოსთხარეს, ივანე ქარდავა მოკლეს.

ეს ამბავი დაუსჯელი დარჩა — სასამართლომ თავადი დადეშქელიანი გაამართლა.

ალექსანდრეს უმცროსმა ძმამ ოთარმა ამ ინციდენტის სათავისოდ გამოყენება სცადა: იმ ხანებში სვანეთის ქონებასა და ბატონობას ერთმანეთს სამი ძმა — თათარყანი, ალექსანდრე და ოთარი — ეცილებოდა. მაიორატის ყველაზე ნაკლები შანსი ოთარს ჰქონდა. უშვილო უფროსი ძმის თათარყანის სვანეთში დაღუპვის შემდეგ მემკვიდრეობა მეორე ძმაზე, ალექსანდრეზე, გადადიოდა. საჭირო იყო მისი თავიდან მოცილება. ალექსანდრეს ქუთაისში ბანდიტები თავს დაესხნენ და მოკლეს... ოთარმა სატირალში ალექსანდრეს ქალიშვილები არ წაიყვანა და შემდეგ მათ ფინანსურ დახმარებაზეც უარი თქვა.

ოთარ დადეშქელიანმა ალექსანდრეს ქვრივის, ბარბარეს (ბაბილინა) მოშორებაც გადაწყვიტა და ამ მიზნით მკვლელობის ორგანიზება მას და უჩა დადიანს დააბრალა. ოთარის განცხადებით, უჩა დადიანს ბარბარე უყვარდა და ამიტომ მოკლა თავისი ძველი მეგობარი, რაც ალექსანდრეს მიერ აკლებული სოფლის მკვიდრთა ხელით აღასრულა.

თავადი ოთარის ვერაგულ გეგმას სენატში გამართულ პროცესზე აეხადა ფარდა. უჩა დადიანის ადვოკატმა (სამწუხაროდ, მისი გვარი ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ, — გ.კ.) ასე დაამთავრა დასაცავი სიტყვა: „განაჩენში მკვლელობის მოტივად უჩა დადიანის სიმხდალეა დასახელებული, თითქოს ალექსანდრე დადეშქელიანის თავდასხმის მოლოდინში შეშინებულმა დადიანმა (ამბობენ, ალექსანდრეს ყურამდეც მიაღწია მისი ცოლისა და დადიანის მიჯნურობის ამბავმაო, — გ.კ.) დაასწრო მას სროლა და მუხანათურად მოკლა თავადი. მე დაბეჯითებით უარვყოფ ამ ბრალდებას. ის, რომ დადიანი ზურგიდან თავს არ დაესხმებოდა ვინებს, ამის თქმის უფლებას იძლევა არა მარტო კავკასიაში მომსახურე მისი უფროსობის გამოხმაურება, არამედ დოკუმენტურად დასაბუთებული ნამსახურობის ნუსხა. იაპონიის ომში, მთელ რუსეთში მღელვარებისა და შემზარავი ტერორისტული აქტების დროს, დადიანს შვიდჯერ მიანდეს სახიფათო მოგზაურობისას იმპერატორის დაცვა. ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე კი მშიშრებს არ ნიშნავენ. ამის შემდეგ უჩა დადიანს თამამად შეუძლია დაამტკიცოს საკუთარი სიმამაცე. მისი ადგილი სამშობლოს მტერთან ბრძოლაში მოწინავე პოზიციებზეა და არა განსასჯელის სკამზე. თუ თქვენ მას გაათავისუფლებთ, იგი ბრძოლის ველს მიაშურებს, რადგან უკან დახევა არ სჩვევია" (საგულისხმოა, რომ ეს სიტყვა იმ დროს აღიარეს სასამართლო დაცვის საუკეთესო ნიმუშად, — გ.კ.).



უჩა დადიანი

უჩამ დაამტკიცა, რომ მართლაც მამაცი იყო: 1916 წელს თურქებთან ომში გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის წმინდა გიორგის II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

რევოლუციის წლებში უჩას ძლიერ გაუჭირდა. გვარდიის ცხენოსანთა პოლკის ოფიცერმა, ულამაზესმა თავადმა, გაჭირვებიდან თავის დასაღწევად ერთ-ერთი კერძო კოლექციიდან ძვირფასი ფერწერული ტილოები მოიპარა და დედოფალს მიუტანა: ესენი ჩემი საგვარეულო საგანძურიდანაა, ფული მჭირდება და გთხოვთ ერმიტაჟის გალერეისთვის შეიძინეთო. როცა გარიგება უნდა შემდგარიყო, სწორედ მაშინ მიუსწრო პოლიციამ, ოფიცერი დადიანი სასწრაფოდ გაათავისუფლეს პოლკიდან.

და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი — ალექსანდრე დადეშქელიანის სიკვდილიდან მალე უჩამ მისი ქვრივი შეირთო ცოლად...

## აღმოსავლეთის პრინცი და ბულგარეთის გმირი

1886 წელს მსოფლიო პრესა ნიკოლოზ დადიანის სახელით აჭრელდა: ალექსანდრე III-მ ქართველ თავადს ბულგარეთის ტახტი და ჰერცოგობა შესთავაზა. 16 ნოემბერს „ივერია" წერდა: „ბერლინიდან დეპეშით იუწყებიან, სამეგრელოს მთავარს ნიკოლოზს უთქვამს, რომ თანახმა ვარ ბულგარეთის მთავრობა ვიკისროვო".

ეს მეორე შემთხვევა იყო, როცა დადიანის ბედი ბულგარეთს დაუკავშირდა. პირველად იგი აქ 1877-1878 წლებში გამოჩნდა. თავადი მინგრელსკი იმპერატორს ახლდა როგორც ფლიგელ-ადიუტანტი და ბალკანეთის ბრძოლებში იმდენად გამოიჩინა თავი, რომ ოქროს მახვილი, წმ. ვლადიმირის IV ხარისხის ბაფთიანი და წმ. ანას II ხარისხის ორდენებით დაჯილდოვდა. მაგრამ ბულგარეთის ტახტი მაინც არ ხვდა. დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, დადიანის სახელს სათანადო პატივი ბულგარელმა ხალხმა მიაგო.



ეკატერინე დადიანის მედალიონი (ოქრო, მინანქარი) ნიკო დადიანის ფერადი გამოსახულებით

1979 წლის 11 მაისს ბულგარეთის ეკლესია კირილესა და მეთოდეს მოიხსენიებს. პატრიარქმა მაქსიმემ გადაწყვიტა, ეს ბრწყინვალე დღე ქართულ ეკლესიასთან ერთად აღენიშნა. 9 მაისს ქართული დელეგაცია, ილია II-ის მეთაურობით და მასპინძლები ქალაქ შიპკას ქრისტეშობის ტაძარს ეწვივნენ. ეს ეკლესია რუსეთ-თურქეთის ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფადაა აგებული. ცნობილია, რომ შიპკის გმირულმა ბატალიამ ომის ბედი გადაწყვიტა — მას ბულგარეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენა მოჰყვა.

ქართველებს ტაძარში სტაროზაგორსკის ეპარქიის სამღვდელოება შეხვდა. მღვდელმა ენჩო ჟელიაზკოვმა თავისი მისასალმებელი სიტყვა ამგვარად დაიწყო: „აქ, შიპკაში, ბულგარელ და რუს მეომართა მხარდამხარ თავგანწირვით იბრძოდნენ ქართველი რაინდებიც. გენერალ-მაიორ ნიკოლოზ დადიანის მეთაურობით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდნენ ბულგარელი ხალხის თავისუფლებას მაიორი ჭილაშვილი, თავადი წერეთელი, კაპიტანი ვაჩნაძე, პორუჩიკი გრიგორაშვილი, კორნეტი სუმბათაშვილი და მრავალი სხვა. მათი სახელები ოქროს ასოებითაა ამოტვიფრული ტაძრის მარმარილოს კედლებზე და კიაფობს, როგორც სიმბოლო ქართველთა უჩვეულო ვაჟკაცობისა".

ქართველთა სულის მოსახსენებელი პარაკლისის შემდეგ სტაროზაგორსკის მიტროპოლიტმა პანკრატიმ აღნიშნა: „ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ანალებსა და შიპკის ეპოპეაში სამუდამოდ დაიმკვიდრა სახელი საქართველოს საამაყო შვილმა გენერალ-მაიორმა ნიკო მინგრელსკიმ და როგორც ბალკანეთის ველებზე სამუდამო ყვავილობა უწერია წითელ ვარდებს, ასევე მარადიულია ხსოვნა ქართველი გმირებისა ბულგარელი ხალხის გულებში".

## დადიანის შვილიშვილი — საფრანგეთის ეროვნული გმირი

ბრწყინვალე თავადს ნიკო დადიანს ორი შვილი დარჩა — ნიკო და სალომე. ნიკო პეტერბურგში ცხოვრობდა და რუსეთის არმიის კამერ-იუნკერი იყო. 1914 წელს მან იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწყო მუშაობა. 1917 წელს წითლებმა პეტროგრადის ციხეში ჩააგდეს, სადაც შიმშილსა და სიცივეში აღმოხდა სული. მისმა საცოლემ, ელენე ერისთავმა, ძლივს მოახერხა მისი ცხედრის გამოხსნა და ქართულ ეკლესიაში მალულად დასაფლავება. ნიკოს მემკვიდრე არ დარჩენია.

ნიკოს და, მომხიბვლელი სალომე დადიანი რუსეთის დედოფლის მეჯვარე და სეფექალი გახლდათ. 1897 წელს იგი ცოლად გაჰყვა პეტერბურგის ქალაქის თავს, გრაფ ალექსანდრე ობოლენსკის. გრაფი გენერალ იუდენიჩის თანამებრძოლი იყო და სამოქალაქო ომში მენშევიკების მხარეს იბრძოდა. თეთრების დამარცხების შემდეგ ოჯახთან ერთად საფრანგეთში წავიდა და ძალიან მალე, 1924 წელს გარდაიცვალა. დაქვრივებული სალომე დადიანი სრულიად უსახსროდ დარჩა.

მის ვაჟს, ნიკოს, პაჟთა კორპუსი და ჟენევის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. მამის სიკვდილის შემდეგ იმდენად გაუჭირდა, რომ თვითმკვლელობაც კი სცადა. 30-იანი წლების მიწურულს ოჯახმა ამოისუნთქა — ნიცაში არსებული უძრავი ქონებიდან შემოსავალი გაუჩნდა (აქირავებდა ოქტომბრის გადატრიალებამდე შეძენილ ვილას).

1940 წელს, საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, ნიკო ობოლენსკი იყო წინააღმდეგობის მოძრაობის — „სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაცია" — წევრი. ამ ორგანიზაციას გენერალ დე გოლთან ჰქონდა კავშირი, ეწეოდა დაზვერვით საქმიანობას, ხელს უწყობდა ინგლისელი სამხედრო ტყვეების საზღვარგარეთ გაქცევას, ამზადებდა რეზერვისტებსა და საბრძოლო იარაღს მოკავშირეებისთვის. 1943 წლიდან „ნიკი" (ეს იყო თავადის ფსევდონიმი) საბჭოთა ტყვეებთან და „ოსტარბაიტერებთან" ამყარებს კავშირს. 1944 წელს დადიანი-ობოლენსკი გერმანელებმა დაატყვევეს და ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. 1945 წლის ზაფხულში თავადი ამერიკულმა არმიამ გაათავისუფლა. ფრანგი ხალხის წინაშე დამსახურებისათვის სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის შვილიშვილს საპატიო ლეგიონის ორდენის ოფიცრობა მიანიჭეს, დააჯილდოეს როზეტიანი მედლით, სამხედრო ჯვრითა და ზეთისხილის რტოთი. 1963 წელს თავადმა ნიკომ უარი თქვა საერო ცხოვრებაზე და მართლმადიდებლურ ეკლესიას მიაშურა. მალე პარიზის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის დეკანოზი და ბიარიცა მონტარეს მართლმადიდებლური სასწავლებლების რექტორიც გახდა. სამეგრელოს მთავართა შთამომავალი გარდაცვალებამდე ობოლენსკების საგვარეულო სახლის საპატიო თავმჯდომარე იყო...



შარლ დე გოლი ნიკო ობოლენსკის გადასცემს ჯილდოს

*გიორგი კალანდია*
*„დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის" თავმჯდომარე*

## რას გვეტყვი, მამაო?

**— შეიძლება თუ არა დედათა წესის დროს ფსალმუნი წავიკითხო ან შინ, ხატების წინ, ლოცვისას შარვალი მეცვას?**

— საეკლესიო კანონიკით დედათა წესის დროს სიწმინდეებთან მიახლოება აკრძალული არ არის, მაგრამ ჭეშმარიტი მართლმადიდებლები თვითონ ერიდებიან ამას. ფსალმუნს შინ კითხულობენ, მაგრამ ეკლესიაში შესვლასა და ხატებთან მიახლოებას ეკრძალვიან. რაც შეეხება შარვალს: წმინდა წერილი კრძალავს შარვლით შემოსილი ქალის ეკლესიაში შესვლასა და ლოცვების კითხვას; თუმცა, რადგანაც შარვალი ასეთი მასობრივი ჩასაცმელი გახდა, ამ ეტაპზე მართლმადიდებელმა ეკლესიამ გარკვეულად შეარბილა ეს აკრძალვა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სამღვდელოებას მოსწონს, როცა ქალი შარვლით ლოცულობს. რათა პატივი მიაგოთ უფალს და თქვენს ლოცვას მეტი ძალა ჰქონდეს, გირჩევთ, ლოცვისას უფალს შესაფერისი სამოსლით მიუახლოვდეთ.

**— მეთვლება თუ არა ცოდვად დილა-საღამოს ლოცვების წაუკითხაობა. მაგ. დროის უქონლობის, ზარმაცობის, სხვაგან ყოფნის გამო.**

— დილისა და საღამოს ლოცვების წაუკითხაობა ცოდვად ნამდვილად გეთვლებათ. მით უმეტეს, თუ ლოცვებს სიზარმაცის გამო არ კითხულობთ. ეს ლოცვები ადამიანს უფალთან აახლოებს, სულს უმშვიდებს და ყოველდღიური ხიფათისგან იცავს.

მათი შესრულება ისეთივე აუცილებელი პირობაა, როგორც ვთქვათ, დილით ხელ-პირის დაბანა. განა ჩვენ ჭუჭყიანები სადმე მივდივართ? ასეთი ლოცვების წარმოუთქმელობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ ამ ლოცვების აღვლენის დროს ღვთისნიერ საქმეს აკეთებთ. ვთქვათ, გაჭირვებულ ადამიანს ეხმარებით.

**— გავიგე, რომ ახალშობილი ბავშვი, რომლის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრება, საერო პირს შეუძლია მონათლოს. თუ ეს სიმართლეა, როგორ უნდა შეასრულოს ნათლობის საიდუმლო საერო პირმა?**

— მართებული აზრი გსმენიათ: როცა ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და საეკლესიო პირის მოყვანა არ ხერხდება (ან ველარ ესწრება) ნათლობის საიდუმლო შეიძლება აღასრულოს საერო პირმა. მან ამ დროს უნდა წარმოთქვას ლოცვა: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა" და პატარას სამჯერ აპკუროს წყალი „სახელითა მამისათა", „და ძისათა" და „სულისა წმიდისათა" სიტყვებს შორის. თუკი უფალმა ინება და პატარა გამოჯანმრთელდა, ნათლობის საიდუმლოს საეკლესიო პირი აღასრულებს, ოღონდ გამოტოვებს იმ ლოცვას, რომელიც ბავშვის ნათლობის ხანმოკლე პროცესის დროს წარმოითქვა.

**— მეორედ მოსვლის ჟამს, განკითხვის დღეს გადარჩებიან თუ არა ისინი, ვინც პატიოსნად ცხოვრობს, მაგრამ მართლმადიდებელი ქრისტიანი არ არის?**

— განკითხვის დროს ყველა რელიგიის ადამიანს უფალი ჩვენი, იესო ქრისტე განსჯის. გადარჩებიან ჭეშმარიტი მართლმადიდებლები. სწორედ განკითხვის დღისთვის, უფლის წინაშე წარდგომისთვის სამზადისი იყო ის ტანჯვა, რომელიც წამებულმა წმინდანებმა და ჭეშმარიტმა მართლმადიდებლებმა გაიარეს. იესო ქრისტემ ყველას მისცა შესაძლებლობა მართალი წარმდგარიყო მის წინაშე და გადარჩენილიყო. მან ყველას ცოდვები გამოისყიდა, მაგრამ თითოეულმა თავისი გზა თვითონ აირჩია.

**— ქრისტიანულია თუ არა სერგეი ლაზარევის „კარმის დიაგნოსტიკა" და სად შეიძლება მისი შეძენა?**

— სერგეი ლაზარევის „კარმის დიაგნოსტიკა"? ქრისტიანული წიგნი არ არის. ჩვენი რჩევა იქნება მის შეძენას მოერიდოთ, რადგან უფლისკენ მიმავალ გზაზე დაგაბრკოლებთ.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# „საქართველოში ბიზნესისადმი ყველაზე მძიმე და მტრული გარემოა...“

## ინტერვიუ იგნასიო ირიბარენთან

მართალია, შალვა ნათელაშვილმა იგნასიო ირიბარენს სასამართლო პროცესი მოუგო, მაგრამ დენის ტარიფის შემცირება ჯერჯერობით, მხოლოდ 1 თეთრით მოხერხდა. უფრო მეტიც, ირიბარენი ერთი შეხედვით, პოზიციების დათმობას სულაც არ აპირებს და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, მისი საუბრიდან გამომდინარე, ანგარიშს არ გაუწევს. ამის შესახებ საქმის კურსშია თავად შალვა ნათელაშვილიც და სარჩელის შეტანას უკვე ამერიკის კონგრესში აპირებს.

სკანდალი თელასის ირგვლივ გრძელდება. „კვირის პალიტრა“ ამ საკითხებთან დაკავშირებით „ეი-ი-ეს თელასის“ გენერალურ დირექტორს **იგნასიო ირიბარენს** ესაუბრა.



— **საკონსტიტუციო სასამართლომ თქვენს წინააღმდეგ საკმაოდ სერიოზული გადაწყვეტილება გამოიტანა. საზოგადოებაში თქვენი ჩამოსვლის შემდეგ ინფორმაციაც კი გავრცელდა, რომ ამის გამო „ეი-ი-ეს თელასმა“ აქციების გაყიდვა გადაწყვიტა. თუმცა ისევ მთავრობამ დათმო და ტარიფი 1 თეთრით შეამცირა. თქვენ რა პოზიცია გიკავიათ?**

— პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, რომ მთავრობამ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ტარიფი 1 თეთრით შეამცირა, ზუსტი არ არის. თუ არ ვცდები, ნოემბრის თვეში მთავრობამ განაცხადა, რომ გაზრდილი ტარიფის სუბსიდირებას გააკეთებდა და მოსახლეობას გაზრდილ ტარიფს არ გადაახდევინებდა. მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობა დარწმუნდა, რომ ჩვენ მიერ დაწესებული ტარიფის შემცირება არ შეიძლებოდა, დათმობაზე წავიდა.

— **ეს ის ერთი თეთრია, პრეზიდენტი რომ ჰპირდებოდა მოსახლეობას?**

— დიახ. ასე რომ, საკონსტიტუციო სასამართლოსთან ამას არანაირი კავშირი არ აქვს.

— **ფაქტია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის კანონი ყველასთვის და მისი შეუსრულებლობა ნებისმიერ ქვეყანაში კანონდარღვევაა. თუ იმავე პრინციპებით გააგრძელებთ მუშაობას, გამოდის, რომ ამ ქვეყანაში კანონდარღვევით მუშაობთ...**

— ამ გადაწყვეტილებაში ჩვენ მიმართ რაიმე ბრძანება გაცემული არ არის. ასე რომ, ეს გადაწყვეტილება ჩვენ არაფერს გვავალდებულებს. უბრალოდ, სასამართლო სთხოვს სემეკს, გადახედოს ტარიფს და აგრეთვე ფიქსირებულ გადასახადებს ფართის მიხედვით. იქ არ წერია — შეამციროს თუ გაზარდოს. ჩვენ სახელმწიფოსთან ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული და იქ ყველა სამინისტროს ხელმოწერით ცალსახად წერია, რომ არც ერთი კანონი ამ კონტრაქტით არ ირღვევა. ასე რომ, ძირითადად პრობლემა აქვს მთავრობას და სემეკს. მაგრამ თუ სემეკი მიიღებს დადგენილებას, რომ შეამციროს ტარიფი, მაშინ, ჩვენ, ხელშეკრულების თანახმად, უფლება გვაქვს კომპენსაცია მოვითხოვოთ. თუმცა უნდა დავამატო, რომ მსოფლიოში ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო ჩაერია ტარიფების საქმეში.

**თუ სემეკი მიიღებს დადგენილებას, რომ შეამციროს ტარიფი, მაშინ, ჩვენ, ხელშეკრულების თანახმად, უფლება გვაქვს კომპენსაცია მოვითხოვოთ. თუმცა უნდა დავამატო, რომ მსოფლიოში ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო ჩაერია ტარიფების საქმეში.**

— **სასამართლოს დამთავრების შემდეგ მოსამართლემ და ნათელაშვილმა განაცხადეს, რომ გაუქმდა ძველი, ფიქსირებული გადასახადი და მარტის თვემდე ტარიფი მინიმუმამდე უნდა დავიდეს. გამოდის, რომ სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას თქვენთვის იურიდიული ძალა არ აქვს?**

— ეს იყო ნათელაშვილის ინტერპრეტაცია. მან ამით უკვე შეიქმნა მოლაპარაკის იმიჯი, როგორც პოპულისტი პოლიტიკოსების უმრავლესობას ახასიათებს. თუ მას უნდა ეს პოპულისტური თამაშები, კი, ბატონო, ითამაშოს, თუმცა უნდა გაითვალისწინოს, ყოველივეს რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს. ჩვენმა იურისტებმა შეისწავლეს ეს დადგენილება და მისი ინტერპრეტაცია არ არის მთლად ზუსტი.

— **მაშინ რა იყო იმის მიზეზი, რომ თქვენი ჩამოსვლის შემდეგ მთავრობასთან მოლაპარაკებამდე „ეი-ი-ეს“-ი უკვე აქციების გაყიდვაზე ალაპარაკდა?**

— „ეი-ი-ეს“-ი ამჟამად გადახედავს ყველა თავის კომპანიას — იქნება ეს უკრაინაში, ყაზახეთში, საქართველოში, სამხრეთ ამერიკაში თუ ინგლისში, ანუ აპირებს გადაწყვეტილების მიღებას, რომელ ქვეყანაში სჯობს ამ კომპანიის დატოვება თუ გაყიდვა. ამ ოთხი წლის მუშაობის შედეგებმა აჩვენა, რომ კომპანიის ყიდვის დროს შემუშავებული მოდელი საქართველოში არ სრულდება. საქართველოში ბიზნესისთვის ყველაზე მძიმე და მტრულად განწყობილი გარემოა. ჯერჯერობით, არ ვიცი — გაყიდიან თუ შეინარჩუნებენ.

— **თქვენი საუბრიდან შემიძლია დავასკვნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არაობიექტურად მიიჩნევთ?**

— მართალი გითხრათ, ამ გადაწყვეტილების მოკლე ვარიანტი წავიკითხე და ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი გავიგე, მაგრამ მე არ ვარ იურისტი, მე ინჟინერი ვარ. თუმცა ბევრი რამ უცნაურად მეჩვენება. თუ სასამართლოს შეუძლია სახელმწიფო აიძულოს დაარღვიოს საერთაშორისო ხელშეკრულება, ეს ჩვენ შანსს მოგვცემს დავის გადაწყვეტის სხვა იურიდიულ გზებს მივმართოთ.

მე მესმის ეს რამდენად დელიკატური საკითხია მოსახლეობისთვის, მაგრამ მეც ხომ უნდა გამიგონ. ფული იცით, რაზე იხარჯება? მრიცხველები სეიფში რომ ჩასვა, რათა ხალხმა არ დაამტვრიოს, ან ისეთი შეჯავშნული კაბელი გაიყვანო, რომ არ მოიპარონ. პრინციპში, მერე ეს თანხა ტარიფში აისახება. ხომ არ სჯობდა სახელმწიფოს ისეთი კანონმდებლობა შეექმნა, რომ ელექტროენერგიის მოპარვისთვის ქურდი ისჯებოდეს? მერე აღარ იქნება საჭირო ეს შეჯავშნული რაღაცები და ტარიფიც არ გაიზრდება. ჯერ კიდევ როდის ვამბობდი: ნუ დავხარჯავთ ფულს, გაამკაცრეთ კანონები.

კონტრაქტში ნათქვამია, რომ ჩვენი ინვესტიციები ოთხ წელიწადში უნდა ამოგვეღო. მიუხედავად ამისა, ჩვენი ნებით გავაორმაგეთ ეს პერიოდი და გადავავადეთ 8 წლამდე. ეს კი მხოლოდ იმიტომ გავაკეთეთ, რომ ტარიფი კატასტროფულად არ გაზრდილიყო.

— **და კიდევ ერთი კითხვა: ნიკა ლომინაძის მკვლელობა მისი ოჯახის წევრებმა თელასის საქმიანობას დაუკავშირეს. თელასში პროკურატურამ ფინანსური დოკუმენტები შეისწავლა. როგორ თვლით, რამდენად შესაძლებელი იყო, რომ ის სამსახურებრივი საქმიანობის გამო მოეკლათ?**

— ახლაც მჯერა, რომ მისი მკვლელობა სამსახურთან იყო დაკავშირებული. რომ იცოდეთ, რა კარგი პიროვნება იყო, მისი სიკვდილი ჩემთვის ყოველდღიური ტკივილია. ვიცი, რომ გამომძიებლები შეეცადნენ მოეძებნათ რაღაც პირადული მიზეზები, ან ქალი ეპოვათ, ან კაცი, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. ვფიქრობ მოკლეს იმიტომ, რომ რასაც აკეთებდა, აკეთებდა პატიოსნად. როგორც ჩანს, ვინც მისი მკვლელობა შეუკვეთა, საკმაოდ ძლიერი პიროვნებაა და არც გამოძიების ეშინია.

— **თქვენ მიმართაც იყო მუქარა, რა იყო მიზეზი, რას ითხოვდნენ თქვენგან?**

— არ ვიცი მიზეზი, მაგრამ როგორც ხედავთ, დღესაც აქ ვარ და არანაირი მუქარის არ მეშინია.

*მარინა მამისაშვილი*


MBG ემბიჯი

MICROFINANCE BANK OF GEORGIA

საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

გთავაზობთ სიურპრიზს!

ყოველი 21-ე, რომელიც გახსნის დეპოზიტს საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკში მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს, დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს.

ფილიალების ქსელი

ცენტრალური ფილიალი
თბილისი 380018
[illegible] 18
ტელ.: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 25-05-80
e-mail: mbg@mbg.com.ge

ვაკის განყოფილება
თბილისი 380079
[illegible] ქ. 8
ტელ.: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
e-mail: vake@vake.mbg.com.ge

ქობულეთის განყოფილება
ქობულეთი 384410
[illegible] ქ. 2
ტელ/ფაქსი: (8 236) 66-439
e-mail: kobuleti@batumi.mbg.com.ge

მარნეულის განყოფილება
მარნეული 383130, რუსთაველის ქ.#3
ტელ: (8 257)-2-16-00 8 (257)-2-16-50
ფაქსი: (822) 94-31-36
e-mail: info@marneuli.mbg.com.ge

დიღმის განყოფილება
თბილისი 380015
[illegible] 112
ტელ.: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
e-mail: mbgi@access.sonet.ge

ქუთაისის ფილიალი
ქუთაისი 384000
[illegible] ქ. 85
ტელ/ფაქსი: (8 231) 4-14-14; 4-51-64
e-mail: mbgk@mbg.com.ge

გორის ფილიალი
გორი, 383500, [illegible] ქ. 10
ტელ: (8 293) 9-30-64, 2-73-05, 33-46-57
ფაქსი: (8 22) 33-46-58
e-mail: info@gori.mbg.com.ge

ბათუმის ფილიალი
ბათუმი 384500 [illegible] ქ. 18
ტელ.: (8 88 222) 7-24-20
ფაქსი: (8 88 222) 7-19-54
e-mail: info@batumi.mbg.com.ge

გლდანის ფილიალი
თბილისი 380067
[illegible] 1
ტელ.: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
e-mail: gldani@gldani.mbg.com.ge

ვარკეთილის ფილიალი
თბილისი 380052
[illegible]
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
e-mail: varketili@mbg.com.ge

ფოთის ფილიალი
ფოთი 384690
[illegible] ქ. 23
ტელ: (8 293) 28-28-5, 28-28-3
ფაქსი: (8 293) 28-28-3, 28-28-4
e-mail: mbgp@internet.ge

ზესტაფონის განყოფილება
ზესტაფონი 384900
[illegible] ქ. 9
ტელ: (8 292) 510-22, 554-58
ფაქსი: (8 22) 33 36 69
e-mail: mbgz@kutaisi.mbg.com.ge

# აფხაზური შტამპები

ვალერი ხაბურძანიამ გაზეთის კორესპონდენტთან აღიარა, საქართველოს სპეცსამსახურებმა ედუარდ შევარდნაძეს არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს აფხაზეთში რუსული პასპორტების გაცემის შესახებო. არც ის აღმოჩნდა სიმართლე, თითქოს „ნორდ-ოსტში“ შეჭრილ ტერორისტებს იმავე სერიის პასპორტები



ასე გამოიყურება სოხუმის მკვიდრის პასპორტი. სწორკუთხოვანი შტამპი, საბჭოთა გერბის თავზე, ნიშნავს იმას, რომ ამ პასპორტის მფლობელი რფ-ის მოქალაქეა. რასაც რფ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრგვალი ბეჭედი ადასტურებს

ჰქონდათ, რომელიც აფხაზეთის მოსახლეობისთვის იყო გამზადებული. ეს ინფორმაცია კი აფხაზეთის ლეგიტიმური თავმჯდომარისგან თამაზ ნადარეიშვილისგან მიუღიათ. მინისტრის პრესმდივნის განცხადებით, მათი უწყება აფხაზეთში რუსული პასპორტების პრობლემებით ჯერ-ჯერობით არ არის დაკავებული. ამ საკითხზე არაფერი იცის თბილისში მოქმედმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების სამინისტრომაც. მიუხედავად ამისა, შევარდნაძემ უკვე გააკეთა რუსეთის მიმართ მკვეთრი განცხადება — თბილისი მოსკოვის ქმედებას მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიის ანექსიად აღიქვამსო. შევარდნაძის ეს არაორაზროვანი გამოსვლა აფხაზეთში მოსახლეობის საყოველთაო აღწერას დაემთხვა. აუღიარებელი რესპუბლიკის ხელისუფალნი ამ აღწერის პოლიტიკურ შედეგებზე დიდ იმედს ამყარებენ. როგორც აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი შამბამ განაცხადა, „აფხაზეთის მოსახლეობის 80% უკვე რუსეთის მოქალაქეა“. თუ აღწერამაც ეს დაადასტურა, აფხაზეთს რუსეთის გავლენის მკვეთრი ზრდის იმედი გაუჩნდება. აღწერის შედეგები ალბათ შთამბეჭდავი იქნება, რადგან გამოირკვევა, რომ თითქმის ყველა რუსეთისკენ ილტვის. როგორც რუსეთში აფხაზეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იგორ ახბამ განაცხადა, „რუსეთმა, აფხაზურ მხარესთან ერთად, უნდა უზრუნველყოს რფ-ის საზღვრებს გარეთ მცხოვრები თავისი მოქალაქეების უსაფრთხოება“. მისმა მრჩეველმა ტატიანა გულიამ დასძინა: „რუსეთს მორალური და პოლიტიკური უფლება ექნება, დაიცვას ისინი მესამე მხარისგან“. ვინ არის ეს მესამე მხარე, ყველასათვის ნათელია...

მაგრამ გაირკვა — აფხაზეთის მოსახლეობისთვის რუსეთის ახალი პასპორტების გაცემის საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია. ტატიანა გულიას თქმით, აფხაზეთის დიდ ქალაქებში, რუსულ სათვისტომოებთან, გახსნილი იყო პუნქტები, სადაც რეგისტრაცია გაიარა 180-მა ათასმა ადამიანმა, მათ შორის, აფხაზეთში მცხოვრებმა ომის შემდეგ დაბრუნებულმა ქართველებმაც. მათი პასპორტები სოჭში, საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ განყოფილებაში იგზავნებოდა, სადაც შესაბამის შტამპებს ურტყამდნენ. როგორც გაირკვა, რუსეთის მოქალაქის სტატუსის მისაღებად საკმარისია, საბჭოურ პასპორტებში ჩაისვას შტამპი „რუსეთის მოქალაქე“. მერე კი პასპორტის პატრონს შეეძლება, განცხადების საფუძველზე, რუსეთის ნებისმიერ ქალაქში აიღოს რფ-ის პასპორტი.

ეტყობა, შტამპის ლეგიტიმურობის აღიარება პოლიტიკურ საკითხად რჩება, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ მოსკოვს შეუძლია, რასაკვირველია, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე...

***ნეზავისიმაია №3***

# უცხოური პრესა პანკისელი „ქიმიკოსების“ შესახებ




თბილისში კატეგორიულად უარყოფენ ბრიტანულ გაზეთ „სანდი ტაიმსში“ გამოქვეყნებულ ცნობას იმის შესახებ, რომ ერთი კვირის წინ ლონდონში დაკავებულმა ბოევიკებმა, რომელთაც ბრალი ედებოდათ მეტროში ქიმიური შეტევის მომზადებაში, წვრთნა პანკისის ხეობის „ტერორისტულ აკადემიაში“ გაიარეს. გაზეთის ცნობით, ავლანეთიდან გამოქცეულმა „ალ-ქაიდას“ ტერორისტებმა ჩეჩნეთსა და საქართველოში, კერძოდ, პანკისის ხეობაში, სამხედრო ბანაკები შექმნეს, სადაც მომწამვლელი ნივთიერების გამოყენებასაც სწავლობდნენ.

პრეზიდენტმა შევარდნაძემ ბრიტანული მედიის ცნობების კომენტირებისას განაცხადა, — საქართველოს სპეცსამსახურებმა იცოდნენ, რომ პანკისში იყო ორი ადამიანი, რომელთაც შეეძლოთ მომწამვლელი ნივთიერებით ტერაქტების მოწყობა, მათ თვალყურს ადევნებდნენ, მაგრამ ტერორისტები გაუჩინარდნენო. საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანი აცხადებს, რომ მისი უწყება დიდი ხანია თანამშრომლობს საზღვარგარეთის, მათ შორის, ბრიტანეთის და საფრანგეთის სადაზვერვო სამსახურებთან, მაგრამ „სანდი ტაიმსის“ ცნობის მსგავსიც კი არაფერი შეუტყობინებიათ უცხოელ კოლეგებს. მისივე ცნობით, პანკისის ხეობაში არასოდეს ყოფილან იმ ქვეყნის წარმომადგენლები, რომელსაც ინგლისური გაზეთი ასახელებს. რაც შეეხება ავლანელებს, იოსელიანი ადასტურებს, რომ თავის დროზე იქ 18 წლის ავლანელი აღმოაჩინეს, მაგრამ მერე ჩეჩნეთში წავიდა და კაცმა არ იცის, ცოცხალია თუ მკვდარი. თბილისი კატეგორიულად უარყოფს გაზეთის ბრალდებას — თითქოს ტერორიზმთან ბრძოლის ბრიტანელი ექსპერტები მონაწილეობდნენ რეიდებში, რომელიც პანკისის ხეობაში ტარდებოდა ავლანეთიდან გამოქცეული ბანდიტების აღმოსაჩენად.



## ESTRELLA DIGITAL

მოსკოვმა ისარგებლა ლონდონში რიცინის შენახვისთვის დაკავებული ალჟირელების გამო ატეხილი სკანდალით და განაცხადა, — ამ საქმეში ჩეჩენი ბოევიკების ხელი ურევიაო. კრემლის პრესმდივანმა სერგეი იასტრჟემბსკიმ ჟურნალისტებს შეატყობინა, რომ რამდენიმე დღის წინ გაანადგურეს ჩეჩენ ბოევიკთა ჯგუფი, ერთ-ერთს აღმოაჩნდა მომწამვლელი ნივთიერებების და, მათ შორის, რიცინის შინაურ პირობებში დამზადების ინსტრუქცია. ამის პასუხად ჩეჩნებმა თავის ოფიციალურ საიტზე რუსეთის ამ გამოხდომას „პროპაგანდისტული ბლეფი“ უწოდეს, თან შეახსენეს, რომ რიცინი თავის დროზე „კგბ“-ს საიდუმლო ლაბორატორიებში შეიქმნა.

რუსეთის მედიამ კი, დასავლეთის წყაროებზე დაყრდნობით, სასწრაფოდ გაავრცელა ცნობა, რომ ლონდონში დაკავებული ალჟირელები უთუოდ ჩეჩნეთსა და საქართველოში, კერძოდ კი, პანკისის ხეობაში გაივლიდნენ მომზადებას, სადაც ჩეჩენი ბოევიკები იმალებიანო. მაგრამ ზოგიერთი გამოცემა, მაგალითად, „გრანი.რუ“, სკეპტიკურად მიუდგა ამგვარ განცხადებებს — მოსკოვის მიზანია, ყველგან და ყველაფერში აუცილებლად „ჩეჩნური კვალი“ აღმოაჩინოსო.

## DIE WELT

საქართველოს სპეცსამსახურებმა უცხოელ კოლეგებს შეატყობინეს — პანკისის ხეობაში ბოევიკთა სასწავლო ბანაკები იყო და იქ იარაღის ხმარებასა და მომწამვლელი ნივთიერებების დამზადებას სწავლობდნენო. მანამდე კი საქართველოს უშიშროების სამსახურის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, — პანკისის ხეობაში „ალ-ქაიდას“ ტერორისტული ორგანიზაციის საიდუმლო ლაბორატორია აღმოჩნდა. თურმე „ალ-ქაიდა“ აფინანსებდა სამხედრო ჰოსპიტალსაც და სასწავლო ბანაკსაცო. ასე რომ, რიცინსაც რუსების ცხვირწინ აწარმოებდნენ.

საგულისხმოა, რომ ფხვნილისებური რიცინი ფართო გამოყენებისთვის არ გამოდგება. თანაც ამ მომაკვდინებელი საწამლავის დასამზადებლად პანკისის ხეობაში არც ტექნიკური და არც პერსონალური შესაძლებლობები არ არის.

## FINANCIAL TIMES

ისლამისტი ბოევიკები, რომლებიც კავკასიის ბანაკებში ქიმიურ იარაღს ამზადებდნენ, მათ შორის რიცინსაც, რუსეთის გავლით — დასავლეთ ევროპისკენ მიემართებიან. უკვე ეჭვს არ იწვევს, რომ კავკასიაში მოქმედ ბოევიკებს კავშირი ჰქონდათ „ალ-ქაიდასთან“ და ერაყში არსებულ დაჯგუფება „ანსარ ალ-ისლამთან“. დასავლეთის დაზვერვა დიდი ხანია, ვარაუდობს, რომ ლონდონში რიცინი პანკისიდან მოხვდა. საქართველოს უშიშროების მინისტრ ხაბურძანიას აღიარების შემდეგ, ეს ეჭვი უფრო სარწმუნო გახდა. „ჩვენ არაბ და ჩეჩენ ბოევიკებს მოველაპარაკეთ, რომ სისხლის ღვრის გარეშე დაეტოვებინათ ჩვენი ტერიტორის“, — თქვა ხაბურძანიამ.

არადა, თავის დროზე საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, ყველა ბოევიკი დაპატიმრებული ან განადგურებულიაო...

***მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***





ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები ბრძნობენ

***

**პატარა ნიკო კოზიაშვილმა** ბებოს შემთხვევით ველოსიპედი დაასჯახა. ბებომ დაარიგა, — ფრთხილად იყავი, ხომ იცი ფეხი მტკივა და არ მომტეხო.

— ნუ გეშინია, ბებო, მე ხომ წებო მაქვს და დაგიწებებ.

***

**2 წლის ნაზი მამისაშვილმა** მშობლებთან ერთად, მატარებელში მგზავრობისას გააკვირვა მგზავრები ბევრი ლექსის ცოდნით. ერთ-ერთი მგზავრის კითხვაზე, რა გვარი ხარო, დაუფიქრებლად უპასუხა: — დედისაშვილი.

***

**3 წლის მარი მხეიძე** დედას ეკითხება:

— დედიკო, შენ გათხოვილი ხარ თუ გაუთხოვილი?

***

დედა საახალწლო ნაძვის ხეს ურთავს გვანცა და გიორგი ბარამიძეებს. **3 წლის გვანცა** ათამაშებს თოვლის ბაბუას, წვერზე ეფერება და ესაუბრება, ბოლოს, თამაში რომ მოსწყინდა, თოვლის ბაბუას მიმართა: „მოდი, ჩემო შევალდნაძე, მოგეფერო კიდე ელთხელ, ლა უნდა მაჩუქო?!

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „წყნარად მოდის, ჩუმად ჯდება, დათბება და ატირდება".

III



## ძვირფასო მშობლებო!

**იქმნება თანამედროვე საბავშვო პერსონაჟი ბუთქუნა. თქვენი შვილი შეიძლება ბუთქუნასა და მისი მეგობრების პროტოტიპი აღმოჩნდეს. ასე რომ, „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნეთ ბავშვების ფოტოები, სადაც ისინი დაახლოებით 4 წლისანი არიან და დაელოდეთ ბუთქუნას!**



მოძებნე ზემოთ მოცემული დეტალები ნახატზე

## I ანა, გამოიცანი

**1) რომელი ხალხი წერდა იეროგლიფებით?**

ა) ინდოელები; ბ) ეგვიპტელები; გ) მონღოლები; დ) თურქები.

**2) რისი სიმბოლოა ოლიმპიურ დროშაზე გამოსახული 5 წრე?**

ა) კონტინენტების; ბ) ქვეყნების; გ) ოკეანეების; დ) სპორტული ფედერაციების.

**3) როგორ სიტყვაზე ითქმის გონებამახვილური, მოსწრებული?**

ა) ნისკარტიანი; ბ) კუდიანი; გ) ფრთიანი; დ) ბრჭყალებიანი.

**4) რომელია ზედმეტი?**

ა) შმაგი; ბ) გადარეული; გ) მშვიდი; დ) გამძვინვარებული.

**5) რას ნიშნავს გამოთქმა „იუდას ამბორი"?**

ა) მოფერებას; ბ) ღალატს; გ) სიკეთეს; დ) სიყვარულს.

**6) რა ეწოდება ავტორის მოგონებებს პირადი ცხოვრებისა და მისი დროის საზოგადოების შესახებ?**

ა) ავტოგრაფი; ბ) ნარკვევი; გ) კორესპონდენცია; დ) მემუარები.




## იპოვე 9 განსხვავება









## II რებუსი




ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო"

## ჩიავორდი

| მზაკვარი, მუხანათი, ცბიერი | კონკურსის „მსაჯები" | იგივეა, რაც პატიმრის საკანი | დიდი ქვეწარმავალი | ქალის სახელი |
|---|---|---|---|---|

| უბანი თბილისში | ... დასაქმე და თან გაჰყევიო (ანდ.) | თვლებიანი მომცრო საზიდარი | ნ. ბარათაშვილის ცნობილი ლექსი | ხახის ლორწოვანი გარსის ანთება | ხის ჯიში |
|---|---|---|---|---|---|

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

CMYK





**— ბატონო ელდარ, დარწმუნებული ვარ, ყველას გული სწყდება, რომ თქვენს მთავარ საქმეს მოსწყდით. თქვენნაირი რეჟისორი, ისეთ მნიშვნელოვან სამსახურშიც კი, როგორიც პარლამენტია, არ უნდა ცდებოდეს...**

— რა ვქნა, დღეს რომ ფილმის გადაღება შეუძლებელია... ამას ნახევარი მილიონი დოლარი მაინც სჭირდება. ზოგჯერ ჩემი ახალგაზრდა კოლეგები ყოველგვარი მომზადებისა და საშუალებების გარეშე ხტებიან წყალში — აბა, თუ გავცურავთო. ზოგმა გაცურა კიდეც, მაგრამ ეს კინოს გადაღება არ არის. ხელოვნების დარგებში ყველაზე ძვირად ღირებული არის კინო. საბჭოთა პერიოდში კინოსთან დამოკიდებულებაში ბევრი უარყოფითი, მაგრამ ბევრი დადებითიც იყო; ჩვენ სწორედ მაშინ შევძელით, „შერეკილებში“ აგვეფრინა ცათმფრენი. აბა, ახლა ეცადე და ააფრინე! მარტო ის კადრები, სადაც ცათმფრენი დაფრინავს, მილიონი დოლარი დაჯდებოდა. როცა სახელმწიფო მთელ კინოს 500.000 ლარს გამოუყოფს, რაზე შეიძლება იოცნებო? ეს თანხა გაჭირვებით შეიძლება ეყოს ფილმს, რომელშიც მხოლოდ 2-3 მსახიობი იქნება დაკავებული.

მუდმივად უნდა იფიქრო არა ხელოვნებაზე, არამედ ფულის ეკონომიაზე. ამას სჯობს, არ იმუშაო. ეს იგივეა, კარგ მხატვარს წაართვა პალიტრა და მისცე 2-3 ფერი. დახატავს, რა თქმა უნდა, მაგრამ ვაი, ამ დახატვას.

**— როგორც ხელოვანი, ამ სიტუაციის შემხედვარე, შინაგანად ძალიან ცუდად უნდა იყოთ ... შემოქმედებითი უმოქმედობა ხომ საშინელებაა...**

— მაგრამ ახლა ჩვენ საინტერესო ნაბიჯებს ვდგამთ. მოგეხსენებათ, სხვანაირი ცხოვრება მოვიდა და აკრძალული მაქვს პიროვნების დასახელება, რომელმაც დააპირა სტუდიის ჩამოყალიბება. ამ მდიდარი ქართველის თანადგომით ვაპირებთ 12 მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღებას. კონკურსიც გვქონდა გამოცხადებული. მარტში გადაღებებს დავიწყებთ. ვიწყებთ ტექნიკის შეძენას, სტუდიის შენობის მშენებლობას. მე ამ კინოსტუდიის პროდიუსერი ვარ. ჩემი გამოცდილება მაძლევს ამის საშუალებას, თუმცა ბევრი რამ არ ვიცი, ვსწავლობ. ახლა სულ სხვა კინემატოგრაფიაა. ამ ათ წელიწადში, როდესაც ქართული კინო დაძაბუნდა, დიდი ცვლილებები მოხდა. „მოსფილმი“, „ლენფილმი“ სულ სხვა, ახალი ტექნიკით აღიჭურვა. ჩვენც გვჭირდება დანაკარგის ანაზღაურება, უცხოელი პარტნიორების მოძებნა.

**— არ გიცდიათ უცხოელი პარტნიორები მოგეძებნათ?**

— მე წარვუდგინე ჩემი ჩანაფიქრი ნოტერდამის ფესტივალთან არსებულ ფონდს. 400 წარდგენილი პროექტიდან 40 მიიღეს. იმ ორმოცში იყო ჩემიც, მაგრამ... თუკი არ გაქვს თანხის 1/4 მაინც სახელმწიფოსაგან, არც კი დაგელაპარაკებიან. მაშინ უნდა მიჰყიდო შენი სცენარი და ისინი თავად გადაიღებენ ფილმს... მე კი არაფერი გამაჩნდა, ჩანაფიქრის გარდა.

**— თქვენ გიცნობენ მსოფლიოში. თუკი მოინდომებდით, მოგცემდნენ მუშაობის საშუალებას, ისე, როგორც ოთარ იოსელიანს მისცეს.**

— იოსელიანი სხვა ამბავია. ის იდეალურად ფლობს ფრანგულს. მისი ბებია და ბაბუა სუფთად ლაპარაკობდნენ ფრანგულად და ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ ფრანგულს. ენის ცოდნა ბევრს განაპირობებს. ისინი კი მიცნობენ, მაგრამ მე ხომ ფრანგულ ფილმს ვერ გადავიღებ...

**— თქვენ რატომ არ იცით უცხო ენა, ალბათ ცელქობდით და არ ისწავლეთ, თორემ ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას ოჯახში ამისი საშუალება გექნებოდათ...**

— დედა სულ ცდილობდა მესწავლა, მაგრამ მე ვიყავი ჭირვეული პიროვნება... სამაგიეროდ, ჩემმა უმცროსმა ქალიშვილმა აანაზღაურა. ენები ისწავლა. ჩემი ძმა გიორგი უფრო დალაგებული იყო, ფრიადებზე სწავლობდა. მე გატენილი ვიყავი ორიანებით. თუ მაინტერესებდა საგანი, ვსწავლობდი. რაც შეეხება მათემატიკას — ვერ ვიტანდი (საუბარში ელდარ შენგელაიას მეუღლე, ქალბატონი ნელი ჩაერია: ჰოდა, როგორიც იყო ახალგაზრდობაში, დღესაც ასეთია: ცელქი, ჭირვეული, მათემატიკის გაგებაში არ არის, ფულს ვერ ითვლის... არც აქვს დასათვლელად, სხვათა შორის)...

**— ამ სიკეთესთან ერთად, რაც თქვენ ბრძანეთ, ბატონო ელდარ, ჩხუბიც გყვარებიათ ყმაწვილკაცობაში...**

— დღემდე მაქვს სახეზე ნაიარევი, რომელიც ჩხუბის შემდეგ დამრჩა. მაშინ მოდაში იყო, სამართებლის პირებს თითებშუა ჩაიდებდნენ და სახეზე გაუსვამდნენ ხოლმე მოწინააღმდეგეს. ასეთი იარაღის კვალი მაქვს სახეზე...

**— წარმომიდგენია, რა საშინელ დღეში და ნერვიულობაში გეყოლებოდათ ქალბატონი ნატო...**

— დედა გამწარებული მყავდა. ძალიან მიყვარდა, მაგრამ ხასიათს რაღას უზამ კაცი! წესიერებით ორივე ძმა მჯობდა. ჩემი უფროსი ძმა — თენგიზი, არის ერთადერთი ნორმალური კაცი ოჯახში იმიტომ, რომ ინჟინერია. გიორგი, როგორც გითხარით, კარგად სწავლობდა, მე ვიყავი სადავიდარაბო. 12 წლის რომ ვიყავი, დედამ გამამწესა სუვოროვის სამხედრო სკოლაში. ეს რომ გავიგე, შინიდან გავიქეცი და 6 დღე ვიმალებოდი სხვენში. დედა მთელ ქალაქში მეძებდა. მერე შემომითვალა, ოღონდ დაბრუნდი და არსად არ გაგიშვებო. ჩემს ცელქობას და ურჩობას, ასე მგონია, ჩემმა დაობლებამაც გარკვეულწილად შეუქმნა პირობა. მამა რომ გარდაიცვალა, გიორგი 4 წლის იყო და მთლიანად დედას მიეკედლა. მე 9 წლის ვიყავი. ეს სხვა ასაკია. მამა დღესაც კი მაკლია. ახლა უკეთ მესმის მისი.

**— მამათქვენი არაორდინარული და გამორჩეული პიროვნება ყოფილა. ამბობენ, ზოგჯერ პიჯაკს გადმობრუნებულს იცვამდა და ლექსებს ხეზე ასული კითხულობდაო.**

— მასზე ლეგენდები დადიოდა. უნდა გენახათ, როგორი იყო მამა, როცა სტუმრები გვყავდა შინ. მაშინ ის მეფე იყო. მიდიოდა ქეიფი, დროს ტარება, ექსპრომტები. ერთი რამ დამამახსოვრდა: რუსთაველის კინოთეატრთან ახლოს ვცხოვრობდით. რაღაც ფილმი ნახეს ჩემმა მშობლებმა და მათმა მეგობრებმა და ჩვენთან ამოვიდნენ. ქალბატონმა ვერიკო ანჯაფარიძემ და მამაჩემმა ისე იჩხუბეს ფილმის გამო, რომ ბოლოს, ვერიკომ სკამი მოუღერა. თავისებური, კოლორიტული პიროვნება იყო მამაჩემი. იმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ პოეტი იყო. ნანობდა, რომ ლიტერატურას თავი დაანება. 42 წლისა გარდაიცვალა. იცით, როგორი ჯანმრთელი იყო?! ჭიდაობა უყვარდა. გადაღების დროს, შესვენებისას, მოაწყობდა ჭიდაობა-შეჯიბრს. ერთი სურათი დაუხურეს, მეორე, მესამე, მეოთხე... აბა, ერთი, ძალით ქალს ამოუგლიჯონ საშოდან ნაყოფი, რა მოუვა? მისი თაობიდან ბევრი შეეწირა ცენზურას. მასაც გულმა უმტყუნა. ომი რომ დაიწყო, მამამ განცხადება შეიტანა, წასვლა უნდოდა მოხალისედ. არ გაუშვეს, დარჩი, კინო გადაიღეო. დედა ამბობდა: ნეტა წასულიყო, შეიძლება, ყველაფერი მომხდარიყო, მაგრამ იმ ინტრიგულ ვითარებას მოსწყდებოდა, რაც ხელოვნებაში ხდებოდაო.

გადაღებიდან ბრუნდებოდნენ. ისეთი დრო იყო, მამა მძღოლადაც მუშაობდა. დიდი მანქანა ჰყავდა. ზედ გასანათებელი აპარატურა იდო, ე.წ. „ტრიოხტონკა“ (ამ სახელს მისი სიმძიმის გამო ეძახდნენ). წარმოიდგინეთ, რა ძალას მოითხოვდა საჭის ტრიალი... გული ცუდად გაუხდა, კაბინიდან გადმოიყვანეს და ჰაერზე დააწვინეს. ასეთ ვითარებაში წავიდა მამა. პატარა ვიყავი, მაგრამ მამაჩემის პიროვნებას ვგრძნობდი. მინახავს, როგორ წერდა სცენარს. შევპარულვარ მის ოთახში, კუთხეში დავმჯდარვარ... მინახავს, როგორ ესაუბრებოდა სცენარისტებს! მახსოვს, ერთხელ შალვა დადიანი იყო ჩვენთან. რაღაცას წერდნენ. ცხოვრება ჭირდა. უხარისხო ქაღალდი და მელანი იყო. მე გადავწყვიტე, მამისთვის ეს პრობლემა გადამეჭრა. შინ გვქონდა ძვირფასი წიგნი — შექსპირის გრავიურებიანი გამოცემა. ამ გრავიურებს ქაღალდი ფარავდა. მივედი, ამოვხიე ეს ფურცლები და მივუტანე მამას, — ამაზე დაწერე-მეთქი. ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოუვიდოდა?

**— ისეთ გარემოში იზრდებოდით, ბევრი საინტერესო ადამიანი გემახსოვრებათ.**

— მამა ლიტერატურული წრიდან იყო მოსული კინოში. მეგობრობდა მწერლებთან, პოეტებთან... მერე დედამაც გააგრძელა მათთან მეგობრობა. რა დამავიწყებს ძია გოგლა ლეონიძეს, ძია სერგო კლდიაშვილს... ერთხელ ქობულეთში ვიყავით. სერგო კლდიაშვილი სცენარს წერდა მამაჩემისთვის. ბუხარი ენთო. ძია სერგოს ხელი დაეწვა. სასწრაფოდ მიმარბენინეს მასთან. მითხრეს, — ხელზე დააშარდე, ეს წამალიაო. ვერ შევძელი. როგორ უნდა გამეკეთებინა ეს ძია სერგოსათვის, რომელზედაც ვგიჟდებოდი, ისე მიყვარდა. ბევრი მაგულიანეს, ე, ბიჭო, ქენიო, მაგრამ მოვკვდი და ვერ ვქენი. ძალიან თბილად დამამახსოვრდა აკაკი ხორავა. მამა რომ აღარ იყო, დიდ სიყვარულს იჩენდა ჩემდამი. მე უკვე ნანახი მქონდა „ოტელო“ და რომ შევიდოდი მასთან, ენა მივარდებოდა მუცელში. რამაზ ჩხიკვაძეც ამას არ ამბობს?! ერთხელ მას რეპლიკა უნდა ეთქვა აკაკი ხორავასათვის — „არა!“ ბატონმა აკაკიმ რომ უთხრა რაღაც, იმდენად დაიბნა, „კი, ბატონოო“, — უპასუხა. უცნაური, საინტერესო ადამიანი იყო აკაკი ხორავა. დიდი პაუზის მერე მიხეილ ჭიაურელმა მიიწვია „რაც გინახავს ველარ ნახავ“-



ში. გახსოვთ ალბათ, იქ ყარაჩოხელს თამაშობს. მაშინ მე დამწყები რეჟისორი ვიყავი, მხოლოდ „თეთრი ქარავანი“ მქონდა გადაღებული. დამიძახა აკაკი ხორავამ და მითხრა: ერთი ჩემს კოსტიუმს შეხედე, თუ ვარგაო. მერე ჩამეკითხა: ნეტა, საერთოდ სწორად მოვიქეცი, გადაღებაზე რომ დავთანხმდიო? ვუთხარი: რას ბრძანებთ, სცენარი წამაკითხა მიხეილ ჭიაურელმა და ვიცი, ძალიან კარგი სახე იქნება-მეთქი. ჩვენ ვიცით თქვენი „ოტელო“, „გიორგი სააკაძე“... აქ ხასიათის სიუხვეა საჭირო და თქვენ ამას კარგად გააკეთებთ-მეთქი. ვნახოთ, ვნახოთო...

ურთიერთობები შესანიშნავ ხალხთან სწორედ რომ არ მაკლდა.

**— ახლა უშუალოდ თქვენს ფილმებზე ვისაუბროთ, თქვენს მუშაობაზე...**

— სტალინის დროს დიდი ცენზურა იყო. ჩვენ შედარებით უკეთეს დღეში ვიყავით. ჩემს დროს მიდიოდა შეჯიბრი: ვინ უფრო ჭკვიანია, ცენზურა თუ ჩვენ. ერთმანეთს ვატყუებდით. სცენარში ერთს ვწერდით და სხვას ვიღებდით. ბევრი ხერხი გვასწავლა ცხოვრებამ... ხელოვნება არის ფორმის ძიება, კინოენა სწორედ ამას ჰქვია. ეიზენშტეინს უკვირდა: ჩვენ ფორმას ვეძებთ, ხელისუფლება კი ფორმის ძიებაში გვდებს ბრალსო...

**— თქვენი პედაგოგი ხომ არ იყო ეიზენშტეინი?**

— ეიზენშტეინი გარდაცვლილი იყო, მე რომ ვგიკ-ში მივედი. ის ჩემი მშობლების მეგობარი იყო. კარგად მახსოვს მისი გარდაცვალების დღე. დედაჩემმა ისე დაიტირა, როგორც მეგრელი ქალები ტირიან ხოლმე — ხმით. ეიზენშტეინი მართლა არაჩვეულებრივი მოვლენა იყო კინოში.

**— თქვენ კინოს სახლში საინტერესოდ გაქვთ მოწყობილი კაბინეტი. ეს თქვენი შინაგანი სამყაროს ერთ-ერთ გამოვლინებად მიმაჩნია. იქ ვნახე ანდრეი ტარკოვსკის სურათი...**

— მე და ანდრეი ტარკოვსკი ახლო მეგობრები ვიყავით. გულჩათხრობილი კაცი იყო, თუმცა შინაგანად სულ იწვოდა. ბევრი მეგობარი არ ჰყავდა. მე უკვე I კურსზე ვსწავლობდი, ის მისაღები გამოცდების ჩაბარებას აპირებდა. ცოტა ჩემზე უფროსი იყო. მამამისი ცნობილი პოეტი გახლდათ და აქედან ვიცნობდით ერთმანეთს. ანდრეის ვუთხარი: პატარა მუნჯ ფილმს ვიღებ და მოდი, ითამაშე-მეთქი. დამთანხმდა. საინტერესო იყო გამხდარი ანდრეი ტარკოვსკი ტრუსით და მაისურით კალათბურთელის როლში... გული მწყდება, ის ფირი რომ გაქრა.

**— არ შემიძლია არ გკითხოთ, იქვე გურამ პეტრიაშვილის სურათიც გიკიდიათ „ცისფერი მთებიდან“... ისიც მეგობარია?**

— ამ კაცმა იმდენი მაქო, უხერხულიც კია, საპატიო ადგილი არ მივუჩინო.

**— რაც შეეხება, ყველაზე მთავარს. მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ „გრენლანდია“, რომელზეც „ცისფერ მთებში“ ამდენი იძახეს, — გაიტანეთ, გაიტანეთო, დღეს თქვენს კაბინეტში კიდია, თქვენი სავარძლის თავზე...**

— ფილმებში ხშირად ბევრი ისეთი ნივთი ხვდება, რომელთა შემდეგ განადგურება და დაკარგვა, ჩემი აზრით, არ შეიძლება. ასეთია „გრენლანდიაც“. ფილმში კი უნდა გაიტანონ, მაგრამ ცხოვრებაში უნდა დარჩეს, არ უნდა გაიტანონ. კინოსტუდიაში ამისი კულტურა არ არსებობდა. წარმოიდგინეთ, ნაწვალები ცათმფრენი, რომელიც მოსკოვში სერიოზული მეცნიერების გაკეთებულია, გაანადგურეს, დამალეს, მას რომ აეროდინამიკური თვისებები არ ჰქონოდა, ვერ წაიღებდა შვეულმფრენი. ტრიალს დაიწყებდა და შეიძლება შვეულმფრენიც ჩამოეგდო. გათვლილი უნდა ყოფილიყო ყველაფერი. რატომ დამალეს ასეთი ცათმფრენი? საჭმელს ითხოვდა თუ სასმელს? ყოფილიყო, მდგარიყო თავისთვის, ბავშვები ნახავდნენ. ასეთი დამოკიდებულება იყო ყველაფრის მიმართ. ბიუსტები, რომლებიც დავუკვეთეთ და გავაკეთებინეთ „არაჩვეულებრივი გამოფენისათვის“, დაანგრიეს. გაძარცვეს სტუდია... სსრკ-ის შექმნას რეპრესიები, კერძო ქონების ჩამორთმევა მოჰყვა... უნიკალური ნივთები გადასცეს კინოსტუდია „ქართულ ფილმს“. მახსოვს, დედაჩემის დროს, შევდიოდი სარეკვიზიტოში და თავი მუზეუმში მეგონა. იქ იყო: ხალიჩები, ჩოხები, სამკაულები, ნამდვილი ჩიხტიკოპები... ყველაფერი გაქრა. მოიპარეს, გაყიდეს, დაჭრეს, რა ვიცი, რა ქნეს. „ცისფერ მთებში“, ერთი „გრენლანდია“ გვქონდა. ავიღე და წამოვიღე. ასე შერჩა ჩემს კაბინეტს.

**— მინდა მოგილოცოთ დაბადების დღე, 26 იანვარს 70 წლის ხდებით და წამით უკან მიხედვა გთხოვოთ, წარსულისაკენ...**

— ბედნიერი ვარ, რომ მახსოვს დახვეწილი სამყარო, რომელსაც რაღაცნაირად მოვესწარი. ერთმა თქვენმა კოლეგამ მკითხა საინტერესო რამ: პიპინია გაბრიაძის და თქვენი ფანტაზიის ნაყოფია თუ ასეთი ადამიანები არსებობდნენო. დღევანდელ ჟურნალისტს ვერ წარმოუდგენია, რომ ასეთი ადამიანები დადიოდნენ ქუჩაში. მართალია, ეს სახეა, მაგრამ მისი პროტოტიპები არსებობდნენ.

**— ამბობენ, ერთ-ერთი პროტოტიპი ვალიკო ერისთავი იყო, იმერეთის მეფის ოჯახის ახლო ნათესავი...**

— დიახ და ამისთანას ბევრს ვიცნობდი. ბევრი ასეთი ადამიანი სტუდიაში მინახავს... მაგალითად, ირაკლი ერისთავი... სულ სხვა ყაიდის, სხვანაირად ზრდილი და ღირსეული ადამიანები იყვნენ. მოჰქონდათ სულ სხვა სიდარბაისლე, თავისებურება, რომელიც მერე გაქრა, აღარ არსებობს. საუბედუროდ, დღეს სხვა ყოფაში ვართ. მარტო იმისი ნახვა რად ღირდა, ჩემი მეგობრის, გურამ ლორთქიფანიძის ოჯახში რომ შევიკრიბებოდით. მამამისს „კაი კოწიას“ ეძახდნენ. დასხდებოდნენ ბატონ კოწიასთან მისი მეგობრები. კუთხეში ვისხედით და ვუსმენდით. ან რა სიმღერას იტყოდნენ, ან როგორ მოილხენდნენ პატარა ჭიქებით. ისე აიშლებოდნენ, რომ ვერც შეატყობდით, იქეიფეს თუ არა... რა სიყვარულს, პატივისცემას გამოხატავდნენ ერთმანეთის მიმართ, რა სიტყვა-პასუხი იცოდნენ. როცა პიპინიას როლზე ვფიქრობდი, თვალწინ მედგნენ ყველანი: ახლობლები, ბაბუები, ბებიაჩემის ძმები...

ასეთ ადამიანებს რომ ვიცნობდი, ეს დამრჩა სულის სიმდიდრედ...

*ლელა ჯიჯაშვილი*

DURA LEX
SED LEX

# სასამართლო ქრონიკა

ყოველთვიური ჩანართი N19 20.01.2003

# კორუფციაში გამოცდილი პროკურატურა სამართლებრივ გამოცდას გადის



ქეთი ელბაქიძე

**2002 წლის 30 ნოემბერი – ამ დღეს პროკურატურის თანამშრომლები პირველად გავიდნენ საკვალიფიკაციო გამოცდაზე. სხვა ქვეყნის სამართალდამცავებისთვის შეიძლება ეს ფაქტი აღნიშვნის ღირსი არც გამხდარიყო, ზოგ ქვეყანაში ტესტირება ჩვეულებრივი მოვლენაა, ზოგან კი უნივერსიტეტის დიპლომი უკვე ნიშნავს უმაღლეს „სერტიფიკატს". მაგრამ ქართული „პროკურორული" რეალობა მკვეთრად განსხვავდება განვითარებული ქვეყნების კოლეგების მუშაობისა და ცხოვრების სტილისგანაც კი.**

## ორი იმპიჩმენტის ისტორია

პროკურატურის გამოცდებს წინ რამდენიმეწლიანი პოლიტიკური დაპირისპირება უძღოდა.

ორი გენერალური პროკურორი იმპიჩმენტს ძლივს გადაურჩა, მთავარი მიზეზი ისევ გამოცდები იყო. ჯამლეთ ბაბილაშვილს და გია მეფარიშვილს მოწინააღმდეგეები თანამშრომლების მიღების წესის დარღვევაში ადანაშაულებდნენ. ერთ-ერთი ბრალდება ასე ჟღერდა – ბაბილაშვილმა და მეფარიშვილმა თანამდებობაზე დანიშნეს რამდენიმე თანამშრომელი ისე, რომ მათ გამოცდა არ ჰქონდათ ჩაბარებული. მაშინ დღის წესრიგში ბაბილაშვილის და მეფარიშვილის იმპიჩმენტის საკითხი დადგა. თუმცა, ორივე გენერალური პროკურორი იმპიჩმენტს გადაურჩა: ბაბილაშვილმა თავს გადადგომით უშველა და პარლამენტში დანიშნულ სხდომაზე არ გამოცხადდა, თავის გასამართლებლად მას ასეთი არგუმენტი მოჰყავდა: პროკურატურაში ხალხი არ მყოფნიდა, ამიტომაც დავარღვიე კანონიო. მაგრამ რომაელების ნათქვამისა არ იყოს, **„კანონი მკაცრია, მაგრამ მაინც კანონია"**, ბაბილაშვილის დარღვევა პარლამეტის საგამოძიებო კომისიამაც დააფიქსირა. მეფარიშვილს კი „ნოემბრის გადატრიალებად" მონათლულმა მოვლენებმა „უშველა".

დასასრული მე-18 გვერდზე

სამართალი საზღვრებს გარეშე

მაია ოქრუაშვილი

# კალაშნიკოვი ყველგან კალაშნიკოვია

თანხების გაფლანგვის ბრალდებით, ერთ-ერთი კომერციული ბანკის ხელმძღვანელის, ვალერი კალაშნიკოვის წინააღმდეგ 1995 წელს საქმე აღიძრა. თავდაპირველად მაგადანის საქალაქო სასამართლომ მას – წინასწარი პატიმრობა, ხოლო მოგვიანებით, წაყენებული ბრალდების დადასტურებისას კი გარკვეული დროით პატიმრობა მიუსაჯა.

1995 წლის 29 ივლისიდან 1999 წლის 20 ოქტომბრამდე კალაშნიკოვი ქალაქ მაგადანის IZ-47/1 საგამოძიებო იზოლატორში ჰყავდათ დაკავებული. 1999 წლის 20 ოქტომბერს კი სასჯელის მოსახდელად იგი სოფელ ტალაიაში გადაიყვანეს, თუმცა 1999 წლის 9 დეკემბერს ისევ მაგადანის საგამოძიებო იზოლატორში დააბრუნეს, სადაც სასჯელის მოხდის ბოლომდე დატოვეს.

კალაშნიკოვი ჰყავდათ რვაადგილიან საკანში, სადაც, როგორც წესი, ოცდაოთხ პატიმრამდე ჰყავდათ განთავსებული. საკნის ფართი კი სულ 17 კვადრატულ მეტრს შეადგენდა. პატიმრებს რიგრიგობით უხდებოდათ ძილი, საკანში სინათლეს და ტელევიზორს არასდროს თიშავდნენ, შესაბამისად, დაძინება მორიგეობითაც კი პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

საპირფარეშო ისე იყო მოწყობილი, რომ პირს, რომელიც საპირფარეშოთი სარგებლობას გადაწყვეტდა, „გამჭვირვალედ" უნდა ემოქმედა, რადგან მას თვალყურს ადევნებდნენ როგორც დაცვა, ასევე საკნის ბინადარნიც. პატიმრები სადილობდნენ საკანშივე, ღია საპირფარეშოდან ერთი მეტრის დაშორებით. ვენტილაციის არქონის გამო, საკნის ფანჯარა მუდმივად ღია იყო. თავად კალაშნიკოვი პასიური მწეველი გახდა, რადგან



პატიმრების უმეტესობა სიგარეტს ეწეოდა. საკანში მრავლად იყვნენ რწყილები და ჭიანჭველები. პატიმრებს კვირაში ერთხელ აძლევდნენ ერთ ლიტრ ქლორს საპირფარეშოს გასაწმენდად. კალაშნიკოვი მუნით დაავადდა, მან დაკარგა ფეხის და ხელის ფრჩხილები. პატიმრები თვეში ორჯერ იღებდნენ შხაპს. მიუხედავად იმისა, რომ კალაშნიკოვი მოგვიანებით მაგადანის საგამოძიებო იზოლატორში გადაიყვანეს, სადაც უკეთესი პირობები იყო, მისთვის არ უმკურნალიათ.

1998 წლის 1-ელ დეკემბერს კლაშნიკოვმა ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს მიმართა. სარჩელში ის ამტკიცებდა, რომ საკანში არაადამიანური მოპყრობის გამო, მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რომელიც კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს. ევროსასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის ციხეებში არსებული მდგომარეობა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენს, რის გამოც რუსეთის სახელმწიფოს კალაშნიკოვის სასარგებლოდ 8 ათასი ევროს გადახდა დააკისრა.

მაია დვალი

**სასამართლო რეფორმის ამოქმედებიდან უკვე სამი წელი გავიდა, მაგრამ რეფორმა დღესაც ინტენსიურად გრძელდება. ცვლილებები არა მხოლოდ უზენაეს სასამართლოს, არამედ მთლიანად მესამე ხელისუფლებას შეეხება. მსოფლიო ბანკის 13,4-მილიონიანი კრედიტი, რომლის ვადა მომავალი წლის ზაფხულში იწურებოდა, 2005 წლამდე გაგრძელდება. ოქტომბერში საქართველოში ჩამოსულმა მსოფლიო ბანკის მისიამ გადაწყვიტა, რომ კრედიტის დარჩენილ თანხას უკან აღარ წაიღებს, რადგანაც საქართველომ ამ კრედიტის ხარჯვისას საკმაოდ დიდი ეკონომია გააკეთა. სერიოზული რეორგანიზაცია ელის უზენაეს სასამართლოს. სულ ახლახან პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს ექვსი წევრი აირჩია. ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ლადო ჭანტურიას:**

# ქართული რეფორმა და სამხრეთკავკასიური ინიციატივა

– კიდევ ერთხელ ვულოცავ ამ არჩევას მოსამართლეებს, რომლებიც ღირსეულად გახდნენ უზენაესი სასამართლოს წევრები. მათ თავანთი მყარი რეპუტაცია ქვედა ინსტანციების სასამართლოებში საქმიანობით მოიხვეჭეს.

**– პრეზიდენტს პარლამენტში წარსადგენი ექვსივე კანდიდატურა თქვენ წარუდგინეთ. სამი მათგანი საოლქო სასამართლოს მოსამართლე იყო, სამი კი რაიონულ სასამართლოებში მუშაობდა. რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ ეს მოსამართლეები?**

– ქვედა ინსტანციების გადაწყვეტილებები უზენაეს სასამართლოში მოდის. აქ ჩვენთვის ხელმისაწვდომი ხდება მოსამართლეთა კორპუსის საქმიანობა, მათი პროდუქტი გადაწყვეტილებების სახით, ამიტომაც, ამა თუ იმ კოლეგაზე გარკვეული აზრი მოსამართლეებში უკვე ყალიბდება. ნუნუ კვანტალიანი სამი წელი ურთულეს რაიონში, დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოში მუშაობდა და ამ ხნის განმავლობაში მასზე არათუ დისციპლინური დევნის საკითხი არ წამოჭრილა, არამედ დასაბუთებული საჩივარიც კი არ შემოსულა. როგორი მაღალი კვალიფიკაციისა და პრინციპული უნდა იყოს მოსამართლე, რომ ასეთ მძიმე რაიონში, სადაც საკმაოდ რთული კატეგორიის საქმეებს იხილავენ, ასეთი მაღალი რეიტინგი ჰქონდეს. იმავეს ვიტყვი გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს მოსამართლე გიორგი ქაჯაიაზეც. პრეტენზია მოქალაქეებს მის მიმართაც არ გამოუთქვამთ. სწორედ მათი საქმიანობიდან გამომდინარე შევარჩიეთ კანდიდატურები და წარვუდგინეთ პრეზიდენტს. ორმაგად სასიხარულოა, რომ მათ პარლამენტშიც პოვეს მხარდაჭერა.

**– რამ განაპირობა ექვსი მოსამართლის დამატების აუცილებლობა უზენაეს სასამართლოში?**

– რეფორმამდე აქ გაცილებით მეტი მოსამართლე მუშაობდა, მაგრამ შემდეგ მათი რიცხვი განახევრდა და დღემდე ჩვენ საკმაოდ მცირე მოსამართლეთა კორპუსით გვიწევდა საქმიანობა. მაგრამ ბოლო ხანს უზენაეს სასამართლოში საქმეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ეს ერთი მხრივ, ნდობის მაჩვენებელია, მეორე მხრივ კი, საქმეთა რაოდენობის კატასტროფულად მატების მიზეზი ბოლო ხანს გართულებული კრიმინოგენული სიტუაციაცაა. ეს ეხება უზენაესი სასამართლოს პირველ ინსტანციასაც, სადაც განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებებს იხილავენ. ამჟამად საკასაციო პალატებში 28 მოსამართლე გვყავს. ორი მოსამართლე დაემატა პირველ ინსტანციასაც.

**– მოსამართლეთა დანიშვნის გარდა, კიდევ რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ უზენაეს სასამართლოში?**

– სასამართლო აპარატის რეორგანიზაციაზე წელიწადზე მეტია, რაც ვმუშაობთ. მიღებულმა გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ უზენაესი სასამართლოს აპარატი უფრო მობილური და მოქნილი უნდა გახდეს: უნდა გაიოლდეს საქმეთა მომზადების პროცესი, რათა მოსამართლე ზედმეტი ორგანიზაციული საკითხებისგან გათავისუფლდეს და მხოლოდ საქმის განხილვით იყოს დაკავებული. მეორე: უზენაესი სასამართლო კიდევ უფრო გამჭვირვალე უნდა გახდეს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც სასამართლოსთან უწევთ ურთიერთობა. ეს გამოიწვევს მისაღებისა და ექსპედიციის სამსახურების რეორგანიზაციას:

დასასრული მე-18 გვერდზე

სასამართლო დარბაზებში

თეა ხოფერია

## მაძღარაშვილისას შეძენილი „ქონება"

მაძღარაშვილთან საქმის დაჭერამ ასმათ ხვედელიანს პრობლემები შეუქმნა. ქალბატონმა ასმათმა ჯერ კიდევ 1992 წლის ნოემბერში გააფორმა ხელშეკრულება ყვარლის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე მაძღარაშვილთან. ხელშეკრულების საფუძველზე, ხვედელიძემ 60.000 მანეთად შეისყიდა ყვარლის რაიკოოპერატივის ბალანსზე არსებული კოოპვაჭრობის ყოფილი შენობა.

ხელშეკრულების დამოწმებიდან 3 დღის ვადაში ქალბატონ ასმათს რაიკოოპერატივისთვის 30.000 მანეთი უნდა გადაეხადა, დანარჩენი თანხა კი 1993 წლის 1 მარტამდე დაეფარა. ასმათ ხვედელიძემ ხელშეკრულების პირობები პირნათლად კი შეასრულა, მაგრამ პირის გამტეხი ხელშეკრულების მეორე სუბიექტი აღმოჩნდა. მალე ქალბატონმა ასმათმა აღმოაჩინა, რომ ახალშეძენილი ფართი სულ სხვა პირს, ვინმე ლონიაშვილს ჰქონდა დაკავებული, რის გამოც ყვარლის რაიონულ სასამართლოს მიმართა და უკანონო მობინადრის გამოსახლება მოითხოვა. თავის მხრივ, ლონე ლონიაშვილმაც იხმარა და შეგებებული სარჩელით ხვედელიანთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება მოითხოვა.

როგორც ყვარლის რაიონულ სასამართლოში გაირკვა, შენობა ყვარლის რაიკოოპერატივს კი არა, „საქსოფლდამზადების" ყვარლის კომერციულ გაერთიანებას ეკუთვნოდა, რის გამოც რაიონულმა სასამართლომ მოპასუხე ლონიაშვილის შეგებებული სარჩელი დააკმაყოფილა.

მაშინ დაზარალებულმა ქალბატონმა ასმათმა ყვარლის სასამართლოს განმეორებით მიმართა, ოღონდ ამჯერად ყვარლის რაიკოოპერატივის წინააღმდეგ და გადახდილი თანხის, ასევე მორალური ზიანის, საერთო ჯამში 15.383 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

ყვარლის რაიონულმა სასამართლომ დაზარალებული ქალბატონის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მაძღარაშვილს მოსარჩელის სასარგებლოდ 3686,96 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის – 92,17 ლარის გადახდა დააკისრა.

ამ საქმემ საბოლოოდ უზენაეს სასამართლომდე მიაღწია და რუბლის კურსის დადგენისა და საპროცენტო განაკვეთებზე დავა-კამათის შემდეგ, ყვარლის რაიკოოპერატივს ასმათ ახვლედიანის სასარგებლოდ 1.216 ლარის გადახდა დაეკისრა.

## „ელგადაცემა" „ელგადაცემის" წინააღმდეგ

„ელგადაცემის" მესხეთის საქსელო საწარმოს თანამშრომლებმა „ელექტროგადაცემის" წინააღმდეგ კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და კუთვნილი ხელფასისა და ადვოკატის ხარჯების —10.754 ლარის ანაზღაურება მოითხოვეს.

რაიონულმა სასამართლომ ეს მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა, რაც იმას ნიშნავს, რომ „ელგადაცემის" თანამშრომლებმა მხოლოდ სახელფასო დავალიანების მოთხოვნაზე მიიღეს დასტური, საადვოკატო მომსახურების ხარჯების დაფარვაზე კი ისინი უარით გამოისტუმრეს. ამის გამო „ელგადაცემის" თანამშრომლებმა ეს გადაწყვეტილება ჯერ საოლქოში, შემდეგ კი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ „ელგადაცემის" საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მოპასუხეს გაწეული ხარჯების მხოლოდ 1%, ანუ 2.688 ლარის გადახდა დააკისრა.

# ქართული რეფორმა და სამხრეთკავკასიური ინიციატივა

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე



მოქალაქეებისთვის უფრო ხელმისახები უნდა იყოს პროცესი, თუ როგორ მოძრაობს საქმეები სასამართლოში. განყოფილებებსაც მნიშვნელოვნად შევამცირებთ, სამაგიეროდ, თითოეულ პალატასთან ორგანიზაციული საკითხების უზრუნველსაყოფად იმუშავებს სამდივნო. ტექნიკურ პერსონალში შეიქმნება ახალი თანამდებობის პირიც – დარბაზის მეთვალყურე, რომელიც დარბაზის გამართულ მუშაობაზე იქნება პასუხისმგებელი. სულ მალე უზენაეს სასამართლოში იურიდიული ბიბლიოთეკა გაიხსნება, სადაც 12 ათასწიგნიანი ფონდი გვექნება. იგი ნებისმიერ პირს მოემსახურება. ველოდებით ლიტერატურას გერმანიიდან და საფრანგეთიდან. ყველა ავტორმა უკვე გადმოგვცა თავისი წიგნი. წიგნების გარდა, მსურველებს საშუალება ექნებათ ელექტრონულ ვერსიებსაც გაეცნონ. იანვრიდან არც ერთი სამუშაო ადგილი აღარ გვექნება კომპიუტერის გარეშე.

**– თქვენ რაიონული სასამართლოების გაერთიანებას და მათ სპეციალიზაციას აპირებდით. ეს პროექტი როდის განხორციელდება?**

– სამწლიანმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ისეთ დიდ ქალაქში, როგორიც თბილისია, მოსამართლეთა სპეციალიზაცია აუცილებელია, რათა საქმეების განხილვა სწრაფად და კვალიფიციურად მოხდეს. მთლიანობაში ეს ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ინტერესების დაცვას. ერთიანი საქალაქო სასამართლო 1-ელი ივლისიდან ამოქმედდება, როცა ავლაბარში შენობის რეკონსტრუქცია დასრულდება. თითოეული კოლეგია ცალკე შენობაში მოთავსდება და მოქალაქეებს სასამართლოსთან ურთიერთობა უფრო გაუიოლდებათ. ვაკე-საბურთალოს სასამართლოს ამჟამინდელ შენობაში უდავო წარმოების საქმეებს განიხილავენ და იურიდიული პირების რეგისტრაცია მოხდება. ერთი შენობა საგამოძიებო კოლეგიას დაეთმობა, რომელიც საგამოძიებო მოქმედებებისთვის ბრძანებებს გასცემს.

**– გლდანში საოლქო სასამართლო უნდა გადასულიყო, მაგრამ ლტოლვილების გამო ეს ვერ განხორციელდა. რატომ?**

– სახელმწიფოებრივი ინტერესების იგნორირება ხშირად სახელმწიფოსთვის აუცილებელი ინიციატივის ჩაშლის მიზეზი ხდება. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა გახლავთ საოლქო სასამართლოსთან დაკავშირებული ისტორიაც. გლდანის შენობის მოსამზადებელი სამუშაოები უკვე შესრულებული იყო და პროექტიც დამტკიცებული გახლდათ, მაგრამ სამწუხაროდ, ის ჩაიშალა. არადა, დღეს ეს შენობა დასრულებული უნდა ყოფილიყო. ამიტომაც ისევ იმ შენობას დავუბრუნდით, სადაც საოლქო სასამართლოა მოთავსებული. როგორც ვიცი, იქ განთავსებულ კოლეჯთან პრობლემები მოგვარებულია, განათლებისა და ქონების მართვის სამინისტროებთან მუდმივი კონსულტაციები გვაქვს და წელს სარეკონსტრუქციო სამუშაოებიც დაიწყება. საოლქო სასამართლო ძალიან დიდი დატვირთვით მუშაობს, რადგან იგი აღმოსავლეთ საქართველოს და თბილისს ემსახურება, ცხადია, მოსამართლეებს მუშაობის ნორმალური პირობები უნდა ჰქონდეთ.

**– რა გეგმები აქვს უახლოეს პერიოდში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს?**

– იანვრის ბოლოს ბრემენის სასამართლოს პალატის თავმჯდომარე ბატონი ბოლუნგი ჩამოვა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისთვის ერთი თვის განმავლობაში სემინარებს ჩაატარებს. ამასთანავე, ვასრულებთ მუშაობას სახელმძღვანელოზე „სამართალგამოყენების მეთოდოლოგია". უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის თავმჯდომარე და მოსამართლე ამჟამად გერმანიაში იმყოფებიან სომეხი და აზერბაიჯანელი კოლეგებისთვის გამოცდილების გასაზიარებლად. „სამხრეთკავკასიური ინიციატივის" პროექტი კვლავაც გაგრძელდება. იანვარში ვგეგმავთ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების რუსული და ინგლისურენოვანი გამოცემების და ვებგვერდის პრეზენტაციებს.

სისხლის სამართლის ქრონიკა

მეგი ცანავა

## მკვლელობა სარეცხი მანქანისთვის

54 წლის გურამ იაშვილი გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ განზრახ მკვლელობაში დაადანაშაულა და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თბილისში, გლდანის მე-6 მიკრორაიონში მცხოვრებ გურამ იაშვილს თავისივე მეზობლის შოთა ამირიძის მკვლელობაში ედებოდა ბრალი. პროკურატურა აცხადებდა, რომ იაშვილმა ამირიძეს ურთიერთშელაპარაკებისას გულმკერდის არეში დანით განზრახ, სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.

მოგვიანებით გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს განაჩენი თბილისის საოლქო სასამართლოში გასაჩივრდა. სასამართლომ საჩივარი განიხილა, მოწმეები ხელახლა დაჰკითხა და გამოარკვია, რომ ეს საშინელი დანაშაული უმნიშვნელო მიზეზით – სადარბაზოში დადგმული სარეცხი მანქანის გამო მოხდა.

გურამ იაშვილი და შოთა ამირიძე თავიანთი ოჯახებით ერთსა და იმავე კორპუსში, ერთ სადარბაზოში ცხოვრობდნენ. წლების მანძილზე კარგი მეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ და აქამდე ერთმანეთთან კონფლიქტი არ მოსვლიათ.

ერთ დღეს შოთა ამირიძის მეუღლემ თავისი სარეცხი მანქანა დროებით სადარბაზოში დადგა, რადგან იმ დროს სახლს არემონტებდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ სარეცხ მანქანას ღვედი აღარ ჰქონდა და მისი ქურდობა ამირიძემ გურამ იაშვილს დააბრალა, რის შესახებაც თავად იაშვილსაც უთხრა. ეს ამბავი მალე სხვა მეზობლებისთვისაც გახდა ცნობილი.

გურამ იაშვილმა თავი შეურაცხყოფილად და დამცირებულად იგრძნო, ამირიძის ცოლს საყვედური უთხრა და ბოდიშის მოხდაც მოსთხოვა. ჩხუბისას ქალს უხეში სიტყვებითაც მიმართა, ბოლოს კი ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა მას. ამ ჩხუბის შესახებ შოთა ამირიძემაც შეიტყო, ძალიან აღელდა და მეზობელთან საქმის გარჩევა მოისურვა. იაშვილს მან საღამოს მიაკითხა. კორპუსთან ახლოს, მოფარებულ ადგილას გაიყვანა და ცოლის შეურაცხყოფის გამო პასუხი მოსთხოვა. ასაკოვანმა ამირიძემ იაშვილს ხელი გაარტყა და ამით მას სხეულის მსუბუქი დაზიანება მიაყენა. გაბრაზებულმა იაშვილმა მაშინ ჯიბიდან დანა ამოიღო და მეზობელს გულმკერდის არეში ძლიერად ჩაარტყა. თავად იაშვილი ამას არ ადასტურებს და დასძენს, რომ ამირიძემ იგი სცემა და მას ქვების სროლა დაუწყო, რის გამოც იძულებული გახდა თავი დაეცვა და დანის უმისამართოდ აქეთ-იქით ქნევა დაიწყო. უცებ მიხვდა, რომ დანა ამირიძეს სხეულში მოხვდა. მაშინვე შეწყვიტა ჩხუბი და ადგილიდან გაიქცა. გურამ იაშვილი პოლიციაში თავად გამოცხადდა. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მის მიერ დაჭრილი ამირიძე საავადმყოფოში გარდაიცვალა.

საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ იაშვილის სიტყვები არ გაიზიარა. სასამართლოს აზრით, იაშვილს ამირიძის მოკვლა არ სურდა, რასაც ის მოწმობს, რომ იგი პოლიციაში თავად გამოცხადდა, სასამართლოში კი გულწრფელად მოინანია ჩადენილი დანაშაული.

სასჯელის გამოტანისას საოლქო სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ გურამ იაშვილი ადრე ნასამართლევი არ ყოფილა, მეზობლები და ნაცნობები მას დადებითად ახასიათებდნენ. მოსამართლეებმა მისთვის სასჯელის შემსუბუქება მიზანშეწონილად მიიჩნიეს და 10 წლის ნაცვლად 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

## კორუფციაში გამოცდილი პროკურატურა სამართლებრივ გამოცდას გადის

დასასრული. დასაწყისი მე-17 გვერდზე

სამაგიეროდ, პარლამენტში შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც პროკურატურის გამოცდების საკითხიც უნდა მოეგვარებინა. მაშინ ერთხმად გადაწყდა, გამოცდები აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო, კანონში კონკრეტული ვადაც ჩაიწერა. თუმცა, კამათი უკვე იმის შესახებ დაიწყო, ვის უნდა ჩაეტარებინა გამოცდები. უწყებათაშორისი კომისიის წევრი, გენერალური პროკურორის მაშინდელი პირველი მოადგილე ანზორ ბალუაშვილი ითხოვდა, რომ გამოცდები შიდაუწყებრივ დონეზე – პროკურორებისა და უნივერსიტეტის პროფესორებისგან შექმნილ კომისიას ჩაებარებინა. კომისიის სხდომები საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა, საბოლოოდ მაინც გადაწყდა, რომ გამოცდას იუსტიციის საბჭო ჩაატარებდა.

### სასიამოვნო სტატისტიკა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რადგან პროკურატურა კონსტიტუციის მიხედვით სასამართლო ხელისუფლების ნაწილია, ამიტომ გამოცდები იუსტიციის საბჭოს ეგიდით ჩატარდა. საკვალიფიკაციო გამოცდებისგან გათავისუფლდნენ გენერალური პროკურორი და ის თანამშრომლები, რომელთაც სამეცნიერო ხარისხი ან მოსამართლეობის გამოცდა ჰქონდათ ჩაბარებული. ასევე გამოცდისგან გათავისუფლდნენ აფხაზეთის და აჭარის პროკურატურის პირველი პირები.

30 ნოემბერს და 7 დეკემბერს დანიშნულ გამოცდებზე სულ პროკურატურის 500-მდე თანამშრომელი გავიდა. ამათგან უმეტესობამ 100 ქულა დააგროვა, მაშინ როცა გამსვლელად 75 ქულა ითვლებოდა. ჩაიჭრა 10 თანამშრომელი.

იუსტიციის საბჭოს მდივნის ზურაბ აბაშიძის ინფორმაციით, გამოცდების მესამე ტური 25 იანვარს ჩატარდება. ხოლო ბოლო გამოცდის საბოლოო თარიღი ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა, უკვე გადაწყვეტილია, რომ გამოცდები 8 მარტამდე უნდა დამთავრდეს. იუსტიციის საბჭოს მდივნის ინფორმაციით, პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლას კიდევ 2000-მდე იურისტი გეგმავს, ამათგან მხოლოდ 500-ია პროკურატურის თანამშრომელი, დანარჩენი თავისუფალი იურისტები, ანუ ის ადამიანები არიან, რომლებსაც პროკურატურაში მუშაობის დაწყების სურვილი აქვთ. კანონის თანახმად, 2002 წლის 15 დეკემბრის შემდეგ გენერალურ პროკურორს გამოცდაჩაუბარებელი იურისტების მიღება კონსტიტუციის დარღვევად ჩაეთვლება. მიუხედავად იმისა, რომ ვაკანსიები ჯერჯერობით უმნიშვნელოა, მსურველები თადარიგს ამთავითვე იჭერენ.

გამოცდები ამერიკის მთავრობამ დააფინანსა, უცხოელები მომავალშიც აპირებენ პროკურატურაში გარდაქმნების ფინანსურ მხარდაჭერას, იქნება ეს უახლესი ტექნიკით დახმარება, თუ გამომძიებლების საზღვარგარეთ სტაჟირება. ამერიკელები დახმარებისთვის მზად არიან, ოღონდ ისინი ვერც ფულით და ვერც ტექნიკით ჩვენი ხელისუფლების გასაკეთებელ საქმეს ვერ გააკეთებენ. ხელისუფლებამ და პროკურატურის პირველმა პირებმა კი უწყების იმიჯის ამაღლებაზე უნდა იზრუნონ, დღეს პროკურატურა საზოგადოების დიდი ნაწილისთვის კორუფციაში გასვრილ მოხელეებთან ასოცირდება.

გამოცდების თუნდაც წარმატებულ შედეგებს უწყების რეფორმირების დეკლარირებულ სურვილად თუ განვიხილავთ, თორემ თავისთავად შედეგები ვერც პროფესიონალიზმის და ვერც კეთილსინდისიერების უპირობო ბარომეტრად ვერ გამოდგება.

სასამართლო დარბაზებში

სოფო ბუკია

## „მარშრუტკების" ამწიოკებლის ხვედრი

აგვისტოს ერთ ცხელ საღამოს, კოლმეურნეობის მოედანზე, „საქენერგოს" წინ მდებარე სამარშრუტო ტაქსების გაჩერებაზე არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი გოჩა დემეტრაშვილი გამოჩნდა. იგი №85 „მარშრუტკის" მძღოლს, რამინ წიქარიშვილს მიუახლოვდა და გამოუცხადა – ძმაო, სახეზე მეცნობი და ამიტომ სიგარეტისთვის 50 თეთრი უნდა მომცეო. წიქარიშვილმა 50 თეთრის გაცემაზე მტკიცე უარი განაცხადა. „ნაცნობის" ამგვარი საქციელი დემეტრაშვილს იმდენად ეწყინა, რომ სამარშრუტო ტაქსის 30 ლარად ღირებული წინა მარჯვენა მინა და 70 ლარად ღირებული მარცხენა შუა მინა ჩაუმტვრია. ბოლოს თავად „ძველი ნაცნობიც" არ დაინდო, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და მამაპაპურად შეუკურთხა კიდეც. პოლიციამ „მარშრუტკების" ამწიოკებელი ადგილზევე დააკავა.

დემეტრაშვილმა სასამართლოზე დანაშაული კი აღიარა, მაგრამ მთავარ დამნაშავედ იმ ავბედით დღეს მირთმეული არაყი დაასახელა.

კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ლელა სკუბულიანმა დემეტრაშვილს ერთწლიანი პატიმრობა და სასტიკად ნაცემი მძღოლისთვის მიყენებული ზარალის – 100 ლარის ანაზღაურება გადაუწყვიტა.

## „ალტერნატიული" სამსახური

დავით ხოსიაშვილი მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს განსასჯელთა სკამზე დეზერტირობისთვის მოხვდა.

ხოსიაშვილი სამხედრო სამსახურში 1999 წლის 9 ივლისს გაიწვიეს. ჯარში იგი მხოლოდ ცხრა დღეს გაჩერდა და სამხედრო სამსახურს ხელმოკლე ოჯახის რჩენა ამჯობინა. ჯარიდან გამოპარული ავტოსერვისში მღებავად მოეწყო. როგორც მოგვიანებით მან სასამართლოს განუცხადა, მისი ჯარში გაწვევის შემთხვევაში, ეკონომიურად ისედაც დუხჭირი ოჯახი შიმშილის ზღვარზე აღმოჩნდებოდა.

პოლიციამ მისი დაკავება მხოლოდ 2001 წელს მოახერხა. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, აღკვეთის ღონისძიებად მას სამხედრო ნაწილის სარდლობის მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემა შეეფარდა. თუმცა, თემიდას მოციქულთა ბრძანებას იგი არ დამორჩილებია და „პაგონიანთა" მზრუნველობას ისევ გაექცა. ხოსიაშვილს სამართალდამცავებმა ხელმეორედაც მიაგნეს. ჯარიდან გაქცეული არც ამ შემთხვევაში ყოფილა უსაქმოდ, მუშაობდა და ოჯახს არჩენდა.

სასამართლოს წინაშე ხოსიაშვილმა დანაშაული აღიარა და მოსამართლეს მისი ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებაც სთხოვა.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ვაჟა ფუხაშვილმა დეზერტირს ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. საბოლოოდ კი ფუხაშვილმა გაითვალისწინა ხოსიაშვილის ოჯახური პირობები და განაჩენი სამწლიანი გამოსაცდელი ვადით შეუცვალა.

## ქილების ქურდი ციხეს გადაურჩა

ტიტალი მახმუდოვი 10 ცალი სამლიტრიანი ქილის გამო კინაღამ ციხეში მოხვდა. საქმე კი მარტივად იყო: ბატონი ტიტალი ჩუმად შეიპარა რუსთავის გზატკეცილის 28-ში მდებარე ტარიელ გვენეტაძის სარდაფში და უკანონოდ მიისაკუთრა 10 ცალი სამლიტრიანი ქილა (თითოეულის ღირებულება 50 თეთრი), რითაც სარდაფის მესაკუთრე გვენეტაძეს 5 ლარის ზარალი მიაყენა. გვენეტაძე არ დაიბნა და იმწამსვე პოლიციას უხმო საშველად. მახმუდოვი იმავე დღეს დააკავეს. პოლიციელებმა მისგან ოპერატიულად ამოიღეს გატაცებული ქილები. მიყენებული ზარალი – 5 ლარი გვენეტაძეს მალევე აუნაზღაურეს, თუმცა, მახმუდოვის საქმემ კრწანისი-მთაწმინდის სასამართლომდე მაინც მიაღწია.

მახმუდოვმა სასამართლოს შესჩივლა მცირეწლოვანი შვილი მყავს და ეკონომიურად მიჭირსო. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენდა, რის გამოც მახმუდოვს თავისუფლების აღკვეთა არ შეუფარდა, თუმცა, გამოსასწორებლად სამი წლით გამოსაცდელი ვადა დაუწესა.

ადვოკატი გვირჩევს

# გვჭირდება თუ არა კონტრაქტი?

რედაქციას წერილით მოგვმართა სამხედრო ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, თადარიგის კაპიტანმა გივი იასაშვილმა.

ბატონ გივი იასაშვილის განმარტებით, ის 1996-2000 წლებში, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში. 1998-2000 წლებში იყო გენშტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრის უფროსი ოფიცერი და 2000 წლის 29 აგვისტოს ხელშეკრულების ვადის გასვლასთან დაკავშირებით გაათავისუფლეს სამსახურიდან. განთავისუფლების დროს მას მიუღებელი ჰქონდა 9 თვის ხელფასი და კვარტალური ჯილდოები, 811,45 ლარის ოდენობით. ამასთანავე, მოსარჩელის მტკიცებით, იგი 2000 წლის 29 აგვისტოდან 2001 წლის 1-ელ მარტამდე განაგრძობდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას თავდაცვის მინისტრის ერთ-ერთი მოადგილის სიტყვიერი განკარგულების საფუძველზე და არც აღნიშნულ პერიოდში მიუღია ხელფასი.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის საფინანსო სამასახურს დაეკისრა თადარიგის კაპიტნის, გივი იასაშვილის სასარგებლოდ 1999-2000 წლებში დარიცხული სახელფასო დავალიანების გადახდა. თუმცა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა 2000 წლის 29 აგვისტოს შემდგომი პერიოდის ნამსახურებად ჩათვლისა და შესაბამისი ანაზღაურების თაობაზე იმ მოტივით, რომ „საქართველოს „შრომის კანონთა კოდექსის" 75-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მუშაკისათვის შრომის ანაზღაურება ხდება შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) დადგენილი წესით, ხოლო მოსარჩელეს ასეთი კონტრაქტი ზემოთ აღნიშნულ პერიოდთან დაკავშირებით, სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმა თბილისის საოლქო სასამართლოც. აქვს თუ არა ამ საქმეს სასამართლო პერსპექტივა უზენაეს სასამართლოში? — ასეთი შეკითხვით ბატონმა გივიმ „სასამართლო ქრონიკის" რედაქციას მიმართა.



ადვოკატი კახა კუკავა:

შრომის ანაზღაურების უმთავრეს საფუძველს, რაღა თქმა უნდა, შრომითი ხელშეკრულება წარმოადგენს. თუმცა, 1997 წელს მიღებულმა სამოქალაქო კოდექსმა მნიშვნელოვნად გააფართოვა სახელშეკრულებო ურთიერთობათა არეალი. იგი მოიცავს არა მხოლოდ იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც მხარეთა ხელმოწერებითაა დამოწმებული, არამედ ფაქტობრივად არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებსაც, რომლებიც ზეპირი შეთანხმების (ოფერტი/ აქცეპტი) საფუძველზე წარმოიქმნება. გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის თანახმად, დადგენილია, რომ **„ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას"**. თუნდაც ამ ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, თუკი პირი ასრულებდა ამა თუ იმ სამუშაოს და თანაც ადმინისტრაცია ღებულობდა ამ სამუშაოს, ბუნებრივია, იგი ვალდებულია, აანაზღაუროს კიდეც ამ სამუშაოს ღირებულება. ამ თვალსაზრისით არგუმენტად არ გამოდგება ის მოსაზრება, რომ არ არსებობს მხარეთა მიერ შეთანხმებული საზღაური: თუ ასეთი საზღაური შეთანხმებული არ არის, გამოიყენება დამკვიდრებული პრაქტიკა.

ამ ზოგადი პრინციპების გარდა, რაც სასამართლოს უთუოდ უნდა გაეთვალისწინებინა, არსებობს საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი: **„შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) დადებულად ითვლება მაშინაც, როცა ბრძანება ან განკარგულება არ იყო გაცემული, მაგრამ მუშაკი ფაქტიურად დაშვებული იყო სამუშაოდ იმ თანამდებობის პირის მიერ, ვისაც ამ სამუშაოზე მიღებისა და განთავისუფლების უფლება აქვს"**. ამდენად სრულიად აშკარაა, რომ შრომის ხელშეკრულება მოქმედებდა მანამდე, ვიდრე პირი ასრულებდა გარკვეულ სამუშაოს, ამასთან არა თვითნებურად — არამედ ადმინისტრაციის თანხმობით.

დაბოლოს, აუცილებელია აღინიშნოს, რადგანაც დავა სასამართლოში განიხილება, გარდა სამართლებრივი საფუძვლებისა, არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის ფაქტობრივ გარემოებებსაც. კერძოდ, მოსარჩელე მხარე ვალდებულია, ამტკიცოს არა მხოლოდ ის, რომ მისი პოზიცია სამართლიანია, არამედ ისიც, რომ იგი მართლაც ასრულებდა აღნიშნულ სამუშაოებს. ამ მიზნით შეიძლება როგორც წერილობითი მტკიცებულებების გამოყენება (მაგ: მოხსენებითი ბარათები, რეზოლუციები, სამსახურებრივი ფოსტა და ა.შ.), ასევე მოწმეთა ჩვენებებიც.

# სარეცხს გაშრობა არ დასცალდა, ქურდებს – პატიმრობა

თუ როგორ უნდა გაეტარებინათ 2001 წლის 17 თებერვლის სუსხიანი საღამო, მეგობრებმა – კახაბერ იობიძემ და თემურ თევდორაშვილმა წინასწარ დაგეგმეს. ორი მეგობარი ღამის თერთმეტი საათისთვის ბაქრაძის ქუჩის ცხრა ნომერს მიადგა და ეზოში თოკზე გასაშრობად გაფენილი ტანსაცმლით დაინტერესდა.

ალექსანდრე ეგიზაროვისა და მისი ოჯახის წევრების კუთვნილ მწვანე ფერის მამაკაცის ქურთუკს, მწვანე ზოლებიან მაისურს, ლურჯი ფერის სპორტულ შარვალსა და იმავე ფერის შარფს გაშრობა არ დასცალდა. მეგობრებმა გარეცხილ-გაკრიალებული ტანსაცმელი ფრთხილად ჩამოხსნეს და შინისაკენ გაიყოლიეს.

ორი მეგობრის „უწყინარმა" გასეირნებამ ეგიზაროვების ოჯახს 80 ლარის ზარალი მიაყენა. ოჯახის უფროსმა წყენა გულში ჩაიდო და რამდენიმე წუთში საკუთარი გასაჭირი პოლიციელებს გაუზიარა. ათ წუთში პოლიციის მუშაკებს ღამის ონავრები უკვე დაკავებული ჰყავდათ.

კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით არაერთი მოწმე დაიბარა და დაჰკითხა. მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილის გადაწყვეტილებით, იობიძეს და თევდორაშვილს ორი-ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, თუმცა იმავე მოსამართლის კეთილი ნებით, ტანსაცმლის გამტაცებლები სასჯელს არ მოიხდიან იმ პირობით, თუ განსასჯელები გამოსაცდელი ვადის, ორი წლის განმავლობაში კიდევ რომელიმე სარეცხის თოკს არ დაესხმებიან თავს. წინაალმდეგ შემთხვევაში მათ ორწლიანი პატიმრობა არ ასცდებათ.



## პირობითი სასჯელი მონანიების სანაცვლოდ

ლ. ჩუბინიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინაალმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა ჭავჭავაძის გამზირზე, „ბატას" მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. ჩხრეკისას ჩუბინიძეს ნარკოტიკული საშუალება „მორფინის ჰიდროქლორიდის" 48 ამპულა, საერთო წონით 0,48 გრამი აღმოაჩნდა.

ჩუბინიძის საქმემ კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლომდე მიაღწია. განსასჯელმა თავი დამნაშავედ ცნო და სასამართლოს განუცხადა: „38 წლის ასაკში გარდაიცვალა რძალი, ძმის ცოლი, რომელსაც პანკრიასის ავთვისებიანი სიმსივნე ჰქონდა. ძლიერი ტკივილების გამო ონკოლოგიურ ცენტრში ტკივილგამაყუჩებლად დაუნიშნეს ნარკოტიკული საშუალება, რაც ჩემს ძმას ყოველკვირა გამოჰქონდა საავადმყოფოდან". ქალბატონმა ლ.-მ სასამართლოს განუმარტა, რომ რძალს თავად უვლიდა და ნარკოტიკსაც თვითონ უკეთებდა. ავადმყოფის გარდაცვალების შემდეგ ჩუბინიძეების სახლში სხვადასხვა პრეპარატთან ერთად დარჩა ნარკოტიკებიც. ლ. ჩუბინიძე ამტკიცებს, რომ პოლიციელებმა იგი სწორედ იმ დროს დააკავეს, როცა ნარკოტიკი ჩასაბარებლად მიჰქონდა.

როგორც განსასჯელმა სასამართლოს განუმარტა, მის ძმას დარჩა მცირეწლოვანი შვილები, რომელთა ერთადერთი მომვლელი, დედის გარდაცვალების შემდეგ, მამიდაა.

სასამართლომ დაადგინა, რომ ჩუბინიძე უკანონოდ ინახავდა ნარკოტიკულ საშუალებებს, განსასჯელი დამნაშავედ ცნო და ქალთა საერთო რეჟიმის სასჯელთაღსრულების დაწესებულებაში 1 წლისა და ექვსი თვის მოხდა მიუსაჯა.

საბოლოოდ, მოსამართლე ლელა სკუბულიანმა ლ. ჩუბინიძის მონანიებასთან ერთად მისი ოჯახური პირობებიც გაითვალისწინა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ჩუბინიძის მიმართ სასჯელი არ იქნა გამოყენებული პირობით და გამოსაცდელ ვადად ერთი წელი მიესაჯა.

## სკამის მიტაცება საპანაშვიდოდ

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული გამგეობის საქალაქო მეურნეობის რაიონული განყოფილების კუთვნილ სკვერში თებერვლის ბოლოს დეკორატიული სკამი და სანაგვე ურნა დაიკარგა. გამგეობის თანამშრომლებმა დანაკარგი მაისში აღმოაჩინეს და სასწრაფოდ პოლიციას მიმართეს. პოლიციამ დამნაშავე ოპერატიულად გამოავლინა. გამგეობის ქონების მიმტაცებელი ილია კვატაშიძე აღმოჩნდა. მითვისებული „განძი" კვატაშიძემ ჯერ მეზობლის სახლში გადაინახა, მერე კი სკამით და ურნით საკუთარი ეზო დაამშვენა.

სასამართლოს წინაშე მან თავი იმით იმართლა, რომ იმ პერიოდში მამა ჰყავდა გარდაცვლილი და გატაცებული ნივთები პანაშვიდზე ეზოში დასადგმელად დასჭირდა.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ლელა სკუბულიანმა კვატაშიძე 250 ლარით დააჯარიმა.

# ანეკდოტები ამერიკის სასამართლო პრაქტიკაზე

ანდრო გიგაური

ადვოკატი ახალთახალი იაგუარით მიქრის. მოულოდნელად ხიდზე მის მანქანას საწვავი გაუთავდება და გაჩერდება. მანქანიდან გადმოსვლისას ის უეცრად საშინელი ხმას გაიგონებს და დაინახავს, რომ მისი მანქანის კარი სატვირთო მანქანამ გაიტანა.

გაოგნებული ადვოკატი იმუქრება, რომ უჩივლებს ტვირთის გადამზიდველ ფირმას. ამ დროს გამვლელები უახლოვდებიან მას.

იგი მათ მიმართავს: „ნახეთ? ნახეთ, რა უქნეს ჩემს ახალ იაგუარს!".

ერთ-ერთი გამვლელი გაოცებული პასუხობს: „თქვენ, ადვოკატები ისეთი მატერიალისტები ხართ! ისე ინერვიულეთ საკუთარ მანქანაზე, რომ ველარ შეამჩნიეთ, კარებთან ერთად თქვენი ხელიც როგორ გაიტანეს!".

ადვოკატი ქვემოთ დაიხედავს და აღშფოთებული გაჰყვირის: „ჩემი როლექსის საათი!!!".

სასამართლო სხდომა დაიწყო. მოსამართლე მიმართავს ქურდობაში ბრალდებულს: „ბატონო ჯორჯ, მე თქვენ გაკისრებთ 100 დოლარის გადახდას ჯარიმის სახით".

ამ დროს განსასჯელის ადვოკატი წამოხტება და მოსამართლეს მიმართავს: „ბატონო მოსამართლევ, მადლობა ღმერთს, რომ ჩემს კლიენტს ამ წუთში ჯიბეში მხოლოდ 75 დოლარი უდევს, მოგმართავთ შუამდგომლობით, რომ იგი 15 წუთით გაუშვით ხალხში და..."

მაგიანე

სოფო ბუკია

# მოგზაურობა გორიდან ციმბირში



გორიდამ გვწერენ: ამ დღეებში გორში ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მომხდარა: გორის ერთს დაწესებულებაში ემსახურება ერთი ვიღაც გადამწერელი. ეს გადამწერელი გადაჰკრავს თურმე და გაინადირებს ქუჩებში და ხან ვის შეუვარდება სახლში და ხან – ვისა. აი ამის საბუთი: ერთს მოხუცებულს ქალს შევარდნია საღამოთი, ქალი ლოგინში ყოფილა უკვე და ის უზნეო სხვის ქალსა პირდაპირ ლოგინში ჩაჰგორებია. ჩავარდნილა სახლში წიოკობა: ხალხი მოგროვილა გარედა, ჰგონებიათ, რომ ცოლს ქმარი სცემსო, და ამიტომ არავინ შეშველებია. გადამწერელს ძალა უხმარია ორმოცდაათის წლის დედაკაცზე და გაუუპატიურებია, ნამუსი შეუგინებია. ამ საქმეზე გამოძიება დაწყებულა. მოსამართლეს ამ კაცისთვის ხუთის წლით ციმბირში მოგზაურობა გარდაუწყვეტია.

„ივერია", №18, 1887 წელი

# დედის მუცლითგან დაღრეჯილი მოსამართლე

ქუთაისიდამ სწერენ, რომ 13 იანვარს სასამართლომ გაარჩია საქმე მ. ნაკაშიძისა და 50 მანეთი ჯარიმა განუჩინაო. ნაკაშიძეს ჰბრალდებოდა შეურაცხყოფა ქუთაისის სასამართლოს წევრისა ბ-ნის ჟდანოვისა, რომლისათვისაც ბრალდებულს ეთქვა, რომ თუ თქვენ პატიოსანი კაცი ბრძანდებით, ჩემის საქმეების განხილვის დროს სასამართლო სხდომას ნუ დაესწრებით. როგორც კი სხდომაზე შემოვედი, დაღრეჯით მიცინოდით, რაც იმას ნიშნავდა „შენს საქმეს განგებ გავაჭიანურებო". ამ მოსამართლეს დედის მუცლითგან ჰქონია თურმე ისეთი სახე, გეგონება დაღრეჯილია ან იცინისო, ამიტომ ამ პატიოსანს მოსამართლეს ეს ამბავი სწყენია და საჩივარი დაუწერია ნაკაშიძეზედ. სასამართლომ ნაკაშიძეს ჯარიმა გარდაუწყვიტა.

„ივერია", №13, 1887 წელი





# თმაგაკრეჭილი ქალი 500 მანეთს ითხოვს

სამეგრელოდან უცნაურს ამბავსა გვწერენ: ერთს აქაურს მცხოვრებელს კარგად დროულს კაცს ყმაწვილი ქალი ჰყავს ცოლად. ამ დროულმა კაცმა სხვა ქალი შეიყვარა და უმეტესად უფრო მასთან სცხოვრობს ხოლმე. ამას წინად ცოლმა მოიპატიჟა თავის სახლში თავის ქმრის საყვარელი ქალი და მუსაიფი დაუწყო. პატარა ხანს შემდეგ მიპარვით მიიტანა მაკრატელი და თავის ქმრის საყვარელს თმა მოჰკვეცა. გაოცებულმა ქალმა ჰკითხა თურმე დამნაშავეს, რად მიყავი ასეთი რამეო და ტირილი დაიწყო; დამნაშავემ უპასუხა: მე დიდი ხანია შენი ჯავრი მქონდა და აქამდე ვერა მოგიხერხე-რაო. ეხლა თმა იმიტომ მოგკვეცე, რომ ჩემს ქმარს აღარ მოეწონები და შეგიძულებსო. ამაზედ თმაგაკრეჭილმა ქალმა საჩივარი შეიტანა სასამართლოში და ამის ფასად 500 მანეთს თხოულობს. საქმე წარმოებაშია და ვნახოთ, რითი გათავდება.

„ივერია", №28, 1887 წელი

მამუკა ტყეშელაშვილის ნახატები

ALPE

# 13-დან 19-მდე



— **ქალბატონო ნანა, ამბობენ, ბიჭების გაზრდა საკმაოდ ძნელია. ისინი მეტად კონფლიქტურები არიან. განსაკუთრებით მოზარდობის ასაკში.**

— ლევანი და გია ბავშვობიდან საოცრად შეხმატკბილებული ძმები იყვნენ. არც სხვა ბავშვებთან ჰქონიათ კონფლიქტები. ჩვენს ეზოში 100-მდე ბავშვი ცხოვრობდა, არ მახსოვს, მათ ერთმანეთთან ეჩხუბათ. ერთადერთი ვაკესა და ვერაზე მცხოვრები ბიჭები თუ წაეკიდებოდნენ ერთმანეთს. ეგ იყო და ეგ. ერთხელ დამირეკეს და მითხრეს, უნივერსიტეტის ეზოში ბიჭები ჩხუბობენ და გიაც იქ არისო. გავვარდი, მაგრამ მხოლოდ „ომობანას“ თამაშის მოწმე გავხდი. ისე, გია დიდი მოუსვენარი და ფათერაკიანი იყო, რასაც ლევანზე ვერ იტყოდი. ის ყოველთვის მეტი პასუხისმგებლობითა და სიწყნარით გამოირჩეოდა.

— **ონავრობისა და ფათერაკების შედეგად გიას სამახსოვრო ნიშნებიც დარჩა, არა?**

— 8 კლასის დამთავრების აღსანიშნავ ქეიფში ლიმონათის ბოთლი გახსნა კბილით და ტუჩი დაიზიანა. მაშინვე მეგობრებს მე-9 საავადმყოფოში გაუქანებიათ, სადაც ქირურგს ნაკერი არ დაუდვია, დაგაჩნდებაო. დაუმუშავა ჭრილობა და სახლში გამოუშვია. სახედასივებული რომ მოვიდა, კინაღამ გული გამისკდა. თანაც მეორე დღეს მუსიკაში ჰქონდა გამოცდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მომთმენი იყო, ტკივილის გამო გამოცდაზე გასვლა მხოლოდ ორი კვირის შემდეგ შეძლო და მშვენივრადაც ჩააბარა.

— **ასეთი ცელქის დასჯის სურვილიც გაგიჩნდებოდათ ზოგჯერ.**

— ბიჭები არასოდეს მიცემია. გაბრაზებული ერთს ვიტყოდი: რა საშინლად იქცევით-მეთქი, რაც საკმარისი ხდებოდა, თუმცა უფრო გიას ვსაყვედურობდი. თუ ვბრაზდებოდი, მათი დასჯის წესად მქონდა ის, რომ დღეობებზე არ ვუშვებდი. გია იმდენს მეფერებოდა, რომ მაინც დამიყოლიებდა ხოლმე. ჩემი მეუღლე კი მსაყვედურობდა: თუ სჯი, ბოლომდე დასაჯეო. არადა, თვითონ ჩემზე რბილი იყო და დღემდე საოცრად მეგობრული ურთიერთობა აქვთ მამასა და შვილებს.



— **მათი პროფესიების არჩევაში რა ზეგავლენა მოახდინდეთ?**

— ყოველთვის თვითონ იღებდნენ გადაწყვეტილებებს. გია ძალიან თამამი და დამოუკიდებელი იყო თავიდანვე. ჯერ კიდევ მე-5 კლასში პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში წავიდა და თამარ თეთრაძესთან დრამწრეში ჩაეწერა. იქიდანვე ვიცოდით, რომ მსახიობი გახდებოდა. ლევანი კი სპორტზე გიჟდებოდა. ერთხელ გრიპი ჰქონდა. სიცხიანი დავტოვე შინ. რომ დავბრუნდი, არ დამხვდა. კალათბურთის სათამაშოდ გაქცეულა. იმ დღეს მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონიათ და მზად იყო, მოედანზე დაცემულიყო. ლევანისათვის ახირებამდე ძვირფასი იყო კალათბურთი. გიასთვის კი თეატრი. ალბათ ერთი ასჯერ მაინც დაესწრო „კავკასიურ ცარცის წრეს“. ერთხელ ეჭვიც კი გამიჩნდა, ნეტავ, სულ თეატრში თუ დადის-მეთქი? ამიტომ ჩუმად მართლაც დავრწმუნდი, რომ რუსთაველის თეატრში დადიოდა.

— **მოზარდობის პერიოდში ბიჭები სიგარეტის წევას იწყებენ და მშობლებს უმალავენ „დანაშაულს“, ალბათ თქვენც გვიან გაიგეთ მათი ახალი „გატაცების“ შესახებ.**

— ლევანი მგონი დღესაც არ ეწევა სიგარეტს, გია კი სტაჟიანი მწეველია. საერთოდ, მეცადინეობის დროს ხშირად ვეხმარებოდი, ვასწავლიდი. ერთხელაც გიას X კლასში ყოფნის დროს მისთვის საძულველ მათემატიკაში განტოლების ამოხსნაში ვეხმარებოდი. წარამარა გარბოდა გარეთ. რომ შემოდიოდა, სიგარეტის სუნი ასდიოდა. დავეჭვდი, ვიფიქრე, რაღაცას ეშმაკობს-მეთქი და ვკითხე: — სიგარეტს ხომ არ ეწევი-მეთქი. გამომიტყდა — კიო. მაგასთან დავას აზრი არ ჰქონდა, ვერ გადავათქმევინებდი. საერთოდ რამე რომ გააკეთებინო, უნდა აქო.



— **პირველი სიყვარული რომ ეწვიათ ბიჭებს, ვის გამოუტყდნენ — თქვენ თუ მამას?**

— ლევანს ეშმაკობა და ქვეშქვეშობა არ შეეძლო. გია კი პირიქით, სულ რაღაცებს „მაიმუნობდა“. არადა, ლევანმა არც სიყვარული გამიმხილა და ცოლიც ჩუმად მოიყვანა. გაიპარნენ. გია კი შეყვარებულობისთანავე მოვიდა და მითხრა: ერთი გოგო მიყვარსო. ნინო ძიძავას შესახებ მანამდე ყველაფერი ვიცოდი, ვიდრე გიას ცოლი გახდებოდა.

— **ბიჭებს რაიმე ისეთი თვისება ხომ არ ჰქონიათ, რის აღმოფხვრასაც საგულდაგულოდ ცდილობდით?**

— არა, ასეთი არაფერი ყოფილა. თუ არ ჩავთვლით გიას ცაციობას. ყველაფერს მარცხენა ხელით აკეთებდა. მერე და მერე როგორღაც გადავაჩვიეთ.

***ეკა ლომიძე***



*გამარჯობათ ძვირფასო „კვირისპალიტრელებო“. პირველ რიგში მინდა მადლობა გითხრათ, იმ შესანიშნავი რუბრიკისთვის, რომელსაც „13-დან 19-მდე“ ჰქვია. მე და ჩემი მეგობრები ძალიან დიდი ინტერესით ვეცნობით ამ გვერდში განთავსებულ მასალებს. ამ წერილში კი მე მინდა შევეხო ყველასათვის აქტუალურ თემას — სიყვარულს. სიყვარულს ყველა ასაკი ემორჩილებაო ნათქვამია და არც მე აღმოვჩნდი გამონაკლისი. ყველაფერი კი ასე დაიწყო:*

*ზაფხულობით ყველა შეძლებისდაგვარად ვცდილობთ, თავი გავარიდოთ დახუთულ ქალაქს. ჰოდა, მე და ჩემმა ბიძაშვილმა თათამ (სახელები შეცვლილი იქნება) გადავწყვიტეთ ერთად გაგვეტარებინა არდადეგები და სოფელში გავემგზავრეთ. სოფელში ყველასაგან განსხვავებულად ლევანი მექცეოდა. ერთ მშვენიერ დღეს კი სიყვარულიც ამიხსნა და ცოლობა მთხოვა. ჩემი გრძნობები არც მე დამიფარავს. ძალიან გაეხარდა, შემომთავაზა, გავიპაროთო, რაზეც უარი ვუთხარი, მაშინ მოტაცებაც დამიპირა, მაგრამ დროზე ვუშველე თავს (თუ ამას შველა ჰქვია). ბოლოს შევთანხმდით, რომ სკოლის დამთავრებას დამაცდიდა და ერთ წელში დავქორწინდებოდით. იმდენ ყვავილებს მჩუქნიდა, აღარ ვიცოდი, სად წამეღო. შეხვედრებიდან დაბრუნებულს, ნახევარ საათში უკვე მენატრებოდა და ვტიროდი. ჩვენი იქ ყოფნის ერთმა თვემ სწრაფად გაირბინა. თბილისისკენ მომავალს, სამარშრუტო ტაქსიში ისეთი ისტერიკული ტირილი ამივარდა, გარშემომყოფნი გაოცებით მიყურებდნენ. თბილისში უკვე ტელეფონით ვეკონტაქტებოდით ერთმანეთს. ჩემებმა მალე გაიგეს ყველაფერი და საშინლად გაბრაზდნენ (როგორ ეკადრებათ თბილისელებს სოფლელი სიძე?!). სახლში ჩამკეტეს, გარეთ არ მიშვებდნენ, ტელეფონსაც აღარ მიმაკარეს. თათას საშუალებით ვიგებდით ერთმანეთის ამბებს. მოულოდნელად ლევანისგან შეწყდა სატელეფონო ზარები. ორი თვე მის შესახებ არაფერი გამიგია. დაბადების დღეც კი არ მოულოცია. ძალიან განვიცდიდი, ვტიროდი. თქვენ წარმოიდგინეთ, თავის მოკვლაც კი ვცადე, დროზე მომისწრეს. ლევანმა ორთვიანი პაუზის შემდეგ დამირეკა და მითხრა, რომ დამნაშავე იყო ჩემ წინაშე და პატიებას მთხოვდა. ამბობდა, რომ ჰქონდა თავის გასამართლებელი საბუთი, ოღონდ ამას ტელეფონით ვერ მეტყოდა, შეხვედრა უნდოდა. მე უარზე ვიყავი, თავი დავიფასე და არ შევხვდი. ორი კვირის განმავლობაში მირეკავდა და ერთსა და იმავეს მიმეორებდა, მკითხა მიყვარდა თუ არა ისევ. მიუხედავად იმისა, რომ მე მაშინ და ახლაც ძალიან მიყვარს, ვუთხარი, რომ მეზიზღებოდა და მისი დანახვაც არ მინდოდა. მაშინ კი ლევანი დამემშვიდობა. მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა და მისგან არაფერი ისმის. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო ლევანს და პატიება ვთხოვო ჩემი დაუფიქრებელი საქციელისთვის. ვუთხრა, რომ მე ისევ ისე მიყვარს, როგორც მაშინ...*

*ყველა მშობელს მთელი სულით და გულით მინდა ვთხოვო, რომ ნუ გათელავთ თქვენი შვილების წრფელ სიყვარულს, რადგან ჩვენ ამას ძალიან მტკივნეულად განვიცდით. შეიძლება იკითხოთ, ჩვენ რაღა შუაში ვართო, მაგრამ დამერწმუნეთ, თუნდაც ჩემი სიყვარულის დაკარგვაში, ჩემს მშობლებს ლომის წილი მიუძღვით. თქვენ კი ჩემო კარგო „კვირის პალიტრელებო“ გთხოვთ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე.*

***თიკა 17 წლის, თბილისი***

**თიკა, სასიამოვნოა, რომ ჩვენმა რუბრიკამ დაგაინტერესათ და გულისნადებიც ჩვენ გაგვიმჟღავნეთ. რჩევას გვთხოვ, რა გზას დაადგეთ და როგორ მოიქცეთ მომავალში. თიკა, თქვენი საქციელის გამართლება გსურთ, როდესაც მომხდარში მშობლებს ადანაშაულებთ და ეს მაშინ, როდესაც თავად ვერ შეძელით სიყვარულის „დაცვა“. თუმცა, ყველაფრის გამოსწორება შეიძლება, მთავარია, თავად იყოთ დარწმუნებული საკუთარი გრძნობების სიწრფელეში. შემდეგ კი, ნუ დააყოვნებთ და მოძებნეთ ლევანი, აუხსენით ყოველივე და უთხარით, რომ გიყვართ, მასაც თუ არ შეცვლია თქვენდამი დამოკიდებულება, მაშინ ისე მოიქეცით, როგორც ორივე ჩათვლით საჭიროდ.**



*უკვე რამდენიმე წელია, რაც თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. „კვირის პალიტრა“ ჩემი ფავორიტია, მაგრამ მყავს სხვა ფავორიტიც — მომღერალი ტიციანო ფერო, რომელზეც საოცრად მწირი ინფორმაცია მომეპოვება. ამიტომაც გთხოვთ: მასზე მომიძიოთ მინიმალური ინფორმაცია მაინც.*

*უკვე მოუთმენლად ველი თქვენს შემდგომ ნომრებს (როგორც ყოველთვის).*

***სიყვარულით და თხოვნით თქვენი ერთგული მკითხველი თეონა ელიაშილი, 13 წლის***



**ტიციანო ფერო** 22 წლის წინ იტალიაში, ლატინაში დაიბადა. სწავლობდა სანრემოს მუსიკალურ სკოლაში, სადაც სხვა მოწაფეთაგან არაფრით გამოირჩეოდა — ტიპური იტალიური ხმა, მეტი ემოცია, ვიდრე ვოკალური მონაცემები. მან, როგორც მომღერალმა, პირველი ნაბიჯები „პიანინოს ბარში“ გადადგა. თავდაპირველად ფონოგრაფით მღეროდა.

ტიციანომ ბედი სანრემოს ფესტივალზე მოსინჯა. სწორედ აქ შეხვდა თავის მომავალ პროდიუსერებს მარა გაიონჩეს და ალბერტის. ახალგაზრდა მომღერალი თავად წერს ტექსტს და მუსიკას. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური კრიტიკოსები მის მუსიკალურ მონაცემებს სკეპტიკურად უყურებენ და თვლიან, რომ მის სიმღერაში ტექსტი მეტია, ვიდრე მელოდია, ორი სინგლი — „perdono“ („მშვიდობით“) და „imbranabo“ („სიყვარულით თავბრუდახვეული“) გასაოცარი სისწრაფით გაიყიდა. მომღერლის პოპულარობამ პიკს მიაღწია, როდესაც იტალიასა და ესპანეთში რადიოს საუკეთესო ათეულში პირველი ადგილი დაიკავა.

ტიციანო ფეროს საყვარელი ფერი მწვანეა. „დედაჩემს, ისევე როგორც მე, მწვანე ფერის თვალები აქვს, ამიტომ განსაკუთრებით მომწონს ეს ფერი“ — ამბობს იგი. ფეროს ცხოველებიდან ძაღლები და კატები უყვარს. მისი ჰობია: კინო, ინტერნეტი, ხატვა და სახლის ვიდეო; მთავარი „პერსონა“ — ოჯახი, ყველაზე სასიამოვნოდ გასახსენებელი: მშობლიურ ქალაქში 5000 ადამიანის წინაშე კონცერტის გამართვა; საყვარელი ტელეპროგრამა „სიმპსონები“. დასვენებისას ურჩევნია, ცხელი ჩაი სვას, ვიდრე ბალიშთან ჩახუტებულმა დაიძინოს: „მე ყველაფერს ვაკეთებ, რომ პოპულარული ვიყო და ხშირად ისეთ რამეს ჩავდივარ, რაც თავად არ მსიამოვნებს, მაგრამ რას ვიზამ“.

## გრძნობათა ქარიშხალი

გამთარია. გარეთ ცივა და ჭინჭყლი ამინდია, შინ კი თბილა და თავს გაცილებით კომფორტულად გრძნობთ. შეგიძლიათ ფანტაზიას მოუხმოთ და იოცნებოთ.

**კვირადღეს გადაწყვიტე შინ, მეგობრებთან ერთად ფილმს უყურო. რომელ ფილმს აირჩევ?**

„$8^{1/2}$ კვირა“
„102 დალმატინელი“;
„ანგელოზთა ქალაქი“;
„ლამაზმანი“

**რას მიართმევ სტუმრად მოსულ მეგობრებს?**

„კოკა-კოლას“ მოხალულ თხილთან ერთად;
ყავას და ნამცხვარს;
იმას, რაც ხელთ მომხვდება;
ჩაის, ფუნთუშასთან ერთად.

**ფანტაზიამ გაგიტაცა, თვალები დახუჭე, მოდუნდი, რა გაიფიქრე?**

გაგახსენდა გაკვეთილზე მასწავლებელმა რომ გამოგიძახა და ლენჩივით იდექი, იმიტომ, რომ იცოდი, ვერაფერზე უპასუხებდი;
არაფერი მნიშვნელოვანი — უბრალოდ სიცარიელის შეგრძნება დაგეუფლა;
გაგახსენდა შეხვედრა, რომელიც ბოლო ხანს რატომღაც მიგავიწყდა;
თვალწინ შეყვარებული ადამიანი წარმოგიდგა.

**შეყვარებული გეხვევა და ყურში საალერსო სიტყვებს ჩაგჩურჩულებს, ამ მომენტში რა მუსიკას მოუსმენდი?**

მნიშვნელობა არა აქვს;
უპირატესობას ლირიკულს მივანიჭებდი;
მხოლოდ უცხოურ მუსიკას ჩავრთავდი;
რეტრო მირჩევნია.

**პასუხები:**

სიმბოლოები გადათვალე, რომელიც ყველაზე მეტია. შეიტყობ, რამდენად მგრძნობიარე ხარ და რა ემოციები გამოძრავებს.

ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ განწყობაზე ხარ. არის მომენტები, როდესაც საკუთარ თავსაც გინდა გაექცე. მაგრამ სჯობს ემოციები მოთოკო. სანამ არ დარწმუნდები, რომ გარშემომყოფნი იმსახურებენ შენს ნდობას, იქამდე ეცადე, გრძნობები არ გამოამჟღავნო.

შეიძლება შენ გადამეტებულად მგრძნობიარე ხარ და ინსტინქტების გჯერა, ყურს უგდებ შინაგან ხმას, რომელიც იშვიათად გღალატობს. გარშემომყოფებს ანდამატივით იზიდავ. რაც იმითაც არის გამოწვეული, რომ ყველას ენდობი, გიყვარს და აფასებ. გრძნობების სპონტანური გამოვლენა უფრო მიმზიდველს და სასიამოვნოს გხდის.

მიწაზე მყარად დგახარ და პრაქტიკულად ყოველთვის ცივი გონებით მოქმედებ. ყველაფერი რომანტიკული სასაცილოდ მიგაჩნია, ამიტომაცაა, რომ იშვიათად გიწევს ცხოვრების, სხვადასხვა მომენტით დატკბობა. სიმართლეს თვალებში ჩახედე: ნუთუ მოგწონს ცხოვრების ასე გატარება? იქნებ იმაზეც დაფიქრდე, რომ გარშემო გაცილებით მეტი სიხარულია, ვიდრე ტკივილი.

შენ არა მხოლოდ არანორმალურად მგრძნობიარე ხარ, არამედ მშვენივრად ახერხებ სხვებიც შენს ხასიათსა და განწყობილებაზე გადაიყვანო. რაც იმიტომ ხდება, რომ გრძნობების კონცენტრირებას ახდენ. ყოველივეს მეორე მხარეც გააჩნია: შეიძლება შენმა მოჭარბებულმა ემოციებმა შენი გულის სწორი დააბნიოს.

***გვერდი მოამზადა ლია იაკობაშვილმა***

# „მეტიჩარა“ თბილისში

## — აფსუს, რა კარგი გოგო ხარ და კაცის სახელი კი გქვიათ...



*რამდენიმე წლის წინ პატარა მომღერალმა* ***ნინო სურგულაძემ*** *„ჰერიო, ბიჭებო“ იმღერა და მდუღარე ცრემლიც აფრქვევინა მსმენელს. სწორედ მაშინ ერთმა მაყურებელმა აღნიშნა: — ამ გოგოს კინოფილმ „მეტიჩარაში“ მონაწილეობისთანავე კოჭებში ეტყობოდა, ვინც იქნებოდა. არ დაგვზაფრა ხალხი. რა გულით იმღერა, სული ამიდუღდა, სულიო. ამ ამბის შემდეგ ნინომ ქართულ ტელე და რადიოეთერში ფოსტალიონის (ფილმიდან „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“) გარემიქსებული სიმღერა შეგვისრულა და „თავისი ძველი ტყავის ჩანთით“ სადღაც გაუჩინარდა, თუმცა, მალე გაირკვა, რომ ნინო მსოფლიოს ოპერის მექისაკენ მიმავალ ლა სკალას გზას დასდგომია და ამჯერად არც მეტი, არც ნაკლები, თავისი მშვენიერი, მგრძნობიარე ხმით უცხოელებს ხიბლავს. სამშობლოს მონატრებული „მეტიჩარა“ ახლახან თბილისში იმყოფებოდა, როგორც თავად თქვა, სიყვარულისა და სითბოს აკუმულატორის ქართული ენერგიით დასამუხტად. ამ პროცესში ჩვენც მივეშველეთ.*

— **ნინო, ამბობენ, იტალიაში შენი სახელი ბევრს საგონებელში აგდებს. რაშია საქმე?**

— იტალიაში ნინო კაცის სახელია, ამიტომაც, როცა მეცნობიან, სახელის გაგონებაზე სახეზე ღიმილი ეყინებათ, ისეთი რეაქცია აქვთ, თითქოს ცივი წყალი გადაასხეს. საქართველოში ჩამოსულმა იტალიელმა ქალმა რომ მითხრას, ჯუმბერი მქვიაო, რეაქცია მეც ადეკვატური მექნება. თავდაპირველად ყველას ვუხსნიდი, რომ ნინო, იმ წმინდანის სახელია, რომელმაც საქართველო გააქრისტიანა, რომ საკუთარი ჯვარი შეგვიკრა თავისი ნაწნავით, ჩემს მონათხრობს სიამოვნებით უსმენდნენ. მაგრამ მაინც თავს დაქნებით აქნევდნენ — აფსუს, რა კარგი გოგო ხარ და კაცის სახელი გქვიათო.

— **ორი წელია სამშობლოდან შორს ხარ, მონატრებით გამოწვეულ სიცარიელეს როგორ ავსებ?**

— იქ, იტალიაში ჩემს ოთახში თბილისის ხედებით, ფოტოებით, ქართული ძველისძველი თიხის ჯამებით, ჯვრებითა და ხატებით პატარა საქართველოა „გამომწყვდეული“. ეს ყველაფერი ნოსტალგიას მიმსუბუქებს, მაგრამ ნივთებს სამწუხაროდ, არ შეუძლიათ საუბარი.

— **და ვისთან საუბრობ?**

— მეგობრებთან, ქართველ მეგობრებთან. ყველაზე ახლოს შესანიშნავი ქართველი ტენორი გია ონიანი მყავს. სამშობლოს მონატრებით მოწყენილები ლექსებად სატელეფონო შეტყობინებებს ვუგზავნით. მერე გია მეხვეწება მოდი, ყოველდღე სხვადასხვა სახელს დაგიძახებ, დღეს ნინო იყავი, ხვალ — ქეთი, ზეგ ნაზიბროლა და ა.შ. უცხოელებთან შესანიშნავი მეგობრობა გვაქვს. მაგრამ ჩვენ, ქართველები, რომ ვუგებთ ერთმანეთს, ისე არავის შეუძლია გაგება.

— **ვინ ან რა გენატრება ყველაზე მეტად?**

— ჩემი სახლი, დედა, მეგობრები და რუსთაველის გამზირი. რომ ჩამოვდივარ, ერთი სული მაქვს, როდის გავიჭრები ქუჩაში და რუსთაველის გამზირს როდის „დავლაშქრავ“. როდის ვიგრძნობ თბილისის სუნს. იმ დღეს დავინახე ქუჩაში მარიანა-მარეხი. გამვლელები ჩურჩულებდნენ, მარეხი მოდისო. ასე იტალიაში არ იქცევიან. იქაც ტემპერამენტიანი ხალხია, მაგრამ ქუჩაში მეტად თავშეკავებულნი. აქ კი, სიყვარული უნდა აგრძნობინონ, უნდათ სიყვარულით დაგავალდებულონ, აი, ეს მომწონს.

— **საქართველოდან წასულები ორ კატეგორიად იყოფიან, ერთნი, რომელთაც სურთ რომ ცხოვრება მოიწყონ და სულ არ აღელვებთ სამშობლო, მეორენი...**

— მეორე კატეგორიას ვეკუთვნი. საქართველოს გარეშე მიჭირს გაძლება, გია ონიანიც ასეა. სულ წუწუნებს, არადა, იტალიელები გიჟდებიან მასზე, ძალიან წარმატებული მომღერალია. მე ყოველ ჩამოსვლაზე ღრუბელივით ვისრუტავ ყველაფერს ქართულს და მერე ლა სკალას სცენაზე, როგორც იტალიაში ამბობენ, ქართულ ცეცხლად ვიღვრები.

— **გიას წარმატებებზე ლაპარაკობდი. არადა, შენც ძალიან წარმატებული ხარ, სამომავლო გეგმებზე რას იტყვი?**

— 23 თებერვალს ლა სკალას სცენაზე „კარმენში“ მთავარ პარტიას შევასრულებ, მერე როსინის „იტალიელი ალჟირში“ ასევე ერთ-ერთ მთავარ როლში ვარ. წამოსვლის წინ მითხრეს, სიურპრიზს გიმზადებთო, არაფრით გამიმხილეს. ვფიქრობ, „არია-დანტეში“ მთავარ პარტიას ვიმღერებ.

— **კინოში არ გიწვევენ გადასაღებად?**

— ჯერ სიჩუმეა. ჩემი ოცნებაა „კარმენი“ ვიმღერო. ხშირად გამირბის თვალი ჰოლივუდისკენ (იცინის). ჯერ დრო მაქვს, მხოლოდ 25 წლის ვარ.

— **ნინო, შეგიძლია სამი მნიშვნელოვანი ფრაგმენტი გაიხსენო შენი ცხოვრებიდან?**

— პირველი: როცა პირველად ვითამაშე ფილმში. უფრო სწორად, როცა სინჯებში მივიღე მონაწილეობა. მახსოვს აღფრთოვანებული რეჟისორი და მისი სიტყვები: — ძალიან მოგვეწონეთ, დაგირეკავთ. პატარა, გამხდარი 10 წლის გოგო იმ ზარს მოუთმენლად ველოდი, ვფიქრობდი, რომ ეს ზარი გადაწყვეტდა ჩემს მომავალს. ასეც მოხდა. მეორე ფრაგმენტი? — პირველად „ჰერიო, ბიჭებო“ რომ ვიმღერე სცენაზე. არასოდეს დამავიწყდება, ვკანკალებდი და ვღელავდი. იმიტომ კი არა რომ სიმღერის მეშინოდა, ტკივილს განვიცდიდი, ტკივილს (და არა მხოლოდ მე), რომელიც მაშინ ყველას გვიპყრობდა ჩვენი სამშობლოს გამო. მესამე ფრაგმენტად მახსენდება ჩემი გამოსვლა ბარსელონის ფესტივალზე, საიდანაც გამარჯვებული დავბრუნდი. მახსოვს, ყველა ქვეყანას ათი-ოცი წარმომადგენელი ჰყავდა და შესაბამისი რაოდენობით ფრიალებდნენ მათი დროშებიც. მე კი მარტო ვიყავი ერთი დროშით და ვგრძნობდი ჩემ უკან პატარა, მაგრამ მაინც დიდი საქართველო იდგა. ამას რომ მივხვდი, ჩემში ვულკანის ამოფრქვევა ვიგრძენი. ენერგიას ჩემი საქართველო მაძლევს, ქვეყანა, სადაც ოდესღაც ღიმილიანი ხალხი დადიოდა. იმედი მაქვს, რომ მორიგ ჩამოსვლაზე ისევ იმ ღიმილით სავსე ქუჩებს ვნახავ.

# თეთრი რელსები დაიჟანგა და „კუკუშკაც“ გაქრა...

*ანსამბლ „75“-ის ყოფილ წევრს* ***უჩა კორძაიას*** *მეგობრები საკმაოდ არაორდინარულ ადამიანად მიიჩნევენ. ბატონი უჩა საქართველოს სახელმწიფო ორკესტრის ფლეიტისტი და ერთ-ერთი რესტორნის საქსოფონისტია. ხმები იმის შესახებ, თითქოს იგი რესტორნის მფლობელია, სამწუხაროდ, სიცრუეა. ხოლო სიმართლეს ინტერვიუდან შეიტყობთ.*

— **ბატონო უჩა, როცა რესტორანში პროფესიონალ მუსიკოსებს ვხედავ ფილმი „ფესვები“ და გოგი გეგეჭკორის პერსონაჟი მახსენდება...**

— თუ ვინმეს ჰგონია, რომ რესტორანში მუსიკის დაკვრა იოლია, ძალიან ცდება. ეს საკმაოდ რთული საქმეა. ხელოვანს, მუსიკოსს პუბლიკა სჭირდება. რესტორანში კი ყოველთვის არ არის ერთნაირი სიტუაცია. ჩემ გვერდით ყველა პროფესიონალი, კლასიკოსი მუსიკოსი უკრავს. რესტორანში სხვადასხვა კატეგორიის ადამიანთა მოთხოვნის მიხედვით იქმნება პროგრამა. თანაც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მოდიან და ზოგი რას გვიკვეთს და ზოგიც — რას. უცხოელებს უკვირთ, საიდან ვიცით მათი სახელმწიფოს ჰიმნი, ფეხზე დგებიან, ტაშს თავს ანებებენ და ისე გვისმენენ.

— **ნასვამ ადამიანებთან მუშაობა ალბათ განსაკუთრებით რთულია.**

— რა თქმა უნდა. უამრავი კურიოზის მომსწრე ვარ. შემოდიან და ყვირიან — აბა, ეს დაუბერე, ბიჭო, რა! ერთმა საქსოფონი რა იყო, არ იცოდა. მოვიდა და მეუბნება, მოდი, მაგ ყანწში ღვინო ჩამასხმევინეო... კლაპანებიდან ღვინო რომ გადმოიღვარა გადაირია — ეს რა გახვრეტილი ყანწიაო? ანსამბლ „75“-ის დროინდელი პირობები რომ გვქონდეს, რესტორანში არ დავუკრავდი.

— **ამბობენ, საქსოფონზე ვინც უკრავს, ფილტვები და გული უავადდება და დიდხანს ვერ ცოცხლობსო. ჯვარი გწერიათ, ჯანზე ხართ, არადა რაც თავი მახსოვს, სულ ამ ინსტრუმენტზე უკრავთ.**

— პირიქით, გულით და ფილტვებით დაავადებულ ბავშვებს სასულე ინსტრუმენტის დაკვრას ასწავლიან. მთავარია სწორად ისუნთქოს, პედაგოგმა ასწავლოს სწორად ჩაბერვა.

— **ამბობენ, საქსოფონი განსაკუთრებით ქალებს ხიბლავთ, რაღაცნაირ ინტიმურ დატვირთვას ხედავენ ამ ინსტრუმენტშიო.**

— გეთანხმებით. საქსოფონის მუსიკა განსაკუთრებით მგრძნობიარედ მოქმედებსო — ხშირად უთქვამთ ქალებს.

— **თქვენი და ამ ინსტრუმენტის დაახლოება მგონი რობერტ ბარძიმაშვილის დამსახურებაა.**

— მე ფლეიტისტი ვარ. „ორერაში“ ვუკრავდი „75“-ის შექმნამდე და მერე ბარძიმაშვილმა საქსოფონზე დაკვრა შემომთავაზა. ბუბა კიკაბიძის სიმღერისთვის იყო საჭირო საქსოფონის მუსიკა. ამ ინსტრუმენტზე დაკვრა ერთ თვეში ავითვისე.



— **ამბობენ, უჩა კორძაიას ხშირად იწვევენ უცხოეთში დასარჩენად და შემოთავაზებაზე არასოდეს თანხმდებაო. სამშობლოს ვერ ტოვებთ თუ...**

— კვეხნას ვერ დავიწყებ, საქართველოს გარეშე არ შემიძლია-მეთქი, მაგრამ ასეა, — ოჯახის, დების, ნათესავების, თბილისის, ქუთაისის გარეშე ვერ გავძლებ.

— **თქვენი სიჭაბუკის დროის დღეს ძველ დროს ეძახიან.**

— „მე იგივე ვარ მარად და მარად“ (იცინის), იმ გრძნობით და სიყვარულით სავსე, რომელიც ჩემი სიჭაბუკისდროინდელ თბილისს და ქუთაისს ჰქონდა. თბილისში ქუთაისელ „ემიგრანტს“ მეძახიან და ქუთაისში ქუთაისის „ელჩს“ თბილისში. ჩვენი დრო მართლა სხვანაირი იყო. კანონი კანონობდა და მეტი მორიდება იყო. ჩხუბის დროს დანის ამოღებაც სირცხვილი იყო.

— **ბატონო უჩა, ბევრმა არც კი იცის, რომ თბილისის ქუჩებში ველოსიპედით მოსიარულე სათვალიანი მამაკაცი თქვენ ხართ.**

— 7-8 წელია უკვე ველოსიპედით დავდივარ. ერთი „გიჟი“ ხომ უნდა ჰყავდეს თბილისს ქუთაისელი. ჰოდა, მე ვარ ის „გიჟი“. მთელი ცხოვრება ვვარჯიშობდი სპორტში, კრივში, ჯერ კიდევ ქუთაისში სულ ჩხუბში ვიყავი, ძველბიჭობა ჩემს დროსაც პოპულარული იყო და მეც იმ ადამიანების გვერდით ვიყავი. მაგათ „ლიანდაგზე“ კი ვიდექი, მაგრამ მუსიკალური ნიჭის გამო შემომიძახეს. „მაიმუნობა“ არ გინდა, მუსიკას გაჰყევი და კაცი დადექიო. მერე ისე მოხდა, თვითნაკეთი იარაღის სროლის გამო სკოლიდან გამომრიცხეს, მუსიკალურ ტექნიკუმში ჩავაბარე და იქიდან ერთად ვართ მე და მუსიკა.

— **ქართველებს მსოფლიოს ნომერ პირველი ველოსიპედისტი ჯუმბერ ლეჟავა გვყავს, თქვენც ხომ არ აპირებთ მისი გზის გავლას?**

— არა. უაღრესად დიდ პატივს ვცემ, ჩემს უფროს მეგობარს. მაგან რაც მსოფლიოში იარა, იმდენი მე აქ ვიარე. ზაფხულში ყოველდღიურად თითქმის 50-100კმ-ის გავლა მიწევს. ზოგჯერ ინსპექცია ვერ მცნობს და მომდევს, რომ დამეწევიან სათვალეს ვიხსნი, ვიღიმები, ყვირიან: — კორძაია, უჩა, შე გიჟოო და მიშვებენ. მეგობრები ველოსიპედის მერსედესებში გაცვლას მთავაზობენ. ეტყობა შურთ, ასე მოხდენილად რომ გამოვიყურები, ისინი კი ლამის 200 კილოს იწონიან. ისე, ბევრი ამყვა.

— **მახსენდება ანსამბლ „75“ და თქვენ, „კუკუშკა“ მატარებლის მომღერალი... სად მიდიან „თეთრი რელსები“...**

— არსად, დაიჟანგა რელსები, პატრონი აღარ ჰყავს. „კუკუშკა“ მე მგონი აღარ არის ბაკურიანში. მაგრამ იმედი მაქვს, აღდგება. ოპტიმისტი ვარ. არაფრის არ მეშინია. იმიტომ ვვარჯიშობ, რომ ფორმაში ვიყო, შრომაც შევძლო და ჩხუბიც.

— **რისთვის გიჩხუბიათ?**

— ცუდი ქცევის გამო, ქალის, გოგოს გულისთვის. ჩემზე ზორბა კაციო, არ იტყვიან, მაგრამ ჩემნაირ „გამოშტერებულს“ ოთხს გავლახავ. ამას წინათ ერთი მეკითხება: — უჩა, რატომ ვარჯიშობთ? — იმიტომ, რომ გამომეკიდონ და ვერ დამეწიონ-მეთქი.

— **ახლანდელ შოუბიზნესზე, ქართულ ესტრადაზე რას იტყვით?**

— ცოტაა ისეთი, ვისაც ვუსმენ და ჩემთვის მომღერალია. ნუკრი კაპანაძე, მერაბ სეფაშვილი, თამრიკო გვერდწითელი, მაია ჯაბუა და სხვები. კომპიუტერზე გასწორებული სიმღერებით გამოყვანილი მომღერლების კი არაფერი მწამს. ეგენი ფონოგრამის გარეშე კონცერტზე ოთხ სიმღერას ვერ იმღერებენ. რობერტ ბარძიმაშვილმა ქართული ესტრადისთვის რაც გააკეთა, ბევრს არ გაუკეთებია. ახლაც კაი საქმეს აკეთებს. თეატრი აქვს ბავშვებისთვის, პროფესიონალებს ზრდის. საორკესტრო ხელოვნებაში კიდევ ასეთი ტიტანი გოგი გაჩეჩილაძეა, რომელმაც თავის ორკესტრ „ბიგ ბენდთან“ ერთად ბობ მინცერი გააგიჟა. ნოტები არ ჰქონდა მინცერს თავისი კონცერტის და გოგიმ და ორკესტრმა ყურით აითვისეს მთელი პროგრამა. მინცერი ისეთი გაოცებული და აღფრთოვანებული წავიდა, რომ ჩვენთან ერთად ტურნეს გაკეთება გადაწყვიტა.

— **ყველაზე არაორდინარულ სიტუაციაში სად დაგიკრავთ?**

— ისევ რესტორანში... ომიანობის დროს „პალერმოში“ ვუკრავდი. ხალხი „ლიმონკებით“ და ავტომატებით შემოდიოდა... ნახევარი ცხოვრება დავტოვე იქ, გავჭაღარავდი კაცი.

— **თქვენზე ამბობენ, თბილისში სახლებს აშენებდაო.**

— ჰო. მუშა ვიყავი. 8-სართულიანი სახლი მაქვს აშენებული. მაშინ ჟურნალისტები რადიოში გაჰყვიროდნენ. ფილარმონიას რა გაუჭირდა ასეთი, კორძაიას მშენებლობაზე რომ ამუშავებსო. მინისტრმა და დორიან კიტიამ დამიბარეს — რას აკეთებ, თავს გვჭრიო? — რა ვქნა, ცუდს რას ვაკეთებ, ოჯახისთვის ვმუშაობ-მეთქი. მერე მომიმატეს ფილარმონიაში ხელფასი.

— **მუსიკა, რომელიც რესტორანში გთხოვეს, რომ დაგეკრათ და არ იცოდით.**

— „კარო“, სომხური მუსიკა, საქსოფონით არ ვიცოდი ამის დაკვრა. მერე დავჯექი და კაროც ვისწავლე. აი, ასეა, კაცი ჯაზს და კლასიკურს ვუკრავ და უცებ ფანოლურ მუსიკაზე გადავდივარ. წარმოუდგენელია, მაგრამ ცხოვრება ასეთია. კლიენტს არ უნდა აწყენინო. მთავარია ნორმალურად გვთხოვოს რა სურს, თორემ ყოფილა მომენტები, ვიღაცები გაგვიყვანია და გვიცემია კიდეც.

— **როცა ქუჩაში მუსიკოსს ხედავთ, მოწყალებისთვის რომ უკრავს, რა განცდა გეუფლებათ?**

— ძალიან დიდ პატივს ვცემ. ჩემს თავს ვხედავ იმ მუსიკოსში. ხანდახან ხალხი რომ არ მოდის რესტორანში, ვამბობ ქუჩის მუსიკოსობაღა დაგვრჩა ბიჭებო-თქო. თუ ჩემს ოჯახს გაუჭირდება, „პადზემკაშიც“ დავუკრავ, კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ იმღერე...

*გვერდი მოამზადა*
*ეკა ლომიძემ*



## ორშაბათი 20 იანვარი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 16.50 "საქართველო და გარესამყარო" 17.15 "რამპა" 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "მრავალჟამიერ" (კალანდობა გურიაში) 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.00 მოამბე 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 "ზენი პილი" 22.05 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი" 23.00 დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი "გულის საიდუმლოებანი"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 21.00 ჯანმრთელობა 21.30 დოკ. ფილმი 22.10 პიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "დიდიე"

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 13.30 მხ. ფილმი 12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული" 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.50 ჰერაკლე 19.30 სერიალი "მედისონის სკოლა" 20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "ჰაკერები" მთ. როლებში ჯონი ლი მილერი, ანჯელინა ჯოლი 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 ალსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.05 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "ნოსტალგია მამილოზე" 10.20მხ.ფ. "გულები ატლანტიდაში" 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00ახალი ამბები 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. "ცისფერთვალება მიკი" 22.30 "ბურთი მოედანი" 22.50 მხ.ფ. "ჰარტის ომი" 00.30 ღამის ფილმი

12.00 ინდური მხ. ფილმი "შურისძიების წყურვილი" 15.00 მხ. ფილმი "გატაცება 60 წამში" 17.00, 19.00, 20.30, 00.00საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "ნიღაბი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "ფლაბერი" 22.30 მხ. ფილმი "დრაკონის კოცნა"

08.00 ტოროლა 10.00 განმეორებით ინფორმატორი 11.00 განმეორებით ქართული მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00SMS შოუ 16.00 ფილმი "უდანაშაულო დამნაშავე" 18.00 უცხოური მუსათეული 19.00 ინფორმატორი 19.30 ქართული მუსიკა 20.00 ვიდეორადიო 22.00 ინფორმატორი 22.30 პოლიტპაპარაცი 23.00 უცნობი 00.00 ფილმი ბრავო "საზღვისწერო ქალი" 01.45 ფილმი ღამურა "ქალაქური ლეგენდები" 03.45 პაუზის გარეშე

10.00 რუსული მხ. ფილმი "კუზიანი ცხენი" 11.15, 16.15, 18.50, 23.45, 01.50 მუსიკა 11.30 "მსოფლიო ფეხბურთი" 12.00 მხ. ფილმი "ზვიგენის თავდასხმა 2" 13.30 მულტფილმი "წითელქუდა" 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.45 მხ. ფილმი "უკანასკნელი მოგზაურობა" 16.30 დოკ. სერიალი "ველური ბუნება" 82-ე ნაწილი 17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 53-ე სერია 18.30 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" 1-ლი სერია 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 96-ე სერია 20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 21.00 მხ. სერიალი "ადვოკატი პორტა" 1-ლი სერია 21.50 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ბანდიაგარა, დოგონების სამყარო. მალი" 22.00 მხ.ფ. "მგზნებარე გონება" მთ. როლში დემი მური 00.05 მხ.ფ. "ლაბირინთი"

08.00 კონცერტი 09.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 09.30 სათავგადასავლო ფილმი "ინდიანა ჯონსი" 11.25 დოკუმენტური ფილმი 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 12.10 კომედია "ტრაგიკული ფანტომი" 13.55 მხატვრული ფილმი "ვინ ვარ მე?" 16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.15 მულტფილმი "აბა, დამაცადე!" 17.30 მელოდრამა "ვალსი" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.40 ისტორიული ფილმი "რევოლუცია"23.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.10 "ალტერნატივა" 01.10 მელოდრამა "წითელი და შავი" 1 სერია 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 03.30 ფანტასტიკური საგა "მთიელი"

16.00 Новости 16.15 Комедия "ПАПАША ИЗ НИЦЦЫ" 18.00 "Большая стирка" 19.00 Вечерние новости 19.30 "Шутка за шуткой" 20.00 Жди меня 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время 22.40 Сериал "РУССКИЕ В ГОРОДЕ АНГЕЛОВ" 23.45 "Живой Высоцкий", 1 с. 00.30 Ночное "Время" 00.50 "Наши в Голливуде". Спецрепортаж 01.20 "Новый день". Чаплин и Гитлер 02.20 "Апология"

12.45 Вести недели 13.35 Вера, надежда, любовь 14.30 Вести-Москва. Неделя в городе 15.00, 18.00, 21.00 Вести 15.20 "Что хочет женщина" 16.10 Сериал "КОМИССАР РЕКС" 17.15 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ" 17.45 Экспертиза 18.20 Дорожный патруль 18.35 Вести-спорт 18.45 Вести. Дежурная часть 19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва 19.50 Сериал "ТРОЕ ПРОТИВ ВСЕХ" 20.45 Вести. Дежурная часть 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Сериал "ЛЕДИ БОМЖ" 22.50 Сериал "ДНЕВНИК УБИЙЦЫ" 23.50 "Вести +" 00.20 Вести-спорт 00.30 Детектив "МЕСТО ВСТРЕЧИ ИЗМЕНИТЬ НЕЛЬЗЯ" 01.55 Фигурное катание. Чемпионат Европы. Пары. Короткая программа

## სამშაბათი 21 იანვარი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "თოვლის პაპა" 10.10 მხ. ფილმი "გულის საიდუმლოებანი" 11.45 ზოოპარკი 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.05 დოკ. სერიალი "ყველაზე ყველაზე საკვირველი" 14.00 "ლუკრის შოუ" 15.15 მხ. ფილმი "შუაღამის კაცი" 16.50 უურავს ელისო ვირსალაძე 17.30 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "და არს მუსიკა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 დოკ. სერიალი "მოდა ყველასათვის" 22.15 "შეხვედრა რეზო ამაშუკელთან" 23.00 დღის ბოლოს 00.00 მხ. ფილმი "მეხვედრების ადგილი უცვლელია"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 ამბები ჩვენზე 21.00 ასპარეზი 22.10 პიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "ბრიჯები"

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 13.30 მხ. ფილმი 12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული" 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.45 ჰერაკლე 19.05 სერიალი "მედისონის სკოლა" 19.30 პროგრამა 20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული" 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "წინასწარ დაგეგმილი მკვლელობა" 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 ალსავალი 08.20, 10.50, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა 08.30,13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 "ბურთი და მოედანი" 09.50 მხ. ფილმი "ცისფერთვალება მიკი" 10.30 დოკ. ფილმი 11.00 მხ.ფ. "ჰარტის ომი" 13.10, 17.30 მულტფილმი 18.00 დოკუმენტური ფილმი 20.00 მხ.ფ. "ბედის ბორბალი" 22.30 ძველი კინო - მხ. ფილმი "გამხდარი ნათელა" 00.50 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "ფლაბერი" 13.30 მხ. ფილმი "დრაკონის კოცნა" 15.00 მხ. ფილმი "ჯონებთ" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "უკანასკნელი მოგზაურობა" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "ტიტანიკი"

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "სამუდამოდ" 18.00 რუსული მუსათეული 19.00 ინფორმატორი 19.30 ქართული მუსიკა 20.00 ვიდეორადიო 22.00 ინფორმატორი 22.30 მოკლე ხაზი 23.00 ხელი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო "შვამი თავგადასავალი" 01.45 ღამურა "ქალაქური ლეგენდები 2"

10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 10.05 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.50 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" 11.10 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "ადვოკატი პორტა" 12.50 მხ. ფილმი "მგზნებარე გონება" 14.45 მხ. ფილმი "ლაბირინთი" 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 83-ე სერია 17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 54-ე სერია 18.30 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" მე-2 სერია 18.50, 19.50, 23.40, 01.35 მუსიკა 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 97-ე სერია 20.00 დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" "დროის საფარველს მიღმა" 21.00 "ადვოკატი პორტა" მე-2 სერია 21.50 გადაცემა "ჩემი ქვეყანა" 22.05 მხ. ფილმი "ტარაკანი" მთ. როლებში ერიკ რობერტსი, ხოაკიმ დე ალმეიდა 00.05 მხ. ფილმი "მაილო"

08.00 კონცერტი 09.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 09.30 სათავგადასავლო ფილმი "შილი" 11.00 დოკუმენტური ფილმი 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 12.10 კომედია "ორნი: მე და ჩემი ჩრდილი" 13.45 მხატვრული ფილმი "შირი" 16.10, 19.40, 23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.15 მულტფილმი "მეფე ლომი" 17.35 კომედია "ლონდონიდან მარსამდე" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 «Пресс-папье» 19.50 მხატვრული ფილმი "კრამერი კრამერის წინააღმდეგ" 22.50 «Пресс-папье» 23.10, 00.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.15, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.20 "რა არ ხდება" 01.10 მელოდრამა "წითელი და შავი" 2 სერია 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 03.30 ისტორიული ფილმი "ატილა დამპყრობელი"

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 11.05 Боевик "РУССКИЙ ТРАНЗИТ", 1 с. 12.05 "Шутка за шуткой" 12.35 Дисней-клуб: "Переменка" 13.15 Детектив "СЦЕНАРИЙ УБИЙСТВА" 15.00 "Новый день". Чаплин и Гитлер 16.15 Сериал "ЛЮБОВЬ И ПРЕДАТЕЛЬСТВО", 1 с. 17.00 Худ.фильм "РУССКИЕ В ГОРОДЕ АНГЕЛОВ" 18.00 "Большая стирка" 19.30 "Наши в Голливуде". Спецрепортаж 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 21.00 "Слабое звено" 22.00, 00.30 Время 22.40 Сериал "РУССКИЕ В ГОРОДЕ АНГЕЛОВ" 23.45 "Живой Высоцкий", 2 с. 00.50 "Новый день. "Подводный мир Андрея Макаревича" 01.20 "Новый день". "Формула власти". Премьер-министр Индии 01.50 "Апология"

06.45 Доброе утро, Россия! 09.45 Сериал "ЛЕДИ БОМЖ" 10.40 Сериал "ДНЕВНИК УБИЙЦЫ" 11.30 Экспертиза 11.40, 18.45, 20.45 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20 Сериал "ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. ДВАДЦАТЬ ЧЕТЫРЕ ЧЕРНЫХ ДРОЗДА" 13.10 Телефильм "Черный треугольник" 14.30 Колоссальное хозяйство 14.45 Вести-Москва 15.20 "Что хочет женщина" 16.10 Сериал "КОМИССАР РЕКС" 17.15 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ" 17.45 Экспертиза 18.20 Дорожный патруль 18.35 Вести-спорт 19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва 19.50 Сериал "ТРОЕ ПРОТИВ ВСЕХ" 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Сериал "ЛЕДИ БОМЖ" 22.50 Сериал "ДНЕВНИК УБИЙЦЫ" 23.50 "Вести +" 00.20 Вести-спорт 00.30 Детектив "МЕСТО ВСТРЕЧИ ИЗМЕНИТЬ НЕЛЬЗЯ"

## ოთხშაბათი 22 იანვარი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "თოვლის პაპა" 10.15 მხ. ფილმი "შეხვედრების ადგილი უცვლელია" 11.30 დოკ. სერიალი "აფრიკის ბუნების დიდებულება" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.10 დოკ. ფილმი "სადღაც" 14.10 ქართული ენის გაკვეთილი 14.35 "თქვენი უფლებები" 15.15 მხ. ფილმი "მეოთხე სართული" 16.50 "ამბები ჩვენზე" 17.20 50-50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ისტორიანი" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.55 "ზენი პილი" 22.25 "ჰოლივუდის ვარსკვლავები" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფ "მაჯდარ ზონაში"

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 და არს მუსიკა 21.00 დოკ. ფილმი 21.30 ნარიყალის ტურნირი 22.10 პიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "ბიჭები სტადიონზე"

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი? 12.00, 15.00 კურიერი 13.30 მხ. ფილმი 12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული" 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.50 ჰერაკლე 19.30 სერიალი "მედისონის სკოლა" 20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "მაღალი ქუსლები" 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 ალსავალი 08.20, 10.15, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30,13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 მხ.ფ. "ბედის ბორბალი" 10.20 მხ.ფ. "გამხდარი ნათელა" 12.20 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი (განმეორებით) 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.00 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 19.45 გადაცემა - მურადა 20.00 მხ.ფ. "შუაღამის მოგონებები" 1-ლი სერია 22.15 მხ.ფ. "შუაღამის მოგონებები" მე-2 სერია 00.30 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "ტიტანიკი" 15.00 მხ. ფილმი "სამი სურვილი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "დიდიე" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "დიდი გიზნესი" 22.30 მხ. ფილმი "უფეთქება"

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით რუსული მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00SMS შოუ 16.00 ფილმი "თოვლიანი დღე" 18.00 განმეორებით ქართულ-უცხოური მუსათეული 19.00 ინფორმატორი 19.30 ქართული მუსიკა 20.00 ვიდეორადიო 22.00 ინფორმატორი 22.30 პასუხები 23.00 ჩაძირვანა 00.00 ფილმი ბრავო "ცეცხლის დრო" 01.45 ფილმი ღამურა "ცხოველები"

10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 10.05 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.50 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" 11.10 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "ადვოკატი პორტა" 12.50 მხ. ფილმი "ტარაკანი" 14.20, 18.50, 19.50, 23.40, 01.40 მუსიკა 14.45 გადაცემა "ჩემი ქვეყანა" 15.00 მხ. ფილმი "მაილო" 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 84-ე სერია 17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 55-ე სერია 18.30 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" მე-3 სერია 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 98-ე სერია 20.00 დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" "იტალია მეთოთხმეტე გმირი წინ მიიწევს" 21.00 მხ. სერიალი "ადვოკატი პორტა" მე-3 სერია 21.50 დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" "ტაი - ეუანსაქსელი ჯუნგლი. სპილოს ძვლის ნაპირი" 22.05 მხ. ფილმი "ცივი გული" 00.05 მხ. ფილმი "ბჟღრიალი"

08.00 დოკუმენტური ფილმი 09.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 09.30 საბავშვო ფილმი "პოლიციელი ბიჭუნა" 11.00 დოკუმენტური ფილმი 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 სათავგადასავლო ფილმი "გარიყული" 13.40 კომედია "პრლეტი" 15.15 დოკუმენტური ფილმი 16.15 "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" 17.25 სათავგადასავლო თრილერი "გატაცება 60 წამში" 19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი" 19.25, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 19.30 "პრისპირ" 20.25 რომანტიკული მელოდრამა "მის დალოუეი" 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 22.55, 01.10 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.00 მელოდრამა "მისი უკანასკნელი სიყვარული" 01.10 მხ ფ "ვარსკლავი" 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 03.30 "სამი ისტორია"

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 11.10 Боевик "РУССКИЙ ТРАНЗИТ", 2 с. 12.05 "Кумиры". И.Кириллов 12.35 Дисней-клуб: "Ллойд в космосе" 13.15 Детектив "СУВЕНИР ДЛЯ ПРОКУРОРА" 15.00 "Новый день". "Формула власти". Премьер-министр Индии 15.30 "Новый день". "Подводный мир Андрея Макаревича" 16.15 Сериал "ЛЮБОВЬ И ПРЕДАТЕЛЬСТВО", 2 с. 17.00 Худ.фильм "РУССКИЕ В ГОРОДЕ АНГЕЛОВ" 18.00 "Большая стирка" 19.30 "Смехопанорама" 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 21.00 "Русская рулетка" 22.00, 00.30 Время 22.40 Сериал "РУССКИЕ В ГОРОДЕ АНГЕЛОВ" 23.45 "Живой Высоцкий", 3 с. 00.50 "Новый день". "Крылья" 01.20 "Новый день". "Гении и злодеи". Этторе Майорана 01.50 "Апология" 02.55 "НЕУДЕРЖИМЫЙ".

06.45 Доброе утро, Россия! 09.45 Сериал "ЛЕДИ БОМЖ" 10.40 Сериал "ДНЕВНИК УБИЙЦЫ" 11.30 Экспертиза 11.40, 18.45, 20.45 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20 Сериал "ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. КВАРТИРА НА ЧЕТВЕРТОМ ЭТАЖЕ" 13.10 Телефильм "Черный треугольник" 14.30 Москва-Минск 14.45 Вести-Москва 15.20 "Что хочет женщина" 16.10 Сериал "КОМИССАР РЕКС" 17.15 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ" 17.45 Экспертиза 18.20 Дорожный патруль 18.35 Вести-спорт 19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва 19.50 Сериал "ТРОЕ ПРОТИВ ВСЕХ" 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Сериал "ЛЕДИ БОМЖ" 22.50 Сериал "ДНЕВНИК УБИЙЦЫ" 23.50 "Вести +" 00.20 Вести-спорт 00.30 Детектив "МЕСТО ВСТРЕЧИ ИЗМЕНИТЬ НЕЛЬЗЯ"

## ხუთშაბათი 23 იანვარი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "თოვლის პაპა" 10.15 მხ. ფილმი "მაჯდარ ზონაში" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.05 დოკ. სერიალი "ცხვის ისტორია" 14.05 ინგლისური ენის გაკვეთილი 14.30 "თბილისი და თბილისელები" 15.15 მხ. ფილმი "სამნი ნავში, ძაღლის გარეშე" 17.25 რამპა 17.30 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ჯანმრთელობა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.50 "საქართველო არის ესე" 22.25 დოკ. სერიალი "მოდა ყველასათვის" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი "აფრიკელი" მთ. როლებში კატრინ დენევი, ფილიპ ნუარე 01.40 ქართული ენის გაკვეთილი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 ისტორიანი 21.00 შვიდეული 22.10 პიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "ურიჩარი ბავშვი, ანუ პატარა მოგზაურობანი"

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 13.30 მხ. ფილმი 12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული" 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.50 ჰერაკლე 19.30 სერიალი "მედისონის სკოლა" 20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული" 22.00 ვის უნდა ოცი ათასი? 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "ვინ დაასწრა ჩემი ცოლი" მთ. როლში უგო ტონიაცი 02.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 ალსავალი 08.25, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 21.55, 23.50, 01.25 მუსიკა 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 მხ.ფ. "შუაღამის მოგონებები" 1-ლი სერია 10.20 მხ.ფ. "შუაღამის მოგონებები" მე-2 სერია 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.30 კონცერტი 21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით) 22.30 მხ.ფ. "არარატი" 23.55 მხ.ფ. "ნაკუწ-ნაკუწ" 01.30 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "დიდი ბიზნესი" 13.30 მხ. ფილმი "აფეთქება" 15.00 მხ. ფილმი "მაილო" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "მოგზაურობა და გზნება" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "მამაცი გული"

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით ქართულ-უცხოური მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00SMS შოუ 16.00 ფილმი "შავი რაინდი" 18.00 მუსათეული მიქსი 19.00 ინფორმატორი 19.30 ქართული მუსიკა 20.00 ვიდეორადიო 22.00 ინფორმატორი 22.30 ქართული მუსიკა 23.00 ხელი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო "თომპსონი" 01.45 ფილმი ღამურა "მკვლელობა ჩერი-ფოლსში" 03.45 პაუზის გარეშე

10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 10.05 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.50 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" 11.10 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "ადვოკატი პორტა" 12.50 მხ. ფილმი "ცივი გული" 14.20, 15.20, 18.50, 01.35 მუსიკა 14.45 მხ. ფილმი "ბჟღრიალი" 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 85-ე სერია 17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 56-ე სერია 18.30 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" მე-4 სერია 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" 99-ე სერია 19.50 დოკ. ფილმი "ივ სენ ლორანი" 21.00 მხ. სერიალი "ადვოკატი პორტა" მე-4 სერია 21.50 გადაცემა "ბელისიმო" 22.10 მხ. ფილმი "ომის ხელოვნება" მთ. როლებში უესლი სნაიპსი, დონალდ საზერლენდი 00.05 მხ. ფილმი "შეშლილი 2"

08.00 კონცერტი 09.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 09.30 საბავშვო ფილმი "პრეზიდენტის მრჩეველი" 11.00 დოკუმენტური ფილმი 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 მხატვრული ფილმი "დამთი" 13.45 კომედია "ჭიანი შეხვედრა" "კვირეწიანა" 15.35 დოკუმენტური ფილმი 16.15 მულტფილმი "მონსტრების კორპორაცია" 17.45 სათავგადასავლო ფილმი "დაკარგული ეგზიტი" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "პრესდაიჯესტი" 19.40 დოკუმენტური ფილმი 20.30 სათავგადასავლო ფილმი "ვამპაცებელთა კლუბი" 22.50 "პრესდაიჯესტი" 23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 23.10, 00.55 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.15, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.20 "ალტერნატივა" 01.05 დრამა "კავკასიელი ტყვე" 02.35 დოკუმენტური ფილმი 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 03.30 მელოდრამა "სამოთხის სარკმელი"

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 11.10 Боевик "РУССКИЙ ТРАНЗИТ", 3 с. 12.05 "Смехопанорама" 12.35 Дисней-клуб: "Черный плащ" 13.15 Худ.фильм "ВСТРЕЧА НА ЭЛЬБЕ" 15.10 "От звезды до креста". Спецрепортаж 15.30 "Новый день". "Крылья" 16.15 Сериал "ЛЮБОВЬ И ПРЕДАТЕЛЬСТВО" 17.00 Худ.фильм "РУССКИЕ В ГОРОДЕ АНГЕЛОВ" 18.00 "Большая стирка" 19.30 "Сами с усами" 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 21.00 "Слабое звено" 22.00, 00.30 Время 22.40 Сериал "РУССКИЕ В ГОРОДЕ АНГЕЛОВ" 23.45 "Живой Высоцкий", 4 с. 00.50 "Живой Высоцкий", 5 с. 01.35 "Апология" 02.55 Боевик "НЕУДЕРЖИМЫЙ". "БЕСКОНЕЧНОЕ ЛЕТО"

06.45 Доброе утро, Россия! 09.45 Сериал "ЛЕДИ БОМЖ" 10.40 Сериал "ДНЕВНИК УБИЙЦЫ" 11.30 Экспертиза 11.40, 18.45, 20.45 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20 Сериал "ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. СТРАННАЯ КРАЖА" 13.10 Телефильм "Черный треугольник" 14.30 Вся Россия 14.45 Вести-Москва 15.20 "Что хочет женщина" 16.10 Сериал "КОМИССАР РЕКС" 17.15 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ" 17.45 Экспертиза 18.20 Дорожный патруль 18.35 Вести-спорт 19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва 19.50 Сериал "ТРОЕ ПРОТИВ ВСЕХ" 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Сериал "ЛЕДИ БОМЖ" 22.50 Сериал "ДНЕВНИК УБИЙЦЫ" 23.50 "Вести +" 00.20 Вести-спорт 00.30 Детектив "МЕСТО ВСТРЕЧИ ИЗМЕНИТЬ НЕЛЬЗЯ"

## პარასკევი 24 იანვარი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "თოვლის პაპა" 10.15 მხ. ფილმი "აფრიკელი" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 13.05 დოკ. ფილმი "ლეგენდები მეცნიერების შესახებ" 14.05 "მსოფლიო კლასიკა" 15.15 მხ. ფილმი "მძიმე ატმოსფერო" 16.50 "მინის პროექტი საქართველოში" 17.10 50-50 17.45 "ზუთი" 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 "ენა დედაა ერისა" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.55 ტელესერიალი "ეშმაკუნა" 21.45 "მრავალსახეობა" 22.15 "მაამეთ თქვენზე" 23.00 "დღის ბოლოს" 00.00 მხ. ფილმი "სიყვარული გერმანიაში" მთ. როლებში ლილი მარლენი, არმინ მიულერ-შტალი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 საქართველო არის ესე 21.00 დოკ. ფილმი 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 22.10 პიტ. პარადი 22.20 მხ. ფილმი "მონიფული ცხოვრება"

07.00 მუსიკა 07.30 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 10.40 სერიალი "ალფი" 11.10 ვის უნდა ოცი ათასი? 12.00, 15.00 კურიერი 13.30 მხ. ფილმი 12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული" 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა" 18.00, 21.00, 02.20 კურიერი 18.20 მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" 18.50 ჰერაკლე 19.30 სერიალი "მედისონის სკოლა" 20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული" 22.00 ხალხის პირისპირ 22.50 ღამის კურიერი 00.20 მხ. ფილმი "რომეო და მისი ძმები" მთ. როლებში ანი ჟირარდო, ალენ დელონი 02.30 მხ. ფილმი "მამაკაცები მაამებენ 2" მთ. როლებში ტომი ლი ჯონსი, უილ სმითი 04.30 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 ალსავალი 08.25, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30,13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 მხ. ფილმი "არარატი" 10.20 მხ. ფილმი "ნაკუწ-ნაკუწ" 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. "საზღვისწერო ქალი" 22.30 მხ.ფ. "მანიაკის დღიური" 00.30 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "მამაცი გული" 15.00 მხ. ფილმი "მარტოხელა გმირი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "დეომონ" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "ჯ.ფ.კ."

08.00 ტოროლა 11.00 განმეორებით მიქსი მუსათეული 11.45 მუსიკა 13.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "გადაარჩინეთ გრეისი!" 18.00 რუსული მუსათეული 19.00 ინფორმატორი 19.30 ქართული მუსიკა 20.00 ვიდეორადიო 22.00 ინფორმატორი 22.30 პაპარაცი 22.45 პოსტ-ეფექტი 23.00 აბა გამოიცანი კინო 00.00 ფილმი ბრავო "ძლევის მხერვალი" 01.45 ფილმი ღამურა "მისტერ ბრიჯიენისთის ჭკუის სწავლება" 03.45 პაუზის გარეშე

10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 10.05 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.50 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" 11.10 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "ადვოკატი პორტა" 12.50 მხ. ფილმი "შეშლილი 2" 14.20, 18.50, 19.50, 23.50 მუსიკა 14.45 მხ. ფილმი "ომის ხელოვნება" 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 86-ე სერია 17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 57-ე სერია 18.30 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" მე-5 სერია 19.00 მხ. სერიალი "მოჯადოება" მე-100 სერია 20.00 დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" "გენიოსების საუკუნე ალორძინება" 21.00 მხ. სერიალი "ადვოკატი პორტა" მე-5 სერია 21.50 დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" "იეჰუსის ჩანჩქერები. პორტო ნოლია" 22.05 მხ. ფილმი "ჩრდილები" მთ. როლებში მეთიუ მოდაინი, ჯეიმს კაანი 00.05 მხ. ფილმი "მისამი სასწაული"

08.00 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 09.30 სათავგადასავლო ფილმი "ერნესტი აფრიკაში" 11.00 დოკუმენტური ფილმი 12.10 კომედია "მოპარის ძლაბუჭლება" 13.45 მხატვრული ფილმი "გამოსასვლელი" 16.00 საინფორმაციო გამოშვება 16.10, 19.40, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.15 მულტფილმი "მელია და მონადირე ძაღლი" 17.40 კომედია "თორმეტი სკამი" 1 სერია 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 «Пресс-папье» 19.50 ეპოსიური "მისანიშნავი შვიდეული" 22.50 «Пресс-папье» 23.00 "ალტერნატივა" 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 01.10 ისტორიული ფილმი "ელ სიდი" 1 სერია 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 03.30 დრამა "ამისტადი"

07.00 "Доброе утро!" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.15 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 11.10 Боевик "РУССКИЙ ТРАНЗИТ", 4с. 12.05 "Сами с усами" 12.40 Сериал "Твинисы" 13.15 Комедия "СМЕШНЫЕ ЛЮДИ" 15.00 Фигурное катание. Чемпионат Европы. Женщины. Произвольная программа 16.15 Сериал "ЛЮБОВЬ И ПРЕДАТЕЛЬСТВО" 17.00 Худ.фильм "РУССКИЕ В ГОРОДЕ АНГЕЛОв" 18.00 "Большая стирка" 19.25 Док. детектив. "Шакалы". Дело 2000г 20.00 Сериал "ЗЕМЛЯ ЛЮБВИ, ЗЕМЛЯ НАДЕЖДЫ" 20.55 "Поле чудес" 22.00 Время 22.35 "Большой концерт" 00.30 Худ.фильм "КРАСОТА ПО-АМЕРИКАНСКИ" 02.40 Худ.фильм "ИЗЛУЧИНЫ МИССУРИ"

06.45 Доброе утро, Россия! 09.45 Сериал "ЛЕДИ БОМЖ" 10.40 Сериал "ДНЕВНИК УБИЙЦЫ" 11.30 Экспертиза 11.40, 20.45 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20 Сериал "ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. ЗЕРКАЛО МЕРТВЕЦА" 13:25 Док.фильм "Французский сон" 14.30 Мусульмане 14.45 Вести-Москва 15.20 Моя семья 16.15 Комната смеха 17.15 Сериал "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ" 17.45 Экспертиза 18.20 "Сам себе режиссер" 19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва 19.50 Аншлаг 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Худ.фильм "ГАНГСТЕРЫ В ОКЕАНЕ" 00.30 Детектив "МЕСТО ВСТРЕЧИ ИЗМЕНИТЬ НЕЛЬЗЯ" 02.15 Вести-спорт 02.20 Фигурное катание. Чемпионат Европы. Мужчины. Короткая программа 03.40 Дорожный патруль

## შაბათი 25 იანვარი

08.00, 15.00, 20.00, 00.45 მოამბე 08.15 მხ. ფილმი "სიყვარული გერმანიაში" 10.00 დილის პეშანი 11.00 "ლატარია ყველასათვის" 11.10 "მხიარული კარუსელი" 11.40 მულტსერიალი "უკანასკნელი ნაჯრძალი" 12.05 "ვიცი" 12.35 თეატრი 13.10 კვალი 13.40 დოკ. სერიალი "კონტაქტი" 13.55 "სანინდარი" 14.25 "საქართველო, დრო, მოვლენები" 15.15 მხ. ფილმი "არამზადას სიკვდილი" მთ. როლებში ალენ დელონი, ორნელა მუტი 17.15 მულტსერიალი "პრინცესა ნერი" 17.40 "რეალური სამყარო" 18.00 ვესტნიკი 18.45 "თბილისის დროით" 19.05 "ენერგია" 19.35 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" 20.35 "ფორტუნა" 21.10 სერიალი "ქალთა საკანი" 22.00 "შეხვედრა ახალგაზრდობასთან" 23.00 მხ. ფილმი "სამანტა" 00.55 ღამის ჯაზი

19.00 მულტფილმი 19.30 ორატორი 19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები" 20.30 "ახალი ხედი" 21.00 დოკ. ფილმი 21.30 ჯემი 22.00 მხ. ფილმი "მზავვარეული"

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი "ათასწლეული" 12.00, 15.00 კურიერი 12.20 სიმფსონები 12.45 მხ.ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.00 სერიალი "კოლომბო" 18.00, 00.00 კურიერი 18.20 სერიალი "კოლომბო" 18.45 სერიალი "სახლი ძველ უბანში" 19.15 ჯეოსელის ლატარია 20.05 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.00 კურიერი P.S. 22.00 მხ.ფ. "არაჩვეულებრივი გამოფენა" 00.15 მხ.ფ. "ცხოველი" მთ. როლებში რობ შნაიდერი, კოლინ ჰასკელი 02.15 ღამის ჯაზი

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 ალსავალი 08.25, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.00, 23.55, 00.30 მუსიკა 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 09.30 მხ. ფილმი "საზღვისწერო ქალი" 10.20 მხ. ფილმი "მანიაკის დღიური" 13.10, 18.00, 19.30 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი 22.30 მხ.ფ. "მუზა" 23.00 მხ.ფ. "ვარსკვლავური ომები - კლონების შეტევა" 00.40 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "ჯ.ფ.კ." 15.00 მხ. ფილმი "ლამაზმანი" 17.00 მხ. ფილმი "უკიდურესი ზომები" 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 მულტფილმი 21.00 მხ. ფილმი "დოქტორ მორის კუნძული" 22.45 მხ. ფილმი "კლდე" 00.20 მხ. ფილმი "ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ"

10.00 ტოროლა 13.00 განმეორებით რუსული მუსათეული 14.00 SMS შოუ 16.00 ფილმი "სპოკენი" 18.00 უცხოური მუსათეული 19.00 ინფორმატორი 19.30 ქართული მუსიკა 20.00 ვიდეორადიო 22.00 ინფორმატორი 22.30 კვირის საუკეთესო ლექსები 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 ფილმი ბრავო "ბუზული" 01.45 ფილმი ღამურა "ანტიტერორი" 03.45 პაუზის გარეშე

10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 10.05 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.50 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" 11.10 მხ. სერიალი "მოჯადოება" 12.00 მხ. სერიალი "ადვოკატი პორტა" 12.50 მხ. ფილმი "ჩრდილები" 14.45 მხ. ფილმი "მისამი სასწაული" 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 87-ე სერია 17.45 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 58-ე სერია 18.30 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" მე-3 სერია 18.50, 23.50, 01.50 მუსიკა 19.00 გადაცემა "საუბრები სტუდიაში" 20.00 დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" "ალპების ორივე მხარეს" 21.00 მხ. სერიალი "რაც გინდა აკეთე" 1-ლი სერია 21.50 გადაცემა "მომავალი" 22.05 მხ. ფილმი "დამკვირვებელი" მთ. როლებში ევან მაკგრეგორი, ეშლი ჯადი 00.05 მხ. ფილმი "ლურჯის ორი ფერი"

08.00 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 09.30 სათავგადასავლო ფილმი "კრისტოფორე კოლუმბი" 11.25 კონცერტი 12.10 კომედია «К-9» 13.50 მელოდრამა "არასოდეს არ ტირის ჯარისკაცის ქალიშვილი" 16.10 მულტფილმი "ანასტასია" 17.40 კომედია "თორმეტი სკამი" 2 სერია 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "პრესდაიჯესტი" 19.40 "ყველანი ვართ პატარები" 19.50 მხატვრული ფილმი "ოცეული" 22.50 "პრესდაიჯესტი" 23.00 «Слово» 00.50 ისტორიული ფილმი "ელ სიდი" 2 სერია 02.20 დოკუმენტური ფილმი 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 03.30 დრამა "მისისიპი ცეცხლში"

08.00, 11.00, 15.00, 19.00 Новости 08.10 Сериал "Флиппер" 08.55 Сериал "Твинисы" 09.20 Играй, гармонь любимая! 10.00 Слово пастыря 10.15 Здоровье 11.10 Смак с А. Макаревичем 11:30 "Смехопанорама" 12.05 Фигурное катание. Чемпионат Европы. Танцы. Произвольная программа 13.15 "Кремль 9". Яков Сталин. "Голгофа" 14.00 "Путешествия натуралиста" 14.30 "Новый день". Искатели. "Пропавшее сокровище Ивана Грозного" 15.15 Юрий Башмет, народный альтист 15.45 "В мире животных" 16.25 Фильм Ю. Озерова "Бастион на Волге" 17.15 Комедия "ПОЛИЦЕЙСКИЙ ПО НАЙМУ" 19.15 "Шутка за шуткой" 19.40 Комедия "СТРЯПУХА" 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время 22.25 Комедия "УТРЕННИК ДЛЯ ВЗРОСЛЫХ" 23.25 Церемония вручения премии Национальной Киноакадемии России "Золотой орел" 02.00 "Дибров-party: Русское кино"

07.15 Худ.фильм "УТРЕННИЕ ПОЕЗДА" 08.40 Сериал "Дракоша и компания" 09.05 Студия "Здоровье" 09.35 Золотой ключ 10.00 Док.сериал "Оружие России. Технология прорыва" 10.35 "Два рояля" 11.25 "Сам себе режиссер" 12.20 "Сто к одному" 13.15 В поисках приключений 14.10 Клуб сенаторов 15.00, 21.00 Вести 15.20 Худ.фильм "ЭТА ЖЕНЩИНА В ОКНЕ" 17.00 К юбилею маэстро. Юрий Башмет приглашает 18.45 С.Альтов. "Обовсем!" 19.00 Моя семья 20.00 Аншлаг 21.25 Зеркало 21.50 Худ.фильм "ДВОЙНИК" 23.55 Худ.фильм "РОКОВОЕ ВЛЕЧЕНИЕ" 02.15 Фигурное катание. Чемпионат Европы. Мужчины. Произвольная программа

## კვირა 26 იანვარი

08.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი "სამანტა" 10.00 "დილის პეშანი" 11.05 "დიდი დასვენება" 11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში 12.05 "სპა" 12.35 "პრესსტუდია" 13.25 მოსკოვი-თბილისი 13.55 "ღამის ჯაზი" 14.25 არათბილისური ამბები 15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 15.20 მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლი "იეთიმ გურჯი" 16.55 საკვირაო გამოფენა 17.10 მულტსერიალი "პრინცესა ნერი" 17.35 "ეძიე ქალი" 18.00 ტაიმ-აუტი 18.20 "ფრაგმენტები სურათისათვის" 18.50 "კაოდაიჯესტი" 19.25 "ჩვენი მისამართია" 20.00 ტაიმ-აუტი 20.55 "ამბობენ" 21.25 ტელესერიალი "ქალთა საკანი" 22.15 მღერის მანანა თოდაძე 23.45 ტაიმ-აუტი 00.15 მხ. ფილმი "დიანა - გულის მეფობარი"

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 დიზაინი 19.50 მრავალსახეობა 21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნე 21.45 ვარსკვლავები გვესტუმრება 22.00 შვიდეული 23.00 მხ. ფილმი "შანჰაის სიურპრიზი"

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი "ათასწლეული" 11.50 სიმფსონები 12.50 მხ.ფილმი 14.35 ველური ბუნება 15.05 მხ. ფილმი 17.00 სერიალი "კოლომბო" 18.00, 21.00, 23.40 კურიერი 18.20 სერიალი "კოლომბო" 18.45 სერიალი "სახლი ძველ უბანში" 19.15 ველური ბუნება 20.00 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.25 ჩვენი ეზო 21.45 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "ველური მდინარე" 8 77 45-79-25 მერილ სტრიპი, კევინ ბეიკონი, "ალჩუ თუ თუხანი" 8 77 45-79-26, ფილიპ ნუარე, მიშელ სერო, "განწირულთა მოგზაურობა" 8 77 45-79-27 ფეი დანაუეი, ორსონ უელსი 23.50 მხ.ფ. "ადამიანი ოგონა" მთ. როლებში ტობი მაგუაიერი, უილიამ დეფო 02.00 კლასიკა.

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 ალსავალი 08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა 08.30 ახალი ამბები 09.30 მხ. ფილმი "მუზა" 10.20 მხ.ფ. "ვარსკვლავური ომები - კლონების შეტევა" 13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით) 19.30 დოკ. ფილმი 22.00 ტელე-სინე-ვიდეო 23.00 მხ.ფ. "ბინძური ცეკვები - მხოლოდ ერთი გამოხედვა" 00.50 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი "კლდე" 14.00 მხ. ფილმი "მიზერი" 15.45მხ. ფილმი "მკვდარი პოეტების საზოგადოება" 18.00 ჯაზ-პარნასი 19.00 ინდ. მხ. ფილმი "როცა მარტო რჩები" 22.00 მხ. ფილმი "ფლიუპი" 00.20 მხ. ფილმი "ბრონქსის ისტორია"

10.00 ტოროლა 13.00 განმეორებით უცხოური მუსათეული 14.00SMS შოუ 16.00 ფილმი "102 დალმატინელი" 18.00 ქართული მუსათეული 19.00 ინფორმატორი 19.30 ქართული მუსიკა 20.00 ვიდეორადიო 22.00 ინფორმატორი 22.30 კვირის საუკეთესო ხუღიგნები 23.00 აბა გამოიცანი მელოდია 00.00 ფილმი ბრავო "ამერიკელი ქალიშვილი" 01.45 ფილმი ღამურა "მამაჩემის ქილერია" 03.45 პაუზის გარეშე

10.00 დღის ამბები 10.05 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.50 მულტფილმი "ოზის ჯადოქარი" მე-6 სერია 11.10 მხ. ფილმი "დამკვირვებელი" 12.50, 20.50, 21.55, 23.40, 01.30 მუსიკა 13.00 გადაცემა "საუბრები სტუდიაში" 15.00 გადაცემა "ბელისიმო" 15.25 მხ. სერიალი "რაც გინდა აკეთე" 1-ლი სერია 16.15 მხ. ფილმი "ლურჯის ორი ფერი" 18.00 რუს. მხ. ფილმი "ცირკი" 19.30 გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი" 20.00 ქართ. მხ. ფილმი "კიბე" 21.00 მხ. სერიალი "რაც გინდა აკეთე" მე-2 სერია 22.05 მხ. ფილმი "ისტორია ღამღამობით იწყება" მთ. როლებში ბილ პულმანი, ირენ ჟაკობი 00.00 მხ.ფილმი "ამრევი ქალი" მთ. როლებში შარლოტა გინსბურგი, მოლი პარკერი, ნასტასია კინსკი

08.00 დოკუმენტური ფილმი 09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 09.30 "ყველანი ვართ პატარები" 09.40 კომედია "დაარტყი პირველი, ფრედი" 11.10 «Слово» 12.10 სათავგადასავლო ფილმი "ნაპოლეონი" 13.30 დრამა "დღის მინუსი" 16.10 მულტფილმი "პრინცესა გედი II" 17.20 მხატვრული ფილმი "კლასიკოსი" 19.20 ისტორიული ფილმი "ჟანა დ' არკი" 22.30 «Новости в воскресенье» 22.50 დოკუმენტური ფილმი 00.30 «Новости в воскресенье» 00.50 სათავგადასავლო ფილმი "ექვსი დღე, შვიდი ღამე" 02.25 კონცერტი 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 03.30 ისტორიული ფილმი "რუსული ბუნტი"

08.00, 11.00, 15.00 Новости 08.10 Сериал "Флиппер" 08.55 Сериал "Твинисы" 09.15 Армейский магазин 09.45 Дисней-клуб: "Тимон и Пумба" 10.10 Дог-шоу 11.10 "Непутевые заметки" 11.30 Пока все дома 12.05 "Властелин вкуса" 13.00 "Кремль 9". "Полк специального назначения" 13.45 "Клуб путешественников" 14.30 Умницы и умники 15.20 Сериал "ПОГОДА", 2 с. 16.15 Фильм Ю.Озерова "Операция "Уран" 17.05 Боевик "МАЛЕНЬКИЕ СОЛДАТЫ" 19.00 Времена 20.10 Фигурное катание. Чемпионат Европы. Показательные выступления 21.15 "Кривое зеркало". Евгений Петросян представляет 23.10 Боевик "ЗОНА ВЫСАДКИ" 01.10 Комедия "СТРАНА ГЛУХИХ"

07.25 Худ.фильм "4:0 В ПОЛЬЗУ ТАНЕЧКИ" 08.50 Сериал "Дракоша и компания" 09.15 Русское лото 10.05 "ТВ Бинго-шоу" 10.35 Местное время. Вести-Москва. Неделя в городе 11.15 Утренняя почта 11.50 "Городок". Дайджест 12.20 Худ.фильм "НЕИСПРАВИМЫЙ" 14.10 Парламентский час 15.00, 21.00 Вести 15.20 Вокруг света 16.15 Диалоги о животных 17.10 Док.сериал "Создать группу "А". "ЧП в Желтой рыбе" 18.05 Комната смеха 19.00 Комедия "ДУРАКАМ ЗАКОН НЕ ПИСАН" 20.50 В "Городке" 22.10 Специальный корреспондент 22.35 Худ.фильм "ВСПОМНИТЬ ВСЕ" 00.55 Худ.фильм "ШИЗОФРЕНИЯ"

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი




## თარაზულად:



ორკესტრის ხელმძღვანელი



მოსასვენებელი მზის აბაზანების მიღებისას



არისტოტელეს სკოლა, რომლის სახელი დღემდე ჰქვია საშუალო სასწავლებელს



ოთახი გემზე



მანქანის სახიფათო დაზიანება



ორგანიზმის ყველაზე მაგარი მკრივი ნივთიერება



ქსელების ხლართვის ოსტატი



ციგურებიანი ნავი



ოთახი შხაპით



დიდი ცეცხლი



„ფირმა“ სამწვადე



კურორტი შავ ზღვაზე

**26**

$\int_{\alpha}^{\beta} f(\chi)\,\delta\chi = F(\beta) - F(\alpha)$

მთელი სიდიდე, რომელსაც განიხილავენ, როგორც უსასრულოდ მცირე ნაწილების ჯამს



სამართავი ბერკეტი



სავაჭრო მოედანი



ძვლების დაბოლოებათა მოძრავი შემაერთებელი



ადამიანის ორგანიზმის აგებულების შემსწავლელი მეცნიერება



ნაგებობა



რაიმე საკითხის საჯარო განხილვები



ეროვნება



ზაფხულის „ატრიბუტი“

## შვეულად:



დამცავი საშუალება



დაუწერლად დატოვებული კიდე



ფეხის სამოსი



მუსიკალური ნაწარმოების ძირითადი ელემენტი, მელოდია



კორეჯოს ნახატი: „ -- და ანტიოპე“



განახლება, შეკეთება



ნაგებობა აიროვანი და თხევადი ნივთიერებების გარკვეულ მანძილზე გადასაადგილებლად



ზოდიაქოს ნიშანი



ფისი საგზაო მშენებლობაში, რომელსაც იღებენ ბიტუმოვანი ქანების გამოხარშვით



სპექტაკლის პირველი წარმოდგენა



კბილის სახეხი



მოკლე სატირული ლექსი; საჩუქარზე გაკეთებული წარწერა



ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა



მავნებელი მწერი



პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა

კროსვორდი შეადგინა
რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №52 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. სამკაული; 6. ერუდიცია; 9. ავიაცია; 10. ლაყუჩი; 11. გინება; 15. ლაპლანდია; 17. დრამა; 18. ქოლგა; 19. კრაზანა; 20. კვერცხი; 24. რაიტი; 25. ოთახი; 26. კლეოპატრა; 29. ლაილაი; 32. საცეცი; 33. მნერალი; 34. ელექსირი; 35. აფროდიტე.

**შვეულად:** 1. სკოტჩი; 2. ფლავი; 3. არმია; 4. ბიბლია; 5. სატაცური; 7. აისბერგი; 8. პაემანი; 12. კარნავალი; 13. ჰიგიენური; 14. „ამარეტო“; 16. „კოლხეთი“; 21. საკვამლე; 22. კუპიურა; 23. ახალციხე; 27. კარაქი; 28. რაუნდი; 30. მწერი; 31. ულუფა.

# მედიცინა

## ქარაფადინი

**თქვენს გაზეთში წავიკითხე გაცივებისა და ბრონქიტის დროს ხველების საწინააღმდეგო რეცეპტები. მინდა მეც გაგიზიაროთ რამდენიმე საშუალება. მით უმეტეს, რომ ახლა ზამთარია და ეს პრობლემა ბევრს აწუხებს:**

**1. 1 მუჭა თხილის ნაჭუჭს დაასხით 500 მლ წყალი და ხარშეთ 15 წუთი. მიიღეთ 1/2 ჭიქა 2-ჯერ დღეში, თბილ-თბილი ნაყენი.**

**2. 6-7 ც კომშის გულს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და ადუღეთ 5 წუთი. შეაგრილეთ, გადაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჭიქა ნახარში 2-ჯერ დღეში.**

**3. გახეხილი და გაწურული ბოლოკის წვენს შეურიეთ თაფლი (2:1) და მიიღეთ ორ-ორი სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში ჭამისა და ძილის წინ.**

***ნ. გაბელაია, თბილისი***

**ექიმის კომენტარი:** თხილის ნაჭუჭის ნახარში, როგორც ამოსახველებელი საშუალება, გვხვდება ხალხური მედიცინის წყაროებში, ქართულ ეთნოგრაფიულ მასალებში. ფარმაკოპეაში ასეთი რეცეპტი აღნიშნული არ არის.

კომშის გული მდიდარია ლორწოთი, გააჩნია ანტიანთებითი, ანტიბაქტერიული მოქმედება და უნივერსალურ საშუალებას წარმოადგენს ბრონქიტების, მწვავე რესპირატორული დაავადების, სასუნთქი გზების პათოლოგიების დროს.

ბოლოკი ძლიერი ბაქტერიციდული თვისებებით ხასიათდება. რაც შეეხება თაფლს, მასაც ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიციდული და იმუნიტეტის გამაძლიერებელი თვისებები აქვს. აღნიშნული რეცეპტიც დადებითად მოქმედებს მწვავე გაცივებით გამოწვეული ხველების დროს.

ამრიგად, მკითხველის მიერ მოწოდებული რეცეპტები მისაღებია სამედიცინო თვალსაზრისით და მათ გამოყენებას გირჩევთ გახანგრძლივებული ხველების დროს.

**ბავშვებს ხშირად ეშლებათ ხოლმე კუჭი. არ მიყვარს ქიმიური წამლების გამოყენება (მით უმეტეს პატარებისათვის). ერთმა ნაცნობმა მასწავლა ბუნებრივი საშუალება, რომელიც მას შემდეგ ყოველთვის მაქვს და ვიყენებ არა მხოლოდ შვილებისათვის, არამედ ახლობლებისა და მეზობლებისთვისაც. ყველა კმაყოფილი რჩება, რადგან მისი ეფექტი ძალიან სწრაფი და ყოველთვის დადებითია: ჭყინტი, მწვანე კაკალი უნდა დაჭრათ ქერქიანად და დაასხათ არაყი (3:1). დადგით 10 დღე ბნელ ადგილას და ნაყენიც მზადაა. მიიღეთ თითო ჩაის კოვზი 2-ჯერ დღეში.**

**ექიმის კომენტარი:** კაკლის ნაყოფი უნიკალური შემადგენლობითა და მრავალფეროვანი სამედიცინო მოქმედებით ხასიათდება. იგი მდიდარია მრავალგვარი მიკროელემენტებით, ბიოაქტიური ნივთიერებებით, ფარმაკოპეაში კაკლის თვისებები ჯერ კიდევ სრულად არ არის შესწავლილი, თუმცა ხალხურ მედიცინაში მას „სიცოცხლის ხედ“ მოიხსენიებენ და მრავალი დაავადების სამკურნალოდაც იყენებენ. კერძოდ, ზემოთ აღნიშნული რეცეპტი სხვადასხვა ქვეყნის ხალხური მედიცინის წყაროებში გვხვდება, რაც რეცეპტის მაღალ რეიტინგზე და მის უდავო ეფექტიანობაზე მეტყველებს.

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ვარ 54 წლის მამაკაცი. წნევის ცვლილების გამო დავიწყე სირბილი და ვარჯიში თბილისის ზღვაზე. ვარჯიშმა დადებითად იმოქმედა ჩემს ჯანმრთელობაზე, მაგრამ ახლობლები მეუბნებიან, რომ ეს ჩემთვის დიდი დატვირთვაა. გთხოვთ, მომცეთ რჩევა.**

***ი. გეგეჭკორი***

დატვირთვის ზომიერება მართლაც მნიშვნელოვანი ფაქტორია, რათა სამკურნალო ვარჯიშმა სარგებლობის ნაცვლად ზიანი არ მოგიტანოთ. ეს განსაკუთრებულად საყურადღებოა გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიების დროს, რადგან ფიზიკური დატვირთვისას პირველ რიგში სწორედ ეს სისტემა გადაიძაბება ხოლმე. იმისათვის, რომ განსაზღვროთ, ზომიერია თუ არა თქვენი დატვირთვა, გაითვალისწინეთ შემდეგი: ვარჯიშის დროს ან მისი დამთავრების მომენტში არ უნდა გქონდეთ უსიამოვნო შეგრძნება გულის არეში, არ უნდა გტკიოდეთ თავი, არ უნდა დაგეწყოთ მჩხვლეტავი ტკივილი გულმკერდის ძვლის უკან ან ბეჭში, არ უნდა მატულობდეს წნევა 20 ერთეულზე მეტით, აჩქარებული მაჯისცემა 10-15 წუთის შემდეგ ნორმას უნდა უბრუნდებოდეს. თუ დისკომფორტის შეგრძნება ხანგრძლივად გაქვთ და ზემოთ აღნიშნული სიმპტომებიდან ერთ-ერთი მაინც აღგენიშნებათ, გირჩევთ, შეამციროთ დატვირთვა იქამდე, ვიდრე იგი მხოლოდ სიამოვნების მომტანი არ გახდება თქვენთვის.

ფიზიკური ვარჯიშისათვის თავის დანებებას კი არ გირჩევთ, რადგან ოპტიმალური დატვირთვა უდავოდ გაგიუმჯობესებთ ჯანმრთელობის მდგომარეობას.

**მარჯვენა ბეჭის ქვემოთ მაქვს ნერვის ანთება — დავიტანჯე ამ ტკივილებით. არსებობს თუ არა ნერვის ანთების წამალი?**

***ნუნუ ჯულაყიძე***

უპირველესად უნდა დაზუსტდეს ტკივილის მიზეზი. თუ ნევრიტი (ნერვის ანთება) თქვენ მიერ დასმული დიაგნოზია, შესაძლოა, იგი მთლად ზუსტი არ იყოს. მარჯვენა ბეჭის ქვემოთ ტკივილი სულ სხვა წარმოშობისაც შეიძლება იყოს. მაგალითად, ქოლეცისტიტის (ნაღვლის ბუშტის ანთების დროს ტკივილი საკმაოდ ხშირად სწორედ ამ მიმართულებით ირადირებს (გადაეცემა) ხოლმე. აგრეთვე შესაძლებელია, რომ ბეჭში ტკივილის მიზეზი ხერხემლის გულმკერდის მალების ოსტეოქონდროზი იყოს. ამიტომ უმჯობესია დიაგნოზის დასაზუსტებლად ჯერ ექიმს მიმართოთ, ხოლო თუ ნევრიტი დადასტურდება, რა თქმა უნდა, მისი მკურნალობის მეთოდები არსებობს: კონკრეტულ პრეპარატს და მათ დოზებს ნევროპათოლოგი შეგირჩევთ ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

***ძვირფასო მკითხველო! იმის გამო, რომ შეკითხვების რაოდენობა საკმაოდ დიდია, ჩვენი რუბრიკა ყოველთვის ვერ იტევს ყველა მათგანს. ამიტომ, გადავწყვიტეთ, ზოგიერთ კითხვაზე პასუხი ჟურნალ „ოჯახის მკურნალის“ ფურცლებზე მოგაწოდოთ. ეს ჟურნალი უკვე „კვირის პალიტრის“ დამატებას წარმოადგენს და 12 დეკემბრიდან განახლებული სახით გამოდის.***

## სიმღერა — სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის

სიმღერა აუმჯობესებს სახმო სიმების სისხლით მომარაგებას, ზეგავლენას ახდენს ენაზე, ნუშისებრ ჯირკვლებსა და ლიმფურ კვანძებზე. სიმღერის დროს სისხლი სწორად მიმოიქცევა, უკეთ მიეწოდება ამ ორგანოებს და აჯანსაღებს მათ, ლიმფური კვანძები და ნუშისებრი ჯირკვლები უფრო აქტიურად იწყებენ მუშაობას და საგრძნობლად უმჯობესდება სიმღერის მოყვარულთა იმუნური სისტემა, ვიდრე მათი, ვინც არ მღერის. თუ იმუნური სისტემა ძლიერია, ე.ი. ყელიც ნაკლებად სტკივა და სტომატიტიც იშვიათად აწუხებს ადამიანს.

სიმღერის დროს სისხლით სწორად მომარაგება ააქტიურებს ტვინის მუშაობას. სავარაუდოა, რომ სისხლის ცირკულაცია ძლიერდება არა მარტო ყელში, არამედ ცენტრალურ ნერვულ სისტემაშიც, რის შედეგადაც თავის ტვინი იწყებს ინტენსიურ მუშაობას, უმჯობესდება მეხსიერება, ადვილად აითვისება ნებისმიერი ინფორმაცია, ხოლო მათ, ვისაც ხშირად აწუხებს ფილტვები, ბრონქიტი, ექიმები ურჩევენ, იმღერონ, რადგან, როგორც წესი, სიმღერის პროცესში მონაწილეობს სასუნთქი სისტემა. მაგალითად, საზღვარგარეთის ქვეყნებში პულმონოლოგების რჩევით, ასთმით დაავადებულები მღეროდნენ გუნდში, შედეგი საუკეთესო აღმოჩნდა, სიმღერამ შეცვალა სუნთქვითი ვარჯიშები, მოეხსნათ სტრესი და მდგომარეობა გაუუმჯობესდათ. მაგრამ, არ დაგავიწყდეთ, რომ ყველაფერში, და მათ შორის სიმღერაშიც, ზომიერების დაცვაა საჭირო. სიმღერის შემდეგ არ ჭამოთ ნაყინი და არ დალიოთ ცივი სასმელები, არ გახვიდეთ ცივ ჰაერზე, რადგან შეიძლება გაგიცივდეთ სახმო სიმები, ჩაგეხლიჩოთ ან წაგერთვათ ხმა...



***ლიზა №2***

## გამოხმაურება

### მეტადონი ნარკოტიკაა

**„კვირის პალიტრის“ 6-12 იანვრის ნომერში დაიბეჭდა თამაზ ექვთიმიშვილის ინტერვიუ სს ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან, პროფესორ გელა ლეჟავასთან.**

**ინტერვიუში ავტორის მიერ დაშვებულია უზუსტობა, რის შესახებაც კომენტარს აკეთებს ბატონი გელა ლეჟავა.**

**„ბატონი თამაზ ექვთიმიშვილის მიხედვით მე ვაცხადებ, რომ მეტადონი არ არის ნარკოტიკი, არამედ რაღაც „ჩანაცვლებითი პრეპარატი“, რაც არასწორია. მეტადონი მსოფლიოში კარგად ცნობილი ნარკოტიკაა, რომელიც გამოიყენება არა მარტო ნარკოლოგიურ პრაქტიკაში. ის შეტანილია საერთაშორისო კონვენციების ნარკოტიკულ სიაში. აქედან გამომდინარე ლაპარაკი მის თავისუფალ გაყიდვასა და ლეგალიზაციაზე, ყოვლად დაუშვებელია.**

**თქვენი მრავალრიცხოვანი მკითხველის შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილების მიზნით, გთხოვთ ეს წერილი გამოაქვეყნოთ“.**

## ჯარაქიძის რჩევანი

**ყელის ტკივილს** შველის: 1 ჩ/კ გამხმარი სალბი წამოადუღეთ 125 მლ წყალში, თავდახურული გააჩერეთ 40 წთ. გაწურეთ, 1 ჩ/კ ნაყენი დაამატეთ 1 ჩ/ჭ თბილ წყალს და ყელში გამოივლეთ 2-ჯერ დღეში.

**მშრალი ხველების** დროს — ინჰალაციისთვის 2 ს/კ გამხმარ ბეგქონდარას დაასხით 3 ლ მდუღარე წყალი. გააჩერეთ 10 წუთი. დაიფარეთ პირსახოცი და 10 წუთის განმავლობაში ისუნთქეთ ორთქლი. ბეგქონდარა ასუფთავებს ბრონქებსა და ათხელებს ლორწოს.

**ხველებასა და ჩახრინწულ ხმას** შველის: 1 ჩ/კ გვირილა წამოადუღეთ 125 მლ წყალში, გააჩერეთ 10 წუთი, გაწურეთ, დაამატეთ 1 ჩ/კ თაფლი და მიიღეთ 1 ფინჯანი ნაყენი 3-ჯერ დღეში.

**წელის ტკივილს** შველის: 500 გ კარტოფილი კანიანად მოხარშეთ, სწრაფად დაჭყლიტეთ, შეახვიეთ კომპრესის ქაღალდში, შემდეგ თხელ ქსოვილში და 20 წუთით დაიდეთ მტკივნეულ ადგილზე.

***ლიზა №50***




ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**

ლიმფური კვანძები და კისტოზური წარმონაქმნები
ნევროზი
თავის ტკივილი
უძილობა
ოსტეოქონდროზი
რადიკულიტი
ნერვის ანთება
მარილები
სახსრების ანთება
ენურეზი
ასთმური მოვლენები
ალერგია და ა.შ.
(გარდა ეპილეფსიისა და ტუბერკულოზის)

ექიმ თინათინ მაჩაიძის სამკურნალო კაბინეტი
კვლავ იწყებს პაციენტების მიღებას
და თუ თქვენს ჯანმრთელობაში ეჭვი გეპარებათ და სასწრაფოდ გჭირდებათ საიმედო მკურნალის ხელი, დაუყოვნებლივ მიაკითხეთ ექიმ თინათინ მაჩაიძეს.
მისი განუმეორებელი უნიკალური სამკურნალო მეთოდები ჩვენს საზღვრებს გასცდა.



მის: წერეთლის გამზ. №71-ის მოპირდაპირედ, გზის მეორე მხარეს, X კორპ, II სად, I სართ. ☎ 35-18-68 (11-17 სთ-მდე); 899-58-69-47
ჩაწერა წინასწარ

**ერაყი**

## რა იპოვეს ინსპექტორებმა?

გაეროს ინსპექტორებმა ერაყში 11 ცარიელი ქიმიური ქობინი იპოვეს. ამასთან დაკავშირებით „გარდიანი“ 2001 წლის 11 სექტემბერს იხსენებს. „აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი მაშინ თეთრი სახლის ბუნკერში ტელევიზორში უყურებდა, როგორ ინგრეოდა მსოფლიო სავაჭრო ცენტრი. საშინელებაა, მაგრამ გაცილებით უარესი მოხდებოდა, მათ მასობრივი განადგურების იარაღი რომ ჰქონოდათ“, — უთხრა ჩეინმა იქ მყოფებს. სწორედ ეს ნათქვამი დაედო საფუძვლად თეთრი სახლის პოლიტიკას ერაყში. ვაშინგტონი დარწმუნებულია, რომ ჰუსეინს აქვს მასობრივი განადგურების იარაღი და ეს ომს გარდაუვალს ხდის; თუმცა ბოლო ხანს აშშ-მა ყურადღება ნაწილობრივ ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებულ კრიზისს მიაპყრო.

„გარდიანს“ მიაჩნია, რომ ჯორჯ ბუში ერაყთან აუცილებლად დაიწყებს ომს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მოუწევს უარი თქვას მეორე საპრეზიდენტო ვადაზე, რადგან ბუშმა სადამზე გამარჯვება თავისი პრეზიდენტობის მთავარ კოზირად აქცია.

იმას, ვისაც სწამს ომის გარდაუვალობა, სხვა არგუმენტიც მოჰყავს. ცარიელი ქობინების აღმოჩენამდე პენტაგონმა უზარმაზარი სამხედრო მანქანა აამუშავა და თუ აღმოჩნდა, რომ ამაოდ გაისარჯა, ეს არა მარტო ეკონომიკურ ზარალს მოუტანს, არამედ ძლიერ მორალურ დარტყმასაც მიაყენებს აშშ-ის არმიას.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №6*

**ჩრდილოეთ კორეა**

## კიმ ჩენ ირის ბირთვული სიურპრიზი



ჩრდილოეთ კორეამ ახალი ნაბიჯი გადადგა მსოფლიოსთან კონფრონტაციის გზაზე. ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან გამოსვლის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფხენიანმა შესაძლოა, უარი თქვას ბალისტიკური რაკეტების გამოცდის მორატორიუმზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კორეის ბელადი კიმ ჩენ ირი ცდილობს, მსოფლიო საზოგადოებრიობას ულტიმატუმის ენით ელაპარაკოს.

აშშ-ს არა აქვს ჩრდილოეთ კორეასთან პრობლემის მალე გადაჭრის იმედი, — განაცხადა პეკინის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების შემდეგ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ჯეიმს კელიმ და დასძინა, რომ ჩინეთი მზადაა შუაკაცობის გასაწევად. თუ ფხენიანის გადაწყვეტილება, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან გამოსვლის შესახებ, მსოფლიოს მომავალში საფრთხეს შეუქმნის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მზადყოფნა, განაახლოს ბალისტიკური რაკეტების გაშვება — უკვე სადღეისო მუქარაა.

*ვაშინგტონ პოსტი*

**აშშ**

## ჩაძირულ განძულს სამი ქვეყანა იჩემებს

ფლორიდის შტატის ხელისუფლება და პორტლენდის წყალქვეშა სამუშაოების მწარმოებელი კომპანია Sub Sea Research-ი, ერთდროულად ორ ევროპულ სახელმწიფოს შეება — საფრანგეთსა და ესპანეთს. ჩიტი მართლაც ღირს ბდღვნად: 3,2 მლრდ დოლარადაა შეფასებული განძი, რომელიც თითქმის 250 წლის წინ ფლორიდის სანაპიროსთან ჩაძირული ფრანგული გემის ტრიუმებშია. ამ აურაცხელ სიმდიდრეს (473 კგ ოქროს ზოდი, 15,5 ათასი ოქროს დუბლინი (საფრანგეთისა და ესპანეთის ოქროს ფული), 1 მლნ მონეტა და 24 კგ ვერცხლი) ამერიკელები იჩემებენ, — გემი ჩვენს სანაპიროსთან არის ჩაძირული და პატრონებიც ჩვენ ვართო.

ფრანგები აცხადებენ, — გემიც ჩვენი იყო და მეზღვაურებიცო. ესპანელები ბობოქრობენ — ეს განძი გემს მადრიდში მოჰქონდა და ჩვენ გვეკუთვნისო.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მხარი დაუჭირა ევროპელებს და ამერიკელებს ზღვის ფსკერიდან განძის ამოღება აუკრძალა. კომპანია Sub Sea Research-მა კი განაცხადა, სახელმწიფო დეპარტამენტის აზრი ნაკლებად მაინტერესებს, ჩაძირულ ოქროს სწორედ ჩვენ ამოვიღებთო.

*რია ნოვოსტი*

# აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი შესაძლოა მორწმუნე იუდეველი გახდეს



2001 წლის იანვარში, ჯორჯ ბუშის ინაუგურაციიდან ორი წლის შემდეგ, ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, ჯოზეფ ლიბერმანმა სახალხოდ გამოაცხადა, რომ სურს გახდეს აშშ-ის 44-ე პრეზიდენტი. საპრეზიდენტო არჩევნების ისტორიაში პირველად მიიღებს მონაწილეობას მორწმუნე იუდეველი. „ორი წლის წინ ჩვენ დაგვპირდნენ, რომ ამერიკა უკეთესი გახდებოდა. ეს დაპირება არ შესრულდა. ამიტომაც მსურს, ჩვენი ქვეყანა სწორ გზაზე დავაყენო და ვიბრძოლო იმისთვის, რაც, უპირველეს ყოვლისა, ამერიკელებს სჭირდებათ. მზად ვარ, უზრუნველვყო მათი უსაფრთხოება, ავაღორძინო ეკონომიკა და განვამტკიცო მათი ფასეულობები“.

მართალია, ლიბერმანს ნიუ-იორკის ერთ-ერთი სკოლის ხალხით გაჭედილ დარბაზში გამოსვლისას ბუში არ უხსენებია, მაგრამ რესპუბლიკელთა ადმინისტრაციის საქმიანობა კი გააკრიტიკა. დემოკრატი ლიბერმანის აზრით, რესპუბლიკელებმა ვერაფერი შემატეს ქვეყნის ეკონომიკას, ძალიან სუსტი რეაქცია ჰქონდათ საერთაშორისო ტერორიზმის მუქარაზე. ბუშის მომავალმა მეტოქემ ახლანდელ პრეზიდენტს ჩავარდნად ჩაუთვალა „კონფრონტაცია“ ჩრდილოეთ კორეასთან, რამაც ეს პრობლემა „საერთაშორისო კრიზისად“ აქცია. თავის დროზე ბატონმა ლიბერმანმა მკაცრად გააკრიტიკა თავისივე პარტიის წევრი ბილ კლინტონი მონიკა ლევინსკისთან ურთიერთობისთვის. იგი დღესაც მკვეთრად ილაშქრებს კინოში ძალმომრეობისა და სექსის პროპაგანდის წინააღმდეგ. ამის გამო არ უყვართ იგი ამერიკის გასართობი ინდუსტრიის მაგნატებსა და ჰოლივუდის ზვიგენებს. ჯოზეფ ლიბერმანის საყვარელი ფრაზაა — „ვიცი, ვინ ვარ და რისთვისაც ვიბრძვი.“

*ტრუდი №4*

# შუააზიელი დიქტატორები

თურქმენეთის პრეზიდენტს საფარმურატ ნიაზოვს ცუდსა და აუტანელს კი უწოდებენ, მაგრამ თვითონ, რა თქმა უნდა, თავის თავზე სხვა შეხედულებისაა, მეტიც! მან სახელიც კი გამოიცვალა და „თურქმენბაში“ — თურქმენი ხალხის მამა დაირქვა. ჰოდა, სწორედ „მამამ“ აუკრძალა „შვილებს“ საკაბელო ტელევიზია და ცირკი, თვეებსაც კი თავისი და დედამისის სახელები უწოდა. ყველასათვის მოულოდნელი იყო მასზე ნოემბერში განხორციელებული თავდასხმა, რომელსაც ნიაზოვმა რეპრესიებით უპასუხა. ცენტრალურ აზიაში დიქტატორი თურქმენბაში „მარტო“ არ არის. მეზობელ ყაზახეთში, პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევიც არ წყალობს დემოკრატიას, მან ოპოზიციური პარტიის — „ყაზახეთის დემოკრატიული არჩევანი“ — ლიდერები დააპატიმრა და შორეულ სტეპებში გადაასახლა.

ყირგიზეთში კი „მეფობს“ ასკარ აკაევი, რომელიც ერთ დროს ცენტრალური აზიის ერთადერთ რეფორმატორ ლიდერად მიიჩნეოდა, თუმცა დღეს ოპოზიციურ გაზეთებს ხურავს და თავისუფალ აზრს ახშობს.

უზბეკეთში, პრეზიდენტ ისლამ ყასიმოვის „წყალობით“, უკანონობა კანონად არის ქცეული. განსხვავებული აზრისთვის ადამიანებს იტაცებენ, აწამებენ და ხშირად მათ კვალს აქრობენ...

ანალიტიკოსები შიშობენ, ცენტრალურ აზიას თავისი დიქტატორები უარეს დღეში ჩაყრიანო. ამ ქვეყნებმა მსოფლიო ყურადღება იმით მიიპყრეს, რომ თავის ტერიტორიაზე ამერიკული ბაზების განლაგების სურვილი გამოთქვეს. ამით ორმაგად მოიგეს — ბაზების სანაცვლოდ დამატებითი დაცვის გარანტიები მიიღეს და, რაც მთავარია, აღარავინ აქცევს ყურადღებას ამ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დარღვევას.

*ნიუზუიქ*

# ოპეკმა ონკანი ცოტათი მოუშვა



*ოპეკის (ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია) წევრები ვენაში შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს, ნავთობის წარმოება დღეში 1,5 მლნ ბარელით გაეზარდათ.* შეგახსენებთ, როგორ ვითარდებოდა მსოფლიოში ნავთობის წარმოების გაზრდასთან დაკავშირებული მოვლენები. 8 იანვარს კარტელმა გამოაცხადა, რომ 12 იანვარს ვენაში საგანგებო კონფერენციას გამართავდა ნავთობის გაიაფების საკითხის განსახილველად. ერაყზე აშშ-ის მიერ შესაძლო დარტყმისა და ვენესუელელი ნავთობმრეწველების გაფიცვის გამო ნავთობი ძალიან გაძვირდა. ვენესუელის გაფიცვამ ნავთობის ბაზარს დააკლო დღეში 2,7 მლნ ბარელი, ერაყის ომი კი ალბათ 2 მლნ ბარელს მოაკლებს.

ცნობილი გახდა, რომ ნავთობის კიდევ ერთი უდიდესი მწარმოებელი, საუდის არაბეთი, ოპეკს სთავაზობდა წარმოების დღეში 1,5 მლნ ბარელით გაზრდას, ალჟირი, ლიბია — თითო მლნ-ით, ქუვეითი 1,5 მლნ-ზეც ყაბულსაა.

აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაცია მიესალმება ოპეკის განზრახვას წარმოების გაფართოების თაობაზე — ამერიკის შეერთებული შტატები ხომ ყოველთვის აცხადებდა, ოპეკი ხელოვნურად ზღუდავს წარმოებას და ფასებს ზრდის, ბარელი ნავთობი, რომელიც ამჟამად 30 დოლარი ღირს, 20 დოლარზე ცოტათი მეტი უნდა იყოსო.

ვენაში 4-საათიანი თათბირის შემდეგ არაბთა გაერთიანებული საამიროს ნავთობმოპოვების მინისტრმა ობაიდ ნასერმა გამოაცხადა, — გადაწყვეტილება მიღებულია, ნავთობის რეწვის კვოტა 1-ელი თებერვლიდან გაიზრდებაო. ოპეკის გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე ლონდონის და ნიუ-იორკის ბირჟებზე ბარელი ნავთობის ფასი მხოლოდ 37 ცენტით შემცირდა და 29,67 დოლარამდე დაეცა.

*კომერსანტი №3*


სამედიცინო ცენტრი „მედი“
MEDI

მუდმივად გლუვი კანი

ლიპოსაქცია
ნაოჭების გასწორება
ტუჩების კორექცია
სახის კანის დაჭიმვა
ბლეფაროპლასტიკა
ოტორინოლარინგოლოგია
ეპილაცია
თმის გადანერგვა
კონტურული მაკიაჟი



ეპილაცია
ალექსანდრიტის
ლაზერის უახლესი
სისტემის აპარატურით

ჭარბთმიანობისაგან
განკურნების
ყველაზე ეფექტური
საშუალება

- სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
- ჩხვლეტის გარეშე
- უმტკივნეულოდ
- სწრაფად

ფასდაკლება ექიმებზე და სტუდენტებზე

ალ. ყაზბეგის გამზ №1 ტელ: 250 202; 306 307

ლიცენზირებულია


# დუდაევი ყურანზე იფიცებდა, კადიროვი კი კონსტიტუციაზე იცნებობს

ჩეჩნეთის საინფორმაციო სამსახურებმა ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოაქვეყნეს. მისი გაცნობის შემდეგ ცნობილმა რუსმა იურისტებმა თავში ხელი შემოირტყეს: კონსტიტუციის პირველ მუხლში შავით თეთრზე წერია, რომ ჩეჩნეთი — სუვერენული რესპუბლიკაა (თუმცა ქვევით მითითებულია, რომ იგი რუსეთის ნაწილია), ეს კი ფედერალური კანონის აშკარა დარღვევაა. ჯერ კიდევ 2000 წელს რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, სიტყვა „სუვერენიტეტი“ არ შეიძლება ვიხმაროთ რუსეთის შემადგენლობაში მყოფ რესპუბლიკებთან მიმართებაში მაშინაც კი, როცა ლაპარაკია „შეზღუდულ სუვერენიტეტზეო“. რესპუბლიკების კონსტიტუციიდან ამ სიტყვის განდევნის მოსურნე თავად კრემლი იყო. მაგალითად, მან აიძულა ბაშკირეთი, თავისი ძირითადი კანონიდან ეს სიტყვა საერთოდ ამოეღო. ჯერჯერობით, მხოლოდ თათრეთი არ იტეხს იხტიბარს და „სუვერენიტეტზე“ უარის თქმას არ აპირებს.

კადიროვის კონსტიტუციაში შეტანილია ცნება „ჩეჩნეთის რესპუბლიკის მოქალაქე“. შარშან მიღებული ფედერალური კანონი მოქალაქეობის თაობაზე, გამორიცხავს მსგავსი ტერმინის არსებობას. ფედერალური კანონის თანახმად, რესპუბლიკას არა აქვს საკუთარი მოქალაქეობის შემოღების უფლება.



ბაშკირეთის ხელისუფლება იძულებული იყო, შეესწორებინა თავისი კონსტიტუცია; ახლა მასში „ბაშკირეთის მოქალაქის“ ნაცვლად წერია — „ბაშკირეთის ტერიტორიაზე მცხოვრები რუსეთის მოქალაქე“.

კადიროვის კონსტიტუცია კრემლის უშუალო მონაწილეობით შეიქმნა და გაუგებარია, როგორ მოხვდა მასში ამგვარი იურიდიული უზუსტობები (მაგალითად, ჩეჩნეთის რესპუბლიკის მოქალაქე). ამის ფონზე უხერხულად მოჩანს იმ რესპუბლიკათა ხელისუფლება, ვინც დაემორჩილა მოსკოვის მოთხოვნას და თავიდან გადაწერა თავისი კონსტიტუცია. ფედერალურ ცენტრსაც ჩრდილი ადგება — გამოდის, რომ კანონის დიქტატურის შესახებ ლაპარაკი — სინამდვილეში სიტყვების რახარუხია.

რა თქმა უნდა, ჩეჩნეთში მშვიდობის სანაცვლოდ რაღაცაზე თვალის დახუჭვა რფ-ის ხელისუფლებას შეუძლია, მაგრამ ეს მაინც მეტ-ნაკლებად კანონის შესაბამისად უნდა მოხდეს, თუმცა ისიც ცხადია, რომ კადიროვის კონსტიტუციაში ჩაწერილი სიტყვები „სუვერენიტეტსა“ და „მოქალაქეობაზე“, რეალურად ვერაფერს ცვლის ჩეჩნეთში.

*ლენტა.რუ*

# ვის შეხვდა არიელ შარონი თავის ფერმაში

ისრაელის მთავრობის კანცელარიამ უარყო ცნობა პრემიერ-მინისტრ არიელ შარონისა და პალესტინის ნაციონალურ ადმინისტრაციაში „მეორე კაცის“, აბუ-მაზენას საიდუმლო შეხვედრაზე. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კი ირწმუნებიან, ისინი ერთმანეთს ნამდვილად შეხვდნენ შარონის მამულშიო. ანალიტიკოსების ვარაუდით, არიელ შარონი ახლა პალესტინელ ლიდერთა შორის ეძებს ისეთ პარტნიორს, ვისთანაც შესაძლებელი იქნება იასირ არაფატის გარეშე მოლაპარაკების დაწყება. დამკვირვებლები კი აბუ-მაზენას პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაციის მომავალ თავკაცად მიიჩნევენ.

ზოგიერთი მონაცემით, ამერიკელებს სურთ პალესტინის ავტონომიის ხელისუფლების სათავეში სწორედ აბუ-მაზენა მოექცეს და არაფატს „ინგლისის დედოფლის მსგავსი მდგომარეობა“ დარჩეს. ამ გეგმის წინააღმდეგი, რა თქმა უნდა, უპირველესად, თავად არაფატია. იგი ჯერჯერობით არ აპირებს სახელმწიფოს სადავეების ხელიდან გაშვებას. რაც შეეხება არიელ შარონს, მან კარგად იცის, რომ ერაყში აშშ-ის ოპერაციის დამთავრებისთანავე, ამერიკელები ისრაელ-პალესტინისკენ გადმოინაცვლებენ და ისრაელს მოსთხოვენ პალესტინასთან სამშვიდობო მოლაპარაკების განახლებას. ისრაელის მემარჯვენე პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი ვაშინგტონის გეგმის წინააღმდეგია. მათ მიაჩნიათ, რომ ნებისმიერ საზღვრებში პალესტინის სახელმწიფოს შექმნა საფრთხეს უქმნის ისრაელს. არიელ შარონი მაინც ითვალისწინებს ვაშინგტონის არგუმენტებს და პალესტინელებთან დიალოგის აღდგენაზე ფიქრობს. მომავალ მთავრობაში შარონი ალბათ ე.წ. „ცენტრის პოლიტიკოსებს“ მიიწვევს და არა იმათ, ვინც მზად არიან, პალესტინელებს ყველაფერი დაუთმონ ან პირიქით, არაფერი მისცენ.

*ინტერფაქსი*

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

# მაფიის უკანასკნელ „ნათლიას“ მალე გაასამართლებენ

**ზურაბ მჭედლიშვილი**
**საკ. კორ. ამერიკიდან**

13 იანვარს, ბრუკლინის ფედერალურ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე, რომელსაც ჟურნალისტთა მრავალრიცხოვანი კორპუსი დაესწრო, დაგვიდასტურეს გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 9 იანვარს, საკუთარ სახლში დააპატიმრეს „კოზა ნოსტრას“ „თვალსაჩინო“ წარმომადგენელი, ბონანოს კლანის „ნათლია“ ჯოზეფ მასინო. მისდამი წარდგენილ ბრალდებაში ნათქვამია, რომ ის და ამ კლანის ე.წ. „კაპიტანი“ ფრენკ ლინო, რომელიც შარშან ოქტომბერში დააპატიმრეს, მონაწილეობდნენ მკვლელობებსა და რეკეტში.

ამასთან, პროკურორები მემორანდუმში კატეგორიულად მოითხოვენ, რომ მასინოს უარი ეთქვას გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებაზე და სასამართლომდე ციხეში უნდა დარჩეს. პროკურორებმა ასევე კატეგორიულად დააფიქსირეს, რომ მზად არიან დაამტკიცონ მასინოს ბრალეულობა მკვლელობებსა და სხვა მაფიოზურ დანაშაულობებში...

მცირე ისტორიული ექსკურსი, რაც კიდევ ერთხელ შეგვახსენეს სპეციალური ბიულეტენებით ფედერალურ პროკურატურაში გამართული ბრიფინგისას: იტალიური მაფია, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში ძირითადად, ნიუ-იორკში, სწორედ ბრუკლინში, ჩამოყალიბდა და აქედან დაიწყო „კოზა ნოსტრას“ სისხლიანი და ხანგრძლივი „მოღვაწეობის“ გზა, დღემდე ხუთი უმსხვილესი მაფიოზური ოჯახით არის წარმოდგენილი ნიუ-იორკში. ესენი არიან: გამბინოს, ლუკეზეს, კოლომბოს, ჯენოვეზესა და ბონანოს ოჯახები. ამ „ნათლიების“ სული დიდი ხანია მიიბარა უფალმა, მაგრამ მათ დაწყებულ საქმეს მეტნაკლები წარმატებით აგრძელებდნენ (და ალბათ დღესაც აგრძელებენ) მათი კლანები. პირველი სერიოზული დარტყმა სამართალდამცავთაგან „კოზა ნოსტრამ“ 80-იანი წლების დასაწყისში და 1992 წელს განიცადა, როცა დაიჭირეს და გაასამართლეს გამბინოს კლანის „ნათლია“ ჯონ გოტი. მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს და 2002 წლის ივნისში, 61 წლისა ციხეში გარდაიცვალა. 1992 წელსვე გაასამართლეს ლუკეზეს კლანის „ნათლია“, ამჟამად უკვე 67 წლის ვიტორიო ამიუზო, რომელსაც სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი 14 მკვლელობისა და სხვა მძიმე დანაშაულობებისთვის. კოლომბოს კლანის „ნათლია“, 68 წლის ვიქტორ ორენეც სამუდამო პატიმარია — 10 მკვლელობისთვის 1992 წელს გაქაჩეს. აი, ჯენოვეზეს კლანის „ნათლიას“, ვინსანტე ჯიგანტეს (მეტსახელად „ყბა“) კი, კარგა ხანს სდიეს და 1997 წელს დააპატიმრეს. დღეს იგი 12-წლიან სასჯელს იხდის. ასე რომ, „სვობოდაზე“ მხოლოდ ბონანოს კლანის „ნათლია“, 60 წლის ჯოზეფ მასინოლა რჩებოდა, მაგრამ მასაც უკვე გარდაუვლად ელის ციხე. ერთი სიტყვით, „კოზა ნოსტრა“ „ნათლიების“ გარეშე დარჩა, იმ „ნათლიებისა“, რომლებიც ე.წ. მაფიოზთა კომისიის მიერ იყვნენ დამტკიცებულნი ამ „თანამდებობებზე“. ეს კომისია 50-იან წლებში შექმნეს „ნათლიებმა“, რითაც წერტილი დაუსვეს შიდამაფიოზურ სისხლიან ომებს.

გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა მასინოს დაპატიმრების შემდეგ, ასევე საკუთარ სახლში აიყვანეს მისი ე.წ. მოადგილე, 55 წლის სალვატორე ვიტალე და ბონანოს კლანის ე.წ. კაპიტანი (ასეთი თანამდებობებიც არის მაფიოზურ კლანებში), 36 წლის დენიელ მონგელი. მათ ბრუკლინში, იტალიური მაფიის „აკვანში“ გაასამართლებენ.

ბრუკლინის ფედერალურმა პროკურორმა ქალბატონმა როსლინ მაუსკოფმა განგვიცხადა ჟურნალისტებს, რომ მასინო იტალიური მაფიის უკანასკნელი ბოსი იყო, რომელიც დაუსჯელი დადიოდა და გამდიდრებაც მოასწრო. მიუხედავად იმისა, რომ ბონანოს კლანის ბევრი თავზეხელაღებული ბანდიტი სხვადასხვა დროს დავაპატიმრეთ და გავასამართლეთ, არასაკმარისი მტკიცებულებების გამო მისი დაკავება ვერ ხერხდებოდაო. ახლა კი, პროკურორის თქმითვე, უამრავ დანაშაულთან ერთად, მასინოს ბრალად ედება 20 წლის წინ ჩადენილი ერთი მკვლელობაც. მკითხველისთვის საინტერესო იქნება ის ფაქტი, რომ ამ მკვლელობასთან დაკავშირებით ყველამ გაიხსენა გამოძიების ფედერალური ბიუროს ლეგენდარული აგენტი ჯოზეფ პისტონე, რომელიც 70-იან წლებში ქურდისა და ბანდიტის — დონი ბრასკოს სახელით დაუახლოვდა ბონანოს ოჯახს და შემდეგ ამ კლანის „სრულუფლებიანი“ წევრიც გახდა. სინამდვილეში კი, ფასდაუდებელ ინფორმაციას აწვდიდა თავის შეფებს მაფიის საქმიანობასა და გეგმებზე. 1981 წელს კი პისტონე მთავარ მოწმედ გამოვიდა სასამართლოზე, რის შედეგადაც უამრავი მაფიოზი გაისტუმრეს ხანგრძლივი ვადით ციხეში. სწორედ დონი ბრასკოს თავგადასავალი ასახა ჯოზეფ პისტონემ თავის მემუარებში, რაც საფუძვლად დაედო 5 წლის წინ, ჰოლივუდში გადაღებულ ფილმს „დონი ბრასკო“, ალ პაჩინოსა და ჯონი დეპის მონაწილეობით... ჯოზეფ პისტონეს წყალობით გვარიანად შეირყა მაფიოზური სამყარო, თავად მაფიოზთა თვალში კი, უკიდურესად დაეცა ბონანოს კლანისადმი ნდობა, რომელიც 80-იან წლებში გააგდეს კიდეც ე.წ. მაფიოზთა კომისიიდან. რაც შეეხება მასინოსადმი წაყენებულ, ერთ-ერთ მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდებას, აქ საქმე ეხება თავად ბონანოს კლანში გაჩაღებულ სისხლიან ანგარიშსწორებას. მოხდა კი ის, რომ მრავალწლიანი ოპერაციის დასასრულს, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დაარტყა მანჰეტენის „პატარა იტალიაში“ მოკალათებულ მაფიას, თანაც ისე, რომ მაფიოზებს წინასწარ შეუგდო ინფორმაცია — დონი ბრასკო ჩვენი აგენტიაო. ეს უკანასკნელი საფუძვლიანად ჰყავდათ გადამალული. შედეგად, ბონანოს კლანი აირია. გამოძიების ფედერალურ ბიურომდე მიაღწია ცნობამ, რომ კლანში დიდი წმენდა იგეგმება და რამდენიმე მაფიოზი უნდა მოკლანო.


ჯოზეფ მასინო

სასიკვდილოდ განწირულთა შორის იყო კლანის მაშინდელი „კაპიტანი“ დომინიკე ნაპოლიტანო, მეტსახელად „შავი სონი“, რომელმაც მიიყვანა კიდეც დონი ბრასკო, იგივე პისტონე, კლანში. გამოძიების ფედერალური ბიუროს ნიუ-იორკის განყოფილების მაშინდელი შეფი კენეტ უოლტონი თავად შეხვდა ნაპოლიტანოს და გააფრთხილა, რომ ბრასკოს გამო მას სასიკვდილო განაჩენი აქვს გამოტანილი მაფიოზთა მიერ. მაგრამ ნაპოლიტანომ ამაყად, მაფიოზური „სტილით“ მიუგო: შენ შენი საქმე აკეთე, მე კი ჩემსას მივხედავო...

ბრუკლინის ფედერალური პროკურატურის გამომძიებელთა თქმით, ნაპოლიტანო საშინლად განიცდიდა მომხდარს და ბონანოს კლანის ბოსებთან აპირებდა მოლაპარაკებას გამოსავლის მოსაძებნად, მაგრამ მალე „კაპიტანი“ კეფაში ნასროლი ტყვიით განგმირული იპოვეს ქუჩაში... მიცვალებულთათვის განკუთვნილ შავ ტომარაში ჩადებული.

ამას კი ის მოჰყვა, რომ ბონანოს კლანმა ბრასკო-პისტონესთან დაახლოებული კიდევ ათეულობით მაფიოზი გაისტუმრა საიქიოს. სწორედ ამ მკვლელობებისთვისაც გაასამართლებენ მასინოს.

14 იანვარს მორიგი ინფორმაცია გაავრცელა ბრუკლინის ფედერალურმა პროკურატურამ: ბონანოს კლანის ამჟამინდელ „კაპიტანს“ და უკვე პატიმარ ვიტალეს კიდევ ერთ „სველ“ საქმეში მონაწილეობისთვის დასდეს ბრალი — გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის“ გავრცელების სამსახურის შეფის, რობერტ პერინოს მკვლელობაში. პროკურატურის მონაცემებით, ბონანოს კლანმა ამ გაზეთის გავრცელების სამსახურის რამდენიმე განყოფილებაზე დაამყარა კონტროლი, რა თქმა უნდა, რეკეტის სახით, რის გამოც, შეტაკება მოუხდა პროფკავშირების წარმომადგენლებთან. სწორედ ამ გარჩევების შედეგად მოკლეს პერინო, რომლის გვამიც ვერ იპოვეს..

23 იანვარს სასამართლო განიხილავს ბონანოელ მაფიოზთა ადვოკატების შუამდგომლობას, დაპატიმრებულთა გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების შესახებ, თუმცა საეჭვოა, მოსამართლემ დააკმაყოფილოს მათი თხოვნა. მეტიც, მოსალოდნელია, რომ მაფიოზთა ადვოკატებს აცილებაც კი მისცენ იმ მოტივით, რომ ისინი ადრეც იცავდნენ „კოზა ნოსტრას“ ბანდიტებსა და მკვლელებს სასამართლო პროცესებზე. მოკლედ, ოდესღაც ყოვლისშემძლე, დღეს კი „უნათლიებოდ“ დარჩენილი იტალიური მაფია, როგორც ერთმა გამომძიებელმა ბრძანა, — უკვე სულს ღაფავს, ჩვენ ყველაფერი ვიცით მათი საქმიანობის შესახებ და სასამართლო პროცესზე კიდევ ბევრი რამ გახდება ცნობილიო.

მასინოს კი, ადგილობრივმა პრესამ „ნათლიათა“ „უკანასკნელი მოჰიკანი“ უწოდა, თუმცა თავად ამერიკულ საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იტალიური მაფია კვლავაც აკონტროლებს ბევრ სფეროს, რომ აღარაფერი ვთქვათ მეძავთა, რესტორნებსა და სათამაშო ბიზნესზე; მაგალითად, ნიუ-იორკის დასუფთავების სისტემა მთლიანად იტალიელთა ხელშია — რიგით მენაგვედ რომ მოეწყო (ხელფასი თვეში 6 ათასი დოლარია), 30 ათასი დოლარია „მისატანი“ ბოსთან შუამავლის საშუალებით, რა თქმა უნდა, ქრთამის სახით...

## „კვირის პალიტრა“ თქვენი დახმარებით გახდება უფრო უკეთესი და საინტერესო

**თუ თქვენ ჯერ არ შეგივსიათ ანკეტა, კვლავ გეძლევათ თქვენი აზრის დაფიქსირების საშუალება.**

უკვე მეოთხე წელია, ყოველწლიურად მკითხველს „კვირის პალიტრის“ შესახებ საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება ეძლევა.
გთავაზობთ ჩვენს ტრადიციულ კითხვარს, გთხოვთ, შეავსოთ და გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთებით

**წინასწარ მადლობას მოგახსენებთ დახმარებისათვის**

**1. თქვენი სქესი**
☐ ქალი ☐ კაცი

**2. ასაკი**
☐ 18 წლამდე
☐ 18-24
☐ 25-34
☐ 35-44
☐ 45-54
☐ 55-64
☐ 65 წელზე მეტი

**3. განათლება**
☐ არასრული საშუალო
☐ საშუალო/საშუალო სპეციალური
☐ არასრული უმაღლესი
☐ უმაღლესი
☐ სამეცნიერო ხარისხი

**4. ძირითადი სამუშაო, საქმიანობის სახე**
____________________

**5. დასაქმების სექტორი (რა ტიპის ორგანიზაციაში მუშაობთ?)**
☐ კერძო (არასახელმწიფო)
☐ სახელმწიფო

**6. რამდენ ლარს შეადგენს თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი**
☐ 50 ლარამდე
☐ 50-200
☐ 200-700
☐ 700-1500
☐ 1500-ზე მეტი

**7. რამდენად ხშირად კითხულობთ „კვირის პალიტრას“?**
☐ ყოველ ნომერს ☐ ხანდახან
☐ ხშირად ☐ იშვიათად

**8. თქვენ გარდა რამდენი ადამიანი კითხულობს გაზეთის თქვენს ეგზემპლარს?**
☐ მხოლოდ მე
____ *(ჩაწერეთ რაოდენობა)* ადამიანი

**9. „კვირის პალიტრის“ გარდა რომელ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობთ სისტემატურად?**
*(დაასახელეთ რიგითობის მიხედვით)*
1. __________
2. __________
3. __________

**10. რამდენად ხშირად კითხულობთ თქვენ მიერ I რიგში დასახელებულ სხვა გამოცემას?**
☐ ყოველ ნომერს ☐ ხანდახან
☐ ხშირად ☐ იშვიათად

**11. ზოგადად, რა სამი უმთავრესი ფაქტორია გადამწყვეტი თქვენთვის გაზეთის/ჟურნალის არჩევისას?**
☐ ფასი
☐ შეჩვევა
☐ სტატიების სიმძაფრე
☐ გვერდების რაოდენობა
☐ პოლიგრაფიული ხარისხი
☐ ოპერატიულობა
☐ დიზაინი
☐ ზომიერება
☐ მრავალფეროვნება
☐ იმიჯი
☐ ობიექტურობა/არატენდენციურობა
სხვა *(დაასახელეთ)* __________

**12. როგორ შეაფასებთ „კვირის პალიტრას?“**
☐ საქართველოში არსებულ სხვა გაზეთებზე უკეთესია
☐ საქართველოში არსებულ სხვა გაზეთებზე უარესია
☐ ჩვეულებრივია, ჰგავს სხვა გაზეთებს

**13. დაახლოებით რამდენი ხანია, რაც „კვირის პალიტრას“ კითხულობთ?**
☐ ეს პირველი ნომერია
☐ 1-3 თვე
☐ 3-12 თვე
☐ 1-2 წელი
☐ 2-5 წელი
☐ დაარსებიდან

**14. რომელ რუბრიკას კითხულობთ ყველაზე მეტი ინტერესით?**
____________________

**15. რომელი რუბრიკაა თქვენთვის ყველაზე ნაკლებად საინტერესო?**
____________________

**16. რა სიახლეს შესთავაზებდით „კვირის პალიტრას“?**
____________________
____________________
____________________

☒ **შესაბამისი უჯრა გადახაზეთ**
*(ყუთების ადგილმდებარეობის შესახებ იხ. 36-ე გვერდზე)*

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

### საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 18 იანვრიდან დაადგინა

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1900 |
| ევრო | 2,2907 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4895 |
| რუსული რუბლი | 0,0685 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3444 |

საქართველოში პირველი სპეციალიზებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები
ზევსი Zeus
წაახალისეთ ოჯახები! [illegible]
ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, უზნაძის ქ. 2 (ყოფ. კავრის)
11.00-19.30 სთ-მდე კვირის გარდა

„კონსტრონის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

შპს „გეოკორი“
აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
სასმელი და
ტექნიკური
წყლის
მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
(საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

თუ უკანონო მშენებლობით
ირღვევა თქვენი უფლებები
მიმართეთ
„დემოკრატიული განვითარების ცენტრს“,
სადაც უფასოდ მიიღებთ იურიდიულ
კონსულტაციას, აღმოგიჩენენ დახმარებას
სასამართლო საქმის წარმოებაში, ასევე —
ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში.
მის: რუსთაველის გამზ. № 23, ტელ: 92-05-94

# ცხოვრებისეული კურიოზები

## „არქიმედი"



ბოლო პერიოდში ზესტაფონში თუ ვინმემ საბაზრო ეკონომიკას ალღო აუღო, ეს პირველ რიგში, ჯემალ ჭუმბურიძეზე ითქმის. ვაჭრობის სფერო არც მანამდე იყო მისთვის ახალი, მაგრამ მისმა გამომგონებლურმა ალღომ და კომერციულმა ნიჭმა მთელი გაქანებით ბოლო პერიოდში გაიბრწყინა. სწორედ საზრიანობისათვის შეარქვეს მას არქიმედი.

მყიდველის ფსიქოლოგიაში წვდომის შესაშური ალღო და მოზომილი იუმორი, არქიმედეს დიდ სამსახურს უწევს:

— ნათურები გაქვთ?

— კი ბატონი, თან ვარგისიანობასაც შეგიმოწმებთ.

— აგაშენა ღმერთმა! — ეუბნება მყიდველი, — ორი ცალი გამისინჯე.

არქიმედემ გასინჯა ნათურები და თან მიაყოლა: — მხეცივით ნათურებია... უფრო დიდს ვერც იგუებ საძინებელში. საშუალება არ მაქვს თუ არა, რა ჭირს გასაყიდი ამ ნათურებს... შევინახავ და ფასი კიდევ უფრო მოიმატებს.

ამ სიტყვების შემდეგ მყიდველი დამატებით ითხოვს 5 თუ 10 ცალ ნათურას.

მოკლედ, ჩვენი არქიმედი კლიენტების „გაბრუების" დიდოსტატია. ამის დასტურად ერთი კურიოზული შემთხვევაც კმარა.

ერთხელ მასთან ერთი კლიენტი მოვიდა მდიდრული მანქანით.

— ანკესები თუ გაქვს? — ეკითხება გამყიდველს.

— ანკესების მეტი რა გვაქვს, მაგრამ კიდევ კარგი, ათი ცალის მეტი რომ არ გინდათ, თორემ სხვასაც ვიყავი დაპირებული. იმპორტულებია და ერთი კოლოფილა დამრჩა.

— მომეცი კოლოფით! — მიზანს მიაღწია არქიმედეს ოინმა. — ვისაც შეპირდი, შემდეგ რომ მოიტანთ, მაშინ შეუნახე!

არქიმედემ კლიენტის ფინანსური მხარე „იყნოსა". თან დაინახა, რომ იგი უცხოური მარკის მანქანით იყო:

— გეტყობათ, მოყვარული მეთევზე ხართ. გერმანული ძუა გვაქვს და ისიც ხუთი კოჭა... ხომ არ ინებებდით?

— მომეცით!

— რახან მასეა საქმე... ერთი წყვილი მაღალყელიანი რეზინის ჩექმაც წაიღეთ... ხომ იცით... წყალში რას არ ყრიან... ამ ჩექმით დაცული იქნებით...

— მომეცით!

— გეტყობათ, რომ ძალიან კარგი მეთევზე ხართ,.. წყლის სიღრმეში შესასვლელად ჩვენ მოტორიანი ნავიც გვაქვს, ოთხადგილიანია... თანაც იტალიის გამოშვება...

— თუ მასეა, ეგეც იყოს!.. — ჩაუთვალა ფული კლიენტმა.

ერთი სიტყვით, მყიდველს, რომელსაც რამდენიმე ცალი ანკესის ყიდვა უნდოდა, არქიმედემ იმდენი ელაპარაკა, ანკესებთან ერთად მოტორიანი ნავიც მიაჩეჩა.

***დემურ ცერცვაძე, ზესტაფონი***

## პაროდიის კუთხე

## გაქვთ თუ არა გაზი?

### ტესტი



**1. ჯერ კიდევ ზამთარია და საკმაოდ ცივა, თქვენ:**

ა) ორ თვესაც გაიჭირვებთ როგორმე (-1).

ბ) კიდევ კარგი, დენი რომ გაქვთ ხანდახან (0).

გ) კიდევ კარგი, გაზი რომ გაქვთ ხანდახან (1).

**2. მანქანით მიდიხართ და ეჯახებით ბოძს, თქვენ:**

ა) აჭერთ ფეხს „ტორმუზს" (-1).

ბ) აჭერთ ფეხს „კონუსს" (0).

გ) აჭერთ ფეხს გაზს (1).

**3. ქუჩაში გამოგეკიდათ ავი ძაღლი, თქვენ:**

ა) ჩქარა „აითესებით" (-1).

ბ) ჩქარა „მოკურცხლავთ" (0).

გ) ჩქარა „დაგაზავთ" (1).

**4. ზიხართ სტომატოლოგის კაბინეტში და თქვენ:**

ა) გული გიწუხდებათ „ნემსის" დანახვაზე (-1).

ბ) გული გიწუხდებათ ბორმანქანის დანახვაზე (0).

გ) გული გიწუხდებათ „გაზის" დანახვაზე (1).

**5. თქვენი მეგობარი დღედაღამ ბირჟაზე დგას („ბირჟავიკობს", რა), თქვენ:**

ა) ეუბნებით: „რავა ხარ, ხო ხარ ლომივით?" (-1).

ბ) ეუბნებით: „რავა სულ აქ დგახარ ძაღლივით" (0).

გ) ეუბნებით: „რავა სულ აქ დგახარ გაზის ბალონივით?" (1).

**6. წუხელ ტელევიზორში გადიოდა საინტერესო ფილმი, თქვენ:**

ა) ნახეთ ფილმი და ძალიან მოგეწონათ (-1).

ბ) ვერ ნახეთ ფილმი, რადგან დენი არ გქონდათ (0).

გ) ვერ ნახეთ ფილმი, რადგან გაზი გქონდათ და სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმე გააკეთეთ (1).

### დაითვალეთ ქულები:

**თუ დააგროვეთ -3-ზე ნაკლები ქულა, მაშინ თქვენ აღარც გახსოვთ, გაზი როგორია, მაგრამ ისე შეეჩვიეთ ამ ფაქტს, რომ ნამდვილად არ განიცდით „უგაზობას". არა უშავს, ერთი-ორი თვეც მოითმინეთ, გაზი სულ არ დაგჭირდებათ (ყოველ შემთხვევაში, გათბობის მიზნით მაინც).**

**თუ დააგროვეთ -3-დან 3-მდე ქულა, მაშინ გაზი ხან გაქვთ და ხან არა. რა გასაკვირია, ყველანი ასე ვართ დღეს. იმ დღეს კიდე, გაზი რომ წავიდა, დავანთე შეშის ღუმელი ისევ, აბა რა მექნა. ბევრი კი ვიწვალე, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა, გაზის მოსვლას ხომ არ დაველოდებოდი. მაგის იმედად მტერი იქნა...**

**თუ დააგროვეთ 3-ზე მეტი ქულა, მაშინ საკმაოდ კარგად გაქვთ გაზი, მაგრამ წყალი გაქვთ ძალიან ცუდად. ეს ტელეფონიც კიდევ ორი კვირაა გათიშული გაქვთ, დაზიანებააო, შუქია და ხან მოდის, ხან არა. მარტო გაზი შველის საქმეს? დამანებე ერთი თუ ძმა ხარ თავი, რა...**

***ტესტი შეადგინა უგაზობით, უშუქობით და უტელეფონობით ასე თუ ისე შეწუხებულმა ზაქრო ინწკირველმა***

## „კილერის" ფარი



გურიანთაში ცხოვრობდა იუმორის დიდოსტატი კაცი ისაკ შეწირული. ერთხელ სოფელში ქორწილი ყოფილა. ბატონი ისაკი ე.წ. „თავკაცად" აურჩევიათ და ისიც გულისყურით ანაწილებდა თურმე საქმეს თანასოფლელებზე. ერთი მათგანისთვის, მკვლელობის მუხლით სასჯელმოხდილი რომ ყოფილა, დაუვალებია — შენ გოჭები დაკალიო. „კილერს" თავპატიჟი დაუწყია, — აჰ, მაგას მე ვერ ვიზამო!..

— აბა, ბიძია, შენ კაცებს ვინ აგითავებსო... — შეწუხებულა ისაკი.

***ქეთევან ჟღენტი, გურიანთა***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



მიხო გაგლეჯილი მთვრალი ბრუნდება სახლში. მოთმინებიდან გამოსული სიდედრი დოინჯშემოყრილი დგას შუა ოთახში:

— მორჩა, მიხო, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტე, ან ღვინო, ან ჩემი ქალიშვილი!

— კარგი, მაგრამა, ჯერ ის მითხარი, რამდენ ლიტრა ღვინოზეა ლაპარაკი!

***ვანო შავდათაშვილი, თბილისი***



მიხო მეორე ოთახში მოფუსფუსე მაროს ეძახის:

— მარო, ჩემს პიჯაკს ღილი დააკერე, კანტორაში ვარ ასასვლელი.

— მიხავ, აქ ორი ღილია აწყვეტილი და რომელი დავაკერო?

***გია პატარიძე, თბილისი***



რუსულის გაკვეთილი კახეთის სკოლაში:

— რა ჰქვია პატარა თაგვს რუსულად?

— მიშკა.

— სწორია. აბა, ვირთხას რა ჰქვია?

— მიხეილი.

***ლევან ყუფარაძე, თბილისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***


სიცილი ჯანმრთელობაა



როცა ცხოვრება მძიმდება,
— სიცილი უფრო გვიხდება...
გაიღიმეთ ჩვენთან ერთად!

## დათო ხუჯაძე «არტ იმედს» არ წყალობს...

**— ვარ დათო ხუჯაძის ფანი. მაინტერესებს ყველაფერი მის შესახებ. რამდენი წლისაა, ახლო მომავალში აპირებს თუ არა ცოლის შერთვას. რითია დაკავებული ამჟამად. მართალია, თუ არა, რომ იგი დაშორდა თავის პროდიუსერს ნატო დუმბაძეს და შეუერთდა თუ არა საბოლოოდ „არტ იმედს"?**

***ნატო ქელიძე***



კითხვაზე უპასუხებს **დათო ხუჯაძე.**

— ცოლის შერთვას ჯერჯერობით არ ვაპირებ. ვარ 27 წლის. ვმუშაობ ახალ ალბომზე, რომელიც ერთ თვეში გამოვა. ბოლო კითხვას რაც შეეხება, „არტ იმედთან" არავითარი ურთიერთობა არა მაქვს. ვთვლი, რომ ჩემთვის მიუღებელია ამ კომპანიასთან ურთიერთობა, რადგანაც აქ თავმოყრილთა დიდი ნაწილი არაპროფესიონალია (მცირე გამონაკლისის გარდა). „არტ იმედმა" თავად გაავრცელა ჭორი იმის შესახებ, რომ მე მისი წევრი ვარ, რა თქმა უნდა, საკუთარი რეკლამისთვის. უნდა გითხრათ, რომ მე კვლავაც ჩემს პოზიციაზე ვდგავარ, ნატოსთან აღარ ვთანამშრომლობ და „არტ იმედში" გაერთიანებასაც არ ვაპირებ, ვმუშაობ დამოუკიდებლად.

## «ნორდ-ოსტის» მსხვერპლთა შორის ქართველები არ არიან

**— რუსულ პრესაში ამოვიკითხე, რომ „ნორდ-ოსტის" შტურმით აღების შემდეგ უგზო-უკვლოდ დაკარგულ 70 კაცს შორის არის ქართველების ოჯახი. მაინტერესებს, რას კეთდება მათ მოსაძებნად?**

***ნინო ჯალაღანია***

კითხვაზე უპასუხებს **მერი ჯანგველაძე**, რუსეთში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი.




— ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შორის ქართველები არ არიან. ამის გარდა, არ დადასტურდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს „ნორდ-ოსტის" მძევალთა შორის სამი ქართველი მოქალაქე იყო. მძევლად იყო მხოლოდ ერთი ქართველი გოგონა, 15 წლის ქეთი ჭიპაშვილი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა დღეისთვის დამაკმაყოფილებელია. საელჩომ ეს შემთხვევა არაერთგზის შეისწავლა. ამ საკითხზე 2 თვის განმავლობაში ვმუშაობდით. მოვიარეთ ყველა საავადმყოფო, მორგი და სხვა დაწესებულებები. ვეძებდით ადამიანებს არა მოქალაქეობის, არამედ ქართული გვარის მიხედვით და ასეთი არავინ აღმოგვიჩენია. გარდა ამისა, არც ერთი ქართველი მოქალაქე საელჩოს არ დაჰკავშირებია თავისი ნათესავისა თუ ახლობლის მოძებნის მიზნით. უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიაც შესწავლილი გვაქვს და გარწმუნებთ, რომ ქართველები მათ შორის ნამდვილად არ არიან.

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე" ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

## წარმატებული წელი საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკისთვის

არსებობის სამი წლის მანძილზე საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი, ემ-ბი-ჯი ქვეყნის ერთ-ერთ უმძლავრეს ბანკად ჩამოყალიბდა. ამას პირველ რიგში განაპირობებს ორიენტაცია მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებზე, მოსახლეობის იმ კატეგორიაზე, რომლებიც ქმნიან ეროვნული ეკონომიკის საფუძველს.

16 ფილიალსა და განყოფილებაში ფინანსური მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს როგორც მოსახლეობას, ასევე კორპორატიულ კლიენტებსაც. MBG-ის მენეჯმენტი უმეტესწილად დაკომპლექტებულია გერმანელი ექსპერტებისაგან, რამაც განაპირობა მეტსახელი გერმანული ბანკი. ეს მეტსახელი ასევე მიუთითებს პატიოსანი, სანდო და ხარისხიანი მომსახურების მქონე ბანკის რეპუტაციაზე.

მოსახლეობის ნდობას ბანკისადმი ისიც განაპირობებს, რომ ემ-ბი-ჯის აქციათა 100%-ის მფლობელები არიან წამყვანი საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები და ბანკები, მათ შორის: გერმანული საერთაშორისო მიკროსაინვესტიციო კომპანია (II), გერმანიის სახელმწიფო განვითარების ბანკი (KFW), გერმანული კომერცბანკი (Commerzbank), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ჰოლანდიის სახელმწიფო განვითარების ბანკი (FMO), საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC), რაც მოსახლეობის მიერ ემ-ბი-ჯი-ში განთავსებული დეპოზიტების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დამატებითი გარანტიაა.

გასული წელი ბანკისათვის ორი ღირსშესანიშნავი მოვლენით აღინიშნა:

2002 წლის ნოემბერში საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკის MBG-ის აქციონერთა ასამბლეამ საქმიანობის გაფართოების მიზნით, მიიღო გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის 10,000,000 ლარიდან 20,000,000 ლარამდე გაზრდის შესახებ. კაპიტალის გაზრდის პროცესი უკვე დასრულებულია, მასში ბანკის ყველა აქციონერმა შეიტანა საკუთარი წვლილი. დღეისათვის აქციონერთა სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)- 10%,

ჰოლანდიის სახელმწიფო განვითარების ბანკი (FMO) - 10%.

კომერცბანკი (Commerzbank )- 15%.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC) - 16%.

გერმანიის სახელმწიფო განვითარების ბანკი (KFW) - 20%.

საერთაშორისო მიკროსაინვესტიციო კომპანია (IMI) - 29%.

გარდა ამისა, 2002 წლის დეკემბერში საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ გამოცემათა სამსახურმა შეაჯამა წლის ტრადიციული კონკურსის "ეროვნული ეკონომიკის მეწინავენი - 2001"-ის შედეგები. ნომინაციაში „წლის საუკეთესო უცხოური კომპანია" პირველი პრიზი საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკმა დაიმსახურა.

სასიხარულოა, რომ საქართველოში არსებობს ბანკი, რომელიც მოსახლეობის ფართო ფენებზეა ორიენტირებული და თავისი არცთუ მცირე წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. R

## როგორ ვიპოვოთ ძველი მეგობრები?

**— ამჟამად არ ვიცი, სად ცხოვრობს ჩემი რამდენიმე ძველი მეგობარი. მაინტერესებს, შეიძლება თუ არა მათი მოძებნა?**

***მარინა ერაძე***

კითხვაზე უპასუხებს **ტარიელ გრიგოლაშვილი**, შსს-ს საპასპორტო, სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამისამართო განყოფილების უფროსი.

— პიროვნების პოვნა დღეისათვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. ჩვენს საინფორმაციო-სამისამართო განყოფილებაში თავმოყრილია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებთა ყველა მონაცემი. დაინტერესებულმა პირმა უნდა მოგვმართოს პირადად წერილობითი განცხადებით, შეავსოს სპეციალური ბლანკი და მიუთითოს მასში სასურველი პიროვნების გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი და ადგილი. რამდენიმე წუთში მორიგე მოქალაქეს გადასცემს იმავე ბლანკს, რომლის მეორე მხარეს მითითებული იქნება განცხადებაში აღნიშნული პიროვნების ადგილსამყოფელი. ამგვარი ინფორმაცია უფასოა. ფასიანია მხოლოდ ინფორმაცია პირადობის მოწმობისა თუ პასპორტისათვის მონაცემების მოძიების შესახებ. ტელეფონით ეს ინფორმაცია არ გაიცემა. თუ მოქალაქეს არ ახსოვს პიროვნების დაბადების წელი და ადგილი, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია მისთვის სავარაუდო ინფორმაციის მიწოდება.

## უძვირესი ქალაქები...

**— ერთ-ერთ ტელეარხზე მოვისმინე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსკოვი 42-ე ადგილზე ყოფილა უძვირეს ქალაქებს შორის. სამწუხაროდ, არაფერი თქმულა ყველაზე ძვირ ქალაქზე და საერთოდ, როგორ ითვლიან ამ მონაცემებს. საინტერესოა, შედის თუ არა თბილისი ამ სიაში. იქნებ თქვენ გვაცნობოთ რამე?..**

***მამუკა სალაძე***



**ტოკიო, „ჰიტაჩის" ოფისი**

— უძვირესი ქალაქების სიას სხვადასხვა ორგანიზაცია ადგენს. ყველას თავისებური მიდგომა და პრინციპი აქვს. თქვენ მიერ მოსმენილი ინფორმაცია გაავრცელა ბრიტანულმა ჟურნალმა „The Economist"-მა. 2002 წლის შედეგები 200-მდე მონაცემის მიხედვით დაითვალეს, მათ შორის საკვების, ტანსაცმლის, ტრანსპორტის, გართობისა და კომუნალური მომსახურების ღირებულებაცაა. „ეკონომისტის" სპეციალისტებმა, მათი აზრით, 143 უძვირესი ქალაქი შეისწავლეს. ამ სიაში თბილისი არ დასახელებულა. უძვირეს ქალაქად დასახელდა იაპონიის დედაქალაქი ტოკიო. მეორე „საპრიზო" ადგილი ისევ იაპონურმა ქალაქმა, ოსაკამ დაიკავა, მესამეზე კი ნორვეგიის დედაქალაქი ოსლოა. ევროკავშირის უძვირეს ქალაქად ლონდონი ცნეს. „ევროს" მიმოქცევის ზონაში უძვირესია პარიზი, რომელიც საერთო სიაში მეათე ადგილზეა და თვით ნიუ-იორკსაც კი უსწრებს. უძვირეს ქალაქებს შორის „უღარიბესი" ზიმბაბვეს დედაქალაქი ხარარეა.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი რეიტინგები უფრო მკითხველისა და მაყურებლის გასახალისებლად დგება. მაგალითისთვის 2001 და 2002 წლის მონაცემების შედარებაც კმარა. მაგალითად, მოსკოვი 2001 წელს მეორე ადგილზე იყო, ხოლო 2002-ში — 42-ე ადგილს იყოფს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელთან ერთად. დასახელებული ქალაქების გარდა, უძვირესთა სიის პირველ ათეულში ხშირად არიან: ჰონკონგი, პეკინი, შანხაი და სეული.

## რა ღირს საფლავი?

**— მუხათგვერდის სასაფლაოზე 20 წლის წინ შევიძინე ორი ადგილი. მაინტერესებს, საოჯახო საფლავს თუ სჭირდება ხელახალი პრივატიზაცია და რამდენს შეადგენს დასაფლავების ხარჯი?**

***შალვა თორაძე***

კითხვაზე უპასუხებს **მიხეილ ფოფხაძე**, სარიტუალო სამსახურის უფროსი.

სასაფლაოს პრივატიზაცია, როგორც ასეთი, არ შეიძლება, რადგანაც სასაფლაოს ტერიტორია მიწის გადასახადისაგან გათავისუფლებულია და მიწა არ იყიდება. რაც შეეხება საფლავის გათხრის ხარჯებს, მას ყველგან ერთი ფასი აქვს. მიუხედავად ადგილმდებარეობისა და სასაფლაოს „პრესტიჟულობისა", მიწის გათხრა და მომსახურების ხარჯები ყველგან 92 ლარს შეადგენს.

## მომზადებული შევხვდეთ თებერვლის ყინვებს

**— 5 წლის წინ ჩემი მშობლები რაიონში გადავიდნენ საცხოვრებლად და მისდევენ სოფლის მეურნეობას. შეგვაშფოთა ინფორმაციამ, იმის შესახებ, რომ თითქოს თებერვალში ძლიერი ყინვებია მოსალოდნელი. გთხოვთ გვირჩიოთ, როგორ უნდა მოიქცნენ სოფლის მეურნეები, რომ ყინვებმა მათი ნაკვეთები არ დააზარალოს?**

***მალხაზ ჭიპაშვილი***



კითხვაზე უპასუხებს **ელნარ მიქანაძე**, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო მომსახურების სამმართველოს უფროსი.

— სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ინფორმაციით, რომელიც ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტმა მოგვაწოდა, მართლაც, თებერვლის პირველ დეკადაში (ამინდის გრძელვადიანი პროგნოზით) საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელია ტემპერატურის საგრძნობი დაკლება. მაგალითად, კოლხეთის დაბლობში -8-11 გრადუსამდე; შიდა ქართლში ღამით, შესაძლებელია ტემპერატურა დაეცეს -13-16 გრადუსამდე, ხოლო მთიან და მაღალმთიან რეგიონებში შესაბამისად -15-18 და -19-22 გრადუსამდე. ყინვების შედეგები სავალალო იქნება, თუ მას თბილი ამინდი დაასწრებს. ამიტომ მიწათმოსარგებლეებმა უნდა იფრთხილონ და წინასწარ დაიჭირონ თადარიგი. კერძოდ, მოსალოდნელი ყინვებისგან ნაკვეთების დასაცავად გამოიყენონ დასაბოლებელი საშუალებები (ძველი საბურავები, ნამჯა, ჩალა, ნახერხი და სხვა ნარჩენები). ძირითადად ყინვების ინტენსივობა ღამის 12 საათიდან დილის 5 საათამდე მიმდინარეობს. სწორედ ამ პერიოდში უნდა დაანთონ ცეცხლი აღნიშნული ნარჩენებით, რათა იხსნან თავიანთი ხეხილის ბაღები, ვაზის ნარგავები თუ ციტრუსის პლანტაციები. მიწაში „ჩაწოლილი" ბოლი ყინვას ტეხს.

ჩვენ კი მიწათმოსარგებლეებს ვურჩევთ, არ შეშინდნენ და მოსალოდნელ ყინვებს მომზადებულნი შეხვდნენ.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

CMYK

## მილოცვა

**აბაშის გამგებელს!**

გილოცავთ ძველ-ახალ წელს!

გილოცავთ.

ღვთით ბოძებული სიკეთით, ღვთის შეწევნით, სიხარულით, ბედნიერებით, სიყვარულით გევლოთ ცხოვრების გზაზე.

„გამგებელი ხარ და ხამს...“

გამგებელი ხარ და უნდა აკეთო...

მოვალეობაზე უფრო აღმატებულია თქვენეული სიტყვა საქმისა და საქმე სიტყვისა.

ვფიქრობ, თქვენს კაცობას, თქვენეულ მზურვალე გულს, თქვენეულ მიზანს, ჩანაფიქრს, [illegible] სახსარს, „ნეტაი, ბევრი გაზარდოს თქვენსთანები დედამა“.

*კულტურის და ძეგლთა დაცვის განყოფილების თანამშრომლები*

ჩემო **ინგა**, გილოცავ ძველით ახალ წელს. მიყვარხარ, მენატრები. გისურვებ ჯანმრთელობას და გახარებას, ჩემთან ერთად.

*შენი S+*

საყვარელ ნათლიებს — **თეა ესიავას, ბექან ჯავახიას, ნანა ხუტუას, ანზორ აბრალავას და მალხაზ გორგასლიძეს**, ულოცავთ ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულს. უსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას. დაე, არ მოგკლდებოდეთ უფლის წყალობა.

*ნათლულები მარიამ და ლაზარე ორდენიძეები*

**გია ბუთხუზს!**

გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენო სიცოცხლით სავსე და დაუზარელო შვილო! გისურვებთ ზღვა სიყვარულსა და სიხარულს. მრავალ ახალ წელს დაესწარი. გისურვებთ ყველა შენი ოცნების ასრულებას ამ წელიწადში. ღმერთმა დაგლოცოს, ჩვენო საყვარელო ბიჭო.

*მშობლები*

## მადლობა

ბ-ნ **გოგი თოფაძესა** და მის ოჯახს, ქ-ნ **თინა ბეჟანიშვილს**, უკეთილშობილეს, სიკეთით აღსავსე ადამიანებს, უდიდეს მადლობას მოვახსენებთ კეთილშობილებისთვის, თანადგომისთვის, უანგარობისთვის.

ღმერთმა შეგეწიოთ, ჯანმრთელობას და ბედნიერებას ნუ მოაკლებდეთ, სიხარულს და სიმრავლეს გისურვებთ მარადჟამს.

*თამაზ მელქაძის ოჯახი*

გაერთიანებული ერების, ზუგდიდის ოფისის ყოფილ უფროსს — ბატონ **ფრენკ ბალაბანს** მადლობას ვუხდით გაწეული დახმარებისათვის.

*თ. ქვარაცხელია (ზუგდიდი)*

## ბინები

თბილისიდან სამხრეთით, 40 კმ-ის დაშორებით, თეთრიწყაროს რ-ის სოფ. შავსაყდარში, აღდგომის ხეობასთან იყიდება სახლი, საძოვრით, ბაღით და ვენახით. ტელ: 75-64-93; 899 17-67-24. [illegible]

ქირავდება 4-ოთახიანი, კეთილმოწყობილი, ახალგარემონტებული ბინა, ორი ავეჯით, [illegible], ბუნებრივი აირით, მე-2 სართულზე, საკუთარი [illegible]. მის: წინამძღვრიშვილის №47 (მ. „ბარჯანიშვილთან“). ტელ: 96-10-67. მია

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავაზებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასი), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და [illegible] ტრანსპორტით მგზავრობისას [illegible]. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქალაქი)

გვჭირდება განათლებული, რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო [illegible], კონტრაქტით. საუკეთესო თანამშრომლებს, წელიწადში 2-ჯერ [illegible] 300-600 ლარიდან. მიღება — გასაუბრებით. [illegible] მის. მ. „დიღომი“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 78-14-94 (20 სთ-ის შემდეგ); 899 90-54-78

ყურადღება!!! ახალ, მრავალპროფილიან კორპორაციას ესაჭიროება 28 მენეჯერი ოფისში სამუშაოდ. ანაზღაურება — მაღალი! [illegible] ტელ: 52-44-10; 34-67-71; 893 33-18-86

ყოველთვიური ჟურნალის რედაქციას ესაჭიროება პროფესიონალი კორექტორი, [illegible] 10 სამუშაო დღე. ანაზღაურება — 50 ლარი. მიღება 26 იანვარამდე. მის: ქავთარაძის №25. ტელ: 25-16-00; 25-17-98

მაღაზიას ესაჭიროება კონსულტანტი თანამდებობაზე 18-დან 30 წლამდე მაღალი, სიმპათიური გარეგნობის გოგონები. ტელ: 92-08-50. 17-დან 25 იანვრამდე, 12-17 სთ.

გვესაჭიროება ოფისმენეჯერი (მდივანი) — სასიამოვნო გარეგნობის, 169-175 სმ სიმაღლის, 20-40 წლის ქალბატონი. [illegible] ხელფასი — 200 ლარი. სამუშაო საათები — 10.30-18.30. [illegible] მიღება — 26 იანვრამდე. მის: ქავთარაძის №25. ტელ: 25-16-00; 25-17-98

## მომსახურება

გთავაზობთ დასვენებას ბაკურიანსა და ბუდვარის სასტუმროებში და კურორტ სტქროებში. ინფორმაციისთვის: http://dilaplus.gol.ge; დასვენება თურქეთის ზღვის კურორტებზე; მოგზაურობა ესპანეთში; ვიზები ევროპის ქვეყნებში; [illegible] დაგეხმარებით ყველა საბუთის მომზადებაში. მის: [illegible] ქ. №21. ტ: 98-69-51; 899 54-00-79

გთავაზობთ ტურისტულ მომსახურებას, სწრაფად და იაფად: [illegible] კურორტებში; ავიაბილეთები. ტელ: 34-73-15; 899 94-91-55

[illegible] ტელ: 95-10-04; 96-79-90; 37-06-73 (საღამოს); 893 39-80-99

[illegible] 1 სთ — 12 ლარი. [illegible] $200. მის: იოსელიანის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66;

93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია — 1სთ — 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ — 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი“, არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

სილამაზის სალონი „სტილი“! ეპილაცია ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით; სახის გაწმენდა; დეპილაცია მცენარეული დეპილატორით სახესა და ტანზე; თმის შეჭრა — 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება — 4-5 ლარი; მელირება — 15-20 ლარი. კოსმეტიკისა და საპარიკმახერო კურსები. გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი — ირინა ჯანაშია, მეთოდისტ-სტილისტი — ზინა. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

ნებისმიერი სახის ავეჯის რესტავრაცია! შეკვეთით მზადდება სამეულები, დივნები — ნებისმიერი ფორმისა და ზომის. ტელ: 76-01-33. გია

ვაწარმოებთ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას: კარადებზე, მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე; ლეიბებსა და სამეულებზე შალითების გადაკვრა-დარბილებას, სრული გარანტიით. აგრეთვე ლამინირებული დეესპესგან ვამზადებთ სამზარეულოებს და საოფისე ავეჯს. ტელ: 69-45-18. გიორგი

## მკურნალობა

თბილისში — მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, ფსიქოლოგი — თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი-მაძიებელი, ყველა ასაკში, მოკლე დროში, უახლესი მეთოდით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით, აღმდგენი აპარატებით და სხვა აღმდგენი მეთოდებით აღგიდგენთ: ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას — ენაბორძიკობას, ენაჩლუნგობას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, გულს; გაგიქრობთ: ნევროზს, ჩიყვს, კუჭქვეშა და ლიმფურ ჯირკვლებს, პროსტატიტს, ჭარბთმიანობას, თმის ცვენას; ოპერაციის გარეშე შეგიცვლით ტუჩების ფორმას. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართროზს, სამწვერა ნერვს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს“ პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე — ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899 14-64-95

ალერგენების კომპიუტერული დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი), წნევის (ჰიპერტონიის) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით. მის. ვაჟა-ფშაველას №16, მე-13 სართ. (მშენებლობის სამინისტროს შენობა), ბიორეზონანსული თერაპიის ცენტრი. ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-16 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 ბინა

პროსტატიტის, ადენომის, ქლამიდიოზის, ტრიქომონიაზის, უშვილობის, სქესობრივი პოტენციის დაქვეითების დიაგნოსტიკა და მკურნალობა უახლესი მეთოდებით და აპარატურით. *პროფესორი რევაზ სალაყაია.* მის: მარჯანიშვილის 23 (მეტროსთან), VI სად. (ეზოდან), ბინა №1. მიღება შაბათს, 12-16 სთ; სხვა დღეებში წინასწარი ჩაწერით. ტ: 35-20-06; 92-36-67

სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი გთავაზობთ მკურნალობას: ნებისმიერი სახის ნევროზი, ნევრალგიური ტკივილი; ექიმ-სუ ჯოკ სპეციალისტების მოზადებას. კონსულტაციები უფასოა. მის: რესპუბლიკური საავადმყოფო, I სართ. 16-18 სთ. ტელ. 899 107-109; 38-67-56

სუ ჯოკ თერაპიის ცენტრის მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო დონეზე სერტიფიცირებული სპეციალისტები გთავაზობენ მკურნალობას: თავის ტკივილები, უძილობა, ნევროზი, დეპრესია, ქალური დაავადებები, კისტა, ფიბრომატოზული კვანძები, ჩიყვი, წყლულოვანი დაავადებები. კონსულტაციები უფასოა. მის: ელბაქიძის №12ა, II სართ. ტელ: 92-39-44; 99-56-89

სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი გთავაზობთ ფსიქოთერაპიულ დახმარებას, წერტილოვანი მასაჟით, არომათერაპიით ბავშვების პრობლემების მოგვარებას. მოგვმართეთ: აგრესიული ქცევითი დარღვევებისას, მშობლებისა და მოზარდის კონფლიქტის, ბავშვობის დეპრესიის, შიშების, შფოთვადი აშლილობებისას. კონსულტაციები უფასოა. მის: ელბაქიძის №12ა, II სართ. ტელ: 92-39-44; 99-56-89

## მასწავლი

ვამეცადინებ სკოლის მოსწავლეებს საშინაო დავალებებში, ყველა საგანში, მე-6 კლასის ჩათვლით, ბინაზე მისვლით; უფროსკლასელებს — ქიმიასა და ბიოლოგიაში. ტელ: 76-65-73. თამრიკო; 22-60-38. მანანა

მიღება კოსმეტიკის კურსებზე, 40%-იანი ფასდაკლებით, მხოლოდ 1 თებერვლამდე. შეისწავლება კანის დეფექტები, მკურნალობა, კანის გაწმენდა, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), ეპილაცია, მასაჟი, ეპილაცია, ლოსიონები, რძეები, ნიღბები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: დადიანის (ყოფ. ოქტომბრის) ქ. №26. ტელ: 66-53-56; 893 33-09-66

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა); 899 90-67-52. ირინა ჯანაშია

## იყიდება

1600 კვმ ხეხილიანი ნაკვეთი, სახლით, დენით, წყლით, კანალიზაციით უზრუნველყოფილი, რესტორან „უშბასთან“, ტრასასთან ახლოს — 20-30 კმ-ში. საუკეთესოა როგორც საცხოვრებლად, ისე კომერციული მიზნით. ყიდვა შესაძლებელია განვადებით, ასევე ნაწილ-ნაწილ.

ტელ: 899 24-38-10

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

ავზი-თერმოსი, 25-ტონიანი, კვების პროდუქტებისათვის (ღვინომასალები, ხილის წვენები), მაღალი მჟავიანობის, გამძლე, უჟანგავი ლითონის, ქარხნული წარმოების. ფასი 15000$. ტელ: 899 97-26-33

## შეფიძენ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი“. 12-17 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

## ხსოვნა

**ბექან აბაშიძის ხსოვნას!**

ახალ წელს ახალი სიხარული და ბედნიერება მოაქვსო... ამ წელმა კი ჩვენ, შენს ახლობლებს, სევდა და გულისტკივილი მოგვიტანა...

უცნაური კაცი იყავი — ჩუმი, მოკრძალებული და ასევე წახვედი — ჩუმად, უხმაუროდ, არავინ შეგიწუხებია. ნაღდი კაცი იყავი, ღვთით მომადლებული ნიჭი გქონდა და უდიდეს სიყვარულსა და უთქმელ დარდს ატარებდი, სხვისი სიხარულით ხარობდი და სხვისი გასაჭირი შენად მიგაჩნდა.

დიდი გვარის ღირსეული შვილი — უშურველად გასცემდი სითბოსა და სიკეთეს.

ათეული წლები გვაშორებს იმ დღეს, როცა გაგიცანით — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორულ ექსპედიციებში რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში, ფშავ-ხევსურეთში, თუშეთში... როგორ პატრონობდი შენს უმცროს მეგობრებს — მოუსვენარ სტუდენტ გოგონებს, რომლებსაც ხან „დავრდომილი არაბის ცეკვით“ ახალისებდი და ხან დილასისხამზე დაკრეფილი მინდვრის ყვავილებით თუ ჭინჭრის თაიგულით...

გულისხმიერი იყავი და მოულოდნელი. ჩვენო ბექან, მოულოდნელი იყო უშგულის მთვარიან ღამეში, კოცონთან წაკითხული შენი მშვენიერი, სინაზითა და სითბოთი სავსე მოთხრობები.

შენ საქართველოს დააკლდი, მის მთებსა და ბილიკებს, ნაბიჯ-ნაბიჯ რომ შემოგივლია...

ახლა კი უკვე მოგონებად იქეცი. გემშვიდობებით სევდითა და ცრემლით და გვაპატიე, რომ ვერ გაგაცილეთ უკანასკნელ გზაზე, რომ შენს საფლავზე ვერ მოვაბნიეთ შენი საყვარელი „უშგულის ყვავილები“...

*ლალი გუნთაიშვილი, ნუცა დუმბაძე, თინა მარგველაშვილი, მანანა ჯანელიძე, ნონა ღამბაშიძე, თინა შიოშვილი, სალომე ნიკოლეიშვილი, გულიზა ჩხაიძე*

**თამაზ მელქაძის გახსენება**



ჩემო პაპუ თამაზ! ორმოცი დღე გავიდა უშენოდ, ორმოცი დღეა, ადგილს ვერ ვპოულობ... შენი ხმა მესმის და უნებურად დაგეძებ. ჩვენ ხომ პაპა-შვილიშვილიც ვიყავით და ძმაკაცებიც... მინდა იცოდე, ყოველთვის მემახსოვრები. ძალიან მომენატრები, ძალიან დამაკლდება შენი სიყვარული. უფროსები ღმერთს სთხოვენ, — სასუფეველი დაუმკვიდრეო; მე კი ვთხოვ: კარგად მიმყოფე ჩემი საყვარელი პაპა იქ, სადაც არის და მისი იმედი და სიყვარული ნუ მომიშალოს ღმერთმა.

*შენი ლაშუ*

**გოგი ხარხელიშვილის ხსოვნას!**



გავიდა ერთი ტკივილიანი წელი, რაც დასრულდა შენი ლამაზი სიცოცხლე. 25 იანვარი შავი ასოებით ჩაიწერა შენს ცხოვრებაში. ვერაფერი გაანელებს იმ ტკივილს, რასაც შენი ოჯახი და ახლობლები განიცდიან. წახვედი და დატოვე კეთილი კაცის სახელი.

ნათელში ამყოფოს შენი სული უფალმა.

*შენი ოჯახი*

**ჯუმბერ თოფურიას გახსენება**



3 წელი გავიდა, რაც შენმა სულმა ეს ქვეყანა დატოვა, მარტოობაში გადავიდა, ჩვენო თბილო და კეთილო მამა. დიდი ტკივილი მოგვაყენე. ყველას გვენატრები და არასოდეს დაგივიწყებთ, შვილები და შვილიშვილები — ნათია და ირაკლი. ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, კეთილი სული.

*შვილები მარინა და მაკლინა*

**ლია ნოდიას გახსენება**



გავიდა 3 წელი შენი გარდაცვალებიდან, თვალზე ცრემლშეუშრობელი. ნეტავ იცოდე, როგორ გვენატრები. ვაი, რომ არსაიდან არ მოხვალ, ცხოვრების განთიადზე რომ დაასრულე შენი ლამაზი სიცოცხლე. მუდამ გვახსოვხარ და გვენატრები. ჩვენი ანთებული წმინდა სანთლები უნათებდეს სამუდამო სასუფეველში შენს უმანკო სულს.

*მეზობლები: ნელი, მაკლინა, ნინო*

**ანზორ ფრუიძის ხსოვნას!**



*წელიწადია, შენი გულის ლადარა სითბომ*
*თბილისის მიწის ცივი გული გზნებით დალარა.*
*წელიწადია, მენატრები, კაცო-ლეგენდავ*
*და ოცნებებში ვეფერები მაგ შენს ჭაღარას.*
*წელიწადია, უფერული დღეების წყებას*
*ბოლო არ უჩანს, ცრემლი ბევრჯერ ქარმა შეაშრო...*
*წელიწადია, აკინძულა ტკივილი მძივად*
*და ყელში მიჭერს, ლამის არის, სევდამ შემშალოს.*
*ისევ სიზმრებში მელანდები და შენებურად*
*აქეთ მამხნევებ, იმედებით ისევ მაპურებ;*
*გოლიათურად დამიდგები, მომავლის ბურჯად*
*და სულის ნათელს აიაზმად თმებზე მაპკურებ.*
*ასე მგონია, უსასრულოდ დასრულდა ლხენა*
*და ერთი სხივი უშენობით მზესაც აკლია;*
*იძინე მშვიდად, მსუბუქ იყოს მამულის მიწა,*
*გაქინულ გულზე, ბუმბერაზო, შენ რომ გაყრია.*

*ქეთი თოდაძე*

**ნანა კუტიძის მონატრება**

22 იანვარი შენი მეორე დაბადების დღეა უშენოდ.



შენ ირგვლივ ყველაფერი მშვენიერი, ლამაზი და ამაღლებული იყო, რადგან შენ თვითონ ქმნიდი ამ ხალისიან, მხიარულ, იმედიან განწყობას.

თბილისში ერთი ლამაზი ქალბატონი დაბრძანდებოდა — მაღალი, გემოვნებით ჩაცმული, ცისფერთვალება, ბედნიერი იერით.

შენ ის საუფლო დაამშვენე, რომელიც ჩვენთვის — მიწაზე მყოფთათვის შეუცნობელია. მაგრამ ჩვენ, შვილებმა, რა ვუყოთ სულში ჩარჩენილ იმ სიცარიელეს, რომელსაც დედა ჰქვია? ჩვენო ძვირფასო დედიკო, იცოცხლე ჩვენთვის, ჩვენი ბედნიერებისათვის.

ნანა, ალბათ ღრმად გჯერა შენი ბედკრული დედის, რომელიც შენივე შვილებისათვის განაგრძობს ტანჯულ სიცოცხლეს. რა ვქნა, ვერაფრით გშველი, ჩემო სიამაყევ, ჩემო უჭკვიანესო.

მაპატიე, ცოცხალი რომ ვარ.

*დედა, შენი შვილები — მიშიკო და ნატული*

**ვაჟა აფციაურის მონატრება**



ჩემო პატარა ძმიკო! 29 წელი შეგისრულდებოდა 21 იანვარს. პირველად ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს, შენი გამწარებული მშობლები და ახლობლები. ნაადრევად წახვედი ამ წუთისოფლიდან. ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ.

*ნაირა თვაური*

**თენგიზ მარიამიძეს!**



პირველი მოწყენილი ახალი წელი უშენოდ! 10 იანვარი — პირველი შენი დაბადების დღე — აღნიშნული შენს სამარესთან და ერთი წელი უშენოდ. გაუსაძლისი მონატრება შენი ღიმილისა, იუმორისა. შენგან დატოვებული სევდა ჯერ არ განელებულა. ერთადერთი, რაც მე და დედას შეგვიძლია ამ ექვსი წლის შემდეგ, რომელიც მძიმე ავადმყოფობაში გაატარე, ეს არის ლოცვა შემოქმედისადმი, რომ სულის სიმშვიდე მოგაპოვებინოს სამუდამო სასუფეველში.

*თამუნა და ნათელა*

**იოსებ ცინცაძის ხსოვნას!**



ორმოცმა ტკივილიანმა დღემ განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენ გვერდით აღარა ხარ. შენმა მოულოდნელმა სიკვდილმა თავზარი დაგვცა ყველას — ოჯახს, სანათესაოს, სამეგობროს, სამეზობლოს.

შენმა გულმა ველარ გაუძლო ამდენ დარდსა და ტკივილს. აუტანელია უშენობა. როგორ გვენატრები...

ღმერთმა მარადიულ სასუფეველში ამყოფოს შენი კეთილი, ლამაზი სული.

*ძმები — ვაჟა და გია ცინცაძეები*

**ხვიჩა მუსამეთაშვილის მონატრება**



24 იანვარი შენი დაბადების დღეა, მძიმეა უშენობა ჩემო ხვიჩა. არ ყოფილა დრო ყველაფრის მკურნალი, ოდნავადაც ვერ შეასუსტა მან შენი უდროოდ წასვლით მოყენებული ტკივილი.

მუდამ ღიმილიანო, სიყვარულით და სათნოებით გულანთებულო, სულიერად და გარეგნულად ლამაზო, უსაზღვროა შენი მონატრება, ძალიან გვენატრები. ყველასთვის სიცოცხლით სავსე, ლამაზი, მოსიყვარულე და არაჩვეულებრივი იყავი. შენს ცივ სამარეს არ აკლია სიყვარულის ცრემლი და ყვავილები. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, შენ ყოველთვის ჩვენ გვერდით ხარ. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

ხვიჩა! გვიყვარხარ, გვენატრები, ვლოცულობთ შენთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი და მოსიყვარულე სული.

*შენი ოჯახი*

**გოჩა ხაბელაშვილის მონატრება**



პირველი დაბადების დღე უშენოდ — 39 წლის ვაჟკაცი გახდებოდი 24 დეკემბერს. ცრემლით, წუხილით და ჩემთვის თავზარდამცემი ამბით გადის ეს დღეები და უფრო მემატება ჭრილობა და გაუსაძლისი სევდა ჩემს გულში.

ძნელია, შვილო გოჩა, ჩემთვის ეს ყოფა. მე შენით მინდოდა სიცოცხლე, შენით მინდოდა სიბერე და ლამაზი სიკვდილი. როგორ შემიცვალე ყველაფერი, ჩემო სიამაყევ, ჩემო ჭკვიანო და ნიჭიერო შვილო. შენისთანა ადამიანები იშვიათად იბადებიან, რამდენი საკეთილდღეო საქმე გქონდა ჩაფიქრებული. ყველა ლამაზი ოცნება ცაში დაგრჩა გაფრენილი.

გასული წლის 24 დეკემბერს, 38 წელი იმ დროს მოგილოცე ტელეფონით საბერძნეთიდან, როცა გაშლილ სუფრასთან ისხედით შენ და შენი მეგობრები, ახლო ნათესავები და დედის სადღეგრძელოს სვამდით. ვაი, რა ბედნიერი ქალი ვყოფილვარ იმ წუთებში. რა ვიცოდი, თუ ეს დიდი სიხარული 4 თვეში დაგვიმთავრდებოდა მე და შენ.

იმ ავადმოსაგონარ დღეს ოჯახში მიგეჩქარებოდა. გზაში შემოგხვდა უბადრუკი სიკვდილი და დედას მოსტაცა ერთადერთი შვილი. უსაზღვროდ მენატრები, ჩემო შვილო, რაც დრო გადის, უფრო მეტად გაუსაძლისია ჩემი ცხოვრება. შენ ხომ დედის იმედი იყავ, ერთადერთო სანთელო შვილო, ობლობაში გაზრდილო. შენი შვილებიც ხომ ობლად დამიტოვე — 11 წლის რომა და შენთვის უცნობი პატარა ნია. ვაი, რომ ვერაფერს გისურვებ, ვაი, რომ სანთლების, ყვავილების და ამ ცრემლიანი სტრიქონების მეტს ვერაფერს გიძღვნი.

გპირდები, ჩემო შვილო, სანამ პირში სული მიდგას, შენს ორ პატარა ობოლს — რომას და ნიას არაფერს მოვაკლებ. გწამდეს, შენს შვილების, შენ არასოდეს დაავიწყდები. ღმერთს ვევედრები, რომ წმინდა ნათელსასუფეველში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. მენატრები, მენატრები, მენატრები ძალიან.

*შენი ტანჯული დედა დალი კარგაძე*

## ნეკროლოგი



გარდაიცვალა **ალექსანდრე თომას ძე შერაზადიშვილი,** ქ. თბილისის 165-ე (გახანგრძლივებული დღის) საშუალო სკოლის დამაარსებელი, რომელმაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ამ საქმეს შეალია.

სკოლამ დაკარგა უმწიკლო, სპეტაკი ადამიანი, მცოდნე, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული.

ბატონო ალექსანდრე! ჩვენო საყვარელო ადამიანო, კეთილო კაცო! უზომოდ განვიცდით თქვენს დაკარგვას მთელი სკოლა.

როგორ გვყვარებიხარ, მასწავლებელთა მასწავლებელო! წახვედი და დაგვიტოვე დიდი ნაღველი. არასოდეს დაგვავიწყდები, ჩვენო ერთგულო მეგობარო!

ნათელში ამყოფოს უფალმა თქვენი სული!

მანანა, პუსიკა ცინცაძეების, ციცო ნიკოლაიშვილის მეგობრები გულისტკივილით იუწყებიან უსათნოესი ქალბატონის

**თამარ კაციტაძე-ცინცაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის დიდ ოჯახს.

*„კვირის პალიტრის“ რედაქცია*

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ და ვიზიარებ *ბ-ნ ვანო ნიკოლაძისა* და მისი ოჯახის დიდ მწუხარებას, ასე მოულოდნელად რომ დაატყდათ თავს, **ნიკუშას** გარდაცვალების გამო.

*დათო ბიჩინაშვილი*

# ვითომ უცხოპლანეტელები იყვნენ?

*შარშან, დეკემბრის დამდეგს, გრიგალმა ლამის წაიღო დასავლეთ საქართველო. ბატონი ბორისი ქუთაისში ცხოვრობს, მაგრამ როცა ქარის ჩადგომას არა და არ დაადგა საშველი, ღამის სამ საათზე მანქანის საჭეს მიუჯდა და თერჯოლის გზას დაადგა, სადაც 90 წელს მიღწეული დედამისი ცხოვრობს...*

— არ მოგვყვება ქალაქში. მიუხედავად ხანდაზმულობისა, თვალიც უჭრის, სმენაც კარგი აქვს. შინაურ პირუტყვს და ფრინველსაც უვლის... ჩემი სიკვდილი თუ გინდათ, წამიყვანეთ იმ ქალაქშიო, — გვეუბნება. მორიგეობით დავდივართ მე და ჩემი ძმა, ხანაც შვილები გვენაცვლებიან. ჩემს ძმას გული აწუხებს და აღარ დავურეკე, იმ ღამეს მარტო გადავწყვიტე წასვლა. ასე, ოთხის ნახევარზე შემეხმიანა მობილური ტელეფონით — უკვე გზაში ვარ, დედასთან მივდივარ, არ ინერვიულოო! ვთხოვე, თერჯოლის გადასახვევთან დამლოდებოდა, ვუთხარი: თუ ყაჩაღი და არაკაცი დაძრწის სადმე, ერთად რომ ვიქნებით ორი მანქანით, უფრო ვერ გაგვიბედავენ რამეს-მეთქი!.. მალე მივუახლოვდი დანიშნულ ადგილს. შორიდანვე შევნიშნე განათებული ფარები, ვიფიქრე, ძმა მაძლევდა ნიშანს და მეც მივეცი სიგნალი. უცებ მანქანა თითქოს წაგრძელდა, სიგარას დაემსგავსა... საოცარი სისწრაფით მოტრიალდა და აღმოსავლეთისკენ გასრიალდა, გაქრა ცას მოწყვეტილი ვარსკვლავივით... შემეშინდა, რომელია! წავხდი კაცი. გავაჩერე მანქანა, ველარც წინ ვბედავ წასვლას, ვერც უკან, არადა, ძმა მელოდება... ავკრიფე ძმის მობილურის ნომერი და როდის-როდის მიპასუხა ნამძინარევი ხმით: — რაღაცა დამემართა... მოდი, კარგა ხანია გელოდებიო!

გავქანდი. ხომ გითხარით, გული აწუხებს-მეთქი. გავჩერდი მისი მანქანის გვერდით, გადასვლა დავაპირე, მაგრამ ხელით მანიშნა: არ გადმოხვიდე, გამომყევიო!.. ნახევარ საათში ვიყავით სოფელში. დედას ეძინა. საბედნიეროდ, ჩვენს სახლს სახურავიც ადგილზე ჰქონდა და არც ფანჯრები დამსხვრეოდა. ძლივს გავაღვიძეთ. არ გვიღებდა კარს შეშინებული. ბორისს და ბახვას ამ დროს აქ რა უნდათ, თუ ყაჩაღები ხართ, ცოდვაში ნუ ჩაიდგამთ ფეხს, ფული არა მაქვსო, — ივედრებოდა შეშინებული.

გაუხარდა ჩვენი დანახვა. ლოგინი გაგვიშალა და რომ დავწექით, მაშინ მითხრა ბახვამ: „შენ რომ გიცდიდი, უკანა მხრიდან ფარებმა მომანათა, შენ მეგონე და სიგნალი მოგეცი, მაგრამ ის „მანქანა“ ადგილიდან არ იძროდა, თითქოს ჰაერში ეკიდა დაახლოებით 2,5-3 მეტრის სიმაღლეზე. შემეშინდა, არ ვიცოდი, რა მეფიქრა, შენთან დავაპირე დარეკვა და მობილური გამორთული აღმოჩნდა... მეც ძილქუში მომეკიდა და ერთადერთი ის მახსოვს, რომ იმ „მანქანიდან“ ორი კაცი დაიძრა, თითქოს მოფრინავდნენ ჩემკენ. კარგად ვერ შევათვალიერე, ეგ იყო, ძალიან მაღლები მომეჩვენენ. მერე გავითიშე და მხოლოდ შენმა



ზარმა გამომაფხიზლა — ირგვლივ სიბნელე იყო და არც „ის მანქანა“ ჩანდა სადმე. ჩემი მანქანის საქარე მინაზე კი თეთრი ქაფივით ნივთიერებით „2007“ ეწერა, რომელიც ნელ-ნელა გაქრა, თითქოს აორთქლდა. ვერ გავბედე იმ ნივთიერებისთვის ხელი შემეხო, რა ვიცი, რა იყოო!..

გამაოცა ძმის ნაამბობმა. მეც ის ვუამბე, რაც დავინახე და დავასკვენით, რომ რაღაც არამიწიერს შევეფეთეთ. იმ დღიდან ხან ტელევიზიაში და ხანაც რადიოში გაფაციცებით ვეძებდით რაიმე ცნობას, იქნებ ჩვენ გარდა კიდევ ვინმემ შენიშნა ის „მანქანა“ თუ მფრინავი ობიექტი-მეთქი, მაგრამ ამაოდ... გადავწყვიტეთ, არაფერი გაგვემხილა... მაინც ვერაფერს დავამტკიცებდით.

**— გასაკვირი არაფერია, ბატონო ბორის, თქვენმა ძმისშვილმა იამ მიამბო ეს ამბავი... როგორ ფიქრობთ, მაინც რას ან ვის უნდა შეხვედროდით იმ ღამეს?!**

— დანამდვილებით ვიცი, ეს არ იყო ჩვეულებრივი მფრინავი ობიექტი... იმავეს ამბობს ჩემი უფროსი ძმაც.

**— საქარე მინაზე მიწერილი „2007“ რას უნდა ნიშნავდეს?!**

— ბახვას რომ ჰკითხო, — ჩემი გარდაცვალების თარიღი დაწერესო, რადგან იმ წუთში იმაზე ფიქრობდა — ალბათ ჩემი აღსასრული დადგაო!.. მე კი არ ვეთანხმები... მგონია, რაღაც უფრო მნიშვნელოვანი უნდა მოხდეს 2007 წელს, თანაც სრულიად საქართველოსთვის... ადამიანი უძლურია, არ შეუძლია ასეთი იდუმალებით მოცული მოვლენების ამოხსნა...

*...მართლაცდა, სად შეგვიძლია სამყაროს უსასრულო და საიდუმლოებებით სავსე მოვლენების არსს ჩავწვდეთ და გავაანალიზოთ?!.*

***ინგა ჯაყელი***

# „ხელი მომიოქროე!“



„ხელი მომიოქროე და მომავალზე გიამბობ!“ — სწორედ ამ სიტყვებით მიმართეს მანჩესტერის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის მეცნიერებმა მსოფლიოს. გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ქირომანტია — ხელისგულზე მკითხაობა — შეიძლება მეცნიერული დისციპლინების თანრიგში გადავიდეს. ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ ხელისგულზე სხვადასხვახაზებიანი ადამიანები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან. ამასთან, ხაზების ფორმირება ჯერ კიდევ დედის მუცელში მიმდინარეობს. ამიტომ დაბადებისთანავე შეიძლება ჩვილის პოტენციური დონისა და ამა თუ იმ დაავადებისკენ მიდრეკილების დადგენა.

***მედიცინა №2***

# ღვთის საბრძანებელი



ყველას გვახსოვს ლეგენდები ზღაპრულ ქალაქებზე, რომლებიც ადამიანებს მბრწყინავ მირაჟებად ევლინებიან და მერე უკვალოდ ქრებიან. მაგრამ, რაც უფრო წინ მიდის მეცნიერება, მით მეტი ლეგენდა იქცევა სინამდვილედ. ქალაქ ჟიგულიში უკვე ფოტოზე დააფიქსირეს ძველი თავადური სასახლე, იდენტიფიცირებულია ქალაქი-მირაჟი ალასკაზე. ყველაზე დიდი აღმოჩენა მეცნიერებს ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე ელოდა.

1995 წელს გერმანულმა ასტრონომიულმა ჟურნალმა გამოაქვეყნა სენსაციური ინფორმაცია სათაურით: „აღმოჩენილია... ღვთის საბრძანებელი!“ ფოტოების სერიის გაშიფვრის შემდეგ (ფოტოები ტელესკოპმა „ჰაბლმა“ გადმოსცა) მეცნიერების თვალწინ კოსმოსში მოცურავე დიდი, თეთრი ქალაქი აღიმართა. ნასა-ს წარმომადგენლებმა ვერ მოასწრეს ტელესკოპის ვებსერვერის დროულად გამორთვა. ასე რომ, იდუმალი ქალაქის გამოსახულება რამდენიმე წუთის მანძილზე ინტერნეტის მომხმარებლებისთვისაც გახდა ცნობილი. თუმცა მკვეთრი გამოსახულება მათ არც უხილავთ — გამოსახულება თეთრ ლაქას მოგაგონებდათ. მაგრამ, როცა მეცნიერებმა დაწვრილებით შეისწავლეს ლაქა, მათ წინაშე ფანტასტიკური, მილიარდ კილომეტრზე გადაჭიმული ღვთის საბრძანებელი — ქალაქი ბრწყინავდა არამიწიერი სილამაზით. როგორც ნასა-ს წარმომადგენელმა განაცხადა, ციური ქალაქი, ჩვეულებრივი ქალაქი არ არის. სავარაუდოა, რომ იქ, შემოქმედის ტახტის მახლობლად გარდაცვლილთა სულები ცხოვრობენ.

არსებობს სხვა, არანაკლებ ფანტასტიკური ვერსიაც ქალაქის წარმოშობის შესახებ. კაცობრიობა დიდი ხანია, ამტკიცებს, რომ არსებობს უზენაესი გონი, სუპერცივილიზაცია და სახეზეა გალაქტიკური მასშტაბების აშკარა ტექნოგენური ობიექტი. გამორიცხული არ არის, რომ კათოლიკური შობის დროს „ჰაბლის“ ნაპოვნი ქალაქი იმ სუპერცივილიზაციის გრანდიოზული საინჟინრო შემოქმედება იყოს.

მეცნიერები ინტერესით ელიან ეკლესიის ოფიციალურ განცხადებას ქალაქზე, მაგრამ ინფორმაცია მასზე მკაცრად გასაიდუმლოებულია აშშ-ის სპეცსამსახურების ბრძანებით. ადამიანები ღვთის ქალაქს ადამიანებსავე უმალავენ და ჩვენც ლოდინის მეტი აღარაფერი დაგვრჩენია.

***ნლო №2***

# დიადი ბავშვები



რა აქვთ საერთო ჩარლზ დარვინსა და ინდირა განდის? ან მარტინ ლუთერ კინგსა და თომას ჯეფერსონს? ყველა მათგანი ოჯახში უმცროსი ბავშვი იყო და უფროს და-ძმებს ეჯიბრებოდა. მეცნიერთა აზრით, სწორედ ეს დაეხმარა მათ უნიკალური თვისებების განვითარებაში, ამის წყალობით გახდნენ გამოჩენილი პიროვნებები.

საზოგადოდ, ჯიბრის ინსტინქტი ადამიანს ჯერ კიდევ დედის მუცელშივე უვითარდება: თვითონ ბუნება ზრუნავს იმაზე, რომ მომავალმა ჰომო-საპიენსმა ცხოვრებაში გზა გაიკვლიოს. ამასთან, შეჯიბრების ინსტინქტი უმცროს ასაკში იმდენად ძლიერია, რომ ჯერ კიდევ დაბადებამდე გამოვლინდება. მაგალითად, ფეხმძიმობის ბოლო ეტაპზე დედის სისხლის წნევა ეცემა, რათა ჩვილის ორგანიზმისთვის საკვების მიწოდება შემცირდეს. ჩვილი კი თავის მხრივ ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევის სტიმულაციას და ამით მკვებავი ნივთიერებების დანაკლისს ივსებს. ასე რომ, პატარას თავისი ჯერ კიდევ დაბადებამდე გააქვს. შემდეგ კი ყველაფერი დამოკიდებულია ოჯახში გამეფებულ სიტუაციაზე. დიდი ხნის წინ ნანატრმა პირმშომ, რომელსაც უარს არაფერზე ეუბნებიან, შესაძლოა თანდაყოლილი ინსტინქტი დაკარგოს და მზის ქვეშ ადგილის დამკვიდრებისათვის აღარ იბრძოლოს. უამრავმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ბავშვობაში არჩეული ქცევის მიმართულება, როგორც წესი, სამუდამოდ შერჩება კაცს.

***ნიუ ზუიქი***

# სავსე მთვარე და მკვლელობები



ფრანგმა მკვლევარებმა ა. ლიბერმა და კ. შერინმა გადაწყვიტეს მთვარის ურთიერთმოქმედების კანონი გადაეტანათ მსოფლიო ოკეანის მოქცევა-უკუქცევის დამოკიდებულებაზე ადამიანის ორგანიზმის მიმართ, რომელსაც ისინი განიხილავენ, როგორც უძლიერესი სამყაროს მიკროკოსმოსს: „ის ძირითადად შედგება დედამიწის ზედაპირზე არსებული მსგავსი ელემენტებისგან (დაახლოებით 80% წყალი, 20% — ორგანული და არაორგანული ნივთიერება)“.

შეიძლება ჰიპოთეზის წამოწევა, რომ მთვარის გრავიტაციულ ძალას შეუძლია ადამიანის მიკროკოსმოსში არსებულ წყალზე ისეთივე გავლენა იქონიოს, როგორიც დედამიწის მაკროკოსმოსზე. გრავიტაციული არსის საშუალებით მთვარე ადამიანის ორგანიზმში იწვევს თხევადი გარემოს ციკლურ ცვლილებებს, რომელიც განბანს ჩვენი ორგანიზმის ყველა უჯრედს. შეიძლება ვისაუბროთ ნამდვილ ბიოლოგიურ მოქცევა-უკუქცევებზე.

ეს იდეა არცთუ ახალია, მაგრამ მკვლევარებს სენსაციური, სოციალური ხასიათის დასკვნები გამოაქვთ: „თუკი მთვარე გავლენას ახდენს მკვლელობების რაოდენობაზე, მაშინ ამ ზეგავლენას უნდა ჰქონდეს პერიოდული ხასიათი, მსგავსად მოქცევისა და უკუქცევისა“.

პოლიციის ოფიცრები ირწმუნებიან, რომ მათ გაცილებით მეტი სამუშაო უჩნდებათ სავსემთვარეობისას ღამის პერიოდში. გაუწონასწორებელი ადამიანები აგრესიულები ხდებიან, განსაკუთრებით მთვარის ავსებისას.

ვარაუდობენ, რომ დედამიწა და მთვარე მკვიდრი დები არიან, რომ ჩვენი პლანეტა და მისი ბუნებრივი თანამგზავრი წარმოიშვა ერთი გაზის ღრუბლისაგან. 2 მლრდ წლის წინ მთვარე ჩვენგან დედამიწის სამი რადიუსით იყო დაშორებული. ახლა კი გვშორდება — წელიწადში 3 სმ-ით. მეცნიერების აზრით, მთვარე საბოლოოდ დაგვშორდება 80 ათასი კმ-ით. მაშინ შეგვეძლება კი მისი დანახვა, ანდა ასევე ძლიერი იქნება მისი ზეგავლენა?

***ორაკული №1***


## ესთეთიკური ქირურგია სამედიცინო ცენტრში „მედი“

სახის კანის გაახალგაზრდავება



ფიგურის კორექცია ლიპოსაქციით



MEDI

250-202 306-307

ალ. ყაზბეგის გამზ №1

ხელმძღვანელი გია გვარამია

ტუჩების კორექცია



ნაოჭების გასწორება




## „საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი**

1) — ბ); 2) — ა); 3) — გ); 4) — გ); 5) — ბ); 6) — დ);

**II. რებუსი**

სიტყვა ვერცხლია, დუმილი — ოქრო.

**III.** თოვლი.

# ხასიათგაფუჭებული ასპიტი



ჩინეთში, ქალაქ სუჩუოუს მკვიდრმა სადილობისას ერთი სირჩა მოდური სასმლის — ასპიტიანი ბრინჯის არყის გადაკვრა გადაწყვიტა. ამ დელიკატესის მომზადებისას ალკოჰოლში ცოცხალ ასპიტს ჩადებენ, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ კვდება, სასმელი კი განუმეორებელ გემოს იძენს. ერთი სიტყვით, მაცოცხლებელი ელექსირის გადაყლურწვის სურვილით ატანილმა მამაკაცმა ნება-ნება გახსნა სანატრელი ბოთლი და მოწრუპვაც კი ვერ მოასწრო, რომ... ქვეწარმავალი ელვის უსწრაფესად წამოიმართა და საბრალოს ყელში ეტაკა. საბედნიეროდ, მამაკაცი გადაარჩინეს — „სასწრაფო დახმარების“ ექიმებმა შხამის საწინააღმდეგო შრატი შეუშხაპუნეს.

ამასობაში, საბედისწერო ბოთლი ექსპერტებმა შეამოწმეს და ერთხმად დაასკვნეს: ყველაფერში დამნაშავე... საცობიაო. იგი ხისგან ყოფილა გამოთლილი და ჰაერს ატარებდა, ამიტომ ასპიტი არაყში თავს შესანიშნავად გრძნობდა. ერთი ეგაა, ხასიათი გაჰფუჭებია — ან კი ვის მოეწონება ასეთ სივიწროვეში ყოფნა?

***ორაკული №2***

# კაზინოების რისხვა



ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუს ყველა კაზინოს მფლობელს და მეთვალყურეს ხელში 72 წლის ფერნანდა გონზაგოს ფოტო უჭირავს, ან უკვე ჩაბეჭდილი აქვს მეხსიერებაში. ეს ბებო, არავინ იცის, რა უჩვეულო ხერხებით, პირწმინდად ასუფთავებს კაზინოებს, თანაც მხოლოდ თამაშით. რა ბედი სწყალობს ასეთი, არავინ იცის. ამიტომ, ერთადერთი გამოსავალია, უბრალოდ, არ შეუშვან დარბაზში.

ერთხელ, რომელიღაც მეპატრონე იძულებული გახდა, ცრუ პანიკა აეტეხა — კაზინოში ბომბიაო...

ყველა და მათ შორის ბებოც გარეთ გამოაბრძანეს... მეპატრონე მაინც კმაყოფილი და მოგებული დარჩა: დახურვა ჯობდა — ფერნანდა მაინც ცარიელზე დატოვებდა ყველას.

***დეილი მეილი***



# დაე იყოს მშვიდობა!

თანამედროვე ინდოეთის სულიერ ლიდერად სამართლიანად მიიჩნევენ 84 წლის ბერს არაჩია მაჰაპრაგიას. ჯაინისტების მოძრაობა დაახლოებით სამ მილიონ ადეპტს ითვლის და სულ უფრო მეტ მიმდევარს იჩენს — ეს რელიგია ხომ ადამიანების კასტებად დაყოფას უარყოფს.

მაჰაპრაგია პლანეტაზე მშვიდობის შენარჩუნების პრობლემის მოგვარებას საკმაოდ უჩვეულო ხერხით აპირებს — ადამიანებს „ძალადობის გენი“ აღარ უნდა გააჩნდეთ. ამ მიმართულებით რეალური ნაბიჯებიც გადაიდგა. არაჩიას თანამოაზრენი უკვე ამუშავებენ „გონების დამამშვიდებელ“ ტექნოლოგიას. მათ მეთოდიკას თანამედროვე მედიცინის მიღწევები და უძველესი იოგური პრაქტიკა უძევს.

***ოტდოხნი! №2***

# შენს სილამაზეს არაფერი შეედრება...



ქუვეითში მდგარმა ამერიკულმა საზღვაო ქვეითებმა განგაში გამოაცხადეს და საომრად მზადმყოფნი მეზობელ ქვედანაყოფებსაც აფრთხილებდნენ. მაინც რა მოხდა? მათი ნაწილის სიახლოვეს აღმოაჩინეს მიტოვებულ ფურგონზე არაბულ ენაზე დაწერილი ტექსტი — აბა, არაბულად ტერორისტის გარდა, სხვა ვინ დაწერდა? სასწრაფოდ მოძებნილმა თარჯიმანმა ამოიკითხა, — „მთელი სიცოცხლე მეყვარები, შენს სილამაზეს არაფერი შეედრება“...

***ოკნა***



# მოჩვენებას ქალები უჩივიან

ინდოეთის შტატ უტარ-პრადეშის ექიმები შეშფოთებულნი არიან: ქალაქ ბესანის მკვიდრთ სიმშვიდე დაეკარგათ და ამას უსხეულო სულს აბრალებენ. რაც მთავარია, ფენომენი მხოლოდ მშვენიერთა სქესს „ერჩის“. როგორც ადგილობრივი ლამაზმანები ირწმუნებიან, სული მათ თურმე უხმაუროდ ეპარება და საჯდომზე ხელს უთათუნებს. „მექალთანე“ სულმა ისეთი პანიკა დათესა, რომ ქალები ქუჩაში გამოსვლას ერიდებიან ისე, რომ „ზურგიდან“ დამცველი ბალიში არ აიფარონ. ისე, ბევრს ეს ამბავი სასაცილოდ არ ჰყოფნის. სკეპტიკოსები ამბობენ, ქალებისკენ ხელის წაცოცება უფრო ხორცშესხმული მამაკაცების ნახელავი უნდა იყოსო. მაგრამ შტატის ადმინისტრაცია და ქალაქელები სწორედ სულზე ეჭვობენ.

პოლიციის განყოფილებაში დაახლოებით ოცი საჩივარი შეიტანეს. წესრიგის დამცველნი უძლურნი არიან იმქვეყნიურ ძალებთან საბრძოლველად: „ჩვენ შეგვიძლია დავაპატიმროთ კაცი, მაგრამ მოჩვენებას ბორკილი როგორ დავადოთ?!“

# ავარიამ თვალის ჩინი დაუბრუნა

ეკლესიიდან შინ მიმავალ 53 წლის ტაილანდელ ქალს ვიტკუ მიაგეს სატვირთო მანქანა დაეჯახა. მძღოლმა დროულად მოასწრო დამუხრუჭება. ქალი ბორბლებს გადაურჩა, მხოლოდ ბამპერი მოხვდა ძლიერად. პოლიცია მაშინვე გაჩნდა შემთხვევის ადგილზე და დაიწყეს აქტის გაფორმება. საბრალო მძღოლი ნაღვლიანად ანგარიშობდა, თუ რა დაუჯდებოდა დაზარალებულის მკურნალობა, მაგრამ ამ ამბავს წარმოუდგენელი, ბედნიერი დასასრული აღმოაჩნდა. ვიტკუ მიაგემ ათი წლის ასაკში მთლიანად დაკარგა მხედველობა, ბამპერის ძლიერმა დარტყმამ კი თვალისჩინი დაუბრუნა!

***ინტერპოლ-ექსპრესი №49***

# უიტნი ხმას კარგავს?



უიტნი ჰიუსტონმა თავის მრავალათასიან ფანს ახალი ალბომი „ჯანტ უიტნი“ აჩუქა. დისკის პრეზენტაციაზე მომღერალი გამოუტყდა დამსწრე საზოგადოებას — ცხოვრებაში ბევრი ცუდი მიკეთებია, კოკაინი, ალკოჰოლი და მარიხუანა ყოველ დღეს მიშხამავდა... მორჩა, დამთავრდა „ქეიფი“, ბოდიშს გიხდით, აღარ დავინგრევ ჯანმრთელობას, თორემ ხმაში ბზარი შემერია...

ზოგმა ენამწარემ ისიც კი თქვა, დისკოთეკაზე სიმღერების ნაწილს მის მაგივრად ჯერაც უცნობი ახალი ტალანტი ასრულებსო...

***ოჯი***



# სოფი, ბილი და... მგელი

„რა თქმა უნდა, აუცილებლად ჩამოვალ“, — უთხრა ბილ კლინტონმა სოფი ლორენს, როცა მსახიობმა იგი ჟენევაში მიიწვია. ექსპრეზიდენტი სკოლის მერხიდანვე იტალიელი კინოვარსკვლავის დიდი თაყვანისმცემელია და მასთან მუშაობის შანსს ხელიდან ნამდვილად ვერ გაუშვებდა. საქმე ის გახლავთ, რომ ნიდერლანდელმა პროდიუსერმა ისინი კომპაქტ-დისკის ჩაწერაზე მიიწვია. ჩაწერეს რუსი კომპოზიტორის სერგეი პროკოფიევის საბავშვო ზღაპარი „პეტია და მგელი“ და ფრანგი ჟან-პასკალ ბინტუსის ამავე ზღაპრის ახალი ვერსია. პირველ ვერსიაში, რომელსაც კლინტონი კითხულობს, მგელი ბოლოს ზოოპარკის გალიაში აღმოჩნდება, ხოლო ახალ, ჟან-პასკალის ვარიანტში, რომელსაც სოფი ლორენი ახმოვანებს, მგელი თავისუფალია და ტყეში დასეირნობს. „ბილ კლინტონი ძალიან ნერვიულობდა. იგი სიტყვის წარმოთქმის დიდოსტატია, მაგრამ ეს მისთვის სრულიად ახალი სფერო იყო. ლორენი მას ამშვიდებდა და მითითებებს ტაქტიანად აძლევდა. ერთი სიტყვით, დიდებული წყვილი გახლდათ“, — ამაყად ამბობს პროდიუსერი.

ყველაზე დიდი სიამოვნება კლინტონს ჩაწერის შემდეგ ელოდა — ლორენთან ერთად ჟენევის მაღაზიები მოიარა და მერე მასთან ერთად ივახშმა.

კომპაქტ-დისკი მაღაზიებში აპრილში გამოჩნდება მიხაილ გორბაჩოვის შესავალი სიტყვით... როგორც პროდიუსერი ამბობს, — რუსეთის ექსპრეზიდენტი ინგლისურში ოდნავ მოიკოჭლებს და ჩაწერისთვის საგანგებოდ და ბეჯითად ემზადება.

***შტერნი №3***

# ოჯახში სიმყუდროვე თუ გენატრებათ...



იაპონელთა ოჯახებში მინიატურული ღორები ყველაზე მოდური შინაური ცხოველებია. ამ პაწია ღრუტუნების ბუმმა აპოგეას, შარშან, შემოდგომაზე მიაღწია — დინგოსანთა მყიდველთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა. ტოკიოს ახლოს, სოფელ საიტამში ყოველდღე ნახავდით ხნიერ მანდილოსნებს, რომლებიც შეუვაჭრებლად ყიდულობდნენ ახალმოდურ გასართობს. გლეხებმაც დიდი მოგება ნახეს — როგორია დღეში 500-600 გოჭის გაყიდვა!

ეს მინიატურული ღორები თავდაპირველად მეცნიერებმა ლაბორატორიული გამოკვლევებისთვის საგანგებოდ გამოიყვანეს და თანდათან აქციეს შინაურ ცხოველებად. ამას ხელი შეუწყო ამერიკულმა ფირმამ „ბეიბიმ“, რომელიც მოუთხრობდა ტელემაყურებელს ჭკვიანი, ერთგული გოჭუნების თავგადასავალს.

როგორც პაწია ღორების პატრონები ამტკიცებენ, ეს ლამაზი პუტკუნები ძალიან მოყვარულნი და გონიერნი არიან და ოჯახში სიმყუდროვესა და კომფორტს ქმნიან.

ისე, ამ ცხოველებს მაინცდამაინც მინიატურულს ვერ დაარქმევ, რადგან მოზრდილები 10-15 კგ-ს იწონიან. მაგრამ მოდას სად გაექცევა კაცი!

***მეგაპოლის-ექსპრესი №1***

# მწუხარებაც და სიხარულიც...



ლუჩანო პავაროტის საყვარელმა ქალმა ნიკოლეტა მანტოვანიმ გოგონა შვა. ეს სიხარული დაჩრდილა ვაჟის გარდაცვალებამ.

ნიკოლეტა ტყუპს ელოდებოდა...

ექიმებისთვის ნიკოლეტას მძიმე მშობიარობა მოულოდნელი არ ყოფილა. მიუხედავად დიდი რისკისა, ქალმა ორი შვილის შესანარჩუნებლად ყველაფერი გააკეთა. 13 იანვარს, 14.45 საათზე, დედის საშოში ბიჭუნას გულისცემა შეწყდა და ქალს სასწრაფოდ საკეისრო გაუკეთდა. „ეს ჩემს ცხოვრებაში უმძიმესი დღე იყო“, — თქვა ლუჩანო პავაროტიმ.

გოგონას ალისა დაარქვეს. იგი 1,7 კგ-ს იწონის და აბსოლუტურად ჯანმრთელია. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

პავაროტის ყოფილ ცოლთან, ადუასთან სამი ქალიშვილი ჰყავს და თანაც უკვე ბაბუაა.

***ბუნტე***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ძველი ბერძენი კომედიოგრაფის **არისტოფანეს** სიტყვებს ამოიკითხავთ.




**დ.** „არწივი ვნახე ..., ყვავ-ყორნებს ეომებოდა“; **ა.** ვარდის წინაპარი; **ი.** ფრინველი, რომლის ხორცისგან გაკეთებულ ტოლმას ხუმრობით ახსენებენ ხოლმე; **ს.** რაიმე მოქმედებისადმი ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **ვ.** ქალის პირბადე; **ე.** ვულკანი სიცილიაზე; **ნ.** ხელოვნური ბოჭკო; **ე.** ჩხირზე წამოცმული ნაყინი, რომელიც გარედან შოკოლადით არის დაფარული; **კ.** ვულკანის ჩაღრმავებული ნაწილი, საიდანაც ლავა ინთხევა; **ვ.** მორგუნოვი, ნიკულინი, ...; **ი.** ცისარტყელას ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; **რ.** გერმანელი მწერალი, „ნასესხები სიცოცხლის“ ავტორი; **ი.** მადა, სურვილი, ნდომა; **ს.** პარიზის უნივერსიტეტი; **პ.** რაიმე ადგილის საერთო ხედი, ბუნების სურათი; **ა.** თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; **ლ.** თქმულება; **ი.** ფაშიზმის სამშობლო; **ტ.** ტრანსპორტი, რომლითაც რუსებს უყვარდათ საზღვარგარეთ „მოგზაურობა“; **რ.** ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; **ი.** სისხლის აღრევა; **ს.** ზოდიაქოს ერთ-ერთი ნიშანი; **ფ.** თივის ასაღები ოთხთითა იარაღი; **ე.** მეგრული კერძი; **რ.** ლითონის ფულის, ან მედლის უკანა მხარე; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **ბ.** ქალაქის, სიმაგრის ან არმიის გარემოცვა მტრის ჯარების მიერ; **შ.** ის, რაც ქართული ანდაზის თანახმად ხალთაში არ დაიმალება; **ი.** დოდო აბაშიძის პერსონაჟის სახელი ფილმში „პირველი მერცხალი“.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დუშანბე; **ა.** ამონი; **ი.** იარუსი; **ს.** სეინერი; **ვ.** ვითა; **ე.** ეშმაკი; **ნ.** ნაოჭი; **ე.** ექსცესი; **თ.** თხუნელა; **ჩ.** ჩალმა; **ვ.** ვაიმარი; **ე.** ეკიპაჟი; **ნ.** ნიორი; **თ.** თილისმა; **ა.** ალაფი; **ნ.** ნუდიზმი; **ე.** ესტრადა; **რ.** რაყიფი; **თ.** თრუსო; **ა.** აკიმი; **დ.** დისპუტი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: შორით მოსული იოლად ტყუის.**

# ავტოსალონი



— სწორედ ასე გამოიყურება „დოჯის“ საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ დეტროიტის ავტოსალონზე წარმოდგენილი მოტოციკლეტი — თუ შეიძლება მოტოციკლეტად ჩაითვალოს ათცილინდრიანი ზემძლავრი ძრავა ზედ დასაჯდომი ადგილით და ოთხი ბორბლით. საინტერესოა, რომ 10-ცილინდრიან „მოტოციკლეტს“ სულ ორსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფი აქვს. პირველ სიჩქარეზე ტრანსპორტის უცნაური ნაირსახეობა 380კმ/სთ სისწრაფეს განავითარებს, ხოლო მეორე სიჩქარეზე კი სპიდომეტრი უპრობლემოდ ადის 500კმ/სთ-ის მაჩვენებელზე. ძნელი სათქმელია, რა ჰქონდათ ჩაფიქრებული „დოჯის“ კონსტრუქტორებს „ტომაჰავკზე“ მუშაობისას, რადგან საეჭვოა, რომელიმე ჭკუათმყოფელი 630კგ წონის მოტოციკლეტით ამხელა სისწრაფეზე გასეირნებას დათანხმდეს, მით უმეტეს, რომ სისწრაფის მომატებას ფაქტობრივად, ვერ იგრძნობთ. 100 კმ/სთ სისწრაფეს „ტომაჰავკი“ სულ რაღაც 2,5 წამში ავითარებს. 10-ცილინდრიანი, ფორსირებული ძრავა 500 ცხ.ძ სიმძლავრეს გამოიმუშავებს და მისი მაქსიმალური სისწრაფე 380კმ/სთ-ია.

მისი დაბრუნების, უპირველეს ყოვლისა, BMW-ს ტრადიციულ „მტერს“, „დაიმლერ-კრაისლერს“ და მის ფართოდ აჟიტირებულ ლიმუზინს, „მაიბახს“ უნდა შეეშინდეს. 4,5 წლის წინ, „როლს-როისის“ შეძენისას BMW-ს მენეჯერები ალბათ სწორედ ამ შურისგების დღეზე ფიქრობდნენ, როდესაც „მერსედესის“ მიერ გამოშვებულ წარმომადგენლობით „მაიბახს“ „როლს-როისს“ დაუპირისპირებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ BMW-ს Rolls-Royce-ის სავაჭრო ნიშანზე ყველა უფლება მხოლოდ 2003 წლის 1-ელი იანვრიდან გადაეცა, სამუშაოები უკვე დიდი ხნის დაწყებული იყო. BMW-ს და „როლს-როისის“ კონსტრუქტორთა ერთობლივი შრომის შედეგი, „ფანტომი“ გასული საუკუნის 30-იანი წლების მოდელებს წააგავს. აღსანიშნავია, რომ ბრიტანელთა შიში მათი ეროვნული მარკის დაკარგვის თაობაზე გამართლდა — ბრიტანეთის ქალაქ გუდვუდში მდებარე ახალ ქარხანაში „როლს-როისს“ ფაქტობრივად, მხოლოდ აწყობენ. სინამდვილეში, 99% დეტალებისა და თვით ძარაც კი გერმანიაში მზადდება და ბრიტანეთში კონტეინერებით იგზავნება. მიუხედავად ამისა, ბრიტანელებს საწუწუნო არაფერი აქვთ — 4-5 წლის წინ ერთ დროს ლეგენდარული ავტოფირმა სულს ლაფავდა. მიუხედავად მოდელების ხელით აწყობისა, „როლს-როისის“ ხარისხიც თანდათან ეცემოდა. მართალია, დაბალი ხარისხი ამ შემთხვევაში „ჟიგულთან“ და „მოსკვიჩთან“ გათანაბრებას არ ნიშნავს, მაგრამ ფაქტია, რომ მყიდველები, რომელთაც ექსკლუზიურ მოდელში სწორედ საიმედოობის გამო 500 ათას დოლარამდე თანხა გადაიხადეს, ავტომობილის გაუმართაობას უჩიოდნენ.





საერთოდაც, იმ პერიოდში „როლს-როისის“ გაყიდვა იმდენად დაეცა, რომ ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი შეკვეთა თუ მიდიოდა. ეგეც არ იყოს, გერმანელები საქმეს სრული პასუხისმგებლობით მოეკიდნენ და ლეგენდარული მარკის ლეგენდარული იმიჯიც არ დავიწყებიათ. ახალი მოდელი რეტროს სტილშია შესრულებული და 30-იან წლებში გამომავალი „როლს-როისის“ აღიარებულ ლიმუზინებს, „ფანტომი 1“-ს და „ფანტომი 2“-ს წააგავს. როგორც წესი, „როლს-როისის“ მენეჯერებს ავტომობილის მონაცემებზე საუბარი არ უყვარდათ, მაგრამ ალბათ, BMW-ს მოთხოვნით ეს ტრადიციაც დაირღვა — ახალ „ფანტომს“ 6,75ლ მოცულობის, 500 ცხ.ძ სიმძლავრის ძრავა ექნება, რომელიც ტრანსმისიას 6-საფეხურიანი, ავტომატური გადაცემათა კოლოფით უკავშირდება. კონსტრუქტორებმა ექსკლუზიურ ფუფუნებაზეც იზრუნეს: ავტომობილის ბორბლებზე „როლს-როისის“ ლოგო ისეა დამონტაჟებული, რომ დისკოსთან ერთად არ ბრუნავს. მოდელის მაქსიმალური სისწრაფე 240კმ/სთ-ია. ალბათ, „როლს-როისის“ კომფორტზე საუბარი ზედმეტია, მაგრამ რასაკვირველია, ბრიტანულ ფუფუნებას ტყავისა და ძვირფასი ხის თანხლებით გერმანული მაღალტექნოლოგიური აპარატურაც დაემატა, რითაც ლიმუზინი „გამოტენილია“. ახალი „როლს-როისი“ ტრადიციულად „იაფი“ — 320 ათასი ევრო ეღირება.



„ფოლკსვაგენის“ მმართველი საბჭო საავტომობილო ბაზარზე შტურმის დასრულებას არ აპირებს. როგორც ჩანს, გერმანელებს სურთ მაქსიმალურად გამოიყენონ „ბენთლის“ სავაჭრო მარკის ფლობის ძვირად ღირებული სიამოვნება. უახლოეს მომავალში საზოგადოება ბრიტანულ-გერმანული ავტოწარმოების კიდევ ერთ ქმნილებას იხილავს — „უნივერსალის“ კლასი პრესტიჟული „ბენთლის“ მარკისთვის ცოტა არ იყოს, უჩვეულოა, მაგრამ როგორც ჩანს, „ფოლკსვაგენის“ მარკეტოლოგებმა სწორედ ეს ფაქტორი გათვალეს.

Shooting Brake-ი ტექნიკური მონაცემების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ Continental GT-ის გამეორება იქნება — ახალი „უნივერსალი“ W 12 ტიპის, 6,0ლ მოცულობის ძრავათი არის აღჭურვილი, მაგრამ სახეცვლილება განიცადა მისმა ძარამ და სავალმა ნაწილმა. ავტომობილი ბევრად უფრო ტევადი და პრაქტიკული გახდა. შედარებით დაბალი იქნება მისი ფასიც — დაახლოებით 150 ათასი ევრო საბაზო მოდელისათვის.

როგორც ჩანს, ყველგანმავლების წარმოება მსოფლიოს ავტომრეწველობაში საკმაოდ სარფიანი საქმე აღმოჩნდა, რადგან ამ ცდუნებისგან თავს უკვე ველარც ერთი დიდი ფირმა ვერ იკავებს. მიუხედავად იმისა, რომ თავისი არსებობის მანძილზე ფირმა „აუდი“ მხოლოდ „მშვიდობიანი“ სედანების, ან სპორტული კუპეების წარმოებით იყო დაკავებული, უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ძალები ყველგანმავალთა კატეგორიაშიც მოსინჯა. „აუდის“ საკონსტრუქტორო ბიუროს დიზაინი ევროპაშიც და ამერიკაშიც დიდი მოწონებით სარგებლობს. მაგრამ გარეგნულად მომხიბლავი მოდელები ფირმის იმიჯისთვის ლამის დამღუპველი აღმოჩნდა. საქმე ის არის, რომ „აუდის“ დიზაინსტუდია საკმაოდ წინდაუხედავად მოიქცა და ავტომობილის მანევრირება (აეროდინამიკა) მის სილამაზეს ანაცვალა. ასე მოხდა „აუდი TT“-ს შემთხვევაში. მოდელმა გამოჩენისთანავე დიდი პოპულარობა მოიხვეჭა და ბაზარზე დიდხანს ლიდერობდა. მაგრამ სულ რაღაც 2-3 თვეში ამ ავტომობილით მგზავრობისას მომხდარი კატასტროფები გახშირდა. მძღოლები ძირითადად ერთსა და იმავეს უჩიოდნენ — ავტომობილი მაღალ სიჩქარეზე მოსახვევში შესვლისას ან ტრიალდებოდა, ან საუკეთესო შემთხვევაში, მართვას კარგავდა. ავტოსაგზაო შემთხვევების სიხშირით საერთაშორისო ავტოტესტირების ორგანიზაციებიც დაინტერესდნენ. მათმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ „აუდი TT“-ს აეროდინამიკა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. კომპანია „აუდის“ ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, მოდელის წარმოება შეეჩერებინა. მოგვიანებით TT-ს წარმოება აღდგა და „აუდის“ მარკეტოლოგებმა ოფიციალური განცხადება გააკეთეს ავტომობილში შეტანილი ცვლილებების შესახებ. მიუხედავად ამისა, მოდელი უკვე ნაკლებპოპულარული იყო. ამ შეცდომას შეეწირა „აუდის“ მიერ გამოშვებული, საკმოდ პერსპექტიული ყველგანმავალის „სტეპენვოლფის“ („სტეპების მგელი“) წარმოებაც. იმის გამო, რომ იგი TT-ს ბაზაზე იყო დამზადებული, „აუდის“ მარკეტინგულ სამსახურს მოდელის წარმატებაში ეჭვი შეეპარა. ამჯერად, არენაზე „აუდის“ ახალი ჯიპი გამოჩნდა. მის იმიჯზე ფირმის მენეჯერებმა უკვე სახელის დარქმევიდან იზრუნეს — Pikes Peak-ი ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ ძალიან პოპულარულ, საერთაშორისო სარბოლო ტრასას ეწოდება. კოლორადოს შტატში მდებარე ამ რთულ ტრასაზე თითქმის 15 წლის მანძილზე „აუდის“ მოდელები სწორუპოვარი ლიდერობით სარგებლობდნენ. ახალ ყველგანმავალს ახალი, 500ცხ.ძ სიმძლავრის ფორსირებული ძრავა უყენია. ამჯერად „აუდის“ კონსტრუქტორებმა დიზაინსა და მანევრირებაზე ერთნაირი წარმატებით იზრუნეს. მიუხედავად იმისა, რომ ავტომობილი ყველგამავალთა კატეგორიას განეკუთვნება და სარბოლო მონაცემები სულაც არ მოეთხოვება, უპრობლემოდ ავითარებს 280კმ/სთ სისწრაფეს.



დიზაინერ ბრაინ ნესბიტის მიერ შემუშავებული მოდელის სახელწოდებამ ბევრს მოაგონა მესამე რაიხის რისხვა, მაგრამ „შევროლეს“ კორვეტის“ ბაზაზე შეიქმნა, თუმცა მის ტექნიკურ მახასიათებლებში სერიოზული ცვლილებებია შეტანილი. აღსანიშნავია, რომ „შევროლე SS“



ახალ საჩვენებელ (კონცეპტუალურ) მოდელს ფაშისტებთან არავითარი კავშირი არ აქვს. SS-ი უბრალოდ, Super Sport-ის აღმნიშვნელი აბრევიატურაა. სხვათა შორის, რეტროს სტილში შესრულებული „კრაისლერის“ პოპულარული მოდელი, „PT კრუიზერიც“ ამავე დიზაინერის ნახელავია. მაგრამ ამჯერად ბრაინ ნესბიტს განსხვავებული ამოცანა ჰქონდა დასახული — მას არა მხოლოდ კონკურენტუნარიანი, უბრალოდ ლამაზი მანქანა უნდა შეექმნა, არამედ ზედმიწევნით სპორტულიც. ახალი მოდელი ფაქტობრივად, „შევროლე თავის კლასში პირველი ეკონომიური მოდელია. როგორც წესი, სპორტული ავტომობილები ამ ცნებისგან შორს დგანან, SS-ის V8 ტიპის, 6ლ მოცულობის ძრავა კი მიუხედავად იმისა, რომ 430 ცხ.ძ სიმძლავრეს წარმოშობს, ოფიციალურ პარამეტრებში მითითებული საწვავის რაოდენობის მხოლოდ ნახევარს მოიხმარს, რადგან ბრუნვათა რიცხვისა და დატვირთვის შესაბამისად, ინერციის აღების შემდეგ 8 ცილინდრიდან 4, ავტომატურად ითიშება.

***გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა***

და ჩემს ნაკრებს აღარაფერში გამოგვადგებაო.




გიორგი დემეტრაძე

გიორგი დემეტრაძესა და „რეალ-სოსიედადის" ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობა მეტად დაიძაბა. ბასკური კლუბის ხელმძღვანელებს გიორგის კვლავ იჯარით გასხვისება სურთ და თანაც დაინტერესებული მხარისაგან თანხას ითხოვენ. ქართველი ფორვარდი და მისი მენეჯერი დიმიტრი სელიუკი ასეთ შემთხვევაში „რეალ-სოსიედადში" დარჩენას და ხელფასის გადახდას ითხოვენ, თუ არადა უფასოდ გაგვიშვით და ფულს სხვები მოგვცემენო.

თავად გიორგის, კლუბის მიერ შეთანხმებული ინგლისური ვარიანტიც აფიქრებს, მაგრამ არც გუნდის სახელი იცის და არც ბრიტანელთა ფინანსური პირობები. კვლავ ძალაშია „ბრიუგეს" მოწვევაც, მაგრამ ბელგიური საგადასახადო კანონი დემეტრაძეს აფრთხობს და ამიტომ ცნობილი კლუბის მიწვევაზე კვლავ თავს იკავებს. თურმე, ბელგიაში, ფეხბურთელების ხელფასის 56 პროცენტს ამ ქვეყნის ბიუჯეტი „ითვისებს".

გიორგის გაცილებით ხიბლავს დონეცკის „მეტალურგში" გოჩა ჯამარაულთან, შედარებით შინაურ და ნაცნობ გარემოში თამაშის პერსპექტივა. არც ის არის უმნიშვნელო, რომ მას უკრაინელები ბელგიელებზე გაცილებით უკეთეს პირად კონტრაქტს სთავაზობენ და ამის გათვალისწინებით, გიორგი დემეტრაძემ განაცხადა, რომ თითქმის გადაწყვეტილად თვლის დონეცკის „მეტალურგში" ტრანსფერის განხორციელებას.


მიროსლავ კლოზე

„მანჩესტერ იუნაიტედი" რომ უმაღლესი კლასის ფორვარდების სიმცირეს არ განიცდის, ყველასათვის ცნობილია. თუმცა, როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობა მიღწეულით არ კმაყოფილდება და ახალი ფორვარდების ძიებაშია. ინგლისელებმა გერმანული „კაიზერსლაუტერნის" მეგოლეს მიროსლავ კლოზესა და „ბარსელონას" სახელგანთქმულ ჰოლანდიელს პატრიკ კლიუვერტს დაადგეს თვალი. კლოზეს სანაცვლოდ ინგლისელებმა ₤7.000.000 შესთავაზეს ამჟამად კრიზისში მყოფ „კაიზერსლაუტერნს". გერმანელთა პასუხი ჯერჯერობით უცნობია. რაც შეეხება, კლიუვერტს, კატალონიელებმა მის ფასად ₤ 26.000.000 დაასახელეს, რაც ჰოლანდიელის ნისლიან ალბიონზე გადაბარგებას ფრიად საეჭვოს ხდის.

# მოლინამ კიბოს აჯობა



ლა კორუნიას „დეპორტივოსა" და ესპანეთის ნაკრების მეკარეს ხოსე მოლინას გასული წლის ოქტომბერში სიმსივნე აღმოუჩინეს. ცხადია, მას შემდეგ 32 წლის მეკარეს აღარ უთამაშია. მოლინამ ქიმიოთერაპიის კურსები ვალენსიაში გაიარა. შედეგი კი მთელი ესპანეთისა და მსოფლიოსათვის რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი. განმეორებითი ანალიზების შედეგად დადგინდა, რომ მეკარე აბსოლუტურად ჯანმრთელია. ბედნიერმა ფეხბურთელმა ვალენსიაშივე მოაწყო პრესკონფერენცია, ხალხს თავისი გამოჯანმრთელების შესახებ აუწყა და დასძინა, რომ ვარჯიშს სულ მალე განაახლებს, მათ კი ვისაც ეს ავადმყოფობა სჭირს, მოუწოდა იმედი არასოდეს გადაიწურონ — სიმსივნის განკურნება შესაძლებელია.

მოსკოვის „ლოკომოტივმა" ჩემპიონთა ლიგის მომავალ ეტაპზე გასვლით დიდი თავსატეხი გაუჩინა უეფას ხელმძღვანელობას. საქმე ის გახლავთ, რომ რკინიგზელები 25 თებერვალს მასპინძლობენ იტალიურ „მილანს". ამ დროისათვის „ლოკომოტივის" სტადიონი რა მდგომარეობაში იქნება, ადვილი წარმოსადგენია. რუსული კლუბის ხელმძღვანელობას სურს „მილანს" ნოვოროსიისკის სტადიონზე უმასპინძლოს. შავი ზღვისპირა ქალაქს უეფას კომისია ეწვევა და თუ იქაური არენის მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად ჩათვალეს ხომ კარგი, თუ არა და „ლოკომოტივს" „მილანის" დახვედრა გაყინულ „ჩერკიზოვოში" მოუწევს, რაც „ყინვაგამძლე" რუსებისათვის ცუდი ვარიანტი არ უნდა იყოს.


ოლივერ კანი

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ასოციაციამ მსოფლიოს ათი საუკეთესო მეკარე დაასახელა. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილი გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" მეკარეს, ოლივერ კანს ხვდა წილად. 33 წლის გერმანელმა გამოკითხვაში უდიდესი უპირატესობით გაიმარჯვა. საინტერესოა, რომ კანი მესამედ აღიარეს პლანეტის საუკეთესო მეკარედ. მსგავსი წარმატებისათვის ადრე მხოლოდ იტალიელ ვალტერ ძენგასა და პარაგვაელ ხოსე ლუის ჩილავერტს მიუღწევიათ. ზემოთ ნახსენები ასოციაციის მიერ შედგენილი პირველი ათეული კი ასე გამოიყურება:

| | | | |
|---|---|---|---|
| **1.** | **ოლივერ კანი („ბაიერნი", გერმანია)** | **—** | **315 ქულა** |
| **2.** | **იკერ კასილიასი („რეალი", ესპანეთი)** | **—** | **101** |
| **3.** | **რუშთუ რეჩბერი („ფენერბახჩე", თურქეთი)** | **—** | **99** |
| **4.** | **მარკოსი („პალმეირასი", ბრაზილია)** | **—** | **88** |
| **5.** | **ჯან ლუიჯი ბუფონი („იუვენტუსი", იტალია)** | **—** | **74** |
| **6.** | **ბრედლი ფრიდელი („ბლექბერნი", ინგლისი)** | **—** | **33** |
| **7.** | **ფრანჩესკო ტოლდო („ინტერი", იტალია)** | **—** | **27** |
| **8.** | **ფაბიენ ბარტეზი („მანჩესტერ იუნაიტედი", საფრანგეთი)** | **—** | **18** |
| **9.** | **ირჟი დუდეკი („ლივერპული", პოლონეთი)** | **—** | **16** |
| **10.** | **იენს ლემანი („დორტმუნდი", გერმანია)** | **—** | **11** |


ემილ ჰესკი

უეფას დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილებით სლოვაკეთის ეროვნული ნაკრები უახლოეს საშინაო შეხვედრას ცარიელი ტრიბუნების წინაშე გამართავს. გარდა ამისა, სლოვაკეთის ფეხბურთის ფედერაცია ჯარიმის სახით 60.000 შვეიცარიულ ფრანკს გადაიხდის, რაც არცთუ მდიდარი სლოვაკებისათვის ხელწამოსაკრავი თანხა არ უნდა იყოს. საქმე ის გახლავთ, რომ გასული წლის ოქტომბერში სლოვაკეთისა და ინგლისის ნაკრებთა შეხვედრისას, ბრატისლაველმა მაყურებელმა ნაირნაირი შეურაცხმყოფელი ეპითეტებით შეამკო ინგლისელთა შორის მობურთავე შავკანიანები: ემილ ჰესკი და ეშლი კოული. სლოვაკები უახლოეს მატჩს 2 აპრილს შინ „ლიხტენშტეინთან" მართავენ და წესით გამარჯვება მაყურებელთა მხარდაჭერის გარეშეც უნდა მოახერხონ.


რივალდო

მოგეხსენებათ, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის, ბრაზილიის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად კარლოს ალბერტო პერეირა დაინიშნა. ეს სწორედ ის პერეირაა, ვინც ბრაზილიელები 1994 წელს მეოთხედ აიყვანა მსოფლიო ფეხბურთის მწვერვალზე. კარლოს ალბერტომ თანამდებობა შეიფერა, ჟურნალისტებს მომავლის გეგმებიც გააცნო და პირველივე სერიოზული გადაწყვეტილება ისეთი მიიღო, გაოცებისგან ხალხს ყბა ჩამოუვარდა. არც მეტი, არც ნაკლები, ახალმა მწვრთნელმა გუნდიდან რივალდო და კაფუ დაიფრინა, აქაოდა რივალდო მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე 34 წლის იქნება და მე და ჩემს ნაკრებს აღარაფერში გამოგვადგებაო. პერეირას დებიუტი ახალ გუნდში 26 თებერვალს შედგება, როცა „პენტაკამპეონები" ჩინელებს ამხანაგურად გაეჯიბრებიან. იმ შეხვედრაში ბრაზილიელთა ყვითელ მაისურს პირველად მოირგებენ ჩვენთვის უცნობი რობინიო და დეგუ, რომელთაც სამშობლოში რივალდოსა და რონალდოს მემკვიდრეებად მიიჩნევენ.

# გერმანელებმა რონალდოს ზიდანი არჩიეს

2002 წლის მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად ბრაზილიელი რონალდო დასახელდა და „ფრანს ფუტბოლის" მიერ დაწესებული „ოქროს ბურთიც" მას ხვდა წილად. ახლახან გამოქვეყნდა პოპულარული გერმანული ჟურნალის „კიკერის" გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვაში ბუნდესლიგაში მოთამაშე 242 ფეხბურთელი მონაწილეობდა. გერმანელებმა საუკეთესოდ არა რონალდო, არამედ ზინედინ ზიდანი დაასახელეს, რომელმაც საერთო ხმების 25,4% მიიღო, გამარჯვებულს სამი პროცენტით ჩამორჩა მეორე ადგილზე გასული რონალდო, 11,1%-ით მესამე ადგილი ლონდონის „არსენალის" ფრანგ ბომბარდირს ტიერი ანრის ხვდა წილად. საინტერესოა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ოლივერ კანი გერმანელ ფეხბურთელთა მიერ დასახელებულ საუკეთესოებში, სამეულშიც კი ვერ მოხვდა.


ფაბიო კაპელო

იტალიის შარშანწინდელი ჩემპიონი „რომა" წელს ძალიან სუსტად თამაშობს. კლუბის გულშემატკივრებს მოთმინების ფიალა წინა ტურში აევსოთ, როცა „რომა" საკუთარ „სტადიო ოლიმპიკოზე" დამარცხდა „კიევოსთან". კლუბის პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ ჟურნალისტებს ოფიციალურად განუცხადა, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი ფაბიო კაპელო სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს „რომას" და რომ არა კაპელოს უდიდესი ავტორიტეტი, რომაულ კლუბს ახლავე ჩააბარებდნენ სხვა სპეციალისტს. კაპელოს მემკვიდრედ „პერუჯას" ახლანდელი თავკაცი სერსე კოზმი ითვლება. რაც შეეხება თავად კაპელოს, მან ადრეც განაცხადა, რომ „რომას" დატოვების შემდეგ, ერთი წლით ჩამოშორდება დიდ ფეხბურთს, შემდეგ კი სხვა კლუბს გამოძებნის. მისნაირ სპეციალისტს რომ უმუშევრად არ დატოვებენ, ფაქტია. ბევრი გულშემატკივარი კაპელოს ჯოვანი ტრაპატონის სავარაუდო შემცვლელად მიიჩნევს იტალიის ეროვნულ ნაკრებში.

ტურინის „იუვენტუსისა" და იტალიის ეროვნული ნაკრების სუპერვარსკვლავი ალესანდრო დელ პიერო ალბათ 2010 წლამდე, ანუ კარიერის დასრულებამდე დარჩება ტურინულ კლუბში. „ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელობა წინასწარ იჭერს თადარიგს და დელ პიეროს 2010 წლამდე სთავაზობს კონტრაქტის გაგრძელებას. ამჟამად მოქმედი კონტრაქტის თანახმად ფეხბურთელი 2006 წლის 30 ივნისამდე ითვლება „იუვენტუსის" საკუთრებად. 2010 წელს დელ პიერო 36 წლის იქნება და არავინ იცის, შეძლებს თუ არა იმ დროისათვის უმაღლეს დონეზე თამაშს, თუმცა „იუვეს" ხელმძღვანელობამ თავის საქმეც სხვაზე უკეთ იცის და სუპერვარსკვლავების ფასიც. სხვათა შორის, დელ პიერომ გასულ კვირას „იუვეს" მაისურით 350-ე შეხვედრა ჩაატარა და ამ ხნის მანძილზე 136 გოლის გატანა მოასწრო.

სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ არგენტინელი ოსკარ ლოპესი უკვე აღარ არის სომხეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ლოპესის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება სომხებმა მას შემდეგ მიიღეს, რაც არგენტინელმა სპეციალისტმა ხელფასის გაორმაგება მოითხოვა. სომხებმა ასეთი გულუხვობა არ გამოიჩინეს და ლოპესი შინ გაისტუმრეს. ახლა ამბობენ, რომ შესაძლებელია სომეხთა მთავარი გუნდის დამრიგებლად უცნობილესი ფრანგი სპეციალისტი, საფრანგეთის ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი ანრი მიშელი დაინიშნოს.

# ჯორდანმა შესაძლოა დაისვენოს


მაიკლ ჯორდანი

ლეგენდარულ მაიკლ ჯორდანს თორმეტჯერ უთამაშია ე.წ. „ყველა ვარსკვლავის" შეხვედრაში. ეს მატჩი ყოველწლიურად იმართება და უმთავრესი საკალათბურთო შოუა არა მარტო ამერიკაში. ვარსკვლავთა შემადგენლობას გულშემატკივარი ირჩევს. მიმდინარე გამოკითხვაში მაიკლ ჯორდანი თავის პოზიციაზე მესამე ადგილზეა ალან აივერსონისა და ტრეისი მაკგრეიდის შემდეგ. რაც იმას ნიშნავს, რომ „მფრინავი მაიკლი" აღმოსავლეთ კონფერენციის გუნდის სასტარტო ხუთეულში შეიძლება ვერც მოხვდეს. ყველა დროის უდიდესმა კალათბურთელმა განაცხადა, რომ თუ ასე მოხდა, მას გული არ დასწყდება, ვინაიდან, დროა ახალგაზრდებსაც მიეცეთ თავის გამოჩენის შანსი. გარდა ამისა, ამ პერიოდს იგი ოჯახსა და დასვენებას დაუთმობს. შეგახსენებთ, რომ მაიკლ ჯორდანი ახლა „ვაშინგტონ უიზარდსის" ღირსებას იცავს, მისი შედეგიანობა თამაშში საშუალოდ 17,6 ქულაა და სწორედ მისი წყალობითაა, რომ „ვაშინგტონი" პლეი-ოფის ზონაში იმყოფება.

კალათბურთის ნაციონალური ასოციაციის (NBA) 29 კლუბის ხელმძღვანელობამ ამ დღეებში ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო: მსოფლიოს უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში 30-ე კლუბი დაარსდა. ჯერჯერობით უცნობია რა ერქმევა ამ გუნდს, თუმცა უკვე დადგენილია, რომ NBA-ს ახალი წარმომადგენელი ჩრდილოეთ კაროლინის ქალაქ შარლოტში დაფუძნდება და სწორედ ამ ქალაქის სახელით იასპარეზებს. კლუბის მფლობელი გახლავთ ამერიკელი მილიარდერი რობერტ ჯონსონი — პირველი შავკანიანი NBA-ს არსებობის ისტორიაში, რომელიც მსოფლიოს უძლიერესი საკალათბურთო ლიგის კლუბის მეპატრონეა.

შავი

# ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ * ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ * ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ

**ᲔᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲐ** და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №2 (328) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

რეიტინგს 672 მკითხველი გამოეხმაურა. 3 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 279-მა ქალმა და 390-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველების ყველაზე დიდ სიმპათიას ნინო ანანიაშვილი იმსახურებს. რესპონდენტთა 45-მა შეაფასა ქართველი ბალერინა მაქსიმალური — 8 ქულით. **7,03** საშუალო ქულით ნინო ანანიაშვილი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე ნინო ბურჯანაძეა, მკითხველთა 33 აცხადებს, რომ მათ კეთილგანწყობას ყველაზე მეტად პოლიტიკოსი ქალბატონი იმსახურებს. საშუალო ქულაა 6,21. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ნინო მკითხველთა ზუსტად ერთნაირმა რაოდენობამ — 1-მა შეაფასა მინიმალური — 1 ქულით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აქ ჩამოთვლილ „ნინოებთან" შედარებით ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ყველაზე „სახელგატეხილი" სფეროს — პოლიტიკის წარმომადგენელია, მიუხედავად ამისა, პიროვნული ღირსებებით იგი მკითხველთა საკმაოდ დიდი ნაწილის კეთილგანწყობას იმსახურებს.

ნინო სუხიშვილი მესამე ადგილზეა საშუალო ქულით 5,21.

ყველაზე მეტი მინიმალური ქულა — 72 ნინო ჩხობაძემ დაიმსახურა. ქალბატონი ნინოა ასევე ყველაზე მცირე რაოდენობის მაქსიმალური ქულების (0,9) მფლობელიც.

საგულისხმოა, რომ განსხვავება სხვადასხვა ასაკისა და სქესის რესპონდენტების პასუხებს შორის არ დაფიქსირებულა.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 65 წლის **ᲚᲣᲘᲖᲐ ᲫᲣᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** და 55 წლის **ᲜᲝᲓᲐᲠ ᲜᲐᲠᲘᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 22 იანვარს, 17 საათზე.

## №3 (329) ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ

**„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ"** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ᲚᲐᲠᲘ**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ"** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲕᲡᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲜᲣ ᲓᲐᲒᲐᲕᲘᲬᲧᲓᲔᲑᲐᲗ, ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲚᲝᲗ *მკითხველის რეიტინგში.*

**№3 (329) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 22 იანვრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 23 იანვრის 13 საათამდე.** © თბილისი

**ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!** ამიერიდან საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად დაიბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც". თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ბარათები, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათები ისევე მიიღებენ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათები.

ᲗᲔᲛᲐ №3 (329) — 2003 ᲬᲔᲚᲘ

**ᲠᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲔᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲗ 2003 ᲬᲔᲚᲡ** (ჩამოთვლილთაგან)?

დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№3(329) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | „ნატოში" შესვლა | |
| 2 | აფხაზეთის დაბრუნება | |
| 3 | ფეხბურთში საქართველოს ნაკრების გამარჯვება რუსებზე | |
| 4 | სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება | |
| 5 | ელექტროენერგიის გადასახადის შემცირება | |
| 6 | ელექტროენერგიისა და გაზის შეუფერხებლად მოწოდება | |
| 7 | კრიმინოგენული მდგომარეობის გაუმჯობესება | |
| 8 | სამართლიანი საპარლამენტო არჩევნები | |

*მკითხველის რეიტინგი*

დაასახელეთ პოლიტიკური პარტია, რომელიც ყველაზე მეტად იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას

✓ ____________________

**ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ ____________________

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲒᲕᲐᲠᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ (ᲠᲐᲘᲝᲜᲘ)

ᲐᲡᲐᲙᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ

### *მკითხველის რეიტინგის შედეგები*

*რომელ რადიოს უსმენთ ყველაზე ხშირად?*

| | | |
|---|---|---|
| 1. | ᲤᲝᲠᲢᲣᲜᲐ | 22% |
| 2. | ᲤᲝᲠᲢᲣᲜᲐ ᲞᲚᲣᲡ | 18% |
| 3. | ᲠᲐᲓᲘᲝ 101,4 | 12% |
| 4. | ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲐᲓᲘᲝ | 10% |
| 5. | ᲠᲐᲓᲘᲝ 2 | 8% |
| 6-7. | ᲠᲐᲓᲘᲝ ᲘᲕᲔᲠᲘᲐ | 5% |
| 6-7. | ᲠᲐᲓᲘᲝ 105 | 5% |
| 8-9. | ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲛᲐ | 3% |
| 8-9. | ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲢᲐᲚᲦᲐ | 3% |
| 10-11. | ᲠᲐᲓᲘᲝ ᲘᲛᲔᲓᲘ | 2% |
| 10-11. | ᲠᲐᲓᲘᲝ 106,4 | 2% |

**მკითხველთა 1% დაახლოებით თანაბარი სიხშირით უსმენს თითქმის ყველა რადიოს. 7% კი აცხადებს, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო რადიოს საერთოდ არ უსმენს.**

***მკითხველის რეიტინგში 582 რესპონდენტი მონაწილეობდა.***

## ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ:



1. დაჩი გრძელიშვილი — „საქართველო დღესდღეობით არის უმწყემსო, მგლებგარეული ცხვრის ფარა" — 140 ხმა
2. ვაჟა გავაშელი — „მამია ვარ, არ მესროლოო..." — 83
3. მარინა ბაბუნაშვილი — „ოჰ, ეს მოუსვენარი „გაზეტჩიკები", ანუ ჟურნალისტური კურიოზები" — 50
4. მარინა ბაბუნაშვილი — „მე მხოლოდ ერთი ქალი მიყვარდა" — 39
5. დაჩი გრძელიშვილი — „სად გადის გვირაბი ამერიკის ციხიდან?.." — 37

თქვენს პრემიას — 50 ლარს ჟურნალისტი დაჩი გრძელიშვილი მიიღებს.

***„მკითხველის პრემიის" მფლობელი 502-მა რესპონდენტმა გამოავლინა.***

# · ᲤᲝᲢᲝᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ · ᲤᲝᲢᲝᲐᲜᲢᲘᲙᲕᲐᲠᲘ ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

ᲠᲐᲡ ᲓᲐᲐᲠᲥᲛᲔᲕᲓᲘᲗ?

____________________

____________________

____________________

____________________

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ, ᲒᲕᲐᲠᲘ ____________________

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ (ᲠᲐᲘᲝᲜᲘ) ____________________



ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ, ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲞᲣᲢᲘᲜᲘ

**„ფოტოანტიკვარის" რესპონდენტებმა ამ პატარა ბიჭუნაში ვინ აღარ „ამოიცნეს"... დასახელდნენ ისეთი პოპულარული ადამიანები, ვინც მათზე არანაკლებ ცნობილი ადამიანების შვილები არიან — ვანო ზოდელავა (18%), პაატა შევარდნაძე (5%), თენგიზ სუხიშვილი (5%), ზვიად გამსახურდია (2%), ელდარ და გიორგი შენგელაიები (2%), სოფიკო ჭიაურელი (2%)... ზოგმა მიხეილ სააკაშვილი, გია ბარამიძე და თქვენ წარმოიდგინეთ, უცხოური ესტრადის ვარსკვლავები და აშშ-ის პრეზიდენტიც კი დაასახელეს.**

**რესპონდენტთა 34%-მა კი სწორად ამოიცნო ამ პატარის ვინაობა — ფოტოზე გამოსახული ბიჭუნა მართლაც დიდი დედ-მამის შვილი, ცნობილი დრამატურგი ᲚᲐᲨᲐ ᲗᲐᲑᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲐ.**





***ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი***



ᲚᲐᲨᲐ ᲗᲐᲑᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ 6 ᲬᲚᲘᲡ

## ფოტო განწყობისთვის



– ცხუილად გამოიზაფხულე, კიდევ აცივდება...

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები



25/I ☾
უკანასკნელი მეოთხედი
მაგნიტური დღეა
23/I
11-დან 13 საათამდე

* * *



ნიკოლ კიდმანმა ძალიან გააკვირვა საზოგადოება ამ რამდენიმე დღის წინ. თავისი ახალი ფილმის “The hours”-ის პრემიერაზე ვარსკვლავი სკანდალურად ცნობილი რეპერის, კიუ-ტიპის თანხლებით გამოცხადდა. კიდმანის ერთ-ერთმა პრესაგენტმა სცადა რეპერის გაყვანა, მაგრამ ნიკოლმა გააჩერა ის, კიუ ჩემი სტუმარიაო! რაც შეეხება ტომ კრუზს, ის ნიკოლმა არ დაპატიჟა პრემიერაზე. თუმცა, გავრცელდა ხმა, რომ ტომმა გადადო პენელოპასთან ქორწილი მას შემდეგ, რაც ნიკოლმა საჯაროდ განაცხადა, რომ დღემდე უყვარს ყოფილი ქმარი. კრუზს მეგობრებში უთქვამს: „მე უბრალოდ გავცივდი პენელოპას მიმართ, ვინაიდან მას არ უნდა, რომ შვილი ვიყოლიოთ!“



კახეთში, მაღაზიაში შესული ახალგაზრდა კაცი გამყიდველს ეკითხება:

— უკაცრავად, „ტიკ-ტაკი“ ხომ არა გაქვთ?

— როგორ არა, ოთხ აკლია ათი წუთი!




ფირმა „ბერმუხა“
ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

**ყურადღება!**
„კვირის პალიტრა“ სათანამშრომლოდ იწვევს ჟურნალისტს, ეკონომიკის რუბრიკაში სამუშაოდ. აუცილებელია ეკონომიკური განათლება.
☎ 33-50-32




ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

### ③ უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№3 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 2 იანვრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, განძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა ღუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი ₫518
„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.